К 126 152
3

ფოლკლორული ჯევრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუათ დერვიში

ფილოსოფიური ლექსი

ოთხანი

თურქულიდან თარგმნა

ნოდარ ჯანაშია

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1967

საქართველოს
სახელმწიფო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

И (Тур)
894.35 — 31
Д 277

სუათ დერვიში პროგრესულად მოაზროვნე თურქი მწერლების უფროსი თაობის წარმომადგენელია. იგი ერთ დროს საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა თურქული პრესის კორესპონდენტად და ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარია.

სუათ დერვიშის რომანი „ფოსფორიანი ჯევრიე“ მწერალი ქალის საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენს. რომანის გმირი უთვისტომო ჯევრიე ქუჩაშია გასული, საკუთარი სხეულით ვაჭრობს და ისე გააქვს ეს წუთისოფელი. მის ირგვლივ მყოფი ადამიანები ჯევრიეს მხოლოდ წუთიერი ვნებების დაკმაყოფილებას სთხოვენ. სხვა მხრივ, ჯევრიე მათ სულაც არ აინტერესებთ. მაგრამ ჯევრიეს მაინც შემორჩენია მაღალადამიანური თვისებები. ეს კარგად გამოჩნდა მაშინ, როცა ის შეხვდა ადამიანს, რომელიც პირველად მოექცა მას ადამიანურად. ეს კაცი, ვისი სახელიც არავინ იცის, კომუნისტია. მან უდიდესი როლი ითამაშა ჯევრიეს ფსიქიკის გარდაქმნაში. ჯევრიეს მისთვის დღემდე უცნობი სირცხვილისა და სიყვარულის გრძნობა იპყრობს. იგი ამ უცხო კაცის აქტიური დამხმარე ხდება და იღუპება კიდეც თავისი ახალი მოვალეობის შესრულებისას.

ერთი ადამიანის ცხოვრების მაგალითზე რომანში ნაჩვენებია თანამედროვე თურქეთის სოციალური ცხოვრების მრავალი მხარე.

7—3—4
203—67 ადგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



I

პოლიციას სარკე აქვს

თხუთმეტი წუთი გავიდა, რაც ის საპოლიციო უბანში მოიყვანეს. ოთახში ძალიან თბილოდა, რადგან კოქსის ღუმელი ენთო და უამრავ ხალხსაც მოეყარა თავი.

მიუხედავად ამისა, ჯევრიეს მაინც აკანკალებდა. სიცივე ძვალ-რბილში გასჯდომოდა.

ეს მხოლოდ სიცივის ბრალი იყო. მაგალითად, შიში ან რაიმე სხვა გრძნობა მას თრთოლას ვერ მოჰგვრიდა.

ჯევრიე... ამ და ბევრი ამისთანა საპოლიციო უბნის ერთი მუდმივი სტუმართაგანი იყო წლების მანძილზე.

ძალიან ცივი ღამე იდგა...

წვიმის წვრილ-წვრილი წინწკლები მტვერივით ეფინა მის შავ, ხუჭუჭ თმებს.

ასეთ ღამეებს, სტამბოლის ღამეებს, როცა ნესტი ძვალსა და რბილ-ში ატანდა ხოლმე, ის „დაწყევლილ ღამეებს“ ეძახდა.

ასეთ ღამეებში ნამდვილი წვიმა არც კი მოდიოდა. ღამის უკუნეთი სასხურებელ მანქანასავით აქეთ-იქით აფრქვევდა სინესტეს.

ფარაონებმა[1], როგორც ჯევრიე ეძახდა ხოლმე პოლიციელებს, ამ

---

[1] ყარგონის ენაზე პოლიციელებს ეძახიან.

ღამით თვალი იმიტომ შეასწრეს, რომ თმები ჰქონდა წვიმით დაწნეხილი.

მან უმალ ნიშს შეაფარა თავი, როგორც კი დაუსტვინეს და შორიდან ფეხის ხმა მოესმა...

ჯერ ქვაფენილზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების გამალებული ბაკა-ბუკი გაიგონა... შემდეგ კუთხესთან ორი ქალის აჩრდილი გამოჩნდა... ერთი მათგანი მსუქანი იყო, მეორე გამხდარი... მსუქანი ბურთივით მოგორავდა.... გამხდარი, რომელსაც თითქოს უფრო სწრაფი სირბილი და თავის შეფარების უნარი უნდა ჰქონოდა, წარამარა რაღაცას ედებოდა, ზანტად ირჯებოდა და ისე უხერხულად გარბოდა, თითქოს საცაა დაეცემაო. მათ უკან მამაკაცების ფეხის ხმა ისმოდა.

მსუქანი ქალი იცნო... ტანის მოყვანილობაზე... ეს თოფ[1]-მელაჰათია... ნამდვილად ის არის...

ის ასე ადვილად არავის ჩაუვარდება ხელში... ამ ბნელ ღამეში აუცილებლად გაქრება სადმე თავისი ჩამრგვალებული ტანით. ეხლაც სწორედ ასე მოხდა...

იგი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა ქუფრად აღმართულ ერთ-ერთი სახლის სადარბაზო კარებში.

მელაჰათი სტამბოლს ხელისგულივით იცნობს: სად ნიშია თავშესაფარი, სად ქუჩიდან ქუჩაზე გასასვლელი, სად ნაგვის ყუთი, სადაც მშვიდად შეაფარებდა კაცი თავს, ან ფუნდუკი, რომლის სამზარეულოშიც უკანა კარიდან შეიძლება შესვლა.

ჯევრიეც... მას ბევრად არ ჩამორჩებოდა ამ საქმეში, მაგრამ... თოფ-მელაჰათს მთელ სტამბოლში ვერავინ სჯობნიდა...

ჯევრიე ჭიშკართან შეყუჟულიყო, სამად მოკეცილი ერთმანეთზე შეწყობილ ნაგვის ყუთებს ამოფარებოდა, თავი მუხლებში ჰქონდა ჩარგული, მკლავები კი წვივებისთვის შემოეჭდო.

შემდეგ, როცა ჯევრიეს ხელი სტაცეს და წაიყვანეს, იჯდა და ფიქრობდა — „თოფ-მელაჰათი რომ ჩავარდნოდათ ხელში, ფარაონები მე ველარ მიპოვნიდნენო“.

დიახ, როცა ამ ჩიხში უეცრად გაქრა მელაჰათი, მაშინ კი დაიწყეს ჭიშკრებში ცქერა.

---

[1] თ ო ფ—მრგვალი.

გამხდარი გოგო მიწაზე იყო გართხმული და მალე დაიჭირეს. ხელი რომ სტაცეს, გინება მორთო... ჯევრიემ ხმაზე იცნო. ასეთ პატარა ხნეულში ასეთი ბოხი ხმა...

ეს ყველას უკვირდა. ამის გამო მას ქოს[1]-აითენს ეძახდნენ...

*

* *

თმების დამალვა ჯევრიეს აზრადაც არ მოსვლია. რომც გახსენებოდა, სად დაემალა თავი.

ქუჩის კუთხეში, საკმაოდ მოშორებით, ფარანი ენთო.

სწორედ ამ ფარნის სინათლე წვდებოდა მის თმებს და ათასობით წვიმის წინწკლებს წვრილ-წვრილი ვარსკვლავებივით აკიაფებდა.

ფარაონებმა სწორედ ეს შეამჩნიეს... ასევე იყო მაშინაც, როცა ის პირველად მოხვდა პოლიციაში.

მაშინაც გაიქცა და დაიმალა, მაგრამ მის თმებში ჩამსხდარმა წვრილ-წვრილმა ვარსკვლავებმა გასცეს...

კომისარი, რომელმაც ის პირველად დაიჭირა, მსუქანი და ხანში შესული კაცი იყო.

იმ ღამეს მისკენ მიმართულმა ელექტროფარნის სხივმა მის თმებში უამრავი ვარსკვლავი ააციმციმა.

— ერთი ფოსფორიანი აქაც არის... აბა ფოსფორიანო, ერთი ადექ მანდედან! — დაიძახა პოლიციელმა.

იმ დღიდან „ფოსფორიანი ჯევრიე“ გახდა მისი სახელი. თუმცა მას ეს სახელი სხვა მიზეზითაც შეეფერებოდა. არა მარტო თმები, არამედ თვალებიც და საერთოდ, მთელი მისი არსება მართლაც და თითქოს სინათლეს აფრქვევდა ირგვლივ.

როცა გოგოები ქუჩის ბნელ კუთხეში იდგნენ ხოლმე, მამაკაცები მაინც პირდაპირ ჯევრიესთან მიდიოდნენ. და განა იმიტომ, რომ მას ხედავდნენ ან სწორედ მას ირჩევდა ვინმე.

— ფოსფორიანია, — იტყოდნენ გოგოები, — თვალში პირველად ეგა ხვდებათ ხოლმე.

---

[1] ქ ო ს—როხროხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, თითქოს მართლაც ფოსფორიახი ყოფილიყოს, მამაკაცები მაინცდამაინც მას აირჩევდნენ ხოლმე ამდენ გოგოებში....

სიბნელეში მამაკაცები ხედავდნენ როგორ ბრიალებდნენ მისი თვალები და თეთრად ქათქათებდნენ კბილები.

შორს მბჟუტავი ქუჩის სინათლეც საკმარისი იყო, რომ ჯევრიე მთლად აციმციმებულიყო...

გოგოებს არა შურდათ მისი... უბრალოდ, გული სწყდებოდათ, რომ იმისთანები არ იყვნენ.

— რა გაქვს ასეთი, ფოსფორიანო?.. — ჯევრიემ თვითონაც არ იცოდა რა ჰქონდა. და მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხი გაეცა, — ფოსფორიო, — ეტყოდა ხოლმე.

უკეთესი ეპითეტის გამონახვა, რომელიც ასე კარგად დაახასიათებდა ამ სიბნელის ასულს, ქალს, რომელიც ღამეს ქუჩაში ატარებდა ხოლმე... ძნელი იყო.

მისი სახელი ისევე იყო ქუჩაში ცნობილი, როგორც მისი სილამაზე.

ფოსფორიანი ჯევრიე.

ის ყველაზე უფრო მიმზიდველი გოგო იყო სტამბოლის ქოხმახებით დაფენილ ქუჩებში, ხანძრით გადამწვარ უბნებში, სასაფლაოებზე, გალავნის, თექფურის სასახლის ნანგრევებისა და ბოსტნების უბანში.

მაწანწალები მას ერთი-მეორეს ეცილებოდნენ და ჯევრიესთან ყოფნა ყველაზე უფრო სატრაბახოდ ითვლებოდა მათ შორის...

— წუხელ მეჯიდიექიოიში[1] დილამდე ვაცეკვეთ ფოსფორიანი!

ცეკვის დროს ჯევრიე მართლაც რომ ფოსფორივით ენთებოდა.

განა შეიძლებოდა, კაცს ჯევრიეს ცეკვა ენახა და არ გადარეულიყო?..

რამდენ კაცს წაუწევია ერთმანეთზე ქუჩის ამ ფოსფორიანი ვარსკვლავის გულისათვის.

რამდენი ყმაწვილი კაცის სიკვდილის ან ციხეში მოხვედრის მიზეზი ყოფილა ჯევრიე...

ეს მხოლოდ ალაჰმა უწყოდა.

ფოსფორიანმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა.

---

[1] უბანია სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

პოლიციელი, რომელმაც ამ ღამით მისი თმების ციმციმი შეამჩნია და პირდაპირ მისკენ წამოვიდა, ერთი გამხდარი და წოწოლა კაცი იყო.

მან ფარანი პირდაპირ ჯევრიეს მიანათა და სახე რომ დაუნახა, შესძახა:

— ვაი, შენა ხარ, ფოსფორიანო?

ის ხომ მთელს სტამბოლში იყო ცნობილი. სტამბოლის პოლიცია მას ძალიან კარგად იცნობდა.

— მე ვარ, აბი[1] კომისარო, — უპასუხა ჯევრიემ და თავშესაფრიდან გამოვიდა.

მას მთელი ტანი უთრთოდა.

ანკი, როგორ არ აიტანდა კანკალი... მას ხომ მოკლესახელოებიანი აბრეშუმის კოფთა და თხელი შალისაგან შეკერილი, ძველი, ზოლებიანი ქვედა კაბა ეცვა.

ღამის სიგრილეს შეჩვეულ ჯევრიეს ალბათ იმიტომ აკანკალებდა, რომ ერთი წელი ციხეში გაატარა და სიცივეს გადაეჩვია.

*
* *

— ვაი, შენა ხარ, ჩემო ფოსფორიანო, — ქვითინით შესძახა ქოსაითენმა, როცა სინათლეზე თვალი მოჰკრა ჯევრიეს. და ისეთი გახარებული გადაეხვია, თითქოს საკუთარი და დაენახოს.

ეს ცრემლები სიხარულის ცრემლებს არა გავდა.

ჯევრიემ იგრძნო, რომ მკლავები, რომლებიც მის კისერს შემოეჭდო, მთლად დაწვრილებულიყვნენ, ხოლო მის მკერდს მიკრული სხეული ძვალი და ტყავიღა იყო.

— გაჩუმდი, გოგო, ნუ ტირი... პატარა გოგოსი არ იყოს, იქნებ გრცხვენია რომ აქ მოხვდი და ის გატირებს.

ქოს-აითენმა კი ალბათ თვითონაც არ იცოდა რა ატირებდა...

---

[1] აბი—შემოკლებული აღაბეი—უფროსი ძმა.

ქუჩა ბნელი და ნესტიანი იყო, ციოდა... ის გრძნობდა, რომ ძალიან სუსტია, უღონო და დღითიდღე აკლდება ძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი თავის სიცოცხლეში პირველად არის გულნატკენი, რომ პოლიცია ამ სიბნელეში, ცივ და ნესტიან ამინდში დაედევნა დასაჭერად. იმ წუთს მას ყველაზე მეტად სურდა სადმე თბილ კუთხეში მოკალათება.

— აბა, თავს ნუ იკატუნებთ, — ცივად წარმოთქვა პოლიციელმა და ყარაულს მიუბრუნდა:

— შენ ამასთან იყავ, მე მეორეს მოვძებნი.

აითენმა მშვენივრად იცოდა, საით გაძვრა ის. ძალა არ ეყო, თორემ თვითონაც იმ გზით უნდა გაპარულიყო. ფეხსაცმელი ძალიან სრული ჰქონდა, მუხლებში კი ძალა გამოელია. ეხლა ის უკვე ჯევრიეს კისერზე ბღარ იყო ჩამოკიდებული, მის გვერდით იდგა, მაგრამ მაინც მასზე იყო მიწოლილი, რადგან ასე ეგონა, მიწაზე დავეცემიო.

ფოსფორიანმა ჯევრიემ სწორედ მაშინ იგრძნო როგორ იწოდა სიცხისაგან მასზე მინდობილი სხეული.

ამ სხეულის სითბო ძალიან სიამოვნებდა ჯევრიეს და ამიტომაც ეკვროდა...

პოლიციელი ტყუილ-უბრალოდღა ეძებდა მელაჰათს. — ხომ არ გაფრინდაო, გაიძახოდა ის და თავისას არ იშლიდა.

ლოგიკურად, მართალია, მელაჰათი არსად გაფრინდებოდა, მაგრამ სინამდვილეში კი ის გამქრალი იყო.

ვინ იცის სად შეეფარა ის თავისი ვეება ტანით.

*

* *

ეს ბეიოღლუს[1] საპოლიციო უბანი იყო... ოთხსართულიან შენობაში მოთავსებული ეს სახლი ქუჩის პირას იდგა. იგი უპატრონოდ მიტოვებულ ქონებას წარმოადგენდა და თავის დროზე მდიდარი ბერძნის სახლი უნდა ყოფილიყო.

საპოლიციო უბნის შენობაში კარები და კიბის მოაჯირები სულ კაკლის ხისა იყო...

---

[1] ბეიოღლუ—უბანია სტამბოლის ევროპულ ნაწილში.

სახლში რომ შესულიყავი, ჯერ ქვით დაფენილი პატარა ეზო უნდა გაგევლო, შემდეგ კი დერეფანი, რომლის კედლებიც ფერადკრამიტით შპალერით იყო დაფარული.

ზევით მიმავალი კიბის თავში აღმართული იყო მქრქალმინიანი შუშაბანდი, რომელსაც კაკლის ხის კარები ჰქონდა. შუშაბანდის მოპირდაპირე კედელთან, შუა ადგილას, მოჩუქურთმებული, კაკლის ჩარჩოში ჩასმული დიდი სარკე იდგა. სარკე იატაკამდე წვდებოდა. მის ორივე მხარეს ოდესღაც, როგორცა ჩანს, ტანსაცმლის დასაკიდებლები უნდა მდგარიყო, რადგან იმ ადგილებში შპალერს უფრო მუქი ფერი ჰქონდა.

როცა ჯევრიე პირველად მოიყვანეს ამ საპოლიციო უბანში, მან გახარებულმა შესძახა — ა! პოლიციას სარკე აქვსო, — ტაში შემოჰკრა და სარკისაკენ გაიქცა.

ეს იყო ერთადერთი სარკე, სადაც ჯევრიემ მთლიანად, თავიდან ბოლომდე, დაინახა თავისი თავი. თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე საკუთარი ანარეკლის პირველად დანახვა იმ საღამოს ისე ესიამოვნა, რომ უმალ გადაავიწყდა პატიმრობით გამოწვეული წუხილი.

დიახ, პოლიციაში სარკე იყო.

ამ სარკეს ყურადღებას არავინ აქცევდა. დილაობით დასალაგებლად მოსული მოხუცი ქალიც არ წმენდდა მტვერს, ამიტომ სარკე ჭუჭყიანი იყო და ცუდად აჩვენებდა.

ამ სარკეში არასდროს არავინ იცქირებოდა.

ყველა აქ მომსვლელი თავისი საქმის გამო იყო აღელვებული და განერვიულებული და სარკეში ჩახედვა აზრად არავის მოსდიოდა...

ამ სარკეში მხოლოდ ქუჩის ქალები უცქერდნენ თავის თავს... ზოგჯერ, როცა პოლიცია სპეციალურად ქუჩის ქალების დასაჭერად ჩამოივლიდა ხოლმე, აქ ბევრი ქალი იყრიდა თავს. შიდა ოთახი ქალებით ივსებოდა. კიბის ქვეშ მოწყობილ პატარა კუნჭულში იმ ღამეს დაჭერილი ჯიბგირი, კოხტრაბანდისტი ან კაცისმკვლელი თუ იჯდა, რასაკვირველია, იქ გოგოების შეყვანა აღარ შეიძლებოდა და ერთი ნაწილი ამიტომ დერეფანში რჩებოდა ხოლმე. ისინიც სწორედ ამ დროს იცქირებოდნენ სარკეში, თვალებსა და პირი-სახეს ილამაზებდნენ, თმებს ივარცხნიდნენ, წინდებს და ტანსაცმელს ისწორებდნენ ან ტალახიან ფეხსაცმელს ასველებდნენ ნერწყვით და ცხვირსახოცებით აპრიალებდნენ.

როცა ჯევრიემ თავისი თავი პირველად დაინახა სარკეში, ვარდის-

ფერი კაბა ეცვა... ეს კაბა მას ყომარბაზმა ვასიფმა დაჭერამდე ერთი კვირით ადრე უყიდა. კაბა მართლაც კოხტა იყო. მკერდზე, მოცხენა-მხარეს გული ჰქონდა ამოქარგული ბრჭყვიალებით.

იმ ღამეს მოყვანილ გოგოებს შორის ყველაზე თვალში საცემი, ყველაზე უფრო მორთული და ლამაზი ჯევრიე იყო.

ახლა კარებში შესულმა, სარკეში დაინახა, რომ კაბა რაღაც უშნოდ ედგა ტანზე და სარკეს თვალი აარიდა. მასთან შედარებით ქოს-აითენიც კი გამოპრანჭული იყო.

აითენის იისფერი კაბა მართალია ძალიან დაჭმუჭნილი იყო, მაგრამ აბრეშუმისა იყო მაინც.

*

* *

ისინი უკანა ოთახში გაიყვანეს. აქ სამი მაგიდა იდგა. ორი მაგიდა ცარიელი იყო. მესამე მაგიდას კომისრის მოადგილე უჯდა, თავშიშველი, სქელ ტუჩებიანი და თვალებდაჭყეტილი კაცი.

მის წინ ფეხზე იდგა ფერმკრთალი, სუფთად ჩაცმული ახალგაზრდა. ცოტა მოშორებით, ხის სკამზე, იჯდა ერთი ხნიერი ქალი, რომელსაც ცალი წარბიდან სისხლი სდიოდა და გაწეწილი თეთრი თმა მხრებზე ჰქონდა ჩამოყრილი.

ქალს მუხლები ერთმანეთისთვის მიედო, თითებგადაჭდობილი ხელები ზედ შემოეწყო და თავდახრილი რაღაცას დასცქეროდა.

მოშორებით ფეხშიშველი, შარვალ-ხალათ დაფლეთილი გლეხის ბიჭი იდგა და ტიროდა.

კომისრის მოადგილეს შემოსულებისათვის არც კი შეუხედავს, მან მხოლოდ ბიჭს შეუტია:

— ნუ ღმუი, გეყო!

ამის თქმა და ბიჭის გაჩუმება ერთი იყო. ცრემლებიც უცბად გაქრა. მან ჭუჭყიანი ხელით შეიმშრალა თვალები და ტირილი შეწყვიტა. მოადგილე ისევ მის წინ მდგომ ფერმკრთალ ახალგაზრდას მიუბრუნდა:

— ეს ქალი ხომ შენი დედაა! — უთხრა მან და რაღაცეების ლაპარაკი დაუწყო.

ჯევრიეს არ გაუხედ-გამოუხედავს, გვერდზე მდგომ ხის გრძელ აკამზე ჩამოჯდა. აითენი მის გვერდით მოკალათდა და მაშინვე მხარზე მიაყრდნო თავი... ორი წუთის შემდეგ მას უკვე ეძინა. მაგრამ წარამარა კრთოდა, იჭყიტებოდა, ოთახს ათვალიერებდა და მალე ისევ ხუჭავდა ძილმორეულ უაზრო თვალებს.

*

* *

საპოლიციო უბანში ცხელოდა. მაგრამ ჯევრიე მაინც ვერაფრით ვერ გამთბარიყო. ასეთი გაუთავებელი კანკალის მიზეზი მარტო სიცივე არ იყო, რომელსაც ძვალსა და რბილში გაეტანებინა მისთვის. ამ კანკალის მიზეზი, რომელიც ულმობლად უვლიდა მთელ ტანში, ალბათ ცოტა შიშიც უნდა ყოფილიყო. ეჭვგარეშე იყო, რომ ამ საღამოს ის ისევე აეტანა შიშს, როგორც მაშინ, როცა პირველად მოიყვანეს პოლიციაში.

იმ ღამეს იმიტომ ეშინოდა, რომ არ იცოდა რას უზამდნენ, დღეს კი იმიტომ ეშინოდა, რომ იცოდა, რაც ელოდა, რა შეიძლება მომხდარიყო მის თავს.

ეს შიში რომ არა, ამაღამ, პოლიციის ამ ცხელ ოთახში იოტისოდენა სასოწარკვეთილებასაც არ იგრძნობდა.

მისი ძვლებისათვის ასეთი სითბო საჭიროც იყო. გარდა ამისა, აქ მეგობრებსა და ნაცნობებს ნახავდა... ისე ენატრებოდა ყველა, როგორც ნათესავს, მახლობელს ინატრებს ხოლმე კაცი. აითენის გახურებული თავი ზურგს უთბობდა.

„ძალიან გამხდარა, — ნაღვლიანად გაიფიქრა ჯევრიემ, — დაუშნოებულა კიდეც, მალე ფეხებს გაფშეკს, ალბათ!“

ამ დროს კარებში შემოვიდა მთვრალი ქალი, ვერცხლისფერი ბეწვის მანტო ეცვა, შავი თმები მხრებზე ჰქონდა ჩამოყრილი.

„დარტყმული-მარიკა!“ — კინაღამ შესძახა ჯევრიემ, წამოხტა და მისკენ აპირებდა გაქცევას, მაგრამ რადგანაც აითენმა დაასწრო, აღარ დაძრულა და მოადგილეს რომ არ დაენახა, მარიკას ანიშნა — ჩემთან მოდიო.

მარიკამ ამღვრეული თვალებით გამოიხედა მისკენ. მას ჯევრიე არ დაუნახავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ფეხზე ძლივს იდგა. ქარისაგან დარწეულ ნორჩ ხესავით ხან მარჯვნივ გადაიზნიქებოდა, ხან მარცხნივ.

„ამ საღამოსაც კარგა მაგრად გამოლეშილა,“ — გაიფიქრა ჯევრიემ და ისევ სცადა ენიშნებინა.

მარიკა კარებთან გაჩერდა და ჩარჩოს მიეყრდნო...

მოადგილემ თავი ასწია და გაბრაზებული მიაცქერდა ქალს:

— ისევ? ისევ ამ ყოფაში ხარ, მარიკავ?

მარიკამ ავტომატურად გასცა პასუხი:

— დიახ, ჩემო ფაშავ!

— არც სირცხვილი გაქვს, არც რიდი!

— დიახ, ჩემო ფაშავ!

ნეტავ თუ ესმოდა, რას ეკითხებოდნენ... ნეტავ თუ ისმენდა...

— ქალო, მე რას გეკითხები, შენ რაებსა მპასუხობ? — უთხრა მოადგილემ. ამაზე მარიკამ თვალები გაახილა, თითქოს გაეღვიძაო და მიიხედ-მოიხედა.

— ჩემი სახელი — მარიკა, მამაჩემისა — იორგო... დედაჩემისა ერიფლი, დაბადებული ვარ 925-ში, სტამბოლელი, გაუთხოვარი, შვილები არა მყავს, სახლი არა მაქვს, ქმარი არა მყავს, არავინ არა მყავს.

— გაჩუმდი და იქეთ დაჯექ, — უთხრა მას ერთმა პოლიციელმა, ხელი მოჰკიდა, ხის სკამისაკენ წაიყვანა და თან დააყოლა: — აყალ-მაყალს ნუ ტეხ.

— მარიკა, მარიკა, — ეძახდა ჯევრიე, — მოდი აქ...

მარიკამ ჯევრიეს შეხედა, სკამზე დაჯდა და თავი კედელს მიაყრდნო. ნახევრად თვალღიას უკვე თვლემდა.

*

* *

ჯევრიეს აღარ უცდია მასთან ლაპარაკი.

მოადგილე პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა...

ჯევრიე პაპიროსის ბოლის გადაყლაპვას ცდილობდა. ეჰ... ერთი მაინც მოაწევინა... ნაცნობი რომ მოსულიყო, სთხოვდა...

ნელ-ნელა გვერდზე გაიწია და აითენის პატარა და გამხდარი სხეული მსუბუქად დაუშვა სკამზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარჯვენა მხარი დაბუჟებოდა... ცოტა შეარხია.

მხარი აითენის ოფლისაგან დასველებოდა და კიდეც გათბობოდა. მოადგილის წინ მდგომი ახალგაზრდა ძალიან ნერვიული ჩანდა. წელან პაპიროსის მოკიდება მოინდომა, მაგრამ მოადგილემ არ დაანება, წაართვა და ღუმელისაკენ მოისროლა ძირს დაფენილ სანაცრე თუნუქზე.

ჯევრიე წამოდგა და პაპიროსის ასაღებად გაემართა.

— ადგილზე დაეტიე, — შესძახა ამ დროს ახალგაზრდა პოლიციელმა, რომელმაც წელან მარიკა სკამისაკენ გაათრია.

— შენ რა, მოძრაობის მომწესრიგებელი ხარ, ძმობილო? უნომროდ ხომ არ დავდივარ. თუ რამე დავაშავე, დაგვაჯარიმე. — უპასუხა ჯევრიემ, დაიხარა, პაპიროსს ხელი სტაცა, ადგილზე მიბრუნდა და ისევ პოლიციელს მიმართა:

— ერთი შენი ცეცხლი მოგვიკიდე!

— შენ ისევ ძველი ფოსფორიანი ხარ, არა?

— დიახ, ენა ძველ ადგილზე მაქვს.

— სად იყავი, გოგო, ამდენი ხანი?

— შავ ბირჟაზე. — ისევ გამოსცრა ჯევრიემ.

პოლიციელს გაეცინა და პაპიროსი გაუწოდა.

— გადააგდე ეგ ნამწვავი, ჯევრიე, — უთხრა მან, — შენ ჩვენი ძველი საპატიო კლიენტი ხარ, ერთ ცალს მოგცემ.

ჯევრიემ პაპიროსი გამოართვა... ნამწვავი კი ყურში გაირჭო.

კმაყოფილებისაგან გაღიმებულმა ჯევრიემ კბილები გამოაჩინა და პოლიციელს მიაცქერდა, რომელმაც თავისი ანთებული პაპიროსი ჯევრიესაკენ გაიწოდა და მოაკიდებინა.

ჯევრიემ ღრმად მოსწია პაპიროსი და ფილტვები ნიკოტინის ბოლით გაივსო... მსუბუქი თავბრუ იგრძნო. თითქოს თვალთაც დაუბნელდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მაგარი სასმელი დაელიოს... თვალები დახუჭა და ამ სიამოვნებისათვის რომ გემო ჩაეტანებინა, სკამზე ჩამოჯდა. ეხლა ის ხამუშ-ხამუშ აბოლებდა პაპიროსს, რომ მალე არ გათავებოდა. ის იჯდა ზურგით კედელზე მიყრდნობილი, ფეხები ქვეშ ამოეკრიფა და თვალები მიელულა.

ჯევრიე აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. უნდოდა მხოლოდ სიგარეტის გემოთი დამტკბარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯდა სკამზე და ისვენებდა. გამთბარმა ძველებმა თითქოს მოდუნება იწყეს.

„თუ ამათ თავში არ წამოუარა და შუაღამისას სამმართველოში არ გაგვგზავნეს“... — ფიქრობდა ჯევრიე. კარგი იქნება, ღამეს აქ გაატარებს. აქ, ამ სითბოში, მშვიდად გამოიძინებს. ახლა მისთვის დასვენება აუცილებელია.

„წელიწადი ციხეში ჯდომამ, „ დედიკოს შვილებად გვაქცია,“—ფიქრობდა ჯევრიე.

უნდა იჯდე და ისიც „წითელი ნახევარმთვარის“ სასარგებლოდ. ამ ჰეროინიუმის საქმეში მას ოდნავი დანაშაულიც კი არ მიუძღოდა. ის ჩოფურა ველი რომ არის.... როგორ შეაჩეჩა პაკეტები და გაიქცა... სანამ ფოსფორიანი მიხვდებოდა, რა მოხდა, მის წინ ფარაონები გაჩნდნენ.

— მოიტა ეგ პაკეტები.

— რომელი პაკეტები?

— ხელში რომ გაქვს.

— ესენი ჩემი რომ არ არის.

— მაშ ვისია?

— მომცეს, ერთმა მომცა და გაიქცა.

— ვინ მოგცა?

ადამიანს, ბოლოსა და ბოლოს, ღირსება აქვს, ადამიანობა აქვს, ნამუსი აქვს.

ყველა თუ გასცა, პოლიციას, მოადგილეებს და ქუჩის კუთხეში მდგომ ყარაულებს ჩააბარა, ქუჩებში მეძებრებს ენა მიუტანა, ეს სტამბოლის ქუჩები ადამიანისათვის ციხედ იქცევა.

— არ ვიცი.

ჯევრიე ბოლომდე ასე პასუხობდა... „ვაუკაცობას სხვანაირად არ შეეფერებაო,“ — ფიქრობდა იგი.

*

* *

ბოლოს ერთი წელი მიუსაჯეს, როგორც თვითონ ამბობდა, „წითელი ნახევარმთვარის“ სასარგებლოდ.

ერთი წელი ციხეში ჯდომა ადვილი არ იყო... გარდა ამისა, ორი წელიც ბოლუში[1] უნდა ეცხოვრა, ორი წელი ბოლუში!..

ადვილი იყო სათქმელად...

მაგრამ არც ეს იყო ყველაზე უარესი...

უსტამბულოდ ცხოვრება ძნელია... ციხეში ჯდომა ძნელია... ბოლუში, ამ უცხო მხარეში ცხოვრება ძნელია... ძალიან ძნელია.

მაგრამ ყველაზე ძნელი ეს როდი იყო.

მისთვის ყველაზე საძნელო სტამბოლიდან წასვლა კი არა, იმ კაცთან განშორება იყო.

ეხლა ამაზე რომ ფიქრობდა, გული გამალებით უძგერდა.

წელიწადი და ოცი დღეა მისგან ამბავი არ მიუღია.

არ იცოდა რა სჭირდა, ისევ იქ იყო თუ არა და დაღამებას ელოდა, რომ მისი ძებნა დაეწყო....

მან ასე დაუბარა...

პოლიციას რომ არ დაეკავებინა...

შეძლებდა მის პოვნას?

ეს შიში უკვე ერთი წელიწადია აწვალებდა მას.

ბოლოს და ბოლოს თანდათან გათბა. პაპიროსმაც ხასიათზე მოიყვანა. ფული რომ ჰქონოდა, წელან, როცა კაფეჯიმ[2] მოადგილესა და პოლიციელს ჩაი მიუტანა, ერთს თავისთვისაც შეუკვეთავდა.

მაგრამ... ჯიბეში ერთი მეთელიქიც[3] არ ედო. თუმცა რა, ამ ბნელში რომ დაძრწოდა, ამის მიზეზი მაყუთის უქონლობა არ იყო განა? ეს ხომ სტამბოლია... უფულოდ ნაბიჯს ვერ გადადგამ... დალოცვილი ქვეყანაა.

პოლიციელი ჩაის სვამდა და ცხელი ჩაისაგან მოჭუტული თვალებით ჯიქურ შესცქეროდა ჯევრიეს. რამდენჯერაც პოლიციელი ჩაის მოსვამდა, ჯევრიეც იმდენჯერ, თავისდაუნებურად, ენით ტუჩებს მოილოკავდა და ნერწყვს გადაყლაპავდა. ის ხარბ კატას გავდა, რომელიც სუფრასთან მსხდომთ შესცქერის და ნერწყვებსა ყლაპავს.

---

[1] ბ ო ლ უ—ქალაქია თურქეთში.

[2] კ ა ფ ე ჯ ი—ყავახანის პატრონი.

[3] მ ე თ ე ლ ი ქ—წვრილი ფულია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა ასეთ მდგომარეობაში ჯევრიეს, აითენისა და დარტყმულ მარიკას გარდა არავინ იყო.

მარიკა კუთხეში თვლემდა თავჩაკიდებული. მძინარი აითენი კი წარა-მარა წამოხტებოდა ხოლმე და რაღაც გაუგებარს ბოდავდა.

„ამ საღამოს იქნებ არ გაგვგზავნონ სამმართველოში, — ფიქრობდა ჯევრიე. — რადგან კუდზე ფეხი დაგვაჭირეს, ღამე მაინც გაგვატარებინონ აქა. ძლივს გავთბით, ამ სიცივეში იუქსექ კალდირიმ-ლარზე[1] ფეხით ბოტვა და ხიდის გადავლა... იქაურობა ტილებითაა გატენილი... თან ალბათ ცივა კიდეც...“

ტანში ჟრუანტელმა დაუარა...

„მოდი ერთი ცოტა მეც წავუძინო სხვებივით“, იფიქრა ჯევრიემ მაგრამ მიხვდა, სანამ პოლიციელი ჩაის სმას არ მორჩებოდა, ის თვალს ვერ მოხუჭავდა... და ისევ პოლიციელს მიაცქერდა... მაგრამ, ვაითუ კიდევ დალიოს ჩაი!

ჭიქაში ჩაი ორი თითის სიმაღლეზე იყო დარჩენილი... ჯევრიემ ვეღარ მოითმინა:

— ძმობილო, — დაუძახა მან, — მაგ დარჩენილ ჩაის ვერ მომცემ?

პოლიციელს ჭიქა ამ დროს პირთან ჰქონდა მიტანილი. შეჩერდა. ჯევრიეს შეხედა, ხელი წინ გაიშვირა, თითქოს ჭიქის გაწოდებას უპირებსო, მაგრამ თავი შეიკავა და ჰკითხა:

— ამ საღამოს ქესატად ხარ?

— წვრილ ფულს არა ვხმარობ ძმაო, ჩეკი მიდევს ჯიბეში...

პოლიციელი ისევ ჯევრიეს მიაცქერდა.

— მოგცემ ერთ ჩეკს, წადი ბანკში და... ცხვირი შეახოცე. — დააყოლა ჯევრიემ და კმაყოფილებით გაიღიმა, თითქოს მარგალიტები დაეფრქვიოს.

— კარგი, ფოსფორიანო, მოვიდეს მეჩაიე და შენთვისაც შევუკვეთავ ერთს.

— ნუ გაირჯებით, ძმაო...

ჯევრიე კიდევ უფრო ხალვათად მოკალათდა თავის ადგილზე და განაგრძო:

— ამ ქვეყანას კეთილი ადამიანებით უდგას სული. დღეს საღამოს

---

[1] უბანია სტამბოლში.

მორიგედ რომ ჯემილი იყოს, არამც თუ ჩაის არ შეაკვეთინებდა ჯეკ ჩელ-
თვის, არამედ ფანჯრებსაც გააღებინებდა, რომ სითბოში არ
ყავით.

მოადგილემ თავი ასწია:

— გაწყვიტე ხმა, — შეჰყვირა მან.

— გავჩუმდი, გავჩუმდი... ნუ ცხარობ, ძია ბატონო!

ჯევრიემ ენას კბილი დააჭირა და ჩაის დაუწყო ლოდინი. ეს საუბარი
იმიტომ გააბა, უნდოდა გაეგო, წაიყვანდნენ თუ არა ამ საღამოს სამ-
მართველოში.

თუმცა აქედან იქ წასვლაც არაფერია. ხვალ რომ ექიმი გაგსინჯავს
არც ისაა რამე, მაგრამ სენი რომ აღმოგაჩნდეს....

გამოხვალ ციხიდან, წახვალ საავადმყოფოში... იქ რამდენიმე თვეს
დარჩები...

უცბად რაღაც გაახსენდა და ტანში კმაყოფილების ჟრუანტელმა
დაუარა. თუ სენი აღმოაჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საავადმყოფოში წა-
ვა... საავადმყოფოში წასვლა კი სტამბოლში დარჩენას ნიშნავდა...
„სტამბოლში თუ დავრჩი, მაშინ კი ვიხელთებ დროსა და ავითესები.“
ღმერთო ჩემო, როდის დააღწევს თავს ამ პოლიციას, როდის ამოისუნთ-
ქავს მშვიდად და ხელების ქნევით თავისუფლად გაივლის სტამბოლის
ქუჩებში. ორი წელიც თუ ბოლუში მოუხდა დარჩენა, განა ჩამოსვლის
პირველსავე დღეს დევნას არ დაუწყებენ?

„ნეტავ ვის რას ვერჩით, ვის რას ვუშავებთ? ეს ღვთის მოცემული
ქუჩები მთავრობას ჩვენთვის გაუკეთებია, მაგრამ...“ — თქვა ჯევრიემ
და ამოიოხრა.

ეჰ, ეს ბოლუ, ლამაზი ადგილია, მაგრამ... ჯოჯოხეთის კუთხეა. განა
ცოტა რამ გადახდა იქიდან სტამბოლში უფულოდ დაბრუნებაზე? იმ
ოხერი შოფრის გულის მოგება ადვილი როდი იყო. „სატვირთო მანქა-
ნაზე კარგა მაგრად გავიყინე, — იხსენებდა ჯევრიე. — გულიც არ მიმი-
დიოდა იმ ბებრუცუნაზე“. შოფერი ხნიერი კაცი იყო. პირში კბილი
აღარ შერჩენოდა და თავზე ბალანი.

„მე შენ გიჩვენებ, ბებერო!“ — მთელი გზა იმეორებდა ჯევრიე
გულში და შეასრულა კიდეც სიტყვა. სტამბოლში ჩამოვიდნენ თუ არა,
მაშინვე გაქრა.

როცა გაახსენდებოდა, „ვინ იცის რა გაოცებული დარჩაო“, —
ეღიმებოდა ჯევრიეს.

ჯევრიეს კაპიკი არ ებადა. მაგრამ ეს უკვე უცხო მხარე კი ყოფ, სტამ-ბოლი იყო. „მის მიწასა და ქვას ვენაცვალე,“ — გულიხფანცქალით ფიქრობდა ჯევრიე.

ტირილი რომ სცოდნოდა, იტირებდა ალბათ...

ჰაერს თითქოს სხვა სურნელი და სიმსუბუქე ჰქონდა...

თითქოს ყველაფერი უცინოდა ადამიანს: ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყოველ კუთხეში ნაცნობი ხვდებოდა და ესალმებოდა. მასაც უნდოდა რომ ყველასათვის გაეღიმა, ყველა მოეკითხა.

ხელისგულივით ნაცნობ ამ უზარმაზარ ქალაქში ჯევრიემ ჩამოსვლისთანავე მეფის სასახლეში მყოფ დიდებულ და ყოვლისშემძლე დედოფლად იგრძნო თავი.

*

* *

მან ცოტა გაიარ-გამოიარა დოღანჯიდარში[1]... მასთან მისულ სამ მამაკაცს სამჯერ გაჰყვა კარაჯააჰმედის სასაფლაოზე და უკან მობრუნდა.

ერთი მათგანი ახლადდემობილიზებული ანატოლიელი ბიჭი იყო, მეორე ასკერი[2]... მესამე კი მაწანწალა.

გაღმა გასასვლელად გემის ფულიც იშოვა და მუცლის გასაძღომიც.... უსქუდარის[3] ნავსადგომში რომ მივიდა და სკამზე ჩამოჯდა ზღვის პირას, საღეჭი იყიდა და ღეჭვას შეუდგა.

ზღვას მუქი ლურჯი ატლასის ფერი ედო. ცა ტყვიისფრად ჩამოქუფრულიყო.

ბუზისოდენა გემი დინებას გვერდზე მიჰქონდა. ზღვიდან წყალმცენარეების, მთელი წლის მანძილზე სანატრელად გამხდარი თევზის, მიდიეს[4] და მარილის სუნი მოდიოდა.

ცივი ამინდი იყო, ჯევრიესაც სცივოდა, მაგრამ მაინც ძალიან უნდოდა ლურჯ წყალში გადამხტარიყო და ცურვით გული ეჯერებინა.

---

[1] დ ო ღ ა ნ ჯ ი დ ა რ—უბანია სტამბოლის აზიურ ნაწილში.

[2] ა ს კ ე რ ი—ჯარისკაცი.

[3] უ ს ქ უ დ ა რ ი—უბანია სტამბოლის აზიურ ნაწილში.

[4] მ ი დ ი ე—საჭმელი ლოკოკინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ჯევრიე გემის სულ უკანა ნაწილში იჯდა, იღეჭებოდა და გულიანად იპურჭყეებოდა ზღვაში.

რა უნდა გაეკეთებინა, არ იცოდა, იმ წუთში არც კი უფიქრია რატომ მიდიოდა სტამბოლს.

„ჩემი საყვარელი ზღვა", — ფიქრობდა ჯევრიე და ღრმად სუნთქავდა, რომ ზღვის სურნელი ეყნოსა.

და აი, ჯევრიე სტამბოლშია.

მაგრამ ის კაცი სტამბოლშიც რომ არ ყოფილიყო, მისი ნახვის იმედიც რომ არა ჰქონოდა, სტამბოლში ჩასვლა და სტამბოლის ნახვა მაინც ღირდა ამდენ გაჭირვებად.

„ერთი წელი ციხე, ორი წელი გადასახლება... რა გაუთავებელი უბედურებაა", — ფიქრობდა იგი.

მართლაც და, ჯევრიეს ციხეზე მეტად ეს გასახლება უფრო ემწარებოდა.

საპყრობილეში ყოფნისას ქალაქში გასვლა კი არა, ერთი ნაბიჯის გადადგმის ნებაც კი არა ჰქონდა.

მაგრამ გადასახლებაში...

ისე თითქოს თავისუფალი ხარ, კაცმა რომ თქვას, მაგრამ რაც გინდა იმას ვერ გააკეთებ.

ეს მართლაც გულსაკლავია... ძალიან მწარე და ძნელად ასატანი.

*
* *

ხიდი[1] რომ დაინახა, სიხარულისაგან დაყვირება მოუნდა. თავი ძლივს შეიკავა. ისე ღელავდა, როგორც მრავალი წლის განშორების შემდეგ მშობლიურ სახლში დაბრუნებული კაცი.

მან ხომ მთელი თავისი ბავშვობა ამ ხიდზე, მის ქვეშ და მის გარშემო გაატარა.

---

[1] იგულისხმება გალათის ხიდი „ოქროს რქაზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი პირველი მოგონება ამ პონტონებთან იყო დაკავშირებული. გაახსენდა როგორ თამაშობდა პონტონებზე. მას მუდამ თან ახლდა ერთი მაღალი ტანის წვრილფეხებიანი მამაკაცი. ვინ იყო ნეტავ, მამამისი ხომ არა?

ამ კაცს მუდამ ხელი ეკიდა მისთვის. ღამე ზღვის პირას ეძინათ, პონტონებზე, ერთ კუთხეში მიკრუნჩხულებს. ცხვირში მუდამ ზღვის მკვეთრი სუნი სცემდათ. ჯევრიე მუდამ ამ კაცის პიჯაკში იყო ხოლმე გახვეული.

ერთი რამე გაახსენდა კიდევ. პონტონებზე პირაღმა წევს მკვდარი კაცი. პირი ღია აქვს. შიგ ბუზები დაფუსფუსებენ. იქ ჯევრიეს გარდა სხვა ბავშვებიც არიან. ის ტირის, სხვები არა.

რატომ? ეს მკვდარი, წვრილ, გამხდარფეხებიანი კაცი ის ხომ არ არის, მუდამ მასთან რომ იყო ხოლმე? ის, რომელიც მუდამ მკერდში იკრავდა მას და აძინებდა, ის კაცი, რომელიც მას მამა ეგონა და არ კი იცოდა ვინ იყო?

რატომ თვითონ ტირის მხოლოდ და სხვა ბავშვები კი არა?

აი, ოქროს რქის ნავსადგური... ერთხელ აქ მძივები იპოვა. ამ მწვანე მძივებს მზეზე სულ ბრჭყვიალი გაჰქონდათ.

ჯევრიემ ეს მძივები ყელზე დაიკიდა და საკუთარი თავის სანახავად ემინენიუში[1] გაქანდა, რომ ვიტრინაში ჩაეხედა. როცა იძინებდა, მძივებს მოიხსნიდა და უბეში ინახავდა.

მწვანე მძივებს ყველა ბავშვი ემტერებოდა... ყველას მისი წართმევა უნდოდა.

ბოლოს და ბოლოს აკი წაართვეს კიდეც.

დაკარგული მძივების გახსენებაზე, ჯევრიე ახლაც ცუდ ხასიათზე დადგა. ხიდზე ფეხი შედგა თუ არა, მაშინვე იქით მოინდომა გაქცევა, ნეჯათი ბეის ქუჩაზე.

მაგრამ მ ა ნ დღისით მოსვლა კატეგორიულად აუკრძალა. ღამე მოდი ხოლმე, ისიც მაშინ, თუ უკან არავინ მოგდევსო... არაერთხელ გაუფრთხილებია მას ჯევრიე. ჯერ სულ ნუ მოხვალო, უთხრა, მაგრამ ჯევრიე არ ასრულებდა ამ მოთხოვნას.

ხომ გინახავთ მაწანწალა ძაღლი, ზოგჯერ ჯიუტად რომ მისდევს

---

[1] ე მ ი ნ ე ნ ი უ—უბანია სტამბოლში.

ზოლმე ადამიანს. სწორედ ასე იქცეოდა. ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, ერთ ნაბიჯზეც არ უნდოდა მოშორება.

ბოლოს, როცა მიხვდა, რომ ჯევრიეს თავს ვერ დააღწევდა, ნება მისცა მის ოთახში შესულიყო და ზოგჯერ ღამეც გაეტარებინა.

ამ მოგონებამ ჯევრიეს მთელ სხეულში ცეცხლივით დაუარა. მის ოთახში გატარებული ბედნიერი ღამეები.. დიახ, მის ცხოვრებაში ულამაზესი ღამეები ეს ღამეები იყო.

ამაზე რომ ფიქრობდა, უეცრად თავბრუ დაეხვა.

— ვაი, — თავისთვის წაილაპარაკა მან. — ეს რაღაა? თითქოს გადაკრულში ვარ...

ყველასთან მასზე ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ვერავისთან ხმას ვერ იღებდა... ამის თაობაზე ი ს ი ც აფრთხილებდა: „ფრთხილად იყავ, არავის უთხრა, რომ მიცნობ! ჩემს შესახებ არავის ელაპარაკოო!“ — „არ ვეტყვი!“ — ეუბნებოდა ჯევრიე და ფიცულობდა... ოღონდ სახლში სიარულის ნება დაერთო. და...

ჯევრიეს კი მაინც უნდოდა რომ ყველასთან „ჩემი ქმარი“ ეწოდებინა მისთვის. თუმცა რა საშინელი სიცრუე იქნებოდა! „ხელზე ხელიც კი არ დაუკარებია,“ — გაიფიქრებდა ხოლმე ჯევრიე და ამოიოხრებდა. ფოსფორიანისათვის კი ამ თავგადასავალში ყველაზე უფრო მიმზიდველი სწორედ ეს იყო. ჯევრიეს არც ახსოვდა, როდის და რამდენი უცხო კაცის ხელში გამოიარა მისმა სხეულმა. კიდევ ერთი ახალი მამაკაცის ხელში ყოფნა მისთვის დიდი არაფერი იყო. მაგრამ დიდებული და უცნაური სწორედ ის იყო, რომ ეს კაცი ჯევრიესაგან არ მოითხოვდა იმას, რასაც სხვა მამაკაცები.

*

* *

„შენს მიწასა და ქვას ვენაცვალე სტამბოლო!“ — ერთი ასჯერ გაიმეორა მან და ხიდი გადაიარა.

გალათის[1] ნავსადგურში მივიდა. იქ შეყოვნდა. „ი ს მეუბნებოდა,

[1] გ ა ლ ა თ ა—უბანია სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით ნუ მოხვალო.“ ნეტავ ეხლაც იქ არის იმ ძველ ციხეში, საწყობებს შორის მომწყვდეულ იმ პატარა ოთახში?

რას აკეთებს იმ ოთახში?

ასე ძალიან რატომ ეშინია პოლიციისა?

ჯევრიემ სიტყვა მისცა. რამდენიც არ უნდა მოსდომებოდა მისი ნახვა, დღისით მაინც არ მოვიდოდა.

ბოლოს და ბოლოს, ეხლა ხომ თვითონაც მალულად არის სტამბოლში?

გადასახლებიდან გამოიქცა და აქ ჩამოვიდა. რომ დაიჭიროონ, პირდაპირ ბოლუში გაგზავნიან.

მაგრამ მ ა ს თუ ნახავს, გაიგებს როგორ არის, მერე უკანაც რომ გაგზავნონ, იმდენს აღარ ინაღვლებს. ეხლა კი „მეძებრებს“ მისთვის თვალი არ უნდა მოეკრათ...

კოსთის სამიკიტნოში უნდა წავიდეს. ნეტავ ბარბა იქ არის თუ არა? ჯევრიე რომ ნახოს, ერთ ჭიქას აუცილებლად შესთავაზებს.

ციხიდან გამოვიდა, ხუმრობა ხომ არ არის. რა კარგი კაცია ბარბა. ათასი მოწმე გინდათ, რომ მისი გიაურობა[1] დაამტკიცოთ. ამ გალათაში მასზე უკეთეს ადამიანს ვერ ნახავ. რასაც შოულობს, ღარიბ-ღატაკს აძლევს. განა ცოტა სიკეთე გაუკეთებია კოსთისაგან დაფარულად?

იმ ხავერდის ქურდობისათვის ჯევრიე კინაღამ ჩავარდა ვალიედინთან ერთად. ბარბა მას მთელი თვე ინახავდა სამიკიტნოში, კოსთიმ არც კი იცოდა.

როცა ყველაფერი გაირკვა და დამნაშავეები ხელთ იგდეს, ბარბამ მაშინ გამოუშვა ჯევრიე.

საქმე იმაშია, რომ ბარბას სამაგიეროდ არაფერი უთხოვია. ლოყაზეც კი არ უპწკენია.

ანგელოზი ადამიანია და ეგ არის.

მერე, განა ისეთი ბებერია. ბოლუდან რომ შოფერს მოყავდა, ის ბევრად უფრო მიღძუებული იყო.

დასწყევლოს ღმერთმა.

ჯევრიე თავის სიცოცხლეში არც ერთ მამაკაცზე ისე არა ყოფილა გულმოსული, როგორც იმ შოფერზე.

---

[1] გ ი ა უ რ ი — არამუსულმანი, ქრისტიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან კიდევ, ასეთი ხალხი ხათაბალაა. სადმე რომ შეგხვდეს, ტანსაცმელ-გწვდება და საცემრად წამოიწევს, სენი ამკიდეო.

ილდიზის თავგადასავლის გახსენებაზე მთელი ტანი აუთრთოლდებოდა ხოლმე. ილდიზს ოქროსფერი თმა და ანგელოზივით სახე ჰქონდა ერთმა ღმერთგამწყრალმა — სენი შენ შემყარეო — და ქვით თავი გაუჭეჭყა მეჯიდიე ქიოიში. ვინც ნახა, თქვეს, პირისახე ისე ჰქონდა მოჭცეული, ვერ იცნობდითო.

*

* *

ჯევრიემ ჩაის ჭიქა დადგა, მოიკეცა და აითენს მუხლებზე მიადო თავი. თვალები ეწებებოდა. მიწოლა და დაძინება ერთი იყო. რამდენ ხანს ეძინა არ იცის. მაგრად ეძინა. ადამიანი ფართო ლოგინშიც კი ვერ დაიძინებდა ასე მაგრად.

უცბად რაღაცაზე თვალები გაახილა. თავდაპირველად ვერც კი მიხვდა, სად იმყოფებოდა და უაზროდ მიიხედ-მოიხედა. შემდეგ ნელ-ნელა გამოერკვა და მიხვდა რომ პოლიციის უბანშია.

ოთახში ისევ ცხელოდა. ჯევრიე გაოფლიანებულიც იყო და ცოტას კიდეც ამცივნებდა.

ნეტავ ვინ გააღვიძა?

ჯევრიემ ფეხებისაკენ გაიხედა. თოფ-მელაჰათი დაინახა. ალბათ, როცა ჯდებოდა, თავისი ვეება ტანით სკამი შეარხია... ის ჯევრიეს ვერ ხედავდა. იქნებ არც კი მოუხედავს მისკენ. გაქანებული ილანძღებოდა, მოადგილეს აჯავრებდა.

— გოგო, გცემ, — ისმოდა მოადგილის ხმა.

— ერთი ამას დამიხედეთ, მცემს თურმე! — ეჯინებოდა თოფ-მელაჰათი მოადგილეს. მოადგილე კი თავს იქნევდა აქეთ-იქით — ამას რას გადავეყარეო.

იმ ხნის განმავლობაში, როცა ჯევრიე იქ იყო, მოადგილე ადგილიდან არ ამდგარა. სახე გაყვითლებოდა, თვალები ჩაცვენოდა. ძალიან დაღლილი იერი ჰქონდა. წვერი ისე სწრაფად ეზრდებოდა, რომ თვალით დაინახავდით. სახე ეხლა უფრო ჩაშავებული ჰქონდა, ვიდრე ამ ორი საათის წინ.

ოთახში ეხლა მეტი ხალხი იყო და ხმაურიც მეტი იდგა. ირგვლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულ ქალები მოჩანდა: ზოგი ქერა, ზოგი შავგვრემანი, ზოგიც წაბლა-ფერთმიანი. ძველმანებში გამოწყობილ ქალებს შორის მოჩანდა ოცი-ოდე წლის ახალგაზრდა ქალიშვილი ვერცხლისფერ მანტოში. ის პატარა ტანისა იყო. ფერუმარილს არ ხმარობდა. მის გვერდით თავშიშველი, ხორცისფერლაბადიანი ახალგაზრდა იჯდა.

— ბატონო, — ისმოდა მისი ხმა, — ეს ქალბატონი ჩემი საცოლეა.

— ახალგაზრდა კაცსა და მის საცოლეს რა საქმე აქვს თამკიშლას[1] გორებზე?

— ჩემი საცოლე არ არის? სადაც მინდა იქ წავალთ.

— არა, ბატონო. საქმე, თქვენ რომ გგონიათ არც ისეა. ეხლა თქვენი საცოლეს მამას გამოვიძახებთ.

ახალგაზრდა ქალი ხმამაღლა ტიროდა.

— ის მე და ჩემს საქმროს კინოში ერთად წასვლის უფლებასაც კი არ გვაძლევს. ეხლა რომ მნახოს, ბატონო კომისარო, მომკლავს.

ახალგაზრდას ქალიშვილის გულუბრყვილობაზე მოსდიოდა გული და გაბრაზებული უცაცხანებდა:

— ვითომ რატომ უნდა მოგკლას? მე და შენ ხომ ჯვარი უნდა დავიწეროთ. ჩემი ნდობა რომ არა ჰქონოდა, არც დავინიშნებოდით.

— კაცი გენდო, ქალიშვილი დაგანიშნინა, — ისმოდა მოადგილის მკაცრი ხმა, — შენ კი, ამის პასუხად, მის ქალიშვილს გორა-გორა დაატარებ? განა ამას ნდობის ბოროტად გამოყენება არ ეწოდება?

ახალგაზრდა ცხარობდა:

— ბატონო მოხელევ, თქვენ უფლება არა გაქვთ შეურაცხყოფა მოგვაყენოთ.

— გეყოთ, ჩვენ საქმე გვაქვს, თქვენ აქეთ დადექით.

— ჩვენ ეხლა უნდა წავიდეთ.

— ეგ ჩვენი საქმეა. ქალიშვილის მამას გამოვიძახებთ.

ახალგაზრდა ქალს უკვე აღარავისი რცხვენოდა, ზლუქუნებდა და თან იხვეწებოდა:

— ნუ იზამთ, ბატონო კომისარო, ნუ იზამთ. მამაჩემს ნუ გამოიძახებთ.

ჯევრიემ დახუჭა თვალები და დაძინებას შეეცადა. მაგრამ ყველა-

---

[1] თ ა მ კ ი შ ლ ა — უბანია სტამბოლში.

ფერი უკვე გათავებული იყო. ქუჩის ქალების ძილი ხანმოკლეა, ამ სამ-
მე ხუთი წუთი წაუძინა, მთელი დაღლილობა გაუვლის. შეჩვევის საქ-
მეა. წამოიწია, დაჯდა და მელაჰათის ზურგს მიეყრდნო.

— გოგო მელაჰათო, მრგვალო... გორგალო!

მელაჰათმა გაბრაზებულმა მოიხედა. მისი ხელში ჩაგდება ადვილი
არ გახლავთ... ეხლა ძალიან გაცოფებული იყო. ჯევრიე დაინახა თუ არა,
გაბრაზებამ გაუარა და მოღუშული სახე სწრაფად გაებადრა:

— ე, ფოსფორიანო! — შესძახა მან.

— გაჩუმდი, ნუ ყვირი.

— არა ვყვირი, ვლაპარაკობ. — იყო პასუხი. — ჩვენს ხახაზეც
კონტროლია დაწესებული, თუ რა? ეს რა ამბავია, კაცს ამოსუნთქვის
საშუალებას არ აძლევენ.

ჯევრიემ თვალი ჩაუკრა და თავი და მხრები შეათამაშა — ყურადღე-
ბას ნუ მიაქცევო.

მელაჰათმა ჯევრიეს მხრებში ჩაავლო მსხვილი მკლავები და შეან-
ჯღრია:

— აქა ხარ ქალო, ფოსფორიანო, ღმერთმანი ეს ქვეყანა ჩემად
მეჩვენება. მე მეგონა, ფეხები გაფშიკე, რამდენი ხანია არა ჩანხარ.

— ციხეში ვიჯექი, — ხმადაბლა უპასუხა ჯევრიემ და კიდევ უფრო
დაუწია ხმას: — გადასახლებული ვიყავი. სტამბოლში ჩუმად ჩამოვედი.
პოლიციელებმა პირველსავე ღამეს ამწიეს.

— მაშ შენ საქმეს წყალი შედგომია.

— მერე როგორ... საღამოს აქეთ შემთხვევას ვეძებ ასათესად.

— ნუ იდარდებ, რამეს მოვიფიქრებ.

მელაჰათი კარგი და მოხერხებული გოგოა. მან ალმაცერად გადახედა
მოადგილეს.

— ბევრს ლაპარაკობ, — უთხრა ამ დროს მოადგილემ. — მე შენ
ცალკე ჩაგკეტავ.

— რა უფლებით? მეც ხომ ამ ქვეყნის შვილი ვარ.

ჯევრიე ანიშნებდა გაჩუმდიო, მაგრამ მელაჰათი, მართალი კაცივით
მაინც განაგრძობდა დავას.

— საროსკიპოების პატრონებისა არ იყოს, გადასახადს ჩვენ არ ვიხ-
დით, არ ვიხდით, მაგრამ ჩვენც წვრილი ვაჭრები ვართ. ჩვენი შემო-

სავლიდან მუნიციპალიტეტს აბა რა უნდა ერგოს. ამიტომ ჩვენ ცუდი ხალხი ვართ. თურმე, მარტო უნდა ჩამკეტოს. რა უფლებით? ვერ გამიგია, რა უფლებით. აქ რა, ქურდობისათვის მოვხვდი, ჯიბგირობისათვის თუ აფერისტობისათვის? ჩემი ნამუსით შემოვედი და ჩემი ნამუსით გავედი. შუბლი ღია მაქვს და სახე წმინდა. ნეტავ ვისთვის რა დამიშავებია, რომ უნდა ჩამკეტოს. სტამბოლის ქუჩები ბატონის მიწა-წყალი ხომ არ არის? ისიც დადის, ესეც დადის, თოფ-მელაჰათიც დადის... ეს არის თავისუფლება? მე ასე მინდა, დღისით მძინავს, ღამე ვსეირნობ... ფეხები მთავრობისათვის არ მიჩუქნია... ღმერთო, რა დღეში ვართ ამათ ხელში? — თქვა და ერთი მაგარი გინებაც დააყოლა.

— მე შენ ეხლა ოქმს შეგიდგენ, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მოხელის შეურაცყოფისათვის სასამართლოში მიგცემ და ციხეში ამოგაყოფინებ თავს.

— საწერ-კალამი შენს ხელთაა, ბატონო მოადგილევ, რაც მოგეწონება იმას დაწერ. მაგრამ მეც თუ ავიღე ხელში კალამი... საჩივარს საჩივარზე მივაყოლებ ტალღასავით.

იქ მყოფმა ერთმა ქალმა ხუმრობაზე გადასვლა სცადა:

— შენ რომელი წერა-კითხვის მცოდნე მყევხარ, ხელის მოწერაც კი ვერ მოგიხერხებია.

— ვერ მომიხერხებია? ესეც შენ... გუშინ კადიოქიოს ნავსადგომის საპირფარეშოში დიდი ასოებით დავწერე ჩემი გვარი... ხვალ სასაუზმოდ რომ მიხვალ, ნახავ და წაიკითხავ...

ოთახში სიცილ-ხარხარი ატყდა. მოადგილემ თვალების ბრიალით შეხედა პოლიციელს.

— გაჩუმდით! — შეუტია პოლიციელმა.

— საყვირის დაყვირება აკრძალულია, — იხუმრა ვიღაცამ. — ქალაქის მმართველობამ აკრძალა.

ჯევრიესაც უნდოდა მონაწილეობის მიღება ამ აურზაურში, მაგრამ ძლივს იკავებდა თავს. საპოლიციო უბნებში მოთავე ყოველთვის ის იყო ხოლმე... ის ხმაურობდა, მოადგილეს, კომისარსა და პოლიციელს ის აგულისებდა და თვითონვე ამშვიდებდა ხოლმე.

მელაჰათივით უხეში ლაპარაკიც იცოდა და კატასავით ლამუნიც. თავის ამხანაგებს აცინებდა და ართობდა.

ეხლა კი უსიტყვოდ ჯდომა ერჩია.

ჯობდა არავის შეემჩნია, არავის გახსენებოდა მისი არსებობა.

მან იცოდა, რომ ამ კარებში შემოსვლის შემდეგ მალე [illegible] შვებდნენ. საქმე რომ გარკვეულიყო, ისევ ბოლოში, ან კიდევ უფრო შორეულ ადგილას გაგზავნიდნენ.

მაგრამ ჯევრიე მ ა ს ზ ე ფიქრობდა. მ ი ს ი ნახვა უნდოდა. ერთი წელიწადი ციხეში იმ დღეზე ფიქრობდა, როცა მას ნახავდა. ბოლოდან აქ ჩამოსვლამდე გული სულ ამ იმედით ჰქონდა სავსე.

აქამდე მოსვლა შეძლო და ნუთუ ეხლა მ ი ს უნახავად უნდა წავიდეს? სულ თავის ბრალია, სულ თავისი.

ნეტავ რა საჭირო იყო რომ დასეირნობდა?

სანამ სიბნელე ჩამოწვებოდა, სადმე უნდა შემძვრალიყო, უნდა დამალულიყო. ქუჩებში ხეტიალი არ იყო საჭირო.

მაგრამ ეს ვერ გააკეთა, პირიქით, სტამბოლში ერთი ადგილი არ დაუტოვებია უნახავი.

ჯერ ბეიოღლუში ავიდა. თარლაბაშის ქუჩა გაიარა, თაქსიმის მოედანზე გავიდა. ძეგლის[1] წინ გაიარ-გამოიარა, შემდეგ ინენიუს ბულვარზე ხის სკამზე ჩამოჯდა, გიუმუშსუიუდან დაბლა დაეშვა დოლმაბაჰჩეში, ახლად გაჭრილი გზით ჰარბიესთან გავიდა, თაშკიშლაში ცოტა დაისვენა და ისევ ინენიუს ბულვარზე მობრუნდა და თეფეუსთუდან ქვევით დაუყვა იენიშეჰირისაკენ. მაგრამ მერე ისევ უკან დაბრუნდა. ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. თვითონაც იცოდა, მაგრამ... ვერ მოითმინა... მთელი წელი ხომ ციხეში იჯდა. ერთი წელიწადი მის ფეხებს ქვაფენილებზე უმიზნოდ და უდარდელად ხეტიალის სურვილი ღრღნიდა. ის კი იჯდა რკინის კარებს უკან, რკინის ცხაურს ამოფარებული.

ყველაზე მეტად ჯევრიეს ისა სწყინდა, რომ უდანაშაულოდ ჩასვეს, იმ უჯიშოს კი, რომელმაც ჰეროინიუმის პაკეტები ხელში შეაჩეჩა, ერთი კოლოფი პაპიროსიც არ შემოუგზავნია, რომ თავი არ გაეცა.

„ალაჰი დიდია, — ფიქრობდა ჯევრიე, — ის ჭიანჭველასაც კი არ დაავდებს უყურადღებოდ.“

მართლაც, ის, რასაც ჯევრიე ალაჰისაგან და ცხოვრებისაგან ითხოვდა, იმდენად მცირე და ერთგვაროვანი იყო, რომ არ მიცემა უწყალობა იქნებოდა.

---

[1] იგულისხმება ქემალ ათათურქის ძეგლი, რომელიც თაქსიმის მოედანზე დგას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

მელაჰათს ეხლა ჩხუბი გაეთავებია და დაფიქრებული იცქირებოდა. ოთახში ექვსი გოგო კიდევ შემოიყვანეს. ეხლა უკვე დაახლოებით ოცდახუთი კაცი იქნებოდა. ჯევრიემ თავი ისევ აითენის გამხდარ და ცხელ ფეხებს მიაყრდნო და ისევ დაძინება სცადა.

ამ დროს მელაჰათმა ხელი გაჰკრა:

— ჯევრიე, ადექ, რაღაც უნდა გითხრა.

ჯევრიე ზანტად წამოდგა.

— მოადგილემ გვარების ჩაწერა დაიწყო. ამაღამ აქ არა ვრჩებით. სამმართველოში გვგზავნიან.

ჯევრიეს ნესტიანი ამინდი გაახსენდა და გააჟრჟოლა.

— მერე?

— ეხლა ერთი სიტყვა უნდა გითხრა, ყური მიგდე, — უთხრა მელაჰათმა და ყურში ჩასჩურჩულა:

— მე რომ დამიჭირეს, ჩვენი კოვბოი ნეჯიფი მაშინვე იუქსექკალ-დირიმში გაიქცა. მავროს კაფე ხომ იცი? კარგად მიგდე ყური თავდაღმართს რომ შევუდგებით, ეცადე ჩამორჩე როგორმე... მავროს კუთხესთან რომ მივალთ, იქ კუნაპეტი სიბნელეა, მაშინვე შიგ გაერიე. არ დაგავიწყდეს, მესამე კარია... მარცხნივ... მესამე კარი... ღიაა... იმ კარში გაძვერი... კარი ჩუმად მოიკეტე... თუმცა საკეტი გაზეთილია, ხმას არ გაიღებს. კარებს რომ ჩაკეტავ, მერე კედელ-კედელ იარე მარჯვნივ, იქ ფანჯრებია, ერთი მათგანი ღიაა. გადახტი ფანჯარაში... გესმის, რას გეუბნები?

— მესმის, — წაიჩურჩულა აღელვებულმა ჯევრიემ.

— იმ ფანჯრიდან ჩიფილ მუსტაფას ოთახში მოხვდები, კაფეს უკან რომ არის. კავბოი იქ უნდა დამელოდოს. უამბე რაც მოხდა... უთხარი, რომ მე გამოგაგზავნე... ავად არა ვარ, შემთხვევა არაფერი მაქვს, ხვალ გამომიშვებენ... შენ იქ ნუ დარჩები... იქვე გზაა თექესკენ[1]. თექეს მარცხნივ რომ ეზოა, იქედან თოფჰანეში გადის გზა... იქიდან აითესე... დანარჩენი შენ იცი... კათალავენო[2]?

---

[1] თ ე ქ ე—დერვიშების სავანე.

[2] კათალავენო—გ ა ი გ ე?—(ბერძნ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავიგე, ჩემო მრგვალო.

— იცოდე, თავსა ვწირავ, ეხლა სისულელეების დრო არ არის.

— ნუ გეშინია... მოვახერხებ...

მოადგილე სათითაოდ ეკითხებოდა სახელებს.

— შენ რა გქვია?

— გიულნაზი.

ეს კბილებდამპალი, თმაშეღებილი ქალი საშინელი შესახედი იყო. ყვითელი ჟაკეტი ეცვა. სახეზე ფენა-ფენა ედო ფერ-უმარილი.

მოადგილემ სახეში შეხედა:

— არც „ვარდი“ ხარ და არც „კეკლუცი[1]“ — ჩაილაპარაკა მან. — მამაშენს რა ჰქვია?

— აბდულა.

— დედას?

— ჰავა.

— სად დაიბადე?

— უპატრონო ბავშვების სახლში.

— რამდენი წლისა ხარ?

— თხუთმეტი.

— რა?

— ოცდახუთი იყოს.

ვიღაც გოგომ წამოიწყო:

— აბა ვყიდი. — დაიყვირა მან. — ოცდახუთი, მეტს ვინ მომცემს?

— ორმოცდაათი. — იყვირა ზანგის ქალმა.

ამ დროს ის ქერა წამოვარდა ადგილიდან, მივარდა ზანგის ქალს და ერთი საშინელი სილა გააწნა ლოყაში.

პოლიციელებს და მოადგილეს თავი არ შეუწუხებიათ, რომ ქალების ხმაური შეეწყვიტათ ან მოჩხუბრები გაეშველებინათ... ზანგის ქალი კი მთვრალი იყო და იქვე ჩაიკეცა.

სხვა დროს ჯევრიე ისიამოვნებდა ასეთი რამეებისაგან და მონაწილეობასაც მიიღებდა. ეხლა კი მისი უდიდესი საზრუნავი პოლიციის ხელიდან დაძრომა იყო. სხვა არაფერზე ფიქრობდა, არაფერი უნდოდა.

სანამ ყველაფერი დამთავრდებოდა და გზას გაუდგებოდნენ, ჯევ-

---

[1] გ ი უ ლ—ვარდი, ნაზ—კეკლუცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიეს რაც შეიძლება მეტი უნდა დაესვენა, დაღლილობა დაეძლია. ველთვის როდი ექნებოდა ასეთ თბილ ოთახში ჯდომის საშუალება.

მელაჰათი ადგა და დერეფანში გავიდა. იქ, სარკის წინ, ერთი ახალგაზრდა ქალი იდგა და ლურჯ კაბასა და აჩეჩილ თმებს ისწორებდა. მელაჰათი მისკენ გაემართა.

ეს ქალი ოცი-ოცდახუთი წლისა იქნებოდა. საშუალო სიმაღლისა იყო, წარბშეკრული, ზანგივით შავი, ხუჭუჭი თმა, კოხტა ტანი და ავი გამოხედვა ჰქონდა.

ერთ ლოყაზე სამართებლის სამი ჭრილობა ეტყობოდა, მეორეზე ნამუწუკარი.

მელაჰათი ახლოს მივიდა მასთან.

— იედი-ბელა[1], ყური მიგდე, რაღაც უნდა გითხრა.

— ბრძანე, ჩემო მრგვალო.

იედი-ბელა გიულსერენი სიტყვის პატრონი იყო. მისი ნამდვილი სახელი ელიფი იყო, მაგრამ მერე, როგორცა ჩანს, უბრალოდ მოეჩვენა და გამოიცვალა. იედი-ბელა გიულსერენი ვაჟკაცივით მოხერხებული გოგო გახლდათ. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ამდენ გოგოებში მელაჰათმა სწორედ ის ამოარჩია.

მან ჯევრიეს მდგომარეობა უამბო. შემდეგ ჩუმად რაღაცაზე ილაპარაკეს.

სულ მელაჰათი ლაპარაკობდა. ის კი გაუცინარი სახით თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად. როცა მელაჰათმა ლაპარაკი დაამთავრა, კარგიო, უთხრა იედი-ბელამ.

*

* *

— აბა, მოემზადეთ, — დაიძახა პოლიციელმა.

ჯევრიე ფეხზე ადგა. უკვე კარგად იყო დასვენებული. ამ ბოლუსტამბოლის გზამ ძალიან გააწამა. გული გამალებით უცემდა. შიოდა, ეშინოდა... საპოლიციო უბანში იოლად გადარჩა. სამმართველოში კი შეიძლება ყველაფერი გამოაშკარავებულიყო.

---

[1] ი ე დ ი - ბ ე ლ ა—შვიდი უბედურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოში მისვლამდე... ეჰ, სამმართველოში მისვლამდე რომ დაუძვრებოდეს ხელიდან...

როხროხა აითენის გაღვიძება ძნელი არ იყო. მაგრამ ადგომა არ უნდოდა. თავბრუ ეხვეოდა. ადგომისთანავე ეცემოდა. ვერ ლაპარაკობდა.

— ავად არის, — მიმართა ჯევრიემ მოადგილეს, — ფეხზე ვერ დგება.

მოადგილეს ზედაც არ შეუხედავს. რამდენ ასეთს უყურებდა ყოველდღე.

— მთვრალია, გალეშილი.

— ღმერთმანი, არ არის მთვრალი. ცეცხლი ეკიდება, იწვის.

— დენატურატის ცეცხლი წვავს.

— მოადგილე, ძმობილო...

— ენას კბილი დააჭირე!

მოადგილეს არა სჯეროდა, მაგრამ აითენი ფეხზე მაინც ვერ იდგა. ფეხზე რომ დადგებოდა, როგორც ჩანს, სიცხისაგან გული უღონდებოდა და ისევ ეცემოდა.

პირიდან რომ ასაქმა, მაშინ ხომ საბოლოოდ დაიჯერეს, რომ მთვრალი იყო.

სახანძრო კასრიდან წყალი ამოიღეს და თავზე დაასხეს გამოსაფხიზლებლად.

აითენი ეხლა უკვე გაუნძრევლად იწვა სკამზე. ეს მათ წასვლას აყოვნებდა. გოგოები გარს შემოეხვივნენ. ზოგი სახეს უმშრალებდა, ზოგი თმას, ზოგიც კაბას უწმენდდა.

იედი-ბელა გიულსერენი კბილებს აკრაჭუნებდა, მაგრამ ამისათვის არ ეცალა, უგნურ მოადგილეს რომ შებმოდა, მაშინ სხვა გეგმა ჩაეშლებოდა.

ფოსფორიან ჯევრიესაც უნდოდა, აითენს მიშველებოდა, მაგრამ განზე იდგა. რა ექნა. ეხლა ის არ უნდა გამოჩენილიყო.

— ააყენეთ, მხარში შეუდექით და ისე ატარეთ...

აითენი, მართალია, ფიზიკურად სუსტს არა გავდა, მაგრამ ადგილიდან მაინც ვერ იძროდა.

— პირიდან სისხლი სდის, — დაიყვირა ამ დროს ვიღაცამ.

— წითელი ღვინოაო, — უნდოდა ეთქვა მოადგილეს, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და მღელვარებამ შეიპყრო.

— სისხლი მოსდის? — შესძახა მან, წამოდგა და ქალები გაყარ-გამოყარა. ის პასუხისმგებლობის შიშმა შეიპყრო.

— ჩქარა სასწრაფო დახმარების მანქანა მოიყვანეთ! დარეკეთ! ეხლავე საავადმყოფოში წაიყვანონ, — ყვიროდა ის.

სისხლის დენა არაფრით არ წყდებოდა, ან როგორ უნდა შეეწყვიტათ... გოგოებმა არაფერი იცოდნენ. ერთ ახალგაზრდას სახეზე ხელი აეფარებინა და ყვიროდა.

— კვდება, კვდება. რამდენი სისხლი ჰქონია საწყალს.

— რომ მოკვდებოდეს, მოისვენებდა, — წარმოთქვა მოადგილემ. — ეს სიცოცხლე რა სიცოცხლეა.

აითენმა თვალები გაახილა. ყველა დაათვალიერა. თუმცა არავინ იცის, ხედავდა კი ვინმეს ან იცოდა თუ არა, სად იმყოფებოდა? თუმცა გამოხედვა ძალიან ჭკვიანური და გრძნობიერი ჰქონდა.

ეს იყო აგონიით შეპყრობილი ადამიანის უკანასკნელი გაბრძოლება სიცოცხლისათვის.

ერთი შუახნის ქალი მის გვერდით ჩაჩოქილიყო და თმასა და შუბლზე ხელს უსვამდა.

— შვილო, შვილო, — ამბობდა ის, — ეხლა მანქანა მოვა, საავადმყოფოში ყველაფერი გაგივლის.

ამ ქალს დაღლილ-გატანჯული, შეუხედავი სახე და შავყვითელი თმა ჰქონდა. კისერზე ჭუჭყიანი, ოდესღაც თეთრი, აბრეშუმის ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული. კალთებდასვრილ მოკლე შავბეწვიან მანტოში ნარინჯისფერი სვიტრი და მუქი ვარდისფერი ქვედა კაბა მოუჩანდა.

ფოსფორიანი ჯევრიე, თოფ-მელაჰათი და იედი-ბელა გიულსერენი თავთავისთვის იდგნენ და შორიდან თითქოს გულგრილად შესცქეროდნენ ამ ტრაგედიას.

*

* *

სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა, აითენს სისხლის დენის შესაჩერებლად და გულის გასამაგრებლად ნემსი გაუკეთეს და საკაცეზე დააწვინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არის? — ჰკითხა ვიღაცამ სანიტარს, როცა აითენ-ი გაჰყავდათ.

— კვდება, საავადმყოფომდე ალბათ ვერც მიატანს.

*

* *

ამ შემთხვევის გამო გოგოების გადაყვანამ ერთი საათით დააგვიანა. ყველა შეშინებული იყო. ეს ქალები, რომელნიც უკან არაფერზე იხევ-დნენ, ეხლა ძალიან დაფრთხნენ.

მთვრალები გამოფხიზლდნენ. ფხიზლები მთვრალებივით ილან-ძღებოდნენ. ზოგიც ზლუქუნებდა. ფოსფორიანი არ ტიროდა.

იედი-ბელა გიულსერენი საჩხუბრად იყო გამზადებული...

ქუჩაში რომ გავიდნენ, უკვე ცრიდა. ოდნავ ატალახებულ ქუჩაზე ფეხი სრიალებდა.

ჯევრიე ნელ-ნელა მიაბიჯებდა და უკან-უკან რჩებოდა.

ქალებს ორი პოლიციელი ახლდათ. ერთი წინ იყო, მეორე უკან მისდევდა.

— ოცდათხი თავია! — გამოაცხადეს პოლიციელებმა ტუსაღების რაოდენობა, როცა კარებში გამოდიოდნენ.

— ჩემი გოგრად ჩათვალე! — წაიბურტყუნა ვიღაცამ. ამაზე არავის გასცინებია. აითენის უბედურებით გამოწვეული შიში ყველას თავს დასტრიალებდა.

ყველა შიშმა შეიპყრო.

მათ საკუთარი თვალით იხილეს თავიანთი მომავალი.

ერთ მშვენიერ დღეს ისინიც ასე ოხერ-ტიალი წავიდოდნენ ამ ქვეყ-ნიდან, საპოლიციო უბანში იქნებოდა ეს თუ ქვაფენილზე, სადმე ვერა-ნაზე ამოსულ ველურ ბალახებს შორის თუ ორმოში. დიახ, ჰაერში ში-ში დატრიალდა... შიში სიკვდილის წინაშე, იმ სიკვდილისა, რომელმაც თავისი მახინჯი სახე გამოაჩინა, მათ შორის გაიარა და თან გაიყოლა აითენი.

მიუხედავად ამისა, საპოლიციო უბნიდან გამოსვლისას ყოველი მათგანი ერთი წუთით მაინც შეჩერდა სარკის წინ, თავისი თავი შეათვა-ლიერა და გამოკოხტავდა.

საპოლიციო უბანში სარკე იყო... ასეთ რამეს ყველგან ვერ ნახავ-

დით. ესენი ამ საღამოს აქ ბედმა მოიყვანა. ეს გოგოები თავიანთ სახეებს მხოლოდ სარკის ნამსხვრევებში, ტანს კი ვიტრინებში თუ ხედავდნენ ხოლმე. ეს სარკე კი ასეთ გოგოებს მთელ ნაღველს ავიწყებდა და გულისწყრომას უქარწყლებდა.

აქ ხედავდნენ ისინი თავის თავს, კოპწიაობდნენ და კოხტავდებოდნენ.

აქ ჭვრეტდნენ ისინი თავიანთ სილამაზეს, აქვე ლამაზდებოდა ის, ვინც უშნო იყო.

საპოლიციო უბანში სარკე იყო...

ჯევრიე ყველაზე მეტ ხანს შეყოვნდა სარკის წინ.

მას იმედი ჰქონდა, გაიქცეოდა, ვიდრე პოლიციელისაგან შეურაცხყოფას მოისმენდა. გაიქცევა... ცოტას მოიცდის. ნეჯათიბეის გამზირზე ქარვასლაში შეაფარებს თავს... ლამაზი უნდა იყოს.

ამაზე რომ ფიქრობდა, თბილმა ჟრუანტელმა დაუარა. იგი თავის დიდი ხნის უნახავ სახეს შესცქეროდა.

რა ლამაზი იყო ჯევრიე. მაყვალივით შავი თვალები, შავი ხუჭუჭი თმა, თხელი ცხვირი. სქელი და წითელი ტუჩები. მის თვალებში წვრილწვრილი ვარსკვლავები კრთოდნენ. შავ თმებს პრიალი გაჰქონდა. ბაგეებს შორის თეთრად კიაფობდნენ კბილები.

მართლა ლამაზი იყო ჯევრიე, მისი სახე ფოსფორივით ენთო.

ციხეს არაფერი შეუცვლია. პირიქით, მის სახეს ეხლა უფრო დასვენებული იერი ჰქონდა.

აუცილებლად... ამჯერად ის აუცილებლად მისცემდა თავის თავს უფლებას და ჯევრიეს გადაეხვეოდა.

ჯერაც იქაა ნეტავ?.. თუ იქ არის...

„გოგო, შენა ხარ?“ — სიხარულით ეტყვის იგი და შემდეგ იმავე გამომეტყველებით იკითხავს: — უკან ხომ არავინ მოგდევდაო?

„მე რა, სულელი ვარ... რომ პოლიცია მოგაყენო, ძმაო.“

ჯევრიე მას ძმას უწოდებდა.

მისთვის სხვა სახელი ვერ გამოენახა.

„ჩემი გაცურება არც ისე ადვილია!“ — ამაყად ეტყვის ჯევრიე და განზე გადგება. ღუმელი თუ ანთია, მინდერზე[1] დაჯდება ღუმელის უკან.

---

[1] მ ი ნ დ ე რ ი — თხელი ბალიში ან ლეიბი იატაკზე დასაჯდომად.

სახურავისაკენ გამავალ სარკმელზე მუდამ შავი ფარდა ჰკიდია. ...
ლამფით განათებულ ოთახში რკინის საწოლი დგას. ის ამ საწოლზე ...
მოჯდება და ეტყვის:

— ამდენ ხანს სად იყავი? თავი მომანატრე.

ეჰ, როგორ უნდა ჯევრიეს ამ სიტყვების მოსმენა!

— რამდენი გეძებე, ჯევრიე!..

— ციხეში ვიჯექი, ძმაო.

ამ სიტყვებს ის ამაყად წარმოთქვამს.

— სამი წელი იჯექი?

— არა, გენაცვალე, ერთი წელიწადი... ოცი დღეა გარეთა ვარ.

— ვაი, ვაი, მე კი მგონია, რომ სამი წელია არ მინახიხარ.

ჯევრიესაც ძალიან მოენატრა იგი. ციხეში სულ მასზე ოცნებობდა.

— ძნელი იყო, გოგო, ციხეში ჯდომა?

— აბა მაშ ადვილი, ძმაო?

— მოდი ერთი ჩემთან, შემოგხედო!

ოთახი ისე პატარაა, რომ ადგომაც კი არ არის საჭირო, ცოტა რომ გადაიწიოს, ლოგინთან აღმოჩნდება.

ხელები ისეთი აქვს, თითქოს არასდროს არაფერი გაეკეთებინოს, პრიალა კანი, გრძელი თითები, ფართო მტევნები.

— საცოდავო, ჯევრიე, — ამბობს ის და თმაზე ხელს უსვამს. — საწყალო ფოსფორიანო...

ასე თუ თქვა... ჯევრიე მაშინვე მუხლებზე მიადებს თავს და ზლუქუნით მოჰყვება ტირილს, ისე როგორც წინათ ტიროდა, ბავშვობაში, ხიდის ქვეშ, მკვდარი კაცის ნეშტთან.

— საწყალო ფოსფორიანო, საწყალო ჯევრიე...

ჯევრიე რომ იტირებს, ის თავს ააღებინებს თავისი მუხლებიდან, მკლავებში ხელებს მოჰკიდებს, ნელ- ნელა ფეხზე წამოაყენებს, ცრემლიან თვალებსა და ლოყებს დაუკოცნის, დაამშვიდებს და გულზე მიიკრავს.

შემდეგ კი მის ბაგეებს, ბაგეებს დაუწყებს ძებნას...

— შენი ფასი ეხლა გავიგე. ეხლა მივხვდი, რომ მიყვარხარ, ჯევრიე!.. — იტყვის ის და აკოცებს.

რა გიჟური, რა არაჩვეულებრივი იქნება ეს ალერსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ოცნება ციხის გრძელი ღამეების სიზმარი იყო.

ერთი წელიწადი სულ ამას ფიქრობდა, სულ ამის სურვილსა და თხზვაში იყო.

საპოლიციო უბნის სარკის წინ რომ იდგა და კოხტავდებოდა, ისევ იმ წუთზე ფიქრობდა.

მელაჰათის იმედი ჰქონდა. მან თუ თქვა, გააკეთებს კიდეც. და ჯევრიე თუ ფხიზლად იქნება, აუცილებლად დაუძვრება პოლიციას.

მაშინვე იქ წავა.

თუ უკან არავინ აედევნა და ერთხელ მოხვდა იქ, მერე მის კვალს ვეღარავინ მიაგნებს.

— შენა ხარ, გოგო? — ჰკითხა პოლიციელმა და ზურგში ხელი უბიძგა. — მეჯლისზე არ მივდივართ. მორჩი პრანჭვას.

ჯევრიემ პირი გააღო საპასუხოდ, მაგრამ თავი შეიკავა. ეხლა აურზაურის ატეხვა არ ღირდა. გაქცევა, პირველ რიგში გაქცევა იყო საჭირო.

*

* *

მელაჰათმა ყველაფერი კარგად გაიანგარიშა. ჯევრიე უკან-უკან რჩებოდა, თან ცდილობდა, უკან მომავალი პოლიციელის ყურადღება არ მიექცია. ქალების გროვას, შეძლებისდაგვარად, თავს არიდებდა.

მელაჰათის ნათქვამ კუთხეს რომ მიუახლოვდნენ, ჯევრიეს ისე დაუწყო გულმა ცემა, თითქოს ამოვარდნას აპირებსო.

ნეტავ თუ შეძლებს გაქცევას?

ხომ არ უღალატებს თავის სიტყვას მელაჰათი?

კუთხეს ოდნავ რომ გაცდნენ, იედი-ბელასა და მელაჰათის ხმამაღალი ჩხუბი მოესმა. ჯევრიე ჯერ კუთხესთან არ იყო მისული. გოგოები ძალიან გაშლილნი მიდიოდნენ.

ეს მელაჰათის მოწყობილი საქმე იყო. ჯერ იედი-ბელას მოელაპარაკა და გეგმა დააწყო. იმან კი გოგოებს უამბო. ჯგუფი დიდ სივრცეზე იყო გაშლილი და ორ პოლიციელს გაუჭირდებოდა თვალყურის დევნება.

როცა ჩხუბი ატყდა, ჯევრიე მიხვდა, რომ გეგმის განხორციელება იწყებოდა და გულში შიშნარევი მღელვარება იგრძნო.

ეხლა ფხიზლად ყოფნა და პოლიციის ხელიდან დაძრომა ძალზე ყოლი დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხემდე რამდენიმე ნაბიჯიღა რჩებოდა. უეცრად მელაჰათისა და გიულსერენის ხმები კიდევ უფრო გაძლიერდა. და ორმა გოგომ ერთმანეთს თმებში სტაცეს ხელი. ჩხუბი გაიმართა...

სხვებმა ერთი ვაი-ვიში ატეხეს და მათკენ გაიქცნენ.

წინა და უკანა პოლიციელიც მოჩხუბრებისაკენ გაცვივდნენ.

სანამ ყველა ერთ მხარეს გარბოდა, ჯევრიე აჩრდილივით გაქრა ბნელ კუთხეში.

უკან არავინ მოსდევდა. შესდექიო, არავინ ეძახდა. ჯევრიე სიხარულმა შეიპყრო.

კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი და... იქეთ უკვე თავისუფლება იყო.

ეს ის კარი უნდა იყოს, მელაჰათმა რომ დაარიგა. მიაწვა. გაიღო. ხელი ჰკრა, კარი უხმოდ მოიხურა.

შორიდან ჯერ ისევ ისმოდა მოჩხუბრების ხმა.

ჯევრიე კატასავით უჩუმრად მიიწევდა წინ.

ღია ფანჯარა იპოვა. გადაძვრა.

იქეთ უკვე ბნელი დერეფანი იყო... სადღაც ახლოს ჩაბინძურებული საპირფარეშო უნდა ყოფილიყო. ცუდი სუნი იდგა. სანამ თვალი სიბნელეს შეეჩვეოდა, ის ხელების ფათურით მიიწევდა წინ.

— შენა ხარ, მელაჰათ? — გაისმა მოულოდნელად კაცის ხმა და ვიღაცამ ხელში ხელი მოჰკიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

გოგოს ხელზე დალი აქვს!

— აბა დალიე, ჩემო ფოსფორიანო!

ჯევრიე სვამდა. სვამდა განუწყვეტლივ, აგერ უკვე რამდენიმე საათია.

ეს ხდებოდა დაბალჭერიან სამიკიტნოში, ქალაქგარეთ.

წინათ აქ ნამდვილად ბოსელი იყო. ბოსლებისათვის დამახასიათებელი ნაკელის მომჟავო სუნი ეხლაც იდგა.

სამიკიტნოში ათი მაგიდა დგას. ცხრა მათგანი ცარიელი იყო. იმ ერთს სამი მამაკაცი და ორი ქალი უჯდა.

ხუთივე მთვრალი იყო, თუმცა ხუთივე ისე სვამდა, თითქოს ეს-ეს არის დაიწყეს სმაო.

ამ საღამოს მათ შორის ყველაზე თამამად ჯევრიეს ეჭირა თავი. ჯერ ერთი ჭიქა არა ჰქონდა დაცლილი, რომ მეორისაკენ იშვერდა ხელს.

— დაასხი! — ისმოდა მისი ომახიანი შეძახილი.

— იქნებ პაპიროსი გაგიხვიო, გოგოვ?

— არაყი მოიტა, არაყი!

— პაპიროსი ხასიათზე მოგიყვანს...

არაფ-შევქი ამღვრეული თვალებით შესცქერის ჯევრიეს:

— პაპიროსი თუ მოსწიე, მერე საჭმელს ზედაც აღარ მიჰხედავ!

— მომეშვი, — პასუხობდა ჯევრიე. — ეგ ლომის რძე მომეცი, ჩემო მავრო.

— დალიე, დალიე, ჩემო ფოსფორიანო!

ჯევრიეც სვამდა. სვამდა განუწყვეტლივ.

— იცოცხლე! იცოცხლე!—გაიძახოდა ის, ასწევდა ჭიქას და სვამდა.

მიკიტანი თვლემდა. ხანდახან, როცა ჯევრიე ძალიან გაიწუწუნებდა ხოლმე და ჭიქას კედელზე მიამსხვრევდა, ის თავს აწევდა, შეხედავდა, შემდეგ ისევ ჩაჰკიდებდა თავსა და განაგრძობდა თვლემას.

ამ საღამოს მიკიტანი მშვიდად გრძნობდა თავს, რადგანაც მაგიდას ზომბი-რეჯები ეჯდა.

თუ მაგიდას რეჯები უზის, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ხარჯი სრულად დაიფარება. ის ყველაფერს იკადრებდა — გზაზე დახვდებოდა ადამიანს, სალაროს გატეხდა, კაცს მოკლავდა. მაგრამ, თუ ქალი გაიყოლა და საქეიფოდ გამოვიდა, რაც დაიხარჯებოდა, ან თუ რამე დაზიანდებოდა, ყველაფერს გადაიხდიდა, კრინტს არ დაძრავდა და ზედმეტსაც ბლომად დატოვებდა.

მეტსახელად ზომბი ერქვა. ეს ამბავი ასე მოხდა: ერთ ღამეს ის ქუჩაში იპოვეს ზურგში დანა გაყრილი. მკვდარიაო, იფიქრეს და მორგში წაიყვანეს. იქ გამორჩა. მას აქეთ — მოსიარულე მკვდარს ეძახიან. ისე კი, არავინ იცოდა, მოგონილი ამბავი იყო ეს, თუ ნამდვილი. წინათ მას ასეთი გავლენა არა ჰქონდა თავის ამხანაგებში. მაგრამ, როცა ხმა გავრცელდა, მორგში გაცოცხლდა და ისევ დაბრუნდა თავის ამხანაგებშიო, ისეთი უცნაური პატივით და მორიდებით დაუწყეს მოქცევა, თითქოს ზებუნებრივი რამ ძალა ჰქონოდეს. ისეთი ხალხიც იყო, რომელთაც მისი მკვდრეთით აღდგომაც სჯეროდათ.

რეჯები ერთი ახმახი ბიჭი იყო. სახე ცხენივით გრძელი ჰქონდა, ცალი თვალი მეორეზე დიდი. ფერი კი მკვდრისა ედო, მომწვანო-ყვითელი.

სმით ბევრსა სვამდა. ლაპარაკი არ უყვარდა და სიარულის დროს ტანს არ ანძრევდა. ფიცხი იყო, ღონიერი, დაუნდობელი გულისა და უგრძნობელი, როგორც მკვდარი.

იმ მამაკაცებში მეორე თორფილ[1]-შერეფი იყო. გალათაში ის ყველაზე კარგ ბიჭად ითვლებოდა. ჯიბეზე დადიოდა და ას ექვსი რეგისტრაცია ჰქონდა... ვისაც ეს ბრწყინვალე რეკორდად მიაჩნდა, შერეფი ამაყად ეტყოდა ხოლმე:

— ჯიბეებს ყოველ ცისმარე დღესა ვთირავთ. აბა დათვალე, რამდენი

---

[1] თ ო რ ფ ი ლ — ტორპედო, ნაღმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეა წელიწადში. აკვანში ვეწიე ამ ხელობას... ონდორთფერმა[1] ცხოვრ... მასწავლიდა. ხუთი წლისა ნავსადგომებში შავი ჭირივით მუსრს ვავლებდი ჯიბეებს და... ბოლოს და ბოლოს კი მხოლოდ 106 მოხვდა სასამართლო ქაღალდებში... აბა ეს არის საქმე?

შერეფი მხიარული და უდარდელი ჯეელი იყო.

— აბა რა ვქნა? ეს ჯანი ალაჰმა მომცა. ქვეყნის ჯიბეებს საკუთარივითა ვქექავ. არიფები მუშაობენ, მე ვჭამ. ასეთი ცხოვრება რუზველტსაც კი არ უგემნია... — იტყოდა ის და მხრებს აიჩეჩდა.

მესამე სელე[2]-შევქი იყო... ამ საზოგადოებაში ის ოპიუმის სიყვარულმა მოიყვანა.

ის სხვებსავით ხიდქვეშ როდი იყო გაზრდილი. ამ ქვეყანას ის მოევლინა ზანგი მამისა, რომელიც ერთ ძველებურ ოჯახში იყო მსახურად, და თეთრკანიანი დედისაგან. ის ემირგანში[3] იზრდებოდა ერთ შესანიშნავ სახლში. შრომითი ცხოვრება მჭედლის შეგირდობით დაიწყო. კარაქიოიში მუშაობდა ერთ სამჭედლოში.

ოცდახუთი წლისა იყო, როცა ის და ერთი მისი ამხანაგი ერთ საროსკიპო სახლში მივიდნენ, იქ მან მსუქანი ჰაიგანუში გაიცნო. ოპიუმს სწორედ ამ ქალმა მიაჩვია.

და აი, უკვე თოთხმეტი წელია, რაც სელე-შევქი მოწყდა ნორმალურ ცხოვრებას.

ოპიუმის კონტრაბანდას ეწეოდა და რამდენიმე წელიწადში ერთხელ პოლიციაში ამოყოფდა ხოლმე თავს... უსიცოცხლო და ზანტი იყო... დღემდე არავისზე დანა არ აღუმართავს. არავის ეჩხუბებოდა, ყველასთან კარგად იყო. ამ ბოლო დროს ოპიუმის გარდა ერთი ახალი გატაცებაც ჰქონდა. ეს ჩოფურ-გიულლუ იყო.

გიულლუც მაგიდასთან იჯდა.

ეს გახლდათ ჩასუქებული, წარბშეერთებული სოფლის კახპა, რომელსაც მწვანე თვალები, თეთრხორციანი, ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა.

ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისა იყო, როცა მამამისთან მიჯნის თაობაზე ნაჩხუბარმა ერთმა გლეხმა ფული მისცა რამდენიმე მაწანწალას და შურის საძიებლად იგი მთაში გაატაცებინა.

---

[1] თოთხმეტთითიანი მასწავლებელი.

[2] ს ე ლ ე—კალათი.

[3] ე მ ი რ გ ა ნ—უბანია სტამბოლში

ის დღე იყო და ის, გიულლუ სოფლის გარყვნილი და მოუსვენელ ბიჭების გასართობი გახდა და მამის სახლში აღარც დაბრუნებულა.

კმაყოფილი იყო თუ არა ასეთი ცხოვრებისა? სირცხვილს გრძნობდა ის თუ გულისტკივილს თავს გადამხდარი ამბისაგან? რამე რომ გეკითხათ, არაფერს გეტყოდათ.

ბოლოს ერთ თვრამეტი წლის სოფლელ ბიჭს აეკიდა. ეს ბიჭი გიულლუში იყო შეყვარებული, მისი მთაში დატოვება არ უნდოდა და სტამბოლში წამოვიდა. მას ეგონა, სტამბოლში იოლად ვიცხოვრებო, მაგრამ უფულობისა და გაჭირვებისაგან მალე განუტევა სული და გიულლუ ცხრა თვის ფეხმძიმე დარჩა.

სელე-შევქიმ გიულლუ პოლიციის სამმართველოში გაიცნო, მეორე განყოფილებაში.

ის მეჩეთის კართან დაიჭირეს, როცა ჰასექის[1] სამშობიაროდან გამოსულს ბავშვის მიგდება უნდოდა. შევქი კი სამმართველოში მოყვანილი იყო ერთი კონტრაბანდისტული საქმის გამო, რომელიც მან დიდის გაჭირვებით მოიშორა თავიდან.

სელე-შევქიმ სამმართველოში ეს ქალი რომ ნახა ბავშვით ხელში, დაინტერესდა. საჭმელიც კი გაუნაწილა. ნეტავ რა მოეწონა ასე ძალიან? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მას აზრადაც არ მოსვლია. ამის მოთხოვნილებაც კი არ უგრძვნია.

სილამაზეზე მისი პრიმიტიული წარმოდგენის მიხედვით ეს ქალი ალბათ ვენერა უნდა ყოფილიყო. ან იქნებ მისი ტუჩები დედამისის ტუჩებს ჰგავდა და ამან მოხიბლა ქვეცნობიერად?

შევქი, რომელიც ცამეტი წელია ოპიუმის გარდა არაფერს ეკარებოდა, ეხლა გიულლუს დაუტკბა რატომღაც.

და აი, უკვე ორი წელია, რაც ერთად არიან თავგადასავლებით აღსავსე ამ ცხოვრებაში.

არავინ იცის მათ შორის ვინ ვის პურსა ჭამს, მაგრამ ისინი უერთმანეთოდ არავის უნახავს.

გიულლუ ყველაზე ცნობილი კახპა იყო მთაში. ნაძირალების გართობაში კი მას ბადალი არა ჰყავდა... ის რომ კონიურ[2] ჰანგებს დააკვნე-

---

[1] ჰ ა ს ე ქ ი—საავადმყოფოს სახელია.

კ ო ნ ი ა—ქალაქი და პროვინცია თურქეთში.

სებდა, ჩივთეთელლის[1] დაუვლიდა ან კოვზებს ააყღერებდა, ამდგილი მოცეკვავეც კი ვერ დაუდგებოდა წინ.

ის რომ თავისი ჩასუქებული სხეულის გამოზნექილ და მსუქან ადგილებს აათამაშებდა, ნაძირალებს ჟინი ერეოდათ. „გაუმარჯოს, გიულლუს!“—გაიძახოდნენ ისინი. ისეთიც ბევრი იყო, რომელიც იმ დღეს ნაშოვნ მთელ ფულს შუბლზე აკრავდა მას.

ეს გასართობი ადგილების კახპა, გაუგებარი იყო, რატომ აჭმევდა შევქის ამ თავის შემოსავალს.

როცა ფული ჰქონდათ, გალათაში ნომერს ქირაობდნენ რომელიმე სასტუმროში. ზოგჯერ ერთად ეძინათ ნახანძრალზე, ზაფხულობით კი „ოქროს რქის“ გორაკებზე გაშლილი მდელოები აგარაკი იყო მათთვის.

შევქი რომ სამმართველოში, პოლიციაში ან ციხეში მოხვედრილიყო, გიულლუ მას ერთ დღესაც არ მიატოვებდა. იგივე უბედურება რომ გიულლუს დაატყდებოდა თავს, შევქი, მთელი თავისი მაწანწალა ბუნების მიუხედავად, მას უსიგარეტოდ არ დატოვებდა.

არავინ იცის, თამაშობდა თუ არა რამე როლს სიყვარული ამ უცნაურ ურთიერთობაში და დამოკიდებულებაში.

*

* *

სამიკიტნოში ქორ[2]-აბდის გამოჩენამ მთვრალების სუფრაზე დიდი სიხარული გამოიწვია.

ქორ-აბდი არაჩვეულებრივი კაცი იყო. მანქანის სისწრაფით დადიოდა. ერთ ღამეში ბალიკფაზარიდან[3] მოყოლებული ყველა სამიკიტნოს დაივლიდა ქალაქში და ქალაქგარეთ. მართალია ბრმა იყო და ჯოხის გარდა გზის მაჩვენებელი არავინ ჰყავდა, ყველაფერს ადვილად აგნებდა ხოლმე. ჯერ მოქეიფეების ადგილ-სამყოფელს დაივლიდა, შემდეგ ივლიდა და ქალაქგარეთ დუქნებს ინახულებდა, განთიადისას კი ასეთ ადგილებში ამოყოფდა თავს.

---

[1] ჩ ი ვ თ ე თ ე ლ ლ ი—ხალხური ცეკვაა.

[2] ქ ო რ—ბრმა.

[3] ბ ა ლ ი კ ფ ა ზ ა რ ი—ბაზარია სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბდი, მოდი აქეთ!

თავისი სახელის გაგონებაზე, აბდი თვალხილულივ[illegible] იქეთ, საიდანაც ხმა ისმოდა.

დუქანში, პაპიროსის ბოლის გამო, მძიმე ჰაერი იდგა. შევქის პაპიროსების ბოლი განსაკუთრებით სიამოვნებდათ იქ მყოფთ, ხოლო ქალებს, რომელთაც უკვე ისედაც ეძინათ ალკოჰოლისაგან, საბოლოოდ აბრუებდა.

შევქის ცალი ხელი მხარზე დაედო გიულლუსათვის, თავი მეორე მხარეზე ჩამოედო და ეძინა.

ჯევრიეს თავი უკან გადაეგდო, უსმენდა თორფილ-შერეფის ნაამბობს და განუწყვეტლივ კისკისებდა შეზარხოშებული. ის მთელი ტანით თრთოდა, სიცილის დროს მაღალი გულ-მკერდი უთამაშებდა. ზომბი-რეჯებს მისთვის წელზე მოეხვია ხელი, ოდნავ თავისაკენ მიეზიდნა და ასე იჯდა გაუნძრევლად.

ის-ის იყო აბდი კარებში შემოვიდა, რომ რეჯებმა მარჯვენა მუშტი მაგიდას დაჰკრა და შესძახა:

— აქ მოდი, აბდი, მოდი ერთი რამე დაგვიკარ

აბდი მაგიდას მიუჯდა. ჭუჭყიანი ტომრიდან უდი ამოიღო და მომართვას შეუდგა. თან კიდევ ჩაახველებდა ხოლმე დროდადრო, თითქოს ხმას იყენებსო.

— „ჯევრიე“ დაუკარი, აბდი, „ჯევრიე“. ოღონდ ჯერ იქნებ დალიო? — უთხრა რეჯებმა.

— არა ვსვამ, შვილო!

ყველამ იცოდა რომ აბდი არა სვამდა. ალბათ ამიტომაც შერჩენოდა ომახიანი ხმა, თუმცა საკმაო ხნისა იყო.

დიდი გმირობაა ყოველ ღამე ას სხვადასხვა მაგიდასთან იჯდე და ერთ წვეთ სასმელს პირი არ დააკარო.

— მაშინ იქნებ ჭამო რამე?

— თქვენ იმხიარულეთ, ბიჭებო, — უპასუხა აბდიმ, — საჭმელი ბლომადაა, თუ მინდა, შევჭამ.

— ძია აბდი,—ჩაერია ლაპარაკში თორფილ-შერეფი,—შენ ღმერთმა მოგცეს და ჩვენზე უფრო გიჭრის თვალი. როგორ მიხვდი, რომ საჭმელი ბლომადაა?

— მე თვალი კი არ მიჭრის, შვილო, ყნოსვა მაქვს.

— მაშინ სანადიროდ უნდა იაროს შენთან კაცმა, ფულის სუნსაც გრძნობ?

— ვგრძნობ შვილო. ამ მაგიდაზეც არის... მერე იცი სადა? ზომბის ჯიბეში.

მაგიდაზე სიცილ-ხარხარი ატყდა.

— ჩემი „ჯევრიე“ დაუკარ,—ზანტად გაიმეორა ზომბიმ, კიდევ უფრო მაგრად მოხვია ხელი ჯევრიეს და უფრო მაგრად მიიხუტა მკერდზე.

უდი აჟღერდა. შერეფმა სიმღერაში აყოლა გადაწყვიტა.

— გაჩუმდი, ხრინწიანო მამალო,—იყვირა ზომბიმ.—აბდის უსმინე.

„პოლიციას სარკე აქვს, სარკე აქვს“.

დაიწყო აბდიმ სიმღერა...

ჯევრიემ სიმღერა რომ გაიგონა, შეკრთა. საპოლიციო უბანი გაახსენდა.

თვალწინ დაუდგა ის ღამე, როცა ბოლუდან სტამბოლში ჩამოვიდა. ზამთრის პირი იყო. ჯერ არ მოეთოვა. სველი, ნესტიანი ღამე იდგა. იმავე ღამეს დაიჭირეს, როგორც კი სტამბოლში ფეხი შემოდგა და პოლიციაში წაიყვანეს. როგორ შეეშინდა იმ ღამეს, როცა უთხრეს ბოლუში გაგაგზავნიანო...

იმ საპოლიციო უბანში, სადაც მან სტამბოლში ჩამოსვლის პირველი ღამე გაატარა, სარკე იყო.

იმ დღის შემდეგ საკმაო ხანმა განვლო. მაგრამ სიმღერას რომ ისმენდა, გაახსენდა როგორ გამოდიოდა პოლიციიდან, როგორ ათვალიერებდა თავის თავს სარკეში, გაახსენდა თავისი გამოსახულება, რომელიც იმედითა და მღელვარებით სავსე თვალებით შემოსცქეროდა სარკიდან. „შევძლებ კი გაქცევას?“ — თითქოს ეკითხებოდა სარკეში გამოსახული ჯევრიე სარკის წინ მდგომ ჯევრიეს.

აკი გაქცეულები იყვნენ კიდეც... და აი, საცაა ზაფხულიც დადგებოდა. ის ფარაონებს მერე აღარ ჩავარდნია ხელთ.

„გოგოს ხელზე დაღი აქვს, დაღი აქვს“.

ამის თქმა და ჯევრიემ უცბად დააწყო ხელები თეფშებითა და ბოთლებით გაწყობილ სუფრაზე.

მაგიდაზე ერთი წკარა-წკური ატყდა, ყველა მაგიდაზე დაწყობილ ამ ნაზ და ლამაზ ხელებს დააცქერდა.

ორივე ხელის მაჯაზე სვირანგებით გამოყვანილი იყო ნატურალური ზომის ხელბორკილები.

ჯევრიეს ასეთმა მოძრაობამ ყველას ყურადღება მის ხელებზე გადაატანინა.

ჯევრიე, რომელსაც სიმთვრალისაგან თავი ხან აქეთ გადაუვარდებოდა და ხან იქეთ, ჯიქურ დააცქერდა ხელებზე გამოყვანილ სამაჯურებს და შესძახა:

— გაჩუმდი, ძია აბდი, სიმღერა შეწყვიტე-მეთქი, გეუბნები. — თქვა ჯევრიემ, ხელი გადაუსვა მაგიდას და რაც მარჯვნივ თეფშები, ბოთლები და ჭიქები იყო, სულ იატაკზე გადაუძახა.

— ნუ ურევ, გოგო, — ჩასჩურჩულა გიულლუმ ყურში.

აბდი ჭურჭლის ზრიალს აღარ დალოდებია, ჯევრიეს ხმა გაიგონა თუ არა, გაჩუმდა.

ჯევრიე კი ისევ თავის ხელებს დასცქეროდა და თვალს არ აშორებდა.

„გოგოს ხელზე დაღი აქვს", — წაიბურტყუნა მთვრალმა ჯევრიემ.

ეხლა მას ორივე ხელი მაღლა ჰქონდა აწეული, ყველას აჩვენებდა და გაიძახოდა:

— ხედავთ, ორივე ხელზე მაქვს დაღი.

— კარგა მაგრად გამოტრეტილა,—წარმოთქვა თორფილ-შერეფმა.

გიულლუმ თავი დაიქნია, თითქოს რამეს გაგება ჰქონოდა. დუქანი დაბალჭერიანი და იმდენად შეუხედავი იყო, რომ ადამიანსაც ნაღველსა ჰგვრიდა.

ჯევრიე ისევ ჯიუტად დასცქეროდა თავის ხელებს.

სტამბოლში ჩამოსვლის პირველ ღამეს საპოლიციო უბნის სარკეში თავის მკლავებს რომ დახედა, მაჯებზე ეს ნახატები არა ჰქონდა, ისინი მერე გააკეთებინა. ბარბასა სთხოვა და გალათის ყველაზე კარგი ოსტატი მოაძებნინა, ჯევრიემ მას მკლავები გაუწოდა და უთხრა:

— ორივეზე ხელბორკილები გამომიხატე, ნატურალური ზომისა იყოს.

— უფრო ლამაზი რამე დავხატოთ, გოგო, — ურჩია მოხუცმა.

— ლამაზი არაფერი მინდა... ხელბორკილი იყოს. — იყვირა ჯევრიემ და დაამატა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეგობარი მყავს ციხეში, გესმის... მეგობარი მყავს ციხეში.

როგორ უნდა, რომ ი ს მისი მეგობარი იყოს. მეგობარი, რომლითაც ყველასთან მოიწონებდა თავს.

მაგრამ ი ს არაფერი არ იყო მისთვის, არც არაფერი გახდა. ჯევრიემ არც კი იცოდა, კიდევ ნახავდა თუ არა მ ა ს, დაელაპარაკებოდა თუ არა. სახელიც კი არ იცოდა მ ი ს ი.

მან სიკვდილამდე უნდა ატაროს ეს ხელბორკილები და ამით ყველას გააგებინოს, რომ მ ი ს ი უბედური ბედი გაიზიარა.

*

* *

იმ ღამეს, როცა პოლიციას გაექცა და თავს უშველა, კოვბოი-ნეჯიფმა ის ყავახანის უკანა კარიდან ერთ ეზოში გაიყვანა, იქიდან კი თოფჰანესკენ მიმავალ ტალახიან გზაზე დააყენა.

— აბა, ჰაიდა, — უთხრა მან, — ეხლა კი მოუსვი.

მოსმა ძნელი საქმე აღარ იყო. ჯევრიე საკუთარ ფეხებს კი ენდობოდა, მაგრამ ეშინოდა კიდევ არ ჩავარდნოდა ხელში პოლიციას.

დაბნეული აქეთ-იქით იცქირებოდა... ერთი წელია აქეთ არა ყოფილა. ამ ერთ წელიწადში კაცმა არ იცის ვინ მოკვდა და ვინ დარჩა. სტამბოლში ნესტიანი ზამთარი იცის. მერე კიდევ, ყველას როდი ჰქონდა საჭმელად დედ-მამის ქონება...

ზოგი დაიჭირეს, ზოგი ჩავარდა. ვინ ვის დანა გაუყარა. ერთი სიტყვით, ჯერ კარგად უნდა გაეგო, რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში. მავროს კაფე კი თავის ადგილზე იდგა, მაგრამ ბარბას დუქანი რა იქნა? ამბობენ, რომ მისი პატრონი საეჭვო კაცია... პოლიციასთან ძალიან ძმაკაცურად არის... ყველას გაყიდის, ოღონდ თავისი საქმე იყოს კარგად.

ეს-ეს არის თავი დააღწია პოლიციას... ჯერ არც კი იცოდა საბოლოოდ გადარჩა თუ არა. ამიტომ ნეჯათიბეის ქუჩაზე წასვლა არ შეიძლებოდა.

ჯევრიეს ვერ გადაეწყვიტა რა ექნა, მაგრამ ნიავივით კი მიქროდა ქუჩაზე. ბნელ ქუჩებში გუბეებად დამდგარ ტალახში მიალაჯებდა და გონებაში ადგილს ეძებდა თავის შესაფარებლად. დოლმაბაჰჩეს[1] გორა-

---

[1] დ ო ლ მ ა ბ ა ჰ ჩ ე — უბანია სტამბოლში.

ებს რომ მიაშუროს?.. თაშლიქში[1] რომ გავიდეს? ზამთრობით ბოგვენ: არ ანგრევენ ხოლმე ზაფხულში გამართულ ქოხებს... თუ ცა-ჩვეულ-ქის პარკში დამალვასაც რა უშავს...

მიუხედავად იმისა, რომ არ უნდოდა თოფჰანეს გამზირზე გასვლა, გზას მაინც იქეთ მიჰყავდა ის. გზა ბნელი, მაგრამ სწორი და გრძელი იყო. ჯევრიე დროდადრო უკან იხედებოდა და კარგად ხედავდა რომ არავინ მისდევდა.

როცა დარწმუნდა, რომ არავინ უთვალთვალებს, ნეჯათიბეიზე მდებარე სახლში მისვლის ნატვრა დაუძლეველ სურვილად გადაექცა.

*

* *

არა, წელიწადი და ოცდარვა დღეა ის არ უნახავს და კიდევ ერთი დღე მ ი ს ი უნახაობა ჯევრიეს ძალიან ეძნელებოდა. ეხლავე უნდოდა მ ი ს ი ნახვა.

რაც საკუთარი თავი ახსოვს, მის ნაცნობებში ის იყო ერთადერთი კაცი, რომლის ნახვაც მას მუდამ უნდოდა ხოლმე.

ჯევრიესათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, რომ ის უცხო და უცნობი კაცი იყო და არაფერი იცოდა მის ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

ჯევრიეს მთელმა ცხოვრებამ ხომ უცნობ, გადამთიელ, უცხო პირების ხელში გაიარა.

მერე რა უშავს, რომ არც სახელი იცის მისი, არც ასავალ-დასავალი.

ამ ვეებერთელა სტამბოლში განა ვისი სახელი იცოდა, ან ვის წარსულს იცნობდა. მას რომ გზაზე ხალხი ხვდებოდა, ისინი, უბრალოდ, ადამიანები იყვნენ.

და ეს ჯევრიესათვის საკმარისი იყო.

ჯევრიე მ ა ს ყველაზე არაჩვეულებრივ ადამიანად თვლიდა. ეს ალბათ იმის ბრალიც იყო, რომ ისინი უცნაურ პირობებში შეხვდნენ ერთმანეთს და შემდეგაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ.

მათ შემოდგომის ერთ ცივ ღამეს გაიცნეს ერთმანეთი. ჯევრიემ

---

[1] თ ა შ ლ ი ქ—უბანია სტამბოლში.

ექვსი კვირა გაატარა საავადმყოფოში და ახალი გამოსულიყო დაღლილსა და დაუძლურებულს სიარულის თავი აღარა ჰქონდა.

უკანასკნელი ფულით ტრამვაიში ჩაჯდა და ბებექში მივიდა, იქიდან კი ჰისარში წავიდა ფეხით, რომ იმ ხანებში მისი ნაცნობი და მასთან კარგ დამოკიდებულებაში მყოფი მენავე მაჰმუდი ენახა და ცოტა ფული გამოერთმია.

მაგრამ მეთევზეების ყავახანაში, სადაც მაჰმუდი დადიოდა ხოლმე, უთხრეს რომ ის ტრაპიზონში დაბრუნდაო.

ჯევრიე იძულებული იყო ჰისარში გაეთია ღამე.

უკან დასაბრუნებელი ფული აღარ ებადა და ვინმე ახალ მამაკაცთან ნაცნობობის გაბმის თავი კი არა ჰქონდა. არც იმის ძალა შესწევდა, რომ ისევ გალათაში დაბრუნებულიყო და იქ რომელიმე ყავახანაში ან ბარბაძს დუქანში შეეფარებინა თავი.

როცა ჩამობნელდა, ჯევრიემ ნელ-ნელა მიაშურა ზღვას, ერთ მიბმულ ნავში ჩახტა და შიგ გრძლად გაწვა.

გრილოდა. ჯევრიეს ცოტა სიცხეც ჰქონდა. კანკალებდა. ძველ შალის სვიტრში იბუზებოდა. ღამე ძალიან ბნელი იყო. ტალღები ნაპირს ეხეთქებოდნენ, მისი შხეფები ფოსფორივით ანათებდნენ.

ჯევრიე თვალებდახუჭული იწვა, როგორც აკვანში. მალე დაღლილობამ და ნავის რხევამ სძლია და ჩაეძინა.

რამდენ ხანს ეძინა, არ იცის. უცებ ნავი შეირხა. შეშინებულმა ჯევრიემ თვალები გააჭყიტა. როცა ამ ბნელ ღამეში ვეება ჩრდილს მოკრა თვალი, შეჰყვირა და წამოდგა.

ჯევრიეს თავზე წამომდგარი კაცისა კი არ შეშინებია, არამედ, ნავი რომ შეირხა, იფიქრა გადაბრუნდებაო და იმან შეაკრთო.

— ვინა ხარ? — იკითხა მოსულმა განცვიფრებული და შიშნარევი ხმით, ჯიბიდან ფარანი ამოიღო და ჯევრიეს მიანათა.

თვალისმომჭრელი სინათლის გაელვებაზე, ჯევრიემ სახეზე ხელი აიფარა.

— აქ რას აკეთებ? — იკითხა ისევ კაცმა და მაშინვე ჩაჯდა, და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს თავის დასაცავად ემზადებაო.

— დასაძინებელი ადგილი არა მაქვს და აქ მეძინა. — უპასუხა ჯევრიემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ამოდი მანდედან და სხვაგან დაიძინე...

ახალმოსულს ხმაზე მღელვარება ეტყობოდა. ჯევრიეს აკვირდა, დააპირა, მაგრამ თავბრუ დაეხვა და ისევ ნავში ჩავარდა.

— რასა შვრები? — იკითხა კაცმა.

— ვდგები, ძმაო, თავბრუ დამეხვა და დავეცი. — უპასუხა ჯევრიემ და დაატანა: — საავადმყოფოდან დღეს გამოვედი. აქ ერთ ნაცნობთან მოვედი, ფული მინდოდა. ის კი ტრაპიზონში წასულა. ტრამვაის ფული აღარ დამრჩა. თანაც დაქანცული ვარ. ვიფიქრე, აქ გავათენებ და ხვალ ღმერთია-თქო მოწყალე.

ლაპარაკის დროს ჯევრიე კბილებს აკაწკაწებდა და ხმა უკანკალებდა.

— მოეშვი ეხლა მაგეებს, ამოდი ნავიდან! — უთხრა კაცმა, ხელი წაავლო ჯევრიეს და ფეხზე ააყენა.

მაგრამ ფეხზე უეცარი წამოდგომისაგან ჯევრიეს კიდევ უფრო ძლიერ დაეხვა თავბრუ და იმ კაცის მკლავებში გული წაუვიდა.

ნეტავ რატომ ნაპირზე არ მიატოვა ის ამ კაცმა და გაშორდა იქაურობას? იქნებ შეეშინდა, როცა ხელში ქალის უძრავი და მოშვებული სხეული შერჩა და იფიქრა, მართლა გული წაუვიდა თუ იქნება მოკვდა კიდეცო?

რატომ ჩააწვინა ნავში, ნიჩბები მოუსვა და როცა საკმაოდ მოშორდა ნაპირს, მის გონს მოყვანას შეეცადა?

ის კი აღარ უნახია ჯევრიეს, როგორ გაუშვა მან ხელი ნიჩბებს, მის გონზე მოყვანას შეუდგა და თავისი სქელი შავი პალტოც დაახურა.

შემდეგ, როცა ჯევრიემ უფრო ახლოს გაიცნო მისი ცხოვრება, ჰისარიდან მათი წასვლა და თან თავისი წაყვანა ასე ახსნა:

მისთვის აუცილებელი იყო მაშინვე განშორებოდა ნაპირს. როცა მიხვდა, რომ ნავში დამხვდური მას კი არ უთვალთვალებდა, არამედ უბრალო ქალი იყო, რომელსაც გული წასვლოდა, წვალებასა და ნაპირზე მის დატოვებას ამჯობინა სასწრაფოდ გაცლოდა იქაურობას.

მერე მაინც რატომ არ მიატოვა? ნაპირზე რომ გადმოდიოდნენ, რატომ არ უთხრა—შენ ისევ აქ დარჩი დილამდეო და ნავი არ მიაბა? ის ნავიდან გადმოსვლაშიც ეხმარებოდა. ჯევრიეს ჯერ ისევ ესხმოდა თავბრუ. ნაპირზე რომ გადმოვიდნენ, შემთხვევით მის მკლავს დაეყრდნო. მან რომ ხელი გამიშვას, ისევ დავეცემიო, შიშობდა ჯევრიე.

კაცმა ნავიდან გაჭირვებით ამოიღო მძიმე პაკეტი და მარჯვენა-იღლიაში ამოიდო, მარცხენა ხელით ის ჯევრიეს ეხმარებოდა.

ჯევრიესათვის ხელი არ გაუშვია, ებრალებოდა ალბათ.

ნავში მათ სულ რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს:

— ეხლა როგორ ხართ? — ჰკითხა მან.

— უკეთ. — უპასუხა ჯევრიემ და გაღიმება სცადა. ამით მას უნდოდა ეჩვენებინა, თითქოს არ ეშინოდა სიკვდილისა, უფრო სწორად, ცდილობდა დაეფარა შიში სიკვდილის წინაშე და აკანკალებული ხმით დაამატა:

— მე კი მეგონა ვკვდებოდი... მომეჩვენა, რომ ეს ლამაზი ქვეყანა უცბად გამომაცალეს ფეხქვეშ... და ისე მივდივარ, რომ გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, ფეხებს ვჭიმავთ ჯევრიე-თქო.

ჯევრიე გულაღმა იწვა. ზედ მისი სქელი პალტო ეხურა. ზღვის მძაფრი სურნელი... ქარი და მილიონობით ვარსკვლავი ჩაბნელებულ ცაზე...

ის ვერ ხედავდა მის წინ მჯდომი კაცის სახეს. ჯერ არც კი დენახა როგორი იყო.

ჯევრიე შესცქეროდა ვარსკვლავებს, ბედნიერი იყო რომ არ მოკვდა. კმაყოფილი შესცქეროდა ცას, თუმცა გრძნობდა, რომ ძალიან იყო დაქანცული.

მან ერთი წუთით ხელი შეუშვა ნიჩბებს, ცალი ხელი მისკენ წამოიღო, მაჯაზე მოჰკიდა და პულსი გაუსინჯა.

— ეხლა ბევრად უკეთესად ხართ. — უთხრა მან ცოტა ხნის შემდეგ.

ამ ბნელ ღამეში „ოქროს რქა“ რაღაც არაჩვეულებრივი იყო.

ნავში გაწოლილ პალტოწახურულ ჯევრიეს სეირნობა ძალიან სიამოვნებდა. ეს კაცი, ასე მძლავრად რომ უსვამდა ნიჩბებს, მას „თქვენობით“ მიმართავდა ნაზი და ტკბილი ხმით.

ჯევრიეს მეტყველებისათვის „თქვენ“ სიტყვა დამახასიათებელი არ იყო და ამიტომ ასეთი მიმართვა ძალიან სიამოვნებდა. რაც თავი ახსოვს, მისთვის „თქვენ“ ჯერ არავის უთქვამს. არც თვითონ მიუმართავს ვინმესთვის თქვენობით.

ეს სიტყვა უცნაური და მომაჯადოებელი იყო.

ჯევრიემ დაცინვაც კი მოუნდომა. — „ეს რა ქალაჩუნას წავაწყდი

ამ საღამოსო," — გაიფიქრა, მაგრამ ამ დროს იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლი მორეოდა.

ზღვა ყველაზე საყვარელი რამ იყო მის ცხოვრებაში. ჯერ სულ პატარა იყო, როცა ბიჭებთან ერთად ზღვაში ხტებოდა ხიდის პონტონებიდან და თევზის მოქნილობით და მოტორიანი ნავის სისწრაფით დაცურავდა. მისთვის, ისევე როგორც ზღვისპირის ყველა უპატრონო ბავშვებისათვის, ცურვა თითქოს თანდაყოლილი თვისება იყო. ცურვა როდის ისწავლა, არ ახსოვდა ისევე, როგორც ვერ გაიხსენებდა, როდის აიდგა ენა ან ფეხზე როდის გაიარა.

ამიტომ უყვარდა მას ზღვა. უყვარდა ეს ბნელი ცა, ეს ვარსკვლავები, სტამბოლის ეს ნესტიანი და ზღვის სუნით გაჟღენთილი ჰაერი.

*

* *

— რამდენი ვარსკვლავია, — უთხრა მას ჯევრიემ. — ხომ იცი, რომ ამ ვარსკვლავებში თითო-თითო ჩვენი ვარსკვლავია?

მასაც სურდა „თქვენობით" მიემართა ნიჩბებთან მჯდომი კაცისათვის, მაგრამ არ გამოუდიოდა. ასე ლაპარაკი ნაძალადევად ეჩვენებოდა და თუ ილაპარაკებდა, ეგონა, დამცინებსო.

— არა, არ ვიცოდი.

— დიახ, დიახ, ასე ყოფილა. ჩიმაჯი[1]-მუსტაფამ მიამბო. ამ ვარსკვლავებში თითო-თითო ჩვენი ყოფილა. და ჩვენ რომ მოვკვდებით თურმე, ისიც მოწყდება ცას. ჩვენც ვხედავთ ხოლმე, როგორ წყდება ცაზე ვარსკვლავი. იმ დროს თურმე ვიღაცა კვდება. ვარსკვლავის ყოველ ჩამოვარდნაზე... ჩიმაჯი-მუსტაფამ დაიფიცა... ერთ საღამოს თურმე ზღვის პირას ისხდნენ და სვამდნენ. ერთი მათგანი ამდგარა, ზღვაში შესულა და მიდის... უცბად დაუნახავთ რომ ვარსკვლავი მოწყდა... თქმა ვერ მოასწრეს, ვიღაცა კვდებაო, რომ ზღვაში მყოფი ამხანაგი გაქრა, ცას რომ ვარსკვლავი მოწყდა, თურმე მისი ყოფილა. როცა ზღვაში კაცი იხრჩობოდა, მისი ვარსკვლავიც მოწყდა.

---

[1] ჩ ი მ ა ჯ ი — მეზღვაური, რომელიც ნავმისადგომზე დგას და გემზე გამობმულ თოკს ეწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავ ჩემი ვარსკვლავი რომელია? — თქვა ჯევრიემ. ვარსკვლავებს დაუწყო თვალიერება და ცაზე ერთი ძალიან პატარა, კოხტა, სხივიანი ვარსკვლავი იპოვა...

— აი ის პატარა იქნება, ფოსფორიანივით რომ ანთია!

ის მსხვილ-მსხვილ ვარსკვლავებსაც ხედავდა. ძალიანაც მოსწონდა, მაგრამ, ვერც კი ბედავდა, ისინი თავისად ენატრა. „ვინ იცის, ის რომელიმე მეფის ვარსკვლავიაო“, — ფიქრობდა ჯევრიე.

— მე რომ მოვმკვდარიყავ, ნეტავ რომელი ვარსკვლავი მოწყდებოდა. რომ ვიცოდე რომელია ის ურჯულო, ჩემი ვარსკვლავი, ღმერთმანი, ცას კიბეს მივადგამ, ავალ და ვარსკვლავს ლურსმნით მივაჭედებ.

ნიჩბებთან მჯდარ კაცს ხმაზე ეტყობოდა, რომ იღიმებოდა.

— ასე ძალიან გიყვართ ცხოვრება?

— სული ტკბილია, ძმაო, განა შეიძლება არ გიყვარდეს?

ჯევრიემ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ისევ თავბრუ დაეხვა და შეშინდა.

— თავბრუ მესხმის. ამაღამ ალბათ ფეხებსაც გავფშეკ. — წარმოთქვა ჯევრიემ.

მისი დიდი ხელი ისევ წამოვიდა ჯევრიესაკენ და მაჯაზე შემოეჭდო.

— არაფერია, ცოტა ხანს კიდევ იწექით, ნუ გაინძრევით. საკმაო გზა გვაქვს კიდევ. მისვლამდე უკეთ გახდებით... საავადმყოფოდან დღეს გამოხვედით?

— დიახ, დღეს გამომწერეს. თუმცა კი ბევრი ვეხვეწე იმ ურწმუნოებს. არაფერი გაქვსო და ძაღლივით კარში გამომაგდეს.

კაცს არაფერი უთქვამს. ნიჩბებს უსვამდა.

*

* *

ხმელეთზე სად გამოვიდნენ აღარ ახსოვდა. ნაპირზე გადმოვიდა თუ არა, მაშინვე თავბრუ დაეხვა და ორივე ხელით მკლავზე დაეკიდა მას.

— ძალიან ცუდად ვარ, — ჩაიჩურჩულა ჯევრიემ, — თავი მიბრუის.

ჯევრიე მხარს ვერ მიწვდა და ამიტომ თავი მკლავზე ჩამოსდო. როცა კაცმა დაინახა, ჯევრიე ბარბაცებსო, ხელი წელზე შემოხვია, რომ არ დაცემულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას ერთად გაუდგნენ. პაკეტი, რომელიც მას მარჯვენა ხელიანად ჰქონდა ამოდებული, ეტყობოდა, ძალიან მძიმე იყო.

თავბრუს გამო ჯევრიე თვალებმინაბული მიაბიჯებდა.

— სადა ვართ? — იკითხა მან.

— თითქმის თოფჰანეში ვართ მოსულნი.

— მართლა?

— თქვენ საით წახვალთ?

— არ ვიცი, — უპასუხა ჯევრიემ. — წასასვლელი არსადა მაქვს.

— რატომ?—იკითხა მან და იქვე დაამატა:—მაშინ ჩემთან წამოდით.

— კარგი, — დათანხმდა ჯევრიე, მაგრამ იქვე შიშმა შეიპყრო, ძალიან დასუსტებული იყო და მამაკაცის თავი არა ჰქონდა.

შემდეგ ჯევრიეს ბევრჯერ უფიქრია — რატომ მიმიყვანა იმ ღამეს საიდუმლო ბინაზეო? და ეხლა, როცა გაიგო, რომ ის დაპატიმრებულია, ასე გადაწყვიტა: „მას პოლიცია ეძებდა. სამალავი ადგილისაკენ მიმავალს ხელში მძიმე პაკეტით კი არა, ქალის თანხლებით რომ ნახავდნენ, ეს ალბათ ნაკლებ ეჭვს გამოიწვევდა. ასე თუ იფიქრა და მეც ამიტომ წამიყვანა შინ.“

მაგრამ ჯევრიეს არ უნდოდა, რომ ასე ყოფილიყო.

მას ერჩია, სიბრალულის გამო წაეყვანათ შინ.

სიბრალული იყო თუ ხრიკი, ჯევრიე მაინც ლოცავდა იმ ღამეს — თავისი აქ მოსვლის მიზეზს.

მასთან განშორება რომ გაახსენდებოდა, შიში იპყრობდა.

ეს კი სულ ადვილი იყო.

„მივდივარ!“ — შიშით ფიქრობდა ჯევრიე... ის იმ შიშისმომგვრელ ჟრუანტელს შეეპყრო, რომელიც ამ ქვეყნიდან სამუდამოდ წასვლის გრძნობას ახლავს ხოლმე.

ჯევრიეს, ქუჩის ქალ ჯევრიეს, ამაღამ ქუჩაში მარტო დარჩენისა ეშინოდა. შიშობდა, რომ ვარსკვლავებისკენ მაცქერალს შეიძლება სადღაც, მიყრუებულ ადგილას, ჩაჰკეცვოდა მუხლები, თავისი თვალით ენახა, როგორ მოწყდებოდა ის ვარსკვლავი, რომლის მისაჭედებლად კიბის მიდგმას აპირებდა ცაზე. ეშინოდა რომ თავბრუ დაეხვეოდა, გული აუფანცქალდებოდა.

რამდენიმე ბნელი ქუჩა გაიარეს და დიდი ქარვასლის ჭიშკარს მიადგნენ, გამოაღეს ჭიშკარში გაჭრილი ცალფრთიანი პატარა კარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შევიდნენ. მან ჯევრიე იქვე დატოვა, კარი რკინის ურდულით გადაკეტა, და რომ უფრო სწრაფად აევლო კიბეები, ხელში აიტაცა ჯევრიე და კიბეებს აჰყვა.

აქ ალბათ საწყობი თუ იყო, რადგან ჰაერი მანქანის ზეთისა და ტყავის მძაფრი სუნით იყო გაჟღენთილი.

ბნელოდა. ცალ ხელში ჯევრიეთი და მეორეში მძიმე პაკეტით მან მალე აიარა საკმაოდ გრძელი კიბე.

ის ფეხაკრეფით მიაბიჯებდა.

— ხმა არ ამოიღოთ, არ ილაპარაკოთ! — გააფრთხილა მან ჯევრიე.

ბოლოს, როცა სადღაც მივიდნენ, გაჩერდა და სული მოითქვა. კიბეზე ორი ტვირთი ამოიტანა და დაღლილი იყო.

— ჩამომსვი! — ჩუმად უთხრა ჯევრიემ, — ეხლა უკეთა ვარ. თვითონ ვივლი.

ის წინ მიდიოდა. ჯევრიეც შეეჩვია სიბნელეს, მოაჯირისთვის ხელი ჩაევლო და კიბეს მიჰყვებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჯევრიეს ფეხები ჩაეკეცა და ადგილზევე ჩაჯდა.

— რასა შვრებით?

— აღარ შემიძლია, — ამოიკვნესა ჯევრიემ.

კაცი მობრუნდა და ისევ წელზე შემოაჭდო ხელი.

—ცაში ხომ არ ავდივართ?

კიბეები ჯერ არ მოთავებულიყო. კიდევ ცოტა ხანს იარეს ბოლოს ჯევრიე ერთი კარის წინ ჩამოსვეს. კაცმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო. ჯევრიე წინ შეუშვა, თვითონ უკან მიჰყვა და კარი ფრთხილად მოიხურა. შემდეგ რაღაც კიდევ გააკეთა. სანამ ლამფა არ აინთო ჯევრიე ვერ მიხვდა რას აკეთებდა. ლამფა გვიან აინთო.

ლამფა მკრთალ ლურჯ სხივს გამოსცემდა და ძლივს ანათებდა ოთახს.

ეს იყო ოთხკუთხედი, სახურავდაქანებული სხვენის ოთახი.

ჯევრიემ შეამჩნია, რომ ფანჯრებზე და კარებზე სქელი ფარდებია ჩამოფარებული.

ოთახში შესვლისას ის მაშინვე მიაცქერდა ფეხზე მდგომ შავპალტოიან, მოსულ მამაკაცს.

ლურჯ სინათლეზე მან თმის ფერი ვერ გაარჩია. მხოლოდ სახის ნაკვთების შემჩნევა მოახერხა.

სუსტი სინათლის გამო ეს კაცი არაჩვეულებრივად დიდი ეჩვენებოდა
და ქანდაკებას ჩამოგავდა.

როცა ჯევრიე ლოგინისაკენ წავიდა, კაცმა ის მძიმე პაკეტი დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით დადო მაგიდაზე.

ოთახში ერთი რკინის ლოგინი, შაქრის ყუთებისაგან შეკრული ტახტი და ფართო მაგიდა იდგა. მოშორებით იატაკზე ტომრები და ყუთები ეწყო.

ჯევრიემ ლოგინზე ჩაიმუხლა. კაცმა პალტო გაიხადა, ჩამოჰკიდა და ჯევრიეს მიუბრუნდა:

— დაწექით, დაისვენეთ!

შემდეგ პიჯაკი გაიხადა, თუნუქის ღუმელთან მივიდა და გამოაღო. ღუმელი შეშით იყო სავსე და ცეცხლი რომ წაგეკიდებინათ, აგიზგიზდებოდა.

მან ღუმელი დაანთო, კარი მოკეტა და საწოლისაკენ წამოვიდა. ჯევრიემ, ჩემსკენ მოდისო, იფიქრა.

ის, მართალია, ძალიან შეუძლოდ იყო, მაგრამ ამ კაცმა იმდენი სიკეთე გამოიჩინა მის მიმართ, რომ წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია.

მაგრამ, წინააღმდეგ მოლოდინისა, ის ჯევრიესთან არ მისულა. ფარდები შეამოწმა. ალბათ გაგება უნდოდა, სინათლე ხომ არ გადისო. როცა დარწმუნდა, რომ სინათლე არ გადიოდა, ელექტრონის მეორე ღილაკს დააჭირა თითი. დიდმა ლამფამ იქაურობას სხივი მოჰფინა. კედლებს, ნივთებს, ფარდებს, კარებსა და ადამიანის სახეს თავისი ფერი დაუბრუნდათ.

ჯევრიემ ერთხელ კიდევ შეხედა კაცს, რომელმაც ის აქ მოიყვანა. მას ქერა ხუჭუჭი თმა, მწვანე თვალები და წითური სახე ჰქონდა.

დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა.

მის სახეს ფერთან ერთად გამომეტყველებაც დაუბრუნდა და ეს გამომეტყველება, ჯევრიეს აზრით, ძალიან სასიამოვნო და კეთილი იყო.

ისიც მობრუნდა ჯევრიესაკენ და სახეში შეაცქერდა.

ჯევრიე გაფითრებული იყო და შავი თმები აწეწილი ჰქონდა. მისი ცოცხალი თვალები, რომლებიც გატანჯულ სახეზე ეხლა უფრო დიდრონი ჩანდა, აქეთ-იქეთ იცქირებოდნენ. მის მუდამ წითელ ბაგეებს. ფერი გაკრთომოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მიგბრუნდები, — უთხრა კაცმა, — თქვენ კი გაიხადეთ და ლოგინში შეწექით.

— რატომ უნდა მიბრუნდე?—გაკვირვებით იკითხა ჯევრიემ. ეს ისეთი ალალი გულუბრყვილობით იყო ნათქვამი, რომ კაცმა ღიმილისაგან თავი ვერ შეიკავა.

— უფრო მშვიდად გაიხდით-მეთქი და იმიტომ გითხარით.

ჯევრიემ ტუჩები აიბზუა და შეხედა:

— გინდა შემომხედე, გინდა არა, ჩემთვის სულერთია, — უპასუხა ჯევრიემ და ნელ-ნელა დაიწყო გახდა. კაბის ქვეშ ცისფერი ჟერსეს პერანგი ეცვა, მაგრამ საავადმყოფოში დეზინფექციის შემდეგ ფერი დაჰკარგოდა. ჯევრიემ ქვედა კაბაც იქვე ჩაიძრო მუხლებამდე.

საავადმყოფოდან ახლადგამოსულ ჯევრიეს ტანი სუფთა ჰქონდა.

სანამ ის იხდიდა, კაცი განზე იცქირებოდა. როცა ჯევრიე ლოგინში შეწვა, ისიც ლოგინისაკენ წამოვიდა.

— შენც წვები? — იკითხა ჯევრიემ და გვერდზე გაიწია.

— არა. მე არ დავწვები. ცოტა საქმე მაქვს.

ჯევრიე განცვიფრებული თვალებით უყურებდა მას. თუ მასთან არ დაწვებოდა, ნეტავ რაღას მოჰყავდა შინ. კიბეზედაც ხომ ხელით ამოიყვანა.

ის ერთადერთ მამაკაცს იცნობდა, რომელიც ადამიანს ბინას მისცემდა თავის სახლში და სამაგიეროს კი არაფერს სთხოვდა.

ეს კაცი ბარბაა.

ოღონდ ის ერთი ბებრუცუნა იყო. ეს კი ჯერ ახალგაზრდაა. მერე, რაც არ უნდა იყოს, ჯევრიე ბარბას ხელში გაიზარდა. ბარბას ჯერ კიდევ იმ დროიდან ახსოვდა ჯევრიე, როცა ის „თითის სიგრძე ლაწირაკი“ იყო. და ეს ასე იყო მუდამ, სანამ ის „ფოსფორიანის“ სახელით არ გახდა ცნობილი. ეხლა ბარბაც შეეჩვია მის ახალ მეტსახელს და ისიც „ფოსფორიანს“ ეძახის.

*

* *

უცხო კაცმა ხელი ჯევრიესაკენ წაიღო და შუბლი მოუსინჯა:

— ცოტა სიცხე გაქვთ, ალბათ, — თქვა მან.

— არ ვიცი.

— აბა ვნახოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან უჯრიდან სიცხის საზომი ამოიღო და ისევ ჯევრიესთან მივიდა. სიცხის საზომი იღლიაში ჩაიდეო უთხრა, თვითონ ტახტზე ჩამოჯდა და დაელოდა.

— თერმომეტრი მომეცით, — უთხრა მან ცოტა ხნის შემდეგ, სიცხის საზომი გამოართვა, სინათლისკენ დაიჭირა და დაჰხედა. შემდეგ კი ისევ პულსი გაუსინჯა და დააყოლა:

— ეხლა სიცხის დასაკლებ წამალს მოგცემთ.

ჯევრიე გრძნობდა, რომ ღირსეულად უნდა ჭეროდა თავი. გაახსენდა, რომ საავადმყოფოში მის პალატაში ერთი მოხუცი ქალი ექიმზე ამბობდა „თერაპევტიაო". ჯევრიემ ის მაღალფარდოვან სიტყვად აღიქვა და ამ უცხო კაცსაც ასე მიმართა:

— შენ თერაპევტი ხარ? — ჰკითხა ჯევრიემ.

კაცს ისევ გაეღიმა.

— არა, ექიმი არა ვარ, მაგრამ როგორც ყოველ ადამიანს, ცოტა რამ მეც გამეგება ავადმყოფობისა, — უთხრა მან ჯევრიეს და წყალი და აბი მიუტანა.

— ეხლა ეს გადაყლაპეთ. ხვალ ღამემდე აქა ხართ, ჩემი სტუმარი იქნებით. მთელი ღამე და მთელი დღე უნდა იწვეთ. თუ კარგად გახდებით, ღამე წახვალთ. ეხლა კი კარგად დაიძინეთ და დაისვენეთ.

ჯევრიე ვერაფერს ხვდებოდა:

— კარგი მაგრამ, შენ რაღა უნდა გააკეთო? — იკითხა მან.

— მე ტახტზე დავწვები.

— მე აქ რისთვის მომიყვანე? — გაკვირვებით ჰკითხა ჯევრიემ და სახეში მიაცქერდა. ის თითქოს ვერაფერსა ხვდებოდა.

— ავადა ხართ... დაისვენებს-მეთქი და წამოგიყვანეთ.

— სულ ეგ არის?

— დიახ.

ჯევრიე ისევ მიაცქერდა. ვერ მიმხვდარიყო რა ხდებოდა მის თვალწინ.

— მამაკაცებს, რომელთაც ქალები მოჰყავთ თავის სახლში, ჩვეულებრივ...—დააპირა ჯევრიემ რაღაცის თქმა, მაგრამ აღარ გააგრძელა.

— მე თქვენ აქ ავადმყოფობის გამო წამოგიყვანეთ, — უპასუხა მან და ტახტისაკენ წავიდა.

— ეხლა დაიხურეთ, დილამდე ყველაფერი გაგივლით. მე კი ჩაის მოგიმზადებთ. ჩაის შემდეგ კარგად დაგეძინებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

თუკი ასე ეშინოდა ყველაფრისა და ეგონა, რომ უთვალთვალებენ, რატომ მიიყვანა სახლში და სიარულის ნებაც დართო?

ჯევრიე იმ ღამის შემდეგ მთელი კვირა იწვა გაცივებული. ის კი უვლიდა ამ ახალგაზრდა ქალს. ჯევრიე მართალი იყო, როცა ის ექიმი ეგონა, ის ხომ ექიმივით უვლიდა ავადმყოფს.

ჯევრიეს არასდროს არ ესმოდა, რატომ, რა მიზეზით მოექცა ის ასე კეთილად. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ჯევრიემ ეხლაც არ იცოდა, რას ფიქრობდა ის მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

კვირის თავზე, როცა გამოკეთდა და ერთ ღამეს უკვე უნდა წასულიყო ამ სახლიდან, ჯევრიემ იკითხა:

— ისევ მოვიდე შენთან?

ის სახეზე მიაცქერდა, თითქოს ეკითხებოდა რისთვისაო და ბოლოს უთხრა:

— აბა, რაღად გჭირდება?..

ეს პასუხი ჯევრიეს საწყენად მოხვდა.

— შენ მე ბევრი სიკეთე მიყავ, მთელი დღეები შენს საწოლში გამატარებინე. წამალი არ დამაკელი და მოვლა. სამაგიეროდ კი არაფერი გითხოვია...

— რა, ფული ხომ არ გინდა მომცე ღამის გათევისა და მკურნალობისათვის? — ჰკითხა მან.

კაცი თითქოს ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა ჯევრიეს. ქალმა უხერხულობა იგრძნო მის წინაშე.

ამ კაცთან შეხვედრის შემდეგ ეს პირველი იყო, როცა მან სირცხვილი იგრძნო.

პირველად კი მაშინ შერცხვა საშინლად, როცა მის სახლში მისული მის ლოგინში ჩაწვა და გვერდზე გაიწია, რომ მისთვის ადგილი დაეთმო, ის კი თითქოს ვერ მიხვდა ამას.

*

* *

— ჩემი მეგობარი ციხეშია! — გაიძახოდა მაგიდაზე ხელებდაწყობილი ჯევრიე.

თუმცა არც მის სახლში, სადაც მან ერთი კვირა გაატარა, არც შემდეგ, არასდროს, ისინი ერთმანეთს არ გადახვევიან. მათი ურთიერთობა სულ სხვა იყო და სხვა მამაკაცებთან ურთიერთობას არაფერით არა ჰგავდა.

მაგრამ მის სახლში, მის საწოლში გატარებული შვიდი დღე ყველაზე უფრო სასიამოვნო მოსაგონარი იყო მის ცხოვრებაში. რა იყო ამ ბედნიერების მიზეზი?

პირველ ხანებში ფიქრობდა, რომ ეს იყო მადლიერების გრძნობა ავადმყოფობის დროს გაწეული დახმარებისათვის.

„საავადმყოფოდან გამოსული, უფულო, სიკვდილის პირზე მისული, ნავიდან რომ გადმოვეგდე და გაქცეულიყო, ხომ ნამდვილად მოვკვდებოდი“ — ფიქრობდა ჯევრიე.

შინ წაიყვანა, ახლობელივით მოუარა, წამალი და ცაცხვის ჩაი არ დააკლო, — ყველაფერი ეს მადლიერების გრძნობით ავსებდა ჯევრიეს მიამიტ გულს.

განსაკუთრებით კი ის აკვირვებდა და აფიქრებდა ჯევრიეს, რომ არასოდეს მას ქუჩის ქალივით არ მოქცევია. ეს ზოგჯერ თავმოყვარეობის შელახვადაც ეჩვენებოდა, მაგრამ მაინც ძალიან მოსწონდა ასეთი დამოკიდებულება. ქუჩის ქალობა იქეთ იყოს და ისიც კი არასოდეს უგრძნობინებია, რომ ქალი იყო.

ი ს პირველსავე დღეს პატივით შეხვდა მას, თქვენობით მიმართა და ახლაც თქვენობით მიმართავდა ხოლმე.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, ჯევრიე ლოგინიდან არ ამდგარა. „ამერიკის მეფეც კი არ ნებივრობს ასე“,—ფიქრობდა ის და, ნებიერად გაწოლილი, კმაყოფილებას გრძნობდა, რომ თავს ევლებოდნენ, დაჰხედავდნენ, რძეს და ჩაის მოუტანდნენ.

როცა ჯევრიე პირველად შევიდა ოთახში, კარ-ფანჯრებზე ფარდები, ლურჯი სინათლე და მისი სიფრთხილე შენიშნა, მიხვდა, რომ ამ კაცს ჩვეულებრივი ცხოვრება არა ჰქონდა, ხოლო როცა ერთი კვირა იცხოვრა მასთან, ნახა, რომ ეს კაცი ფარულად ცხოვრობდა აქ.

ჯევრიე ბავშვი არ იყო. ყველაფერი კარგად ესმოდა. ეს ისეთი კაცი იყო, რომელიც პოლიციას გაურბის, დევნისა ეშინია და რაღაც საიდუმლო საქმეებს აკეთებს. დღისით ის მუდამ შინ იჯდა. გულაღმა

იწვა ტახტზე, ზედი-ზედ ეწეოდა პაპიროსს, არ ინძრეოდა, არ სუნთქავ-და თითქოს და ჯევრიესაც აფრთხილებდა, არ გაინძრე და არ ხმალიროთ.

— მე უმუშევარი ვარ. ეს ერთი ვაჭრის საწყობია. ამ ვაჭრის ყარაული ჩემი ნათესავია. ეს ოთახი ცარიელია და მე მომცა. არავინ არ იცის, რომ აქა ვარ. — ეუბნებოდა ის ჯევრიეს.

ჯევრიეს არ უნდა, რომ ჩაეკითხოს. გინდ უსაქმური იყოს, რომელიც შინ იმალება, გინდ ბოროტმომქმედი, ათი კაცის ცოდო რომ ადევს კისერზე. ჯევრიეს თვალში მისი ფასი და მნიშვნელობა მაინც არასდროს არ შეიცვლებოდა.

ის ერთადერთი კაცი იყო, რომლის ლოგინშიც მან ერთი კვირა გაატარა, ერთი კვირა მარტო იყო მასთან და მას კი ხელზე ხელიც არ დაუკარებია მისთვის, ხელის ხლებაც კი არ უცდია.

მისი ქალობის მიმართ ასეთმა გულგრილობამ, რასაკვირველია, ძალიან იმოქმედა ჯევრიეს თავმოყვარეობაზე.

მაგრამ ამ კაცის საქციელში ისეთი რამეც იყო, რაც ჯევრიეს ძალიან სიამოვნებდა.

„ის მე არ მექცევა ისე, როგორც ქუჩის ქალს!—ფიქრობდა ჯევრიე.—ნუთუ ვერ ხვდება რა საქონელიცა ვარ. არც ისეთ არიფსა გავს, რომ ვერ მიხვდეს. რაღაცისა ეშინია ძალიან“.

ის მხოლოდ ღამ-ღამობით დგებოდა ტახტიდან. კარგად რომ დაბნელდებოდა, გარეთ მაშინ გავიდოდა.

— ფრთხილად იყავი, არსად გახვიდე! — დაიბარებდა ხოლმე წასვლისას.

ჯევრიეს ძალიან აინტერესებდა რა იდო ტომრებში, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ მითვალთვალებს რას ვაკეთებო და ელოდებოდა მის დაბრუნებას.

ღუმელს მთელი დღე არ აქრობდა ჯევრიე, რომ მისი მოსვლისათვის თბილი ყოფილიყო.

კიბეებზე მისი ფეხის ხმის გაგონება შეუძლებელი იყო. ის მოულოდნელად დააკაკუნებდა ხოლმე კარზე. ჩუმად იცოდა დაკაკუნება... ჯევრიე ლოგინიდან წამოდგებოდა, კარებს მიუახლოვდებოდა, დიდ სინათლეს ჩააქრობდა, ლურჯს აანთებდა და კარებს გააღებდა.

შემდეგ კარგად ააფარებდნენ კარის ფარდას და ისევ აანთებდნენ დიდ სინათლეს.

— თქვენ დაწექით, დაისვენეთ. — ეტყოდა ხოლმე ის ჯევრიეს. ის ყოველთვის მოზრდილი და მძიმე პაკეტით მოდიოდა. ამ ტყვიასავით მძიმე პაკეტს სადმე დადებდა და გამზადებულ ჩაის რომ [illegible], საყვედურით ეტყოდა ჯევრიეს:

— თქვენ ავადა ხართ, რატომ გააკეთეთ. მე მოვიდოდი და ავადუღებდი.

ჯევრიე მაშინ ხვდებოდა, რომ სრულიად ქვეცნობიერად, თითქოს თავის ჩვეულებრივ საქმეს აკეთებსო, ჩაის ახვედრებდა ხოლმე მას.

*

* *

იმ დღეებში, როცა გამოკეთება დაიწყო, ისევ გაახსენდა, რომ ქუჩის ქალი იყო.

იწვა ჯევრიე ლოგინში და ცდილობდა ეგრძნობინებია, რომ ლამაზი და საასურველი ქალი იყო.

მაგრამ ის ფარდის უკან გადიოდა და ყოველ საღამოს რაღაც ლითონის პატარა ნაჭრებს ალაგებდა ყუთიდან.

„ნამდვილად კონტრაბანდისტია“, — ფიქრობდა ჯევრიე.

ნეტავ რას აკეთებდა ღამ-ღამობით?

ჯევრიემ იცოდა, რომ მთელი მისი ყურადღება მაგიდაზე დაწყობილ ლითონის ნაჭრებისკენ იყო მიპყრობილი.

„ნამდვილად ყავს მეგობარი, ის უყვარს და ამიტომ არ უყურებს ქალებს, — ფიქრობდა ჯევრიე. — ნეტავ სადა ყავს ის მეგობარი? ნუთუ ყოველ საღამოს მის სანახავად დადის? არა, ის არა გავს ისეთ კაცს, რომელიც სატრფოს სანახავად დადის...“

„კონტრაბანდისტია.“

„დიახ, ნამდვილად, ან ქურდია, ან კონტრაბანდისტი. ღამე მუშაობს.“ ნავი რომ გაახსენდა, კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ კონტრაბანდისტი იყო.

ასეთ შემთხვევაში მთლად გაუგებარია ამ მარტოხელა კაცის საქციელი, რომელსაც ერთი კვირა ქალი ეწვა ლოგინში და ზედ არც კი შეუხედავს.

„ნამდვილად არ მოვწონვარ“, ფიქრობდა ჯევრიე. იგი სუფთად იცვამდა და უფრო მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდა, ვიდრე ყველა ის მამაკაცი, ვინც აქამდე ჯევრიეს შეხვედრია ცხოვრებაში.

იმ უჩინარ ნათესავს, რომელიც დილაობით საჭმელს ტოვებდა ნოლმე კარებთან და შიგ არასდროს შემოდიოდა, მისთვის ყველა გაზეთებიც მოჰქონდა.

ეს კაცი ნასწავლი უნდა ყოფილიყო, რადგან დროს გაზეთების, ზოგჯერ კი წიგნის კითხვასა და წერაში ატარებდა.

*

* *

— ხელახლა რომ მოხვიდე, რა გინდა? — უთხრა მან ჯევრიეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ბევრჯერ იყო იმ სახლში.

აქედან მ ა ნ ისევე გააცილა ჯევრიე, როგორც თავის დროზე მოიყვანა კიდეც. სახლი გამზირის ყველაზე უფრო ჩაბნელებულ ადგილზე იდგა. ეხლა ჯევრიე ავად აღარ იყო, თავბრუ არ ესხმოდა და ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ ის ადგილი ვერ ეპოვნა. ის ხელის გულივით იცნობდა გალათას...

სტამბოლი მისთვის საკუთარ სამფლობელოსავით იყო. მთელმა მისმა სიცოცხლემ ქუჩებში განვლო და ქალაქში კუთხე არ იყო, რომ ჯევრიეს არა სცოდნოდა. მ ა ს თ ა ნ განშორებისას პირველად იგრძნო განშორების გულისტკივილი. ეს ბნელ კუთხეში მოხდა.

— აბა, ბედნიერად იყავით.

— შენგან იმდენი სიკეთე მახსოვს, რომ... — უთხრა ჯევრიემ, ორივე ხელი სტაცა თავის მხარზე ჩამოდებულ მის ხელს და აკოცა.

ეს ყველაფერი ისე უცბად მოხდა, რომ ახალგაზრდა კაცმა ხელის გაწევა ვერ მოასწრო.

— რასა შვრებით! — ხმადაბლა უთხრა მან ჯევრიეს.

ეხლა კი გაქცევა იყო საჭირო, რადგან ამ გაჭიანურებულ გამოთხოვებაში რაღაც გულსაკლავს გრძნობდა.

„ვინ არის ეს კაცი ჩემთვის?“ — თავისთვის გაიფიქრა ჯევრიემ და ნიავივით გაქრა ბნელ ქუჩაში.

ქუჩები სველი და ტალახიანი იყო. ჯევრიე ისე ღრმად სუნთქავდა, თითქოს ღვინის სარდაფებიდან და დუქნებიდან ამოსულ სურნელს თავის ფილტვებში უპირებდა მომწყვდევას.

„ეხლა მაინც ამოვისუნთქავ თავისუფლადო,“ — ფიქრობდა ჯევრიე საავადმყოფოსა და შემდეგ სხვენზე იმ უენო და უცნაურ ადამიანთან გატარებული ერთი კვირის შემდეგ.

ეხლა მას აღარ ეშინოდა, რომ თავბრუ დაეხვეოდა და ბინა არა ჰქონდა თავშესაფარად ამ უცნობ ქუჩებში. მან ხომ მთელი თავისი სიცოცხლე ასე გაატარა. იშვიათად ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი კვირა ზედიზედ ერთ ადგილას ეცხოვრა, ერთ ადგილას სძინებოდა.

განშორების გულისტკივილი თითქოს უკვე გაითქვიფა კმაყოფილების იმ გრძნობაში, რომელსაც მას თავისუფლად ხეტიალი გვრიდა.

პირველი, სადაც ჯევრიე იმ ღამეს მივიდა, ბარბას დუქანი იყო.

ბარბა, როგორც ყოველთვის, წვერგაუპარსავი და თმაგაწეწილი, ჭუჭყიანი წინსაფრით იჯდა დახლთან. მოქეიფეები წასულ-წამოსულიყვნენ. დუქანში აღარავინ იყო.

— ვაი, შენა ხარ, ფოსფორიანო? — შესძახა ბარბამ და სიხარულით ხელები მოიფშვნიტა მის დანახვაზე.

— მე ვარ, ჩემო ბარბავ, მე. — უპასუხა ჯევრიემ, დახლზე გადაიხარა, კისერზე მოეხვია ბებერ ბერძენს და ორივე ლოყა დაუკოცნა.

— უჰ, უჰ, რასა შვრები, გოგო!

— შენა გკოცნი, ჩემო ტკბილო, შვიდი კვირაა ლუზაზე ვდგავარ. ეხლა ისევ ავიშვი. ცოტა უნდა ვიბალახოთ, ჩემო ბარბავ.

— გეყო, ფოსფორიანო...

— ხომ იცი, რომ მიყვარხარ.

— ყველა გოგოებს ბარბა უყვართ, როცა მეგობრები არა ყავთ ხოლმე...

— ბარბა, განა შენს გარდა ვინმეს მივეკარები.

— მენავე მაჰმუდი სად არის?

— მოეშვი ერთი იმ უჯიშოს. მისი ნაბიჭვრის მოსაშორებლად საავადმყოფოში დავწექი, მას კი ერთი კოლოფი „იენიჯე“ კი არა, „ფაშაც“[1] არ მოუტანია. გამოვედი საავადმყოფოდან, გავიხედ-გამოვიხედე, სად არის, ფრრრ!

— ბავშვი რა უყავი, ფოსფორიანო?

---

[1] „იენიჯე“ და „ფაშა“ სიგარეტებია, ერთი ძვირფასი, მეორე იაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რა ვუყავი, ბარბა, ალაჰმა უყო...

— ალაჰმა? ცოდოა ჯევრიე. ალაჰი მაგისთანებს არა შერგება.

— არაო, ამბობ. მაშ შენი ფანაია[1]... რაას იტყვი?

— თავი დაანებე ფანაიას..

— არ ეპრიანება და თავი დაანებე! ფანაიამ თუ ქნა — სიკეთეა, ფოსფორიანმა თუ ჩაიდინა — ცოდოა. იმას სანთელს დაუნთებ, მე...

— შენთვის გული მეწვის, ჯევრიე...

ბარბა ჯევრიესთან მივიდა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

— ეხლა რა გინდა ჩემგან...

— ჯერ ერთი, ფარა არა მაქვს... თუ მენდობი, ერთი კარგად უნდა მაჭამო, მშია. თუ არა და დამპატიჟე... შენს ხარჯზე...

— საავადმყოფოდან ხარ გამოსული, ეს ერთი ჩემგან დალიე...

— მეორე რომ იყოს?

— ის ნისიად...

— აი, იცოცხლე ბარბა. ღმერთს იმიტომ გაუჩენიხარ, რომ მე ობოლი არ ვიყო. — წამოიძახა ჯევრიემ და იქვე დახლთან ორი არაყი გადაჰკრა.

— ერთი მითხარ, ბარბა, ბიჭებიდან არავინ გამოჩენილა?

— ცოტა ხნის წინ ფანთომა[2]-ათიფი იყო, მაგრამ დიდ ხანს არ დარჩენილა... ფეხზევე ყლურწა სამი და მოუსვა...

— საით წავიდა ნეტავ?

— ანკესის სროლას აპირებდა... ოღონდ არ ვიცი რა ტალღაზე.

— ის კაცი მუდამ აღელვებულ ზღვასავითაა. ტალღები არ აკლია. ან ბანკში წავიდა სალაროს გასატეხად, ან კიდევ ვინმე ქალი ჰყავს და ფული უნდა შეაწეროს.

— შენ რა უნდა გააკეთო ამ საღამოს?

— მეც ვისვრი ანკესს, ბარბა, თუ ყისმათი მაქვს, რამე ამოყვება, თუ არა და... მოვალ და უკანა ფანჯარაზე დაგიკაკუნებ... საავადმყოფოდან ახალი გამოსული ვარ, ღამე სიცივეში რომ გავატარო, ხომ გავჭიმე ფეხები.

— მობრძანდი, ფოსფორიანო. რა ჩვენი ოთახი და რა ოტელ „იმპერიალი“ ან „გრანდ ოტელი“...

---

[1] ფ ა ნ ა ი ა — ღვთისმშობელი.
[2] ფ ა ნ თ ო მ ა — მოჩვენება, აჩრდილი.

ორი ჭიქის შემდეგ საკმაოდ შეხურებული ჯევრიე დუქნის ეზოში გავიდა, გიჟივით მოიარა კარაქიოისა და ბეიოღლუს ქუჩები და ღამის დანარჩენი ნაწილი ერთ ახალგაზრდა რეციდივისტთან გაატარა, რომელიც გზაში შეხვდა.

ჯევრიეს უცბად გაახსენდა სახლი ნეჯათიბეის ქუჩაზე, ფარული ოთახი იმ სახლის თავზე, ბრჭყვიალა სინათლე, სასიამოვნო სითბო, მისი სახე... და გულზე ნაღველი მოაწვა.

„ნეტავ რა მემართება?“ — გაიფიქრა ჯევრიემ.

რასაც იმ წუთში ჯევრიე გრძნობდა, თავის ცხოვრებაში არასოდეს უგრძვნია წინათ...

ის მთლად გულგრილი როდი იყო მამაკაცებისადმი.

მამაკაცებს ან უბრალოდ ფულისათვის ანდა დროს გასატარებლად დაჰყვებოდა.

მაგრამ ყოველთვის ფულის გულისათვის როდი თმობდა ხოლმე თავის სხეულს. ხან ვინმე შავტუხა ბიჭი მოეწონებოდა, ხან ქერა ახალგაზრდა, ხან ვინმე წაბლისფერთმიანი ვაჟკაცი და რამდენიმე საათს ან მთელ ღამეს გაატარებდა მათთან მხოლოდ იმიტომ, რომ მოსწონდა. მაგრამ ის გრძნობა, რომელიც მას აქამდე ჰქონია მამაკაცისადმი, არასოდეს არ გასცილებია ამ მოწონებასა და სიმპათიებს. არასოდეს არა სდომებია მათი ნახვა ერთზე მეტად და თუ უნახავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მოითხოვდნენ დაჟინებით ან კიდევ შემთხვევით თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

იმ ღამეს კი, სავსე სუფრასთან, მწვანეთვალება ქერა გულუხვი ახალგაზრდის გვერდით, რომელიც არც შესახედად იყო ურიგო ბიჭი, ჯევრიეს უცბად ი ს მოენატრა...

მის გახსენებაზე თვალწინ წარმოუდგა დღეები, როცა ავად იყო და ლოგინში იწვა. გაახსენდა როგორ იწვა ნავში, ზედ მისი სქელი პალტო ეხურა და ვარსკვლავებს შესცქეროდა, გაახსენდა უცნაური მოგზაურობა ბნელით მოსილ ზღვაში.

გაახსენდა ქერა მამაკაცი, როელიც თქვენობით მიმართავდა მას და რომლის სახელიც არასოდეს არ იცოდა. გაახსენდა მისი ხმა... და საშინელმა ნაღველმა... სამშობლოს ნატვრის მსგავსმა, მთელი ეს სუფრა მოუშხამა... ჯევრიეს შეზიზღდა ეს გულუხვი ყმაწვილი და იმაზე დაიწყო ფიქრი, რომ როგორმე მალე მოეშორებინა ის თავიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯევრიეს კარგად ახსოვდა მისი პასუხი:

— რისთვისღა უნდა მოხვიდე, — უთხრა მან, როცა, კიდევ მოვიდე თუ არაო, ჰკითხა ჯევრიემ.

მართლაც, თითქოს ნამდვილად არ არსებობდა ამისი საჭიროება.

მაგრამ ეხლა, ამ წუთში იქ წასვლა ჯევრიესათვის უბრალო საჭიროება როდი იყო. ეხლა მისთვის ეს ყველაზე გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა.

დიახ, ეს ჩვეულებად ქცეული მოთხოვნილება იყო.

ამ დაუძლეველი მოთხოვნილებით შეპყრობილი გამოვიდა ის დუქნიდან და ფინდიქლიში გაჰყვა ქერა ახალგაზრდას.

ფინდიქლიში ტკბილეულობის დუქნის უკანა კიბით ისინი მაღლა ავიდნენ ერთ ოთახში, აქ ერთი საწოლი იდგა. ფანჯარაზე დამტვრეული სარკე მოჩანდა. ელექტრონის შნური, რომლის ბოლოზეც ლამფა ღაფავდა სულს, ბუზებს წაებილწათ.

ამ ოთახში გატარებული დრო, უეჭველია, ყველაზე უფრო სატანჯველი წუთები იყო ჯევრიეს ცხოვრებაში.

ასე ეგონა, არასოდეს მოეღებოდა ამას ბოლო. ამ მთვრალი კაცის მკლავები არასოდეს დაეხსნებოდნენ მის სხეულს.

ჯევრიემ შვებით ამოისუნთქა, როცა თავი დააღწია ხვევნა-ბღლარძუნს, რომელსაც მისი სხეული გულგრილად იტანდა, ხოლო თვითონ მასში ზიზღს იწვევდა. როცა ჯევრიე სარკის წინ თმას ისწორებდა, მძინარე მამაკაცი უკვე დიდი ხნის ამოშლილი იყო მისი მეხსიერებიდან.

წასვლის წინ ჯევრიე მიუახლოვდა მას და შეანჯღრია:

— რა ცხენივით ხვიხვინებ, ფული დაყაჭე.

კაცმა თვალები გაახილა. ჯევრიეს შეხედა და ერთი მაგრად შეიგინა. შემდეგ იატაკზე დაგდებული პიჯაკის ჯიბე მოიქექა და ჯევრიეს ხელში ფული მიაჩეჩა.

მართალია, ჯევრიეს ძალიან სწყუროდა აქედან წასვლა, მაგრამ პროფესიონალურმა ცნობისმოყვარეობამ მაინც სძლია: მუჭი გაშალა და ფულს დაჰედა. შიგ ერთი ვერცხლის ლირა და ორი ყურუში იდო.

გახარებულმა ისევ შეკრა მუჭი და კიბეებისაკენ გასწია.

ქუჩაში ჯევრიემ ღრმად შეისუნთქა ჰაერი. არყისა და იაფი შეჭამანდის შემდეგ იმ უჰაერო ოთახში ყოფნამ, სადაც ქუნჯუთის ზეთის,

მუცლის ქონის, ტკბილი ცომისა და თამბაქოს სუნი იდგა, ჯევრიეს გული აურია. ამიტომ, სიცივის მიუხედავად, სუფთა ჰაერი მაინც მოვნა.

საავადმყოფოდან ახალი გამოსული იყო, თავს ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა. მაგრამ ფინდიქლიდან კარაქიოიში მაინც ფეხით წავიდა.

მთელი გზა მუხლები უკანკალებდა. სულ სადმე ჩამოჯდომა და დასვენება ენატრებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და ცდილობდა ჩქარა ეცლო.

მოთმინება აღარ ყოფნიდა ნახვამდე...

ჯევრიეს ერთი სული ჰქონდა, სანამ იმ ოთახში შევიდოდა, რომლის არსებობაც ნეჯათიბეის ქუჩაზე მყოფ სახლში აზრადაც არავის მოსდიოდა... იმ კოხტა, სუფთა და თბილ ოთახში შესულიყო და...

ჯევრიეს ისე მოენატრა ეს ოთახი, თითქოს წლების განმავლობაში ცხოვრობდა იქ. ისე მოენატრა, რომ მიახლოებისას გულმა სიხარულით დაუწყო ძგერა. ამ სახლიდან რომ მიდიოდა, ღამე იყო, მაგრამ ყურადღებით იცქირებოდა აქეთ-იქით, რომ მერე ხელახლა ეპოვნა, ნიშნებს ეძებდა, განუწყვეტლივ იმეორებდა მათ, ერთხელ კი დღისით მოვიდა და იქაურობა კარგად დაათვალიერა.

*
* *

სწორედ ამიტომ მაშინვე მონახა საჭირო კარი, თუმცა ბნელოდა და ამისთანა კარები აქ სხვაც ბევრი იყო.

ჯევრიე უყოყმანოდ გაემართა იმ კარისაკენ.

როცა კარს ხელი ჰკრა, ის, ისევე როგორც პირველ ღამეს, ღია დახვდა.

სიბნელეში ჯევრიე ჩრდილივით გაძვრა კარებში.

ვინმე უცხო რომ შემოხვდომოდა და ეკითხა, აქ რას აკეთებო, ის, რასაკვირველია, სიმართლეს არ უპასუხებდა და ეტყოდა, სახლი არა მაქვს და დასაძინებლად შემოვედიო.

დიდი-დიდი, ქურდი ეგონებოდათ და დაიჭერდნენ.

ეს არც ისე დიდი ამბავი იყო. ბოლოს და ბოლოს, პოლიციაში მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა იცნობდა. იქამდე ქურდობისათვის იქ არასოდეს ყოფილა ყველა-ყველა და, ამ ხნის განმავლობაში ქურდობის არც ერთი რეგისტრაცია არა ჰქონია. ამიტომ ადვილად დაუჯერებდნენ, რომ საქურდლად კი არა, ღამის გასათევად იყო მისული.

რომც არ დაეჯერებინათ, მაინც უნდა გაეშვათ, რადგან არაფერი მოუპარავს.

ამის თაობაზე ჯევრიეს საკმარისი გამოცდილება ჰქონდა.

ეზო გაიარა... რამდენადაც ახსოვდა, კიბე მარჯვნივ იყო...

ქვის საფეხურები დაბალი იყო და განიერი... კიბეს ნელ-ნელა შეჰყვა. ყოველ საფეხურს თვლიდა. ჩამოსვლისასაც ასე მოიქცა, საფეხურებს ითვლიდა. ასე უკეთ მიხვდებოდა სად უნდა ასულიყო.

ასი საფეხური დათვალა...

მისი ანგარიშით კიბე აქ უნდა გათავებულიყო. მაგრამ კიბე გრძელდებოდა... ან მაშინ შეცდა, როცა ჩამოდიოდა... ანდა ეხლა კარგად ვერ დათვალა... უცბათ შიშმა შეიპყრო... რა ქნას... ბოლომდე იაროს ამ კიბეზე? ნეტავ ბევრია კიდევ ასასვლელი? იქნებ სართულია ორად გაყოფილი? მისი ოთახი კი სხვენშია, მაგრამ იქნებ შენობა ორი ნაწილისაგან შედგება? ცალ მხარეს უკანასკნელი სართული იქნებ მეორეზე უფრო დაბლაა? აქ ხომ ბევრი სახლია ასე აშენებული?

ჯევრიე გაჩერდა... დაბნეული და შეწუხებული იყო. ამ კაცის დაკარგვამ ჯევრიეში ისეთივე პანიკა გამოიწვია, როგორც პატარა ბავშვის გულში, ხალხში დედის დაკარგვამ. საცაა ტირილი წასკდებოდა.

„რა უნდა ვქნა?“ — იფიქრა მან და გადაწყვიტა ბოლომდე აევლო რკინის კიბეები და კიბის პირველსავე მოედნამდე მისულიყო... კიდევ რვა საფეხური აიარა.

ეხლა ის კიბის ვიწრო მოედანზე იდგა. ჯერ მარჯვნივ წავიდა... რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კარებს მიადგა... კარებს გვერდი აუარა და მარცხნივ წავიდა. კიდევ ერთი კარი. მერე მარცხნივ იარა და მარჯვენა კარის პირდაპირ კიდევ ერთი კარი ნახა... შემდეგ ისევ კიბე იყო... მისი კარი ერთი ამ სამთაგანი იყო. მაგრამ რომელი?

ოთახიდან რომ გამოვიდნენ, პირდაპირ იარეს. ნამდვილად შუა კარი უნდა იყოს, მაგრამ ჯევრიე კარგად არ იყო ამაში დარწმუნებული.

მაშინ ჯევრიემ სამივე კარს ჩამოუარა და ისე დააკაკუნა, როგორც საჭმლის მომტანი აკაკუნებდა ხოლმე მისი იქ ყოფნის დროს.

ეს ძნელი არ იყო... ჯერ ორჯერ დააკაკუნებდა ზედი-ზედ. შემდეგ სამჯერ დააკაკუნებდა და გაჩერდებოდა, ბოლოს კი ერთხელ დააკაკუნებდა.

ფრთხილად დააკაკუნა სამივე კარზე...

მაგრამ ხმა არავინ გასცა...

ის ან შინ არ არის, ანდა არც ერთი ეს კარი მისი ოთახისა არ იყო. იქნებ წასულიც იყო აქედან.

ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ჯევრიემ მაშინვე ამოიგდო თავიდან.

ის ხომ კარგად იყო მოწყობილი ამ სახლში. ნეტავ რატომ უნდა წასულიყო ასე უცბად?

ჯევრიე ბევრ ხალხს შეხვედრია თავისი სიცოცხლის მანძილზე. ზოგი მხოლოდ ერთხელ უნახავს.

ის ხალხი ჯევრიეს ქუჩის კუთხეში ხვდებოდა და ასევე ქუჩის კუთხეში შორდებოდა ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ.

ხალხის ბრბოდან მოდიოდნენ და ბრბოშივე იკარგებოდნენ...

ჯევრიეს არცერთი მათგანის ნახვა ისე არ მონატრებია, როგორც ამ უცხო კაცის ნახვა ენატრებოდა. და არასდროს ისეთი შიში არ უგრძვნია, როგორც ეხლა, როცა გაიფიქრა — ნეტავ თუ ვნახავო?

„რა ვქნა?“ — იფიქრა ჯევრიემ, როცა ნახა რომ კარს არავინ აღებდა. ალბათ გასულია. ნამდვილად ასეა. უფრო გვიან მოვა. უმჯობესია დაელოდოს... ჯევრიე უკანასკნელ საფეხურზე ჩამოჯდა და მტვრიან მოაჯირს მიაყრდნო თავი.

ძალიან დაღლილი იყო... სხვა დროს ძილი ტყვიასავით დაუმძიმებდა თვალის ქუთუთოებს და ჯევრიე იქვე ჩათვლემდა. მაგრამ ეხლა არ იძინებდა.

ისე კი, განა სულ ასეთ მდგომარეობაში არ ეძინა ხოლმე მთელი თავისი სიცოცხლე, ასე სადღაც მიმჯდარსა და მიკრუნჩხულს. თითეებზე შეიძლებოდა ისეთი დღეების ჩამოთვლა, როცა ლოგინში ეძინა მშვიდად.

რამდენმა ხანმა გაიარა ასეთ მდგომარეობაში არ იცოდა — ნახევარმა საათმა თუ რამდენიმე საათმა.

ეს დრო ჯევრიეს ძალიან გრძლად მოეჩვენა, ასე ეგონა რამდენიმე თვემ განვლო.

როცა უკვე საშინელმა ნაღველმა მოიცვა და მთლად გადაიწყვიტა მისი ნახვის იმედი, კიბეებზე ფაჩუნი გაისმა.

ეს ფაჩუნი არ ჰგავდა ადამიანის ფეხის ხმას. მაგრამ ირგვლივ ისეთი იდუმალი გარემო შეიქმნა, რომელიც ლოდინში მყოფ ყურადღებადაძაბულ კაცს აფრთხილებდა — ვიღაცა მოდისო.

ის ვიღაცა ძალიან ფრთხილად მოდიოდა. ისე ფრთხილად, თითქოს ფეხსაც კი არ აკარებს საფეხურებსო.

„ის არის", — გაიფიქრა აღელვებულმა ჯევრიემ, ხელი მოაჯირს ჩასჭიდა, სუნთქვა შეიკრა და ყური მიუგდო.

დიახ, ვიღაცა უახლოვდებოდა, მოდიოდა, მოდიოდა... კიბეები უკვე დიდი ხანია ამოიარა... საცაა... ჯევრიე შიშმა შეიპყრო. ვაითუ ის არ არის... ვაითუ სხვაა. ვაითუ ყარაულია და ამოწმებს... არ უნდოდა რომ მის უნახავად შეეპყროთ.

ჯევრიემ იგრძნო, რომ ის ვიღაცა უკვე იმ კიბის ბოლოში იმყოფებოდა, რომლის თავშიც თვითონ იყო. კუნაპეტ სიბნელეს შეჩვეული ჯევრიეს თვალები ეხლა კარგად ამჩნევდნენ მუქ აჩრდილს, რომელიც ვეება კლდესავით უახლოვდებოდა მას.

ჯევრიე არ განძრეულა, რომ მისი ყურადღება არ მიექცია. აჩრდილი ზედ მას მოადგა. საცაა ფეხს დააბიჯებდა, მისი პალტოს კალთები უკვე სახეზე მოედო.

სანამ პალტო სახეზე არ მოხვდა, ჯევრიემ ვერ იცნო ვინ მოდიოდა.

მაგრამ პალტო შეეხო თუ არა, ისე გაიხარა, როგორც ძალლმა, პატრონს რომ იცნობს ხოლმე და მღელვარებისა და სიხარულისაგან გული აუფანცქალდა.

ამ ოდნავ ნამიანი პალტოს კალთებს წყალმცენარეებისა და ზღვის სუნი ასდიოდა. პაპიროსის სუნიც იგრძნო ჯევრიემ. ეს ის პაპიროსი იყო, რომელსაც ის ეწეოდა. ასეთი სუნი მის ოთახშიც იდგა. ეს მისი სუნი იყო... მას თავისი სუნი ჰქონდა.

ამ ნაჭერს, რომელიც მას სახეზე მოედო, სწორედ ის სუნი ასდიოდა, რომელიც ჯევრიემ ნავში იგრძნო... როცა ის გულალმა იწვა, გასცქეროდა უსასრულო ცასა და უთვალავ ვარსკვლავებს... როცა ის საშიშროების წინაშე იდგა, უფსკრულის პირას... ეს იმ ღამის სურნელი

იყო, როცა სიკვდილი ასე ახლო და, ასეთი გარდუვალი იყო, ხოლო თვით ღამე, თავისი სისასტიკის მიუხედავად, არაჩვეულებრივ ლამაზი და წარმოუდგენლად ნაღვლიანი ჩანდა.

ამ ნაჭერს იმ მშვიდი, თბილი და გამოჯანსაღების ტკბილი დღეების მოგონებაც ახლდა, დღეებისა, რომელიც ჯევრიემ მის ოთახში გაატარა.

*

* *

ჯევრიესათვის ფეხის წამოდება და უკან გახტომა ერთი იყო. მან ჭლვის სისწრაფით დაიხია უკან, თან დაიხარა და ხელი წაატანა ჯევრიეს... მაგრამ როცა შიშველ მკლავს წააწყდა, მიხვდა ვინც შეიძლება ყოფილიყო. მას ძალა აღარ დაუტანებია მკლავისთვის. ასევე სწრაფად მოსწია ჯევრიე მკლავში, ფეხზე დააყენა.

ჯევრიე ძალიან დაფრთხა, ისიც კი იფიქრა, არაფერი მიქნასო, მაგრამ გაახსენდა, რომ მას ძალიან ეშინოდა თავის გამომქღავნებისა, ამიტომ ენას კბილი დააჭირა და კრინტი არ დაუძრავს.

ეხლა ისინი უკვე ერთმანეთის გვერდით იდგნენ. ჯევრიე ორი საფეხურით უფრო მაღლა იდგა და შუბლზე გრძნობდა მის თბილ სუნთქვას.

მისი სხეული, რომელიც ცოტა ხნის წინ გულგრილი იყო ვიღაც მამაკაცის ხვევნა-ფერებისადმი, ეხლა უცნაურ სიამოვნებას გრძნობდა მისი თბილი სუნთქვისაგან.

მას ჯევრიესათვის ხელი აღარ გაუშვია. ისინი ერთად შევიდნენ ოთახში....

ოთახში შესვლისას მან ჯერ ლურჯი სინათლე აანთო. ჯევრიეს ძალიან უყვარდა მისი სახის ჭვრეტა ამ სინათლეზე.

ასეთ სინათლეზე იგი ქანდაკებას გავდა. ისეთი იერი ჰქონდა, როგორიც მას სხვაგან არსად უნახავს.

სანამ ის ფანჯრისა და კარის ფარდას ამოწმებდა, ჯევრიემ ნელი ნაბიჯით ღუმელისაკენ გასწია, იატაკიდან ასანთი აიღო, გაჰკრა და ღუმელთან მივიდა.

მ ა ნ ფარდები გაასწორა, დიდი სინათლე აანთო და ჯევრიესკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბრუნდა. სახე მოღუშული ჰქონდა. გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ სულაც არ იყო კმაყოფილი ჯევრიეს მოსვლით.

— რისთვის მოხვედით?—აკანკალებული და თავშეკავებული ხმით იკითხა მან. — განა არ გაგაფრთხილეთ რომ აღარ მოსულიყავით?

ჯევრიე დანაშაულზე წასწრებული ბავშვის თვალებით შესცქეროდა მას.

— დიახ... — წაილუღლუღა ჯევრიემ.

მართალი იყო... იგი მოითხოვდა, რომ ჯევრიე აღარ მოსულიყო აქ. აფრთხილებდა. ეგონა, ვეღარ მოაგნებდა აქაურობას.

ჯევრიე მიხვდა, რომ ამ საქციელით ძალიან წააგო მის თვალში.

— მაშ რატომ მოხვედით? — ჰკითხა მან ისევ გაბრაზებული ხმით.

განა ფარვანას ეკითხებიან, თავს რატომ იწვავ ცეცხლზეო? მოვიდა და გათავდა. ნებისყოფაზე უფრო ძლიერმა გრძნობამ გამოსწია აქეთკენ. ის ყოველთვის ივლის. იმ ცთომილების მსგავსად, რომლებიც მზის ორბიტაში არიან მოქცეულნი და მისგან იღებენ სიცოცხლის უნარს, ისიც სულ ამ ღერძის, ღუმელ-აგიზგიზებული ოთახის ირგვლივ იტრიალებს. მხოლოდ მეორედ მოსვლა თუ გაუქარწყლებს ამ გრძნობას, მოაშლევინებს ღერძის ირგვლივ ტრიალსა და მოწყვეტს აქაურობას.

*

* *

და აი, უეცრად დაიქცა ქვეყანა, მოიშალა ყველაფერი, ჯევრიე ძალით მოსწყვიტეს მზეს და წაიყვანეს. მას ერთი წლით წაართვეს მზე. მაგრამ როცა ის ხელახლა დაუბრუნდა ცხოვრებას, მიუხედავად ყოველგვარი აკრძალვისა, ისევ მზეს, თავის მზეს დაედევნა.

მაგრამ ვეღარ იპოვა...

ვერ იპოვა, მაგრამ გაიგო, რომ დაპატიმრებულია. ეხლა ის ციხეშია.

— გოგოს მაჯებზე მართლა ჰქონია დაღი,—ამბობდნენ მეინახეები.

ჯევრიეს ორივე მაჯაზე ხელბორკილი ჰქონდა გამოხატული. ჯევრიეს თავისი გულუბრყვილობით სჯეროდა, რომ ეს სასჯელს თუ არა, ნაღველს მაინც შეუმსუბუქებდა მ ა ს.

როცა მთვრალი ჯევრიე ბანცალ-ბანცალით გაემართა კარებისკენ, ზომბი მას აჩრდილივით აედევნა.

— ეხლა კი დამანებეთ თავი, თქვე ნაძირალებო,—ილანძღებოდა ჯევრიე, — ხელებზე კი არა, გულზე მაზის დაღი.

„ჩემს ჯევრიეს შავ თვალებზე ეტყობა!“

განაგრძობდა ბრმა მუსიკოსი, რომელმაც კარგად იცოდა, რაც იყო ნაღველი და ყურადღებას არ აქცევდა კარებისკენ მიმავალ მთვრალ ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ჩემს ჯევრიეს შავ თვალებზე ეტყობა

დიახ, ჯევრიეს თვალებზე ეტყობოდა... მის გულუბრყვილო, ბრიალა თვალებს სხვებსავით არ შეეძლოთ სულში მომხდარი ძვრების დამალვა.

ჯევრიეს დიდრონ შავ თვალებში სარკესავით ჩანდა მთელი მისი გრძნობები და შინაგანი სამყარო. ამ თვალებში პირწმინდად ამოიკითხავდით მთელ მის გრძნობებს.

ჯევრიეს რომ თავისი თავი მაშინ დაენახა სარკეში, როცა მას უცქერდა, რასაკვირველია, ვერ იცნობდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო და ჩეშმეიდნელებს აქ ენახათ ჯევრიე, გაუკვირდებოდათ — განა ეს არის ჩვენი ფოსფორიანიო?

აქ მის თვალებში არ ჩანდა ის მუდმივად გაცვეთილი, უსირცხვილო და ცინიკური გამოხედვა.

ეს თვალები ცხოვრებაში ახლად გამოსულ ახალგაზრდა გოგონას თვალებივით ყველგან და ყოველ წამს სასწაულის მოლოდინითა და სიწმინდით იყო სავსე.

ასე ალალად და ასე იმედით მხოლოდ ისეთი თვალები იცქირებიან, რომელთაც ჯერ არაფერი უნახავთ ცხოვრებაში და ყველაფერს მისგან მოელიან.

ეს ქუჩის ქალი, რომელიც კარგად იცნობდა მამაკაცებს მთელი თავისი ბილწი მიდრეკილებით და არასოდეს არ ყოფილა უმწიკვლო არც სულიერად და არც ხორციელად, ამ კაცს ისე შესცქეროდა, თითქოს არ იცის რა სიამოვნებას ანიჭებენ მამაკაცები ქალებს, უცქერდა

რაღაც გრძნობების კარნახით შეპყრობილი, უცხო ბედნიერებაზე მეოცნებე პატარა და უცოდველი ძუ, უცქერდა და გრძნობდა, რომ მის სულში იღვიძებდა დღემდე უცნობი გრძნობები, რომელთა ფესვებიც მხოლოდ ცქერაში როდი იყო.

ეს რაღაც გაურკვეველი და უცნაური შეგრძნება იყო. ეს იყო ძლიერი და ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა ჯევრიე. ეს გრძნობა მას არასოდეს განუცდია, ეს იცოდა მან და ამიტომ არც სახელი ჰქონდა მისთვის.

ჯევრიეს ეშინოდა, რომ ის მის თვალებში ამოიკითხავდა ამას, ამიტომ, დღემდე უცნობი ალღოთი, სახეს არიდებდა და ამ რიდიანობისა კიდევ ცალკე რცხვენოდა.

— თუ აქ მეტს აღარ მოხვალთ, უკეთესი იქნება,—უთხრა მან იმ საღამოს. — სრულებით ნუ მოხვალთ.

ჯევრიემ თანხმობის ნიშნად ისე ნაზად დაუქნია თავი, თითქოს ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო, რადგანაც შიშობდა, არ მითხრას—ეხლავე წადიო—და არ გამაგდოსო. მას ცოტა ხანს კიდევ უნდოდა ამ ოთახში დარჩენა. წადიო, რომ ეთქვა, ხომ იძულებული გახდებოდა წასულიყო.

მას ხშირად უთქვამს — მეტი აღარ მოხვიდეო, და ბარემ ამ მოსვლაზე მაინც დარჩენილიყო რაც შეიძლება მეტ ხანს.

მან პალტო თავის ადგილზე დაკიდა და მძიმე პაკეტი, რომელიც ყოველ მოსვლაზე მოჰქონდა ხოლმე, ჩვეულებრივად ფარდის უკან დადგა.

ის სხვა რაღაცით იყო გართული. ჯევრიე ფხიზლად უთვალთვალებდა. ასე შვრებოდა ის ყოველთვის. მას რომ დაძინებული ეგონა ან სხვა საქმით გართული, ჯევრიეს მაშინ თვალები მოჭუტული ჰქონდა და მას უცქეროდა.

მასაც მუდამ ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერც კი ამჩნევდა ახალგაზრდა ქალს.

ამჯერადაც ასე იყო...

თითქოს ჯევრიეს აქ ყოფნას ვერ ამჩნევსო, ეხლაც არ იცქირებოდა მისკენ და რაღაც წვრილმანი საქმეებით იყო გართული.

პიჯაკი გაიხადა, პერანგის მკლავები აიკეცა, მაგიდას მუშამბა გადა-

აფარა და თეფშები დააწყო. მაგრამ ყველაფერს უხერხულად აკეთებდა და ეტყობოდა, რომ ასეთ საქმეში გამოუცდელი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ღუმელზე დადგმული ჩაიდანი ადუღდა, მან ყუთიდან ჩაი ამოიღო და შიგ ჩაყარა.

— ძობრძანდით, ჩაი დალიეთ, რამე შეჭამეთ!—მიმართა მან ჯევრიეს ცოტა ხნის შემდეგ, როცა უკვე ჩაი გამოიხარშა.

ჯევრიე იმედს არ კარგავდა: რადგანაც ჯერ არ გამაგდო, ამაღამაც აქ დამტოვებსო.

ხოლო, როცა მაგიდასთან მიიპატიჟა, ეს სათუო იმედი უეცრად დიდ სიხარულად იქცა.

მისმა თვალებმა ველარ დამალა ვერც სიხარული, ვერც მადლიერების გრძნობა მისი აქ დატოვებისათვის.

— კარგი!—უპასუხა ჯევრიეს, მიაპყრო დიდრონი შავი თვალები, და მის პირდაპირ მიუჯდა მაგიდას.

ასე ერთად ისინი ჯევრიეს ავადმყოფობის დროსაც კი არა მსხდარან.

ჯევრიე კმაყოფილი იყო, რომ მის პირდაპირ იჯდა მაგიდასთან.

ჯევრიეს ჯერ არ უნახავს, რომ ვინმე ასე ჭამდეს... კარაქი... საკარაქეში იდო. ის დანით აიღებდა კარაქს, პურზე ჩამოუსვამდა, შემდეგ ყველს დაადებდა და შეჭამდა.

ჯევრიემ კი პურის მთელ ნაჭერზე დააცხო კარაქი, მარჯვნა ხელის ორი თითით ყველი დააჭირა, დიდრონ ლუკმებს დაუწყო კბეჩა და განცვიფრებული მიაცქერდა მას.

ყველაფერი უცნაურად ეჩვენებოდა ჯევრიეს. ისიც, როგორ ეჭირა მას დანა, და როგორ ღეჭავდა ლუკმას.

*

* *

ჯევრიე ეხლაც თვალებმოჭუტული ათვალიერებდა ოთახს.

„ცოლ-ქმარი ალბათ ასე ერთმანეთის პირდაპირ ზის თავის სახლში და ჭამს საჭმელს“,—ფიქრობდა ჯევრიე.

ჯევრიეს სხვა მამაკაცებთანაც უცხოვრია.

ერთხელ საბრიმ კარაქიოიში ნომერი იქირავა. სასტუმროს პატრონის ნებართვით ჯევრიეც ცხოვრობდა იქ რამდენიმე დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანებში საბრიმ ბლომად იშოვნა ფული...

მთელი კვირა ის უვლიდა ჯევრიეს.

საჭმელი და სასმელი სულ მისი იყო. ტანსაცმელი უყიდა, საცვალი, ჩანთა, პალტოც და ფეხსაცმელიც.

მაგრამ მერე კი, იცოცხლე, სულ ძმრად ადინა ცხვირიდან...

იმ დღეებშიც კი არა მსხდარან ჯევრიე და საბრი ერთად ოთახში და საჭმელი არ უჭამიათ.

საბრი ხელკავს გაუკეთებდა ჯევრიეს, კინოში წაიყვანდა, საღამოობით დუქანში დადიოდნენ.

ღამე კი სანდიკბურნუში[1] მიდიოდნენ ხოლმე. მეჯიდიექიოიში თუთის ჭალაში რა დროს ატარებდნენ! ერთი კვირის შემდეგ საბრი პოლიციამ გაბაწრა.

არა, იმ ერთ კვირას, რომელიც ჯევრიემ საბრისთან გაატარა, ცოლ-ქმრის ცხოვრებასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ცოლ-ქმრული ცხოვრება აი ეს იყო. ასეთ ოთახში, ყოველ დღე მამაკაცთან ერთად, ოღონდ ერთიდაიმავე კაცთან.

უეცრად ეს, ცოტა არ იყოს, მოსაწყენად მოეჩვენა... სულ ერთსადაიმავე კაცთან...

ქმრებს შორის, ალბათ, ვინ იცის რამდენი მახინჯი, რამდენი ბრიყვი და უყმური კაცია. „საწყალი გათხოვილი ქალები! — ფიქრობდა ჯევრიე და გულში ებრალებოდა კიდეც ისინი.—ბებერი, უშნო, რეგვენი და საზიზღარიც რომ იყოს, მაინც უნდა იცხოვრო ქმართან, ყოველ საღამოს უნდა მიუჯდე ამ ბეხრეკ ქმარს და საჭმელი ჭამო მასთან. მე რომ ვიყო, ერთ დღესაც არ მეყოფოდა მოთმინება, ვიფეთქებდი, ცოლ-ქმრული ცხოვრება ციხესა გავს“. — თქვა მან გულში და კაცს შეხედა.

„კი მაგრამ, მისი ცოლი რომ ვიყო?“—გაიფიქრა ჯევრიემ და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

დიახ, ასეთი ზღაპარიც კი აღელვებდა მას.

მისი ცოლობა... ეს ნამდვილად კარგი იქნებოდა. ჯევრიე მიხვდა, რომ მთელი სიცოცხლე არ მოსწყინდებოდა მასთან პირისპირ ჯდომა, საჭმლის ჭამა.

---

[1] სანდიკბურნუ — უბანია სტამბოლში.

ამან ძალიან გააკვირვა ჯევრიე.

„ნეტავ ცოლი თუ ყავს?—გაიფიქრა მან და როცა დაინახა, რომ თითზე საქორწინო ბეჭედი არ ეკეთა, განაგრძო,—არ ატარებს ამ დაწყევლილ ბეჭედს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. რამდენი მამაკაცია ბეჭედს ჯიბეში ატარებს, რომ არ აჩვენოს, ბორკილი მადევსო“. ამიტომაც დაინტერესდა—ცოლი თუ ყავსო.

„ყოველ შემთხვევაში, ცოლიანიც რომ არ იყოს, ვინმე ქალთან მაინც ექნება საქმე“, — გადაწყვიტა მან, რადგან კარგად იცნობდა მამაკაცებს. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ მამაკაცი იყო!

ჯევრიეს თავისი ცხოვრების გზაზე ბევრი მამაკაცი შეხვედრია, მაგრამ არ უნახავს, რომ რომელიმე მათგანი ამასავით გულგრილი ყოფილიყო მის მიმართ.

„რა გაპრანჭულ ვაჟბატონებს არა სდომებიათ ჩემი ერთი საღამოთი მაინც ხელში ჩაგდება!“

ერთხელ ერთმა პატიოსანმა კაცმა, შიშლიში, ზედ გამზირზე ერთ დიდებულ სახლში მიიყვანა იგი.

მთელი სახლი აბრეშუმით, ხავერდით და ხალიჩებით იყო მორთული.

ასეთ სახლებში მცხოვრები ვაჟბატონებიც კი არ იწუნებდნენ მას.

გაახსენდა, როგორ ეხვეოდა მას ეს ხნიერი კაცი და ეუბნებოდა: „ჩემო მეუფეო, ჩემო მეუფეო, შენისთანა ქალი ჩემს დღეში არ მინახავსო“. ჯევრიე კი დასცინოდა: „ჯერ ტუჩებზე რძე არ შეგშრობიაო“. — „მართლა, მაგრად გავაშაყირე ის კაცი!“

იმ კაცმა მთელი მუჭა ფული მისცა ჯევრიეს. ისიც კი უთხრა: „როცა გინდა, მაშინ მოდი ჩემთან, შენთვის ჩემი კარი ყოველთვის ღია არისო“.

მაგრამ სანამ ჯევრიემ იმოდენა ფული დახარჯა, იმდენი ხანი გავიდა, რომ იფიქრა, რომ მივიდე, ვაითუ ვერ მიცნოს და კიდეც გამომაგდოსო.

მას ღრმად სწამდა, რომ ეს პიჟონები უცნაური ხალხია.

ეს ვაჟბატონები ერთხელ დაგელაპარაკებიან, დაგიდნებიან, ცაზე აგიყვანენ, გეთაყვანებიან, მაგრამ თუ სადმე შეხვდი, შიშის კანკალი

აუტყდებათ, არ მიცნოსო. ამ რწმენას სხვა გოგოებშიც ჰქონდა ფესვები გადგმული.

ეჰ, ეს სტამბოლი, ადამიანების ეს ნამდვილი იარმუკა! ვინ არ უნახავს აქ ჯევრიეს.

„ასეთი კი ჯერ არ შემხვედრია“, — ფიქრობდა ჯევრიე.

ნეტავ რა ნახა ამ კაცში ასეთი არაჩვეულებრივი?

ის არც გარყვნილ პიჟონებს გავდა და არც ნაძირალებს.

მაშ ვისა გავდა? განა სხვანაირი ადამიანებიც არსებობენ პიჟონებისა და ნაძირალების გარდა?

ასეთ ადამიანებს ჯევრიე აქამდე არ იცნობდა.

*

* *

ის ჩაის სვამდა, ჯევრიეს არ უცქეროდა.

ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დაავიწყდა, რომ ჯევრიე იქ იყო. თეფშს კი დასცქეროდა, მაგრამ მისი გონება სადღაც სხვაგან დაქროდა.

იქნებ ჯევრიეზე იყო გაბრაზებული, რომ მოვიდა?

ალბათ მისმა მოსვლამ იმოქმედა და ამიტომ ჩანდა ასეთი განერვიულებული და თავშეუკავებელი?

წარბშეკრული სულ ერთ წერტილს დასცქეროდა... უმადოდ ჭამდა.

ჯევრიე კი მის პირდაპირ იჯდა და ნელ-ნელა წრუპავდა ჩაის, რომ დრო გაეყვანა.

თბილ ოთახში ყოფნა, მის პირდაპირ ჯდომა და ჩაის სმა ისე სიამოვნებდა ჯევრიეს, თითქოს ეს მისი დიდი ხნის ტკბილი ჩვევა ყოფილიყო და მასზე უარის თქმა ვერ წარმოედგინა.

ერთი რამ იყო მხოლოდ, რომელიც ამ გრძნობას უქარწყლებდა.

ჯევრიე ხედავდა, რომ ის ვერ გრძნობდა ამავე სიამოვნებას. და როცა მიხვდა, ცოტა არ იყოს გაუნაწყენიანდა, თუმცა ნათლად თვითონაც ვერ წარმოედგინა რაში იყო საქმე.

*

* *

რა უნდოდა ჯევრიეს ამ კაცისაგან? რატომ მოვიდა მასთან? რატომ უნდოდა მ ი ს ი ნახვა, მ ი ს სიახლოვეს ჯდომა, მისთვის სახეში ცქერა, მ ა ს თ ა ნ, მ ი ს გვერდით ყოფნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯევრიეს უჭირდა საკუთარი თავისათვის ამის ახსნა.

მაგრამ ჯევრიე, ფოსფორიანი ჯევრიე, ხომ სტამბოლის ქუჩების ყვავილი იყო. როცა მასთან მამაკაცი მივიდოდა, ან თვითონ მივიდოდა მამაკაცთან, ძალიან კარგად იცოდა, რაც უნდოდათ ერთმანეთისაგან.

ჯევრიემ ძალიან კარგად შეისწავლა საკუთარი თავი, ცხოვრების ყველა მხარე და განსაკუთრებით კი მისი ცუდი მხარეები.

აქამდე ჯევრიეს რაღაც სხვა გრძნობა ეზიდებოდა მამაკაცებისაკენ.

ამ უცნობ, საიდუმლოებით მოსილ კაცთან კი, რომლის არც სახელი იცოდა ჯევრიემ და არც ვინაობა, მას სულ სხვა გრძნობა აკავშირებდა.

მაგრამ ამ ახალ გრძნობაში იმ ძველისაც ერია რაღაც.

ეს გრძნობების უცხო ნაერთი, გრძნობათა ხლართი იყო. მასში მოხიბლულობის წილიც ერია.

როცა ჯევრიე ლურჯ ზღვასა და ფირუზ ცას უცქეროდა, მას აღფრთოვანების უსაზღვრო და რაღაც აუხსნელი გრძნობა იპყრობდა.

ეს იყო რაღაც არარაობის გრძნობა დიდებულის წინაშე.

ეს კაცი ჯევრიეს თავისთავთან შედარებით უსაზღვროდ დიდებული ეჩვენებოდა. მის გვერდით ჯევრიეს უმწეო და უსუსური ეგონა თავი. მისი დამოკიდებულება ჯევრიეს მიმართ ყოველთვის მასზე ზრუნვაში გამოიხატებოდა და როცა ჯევრიე ამ ზრუნვას ვერ ხედავდა, იბნეოდა. ჯევრიემ თითქმის დაიჯერა, რომ უიმისოდ ცხოვრება აღარ შეეძლო.

ეს რაღაც უცნაური, მრავალწახნაგოვანი გრძნობა იყო.

ხანდახან ამისთანა მამასაც ნატრობდა ჯევრიე.

ამდენ გრძნობებს კიდევ მადლიერების გრძნობაც ემატებოდა.

როცა მასზე ფიქრობდა ხოლმე, ყოველთვის ამბობდა: „მან ხომ ბევრი სიკეთე მიყო“. შემდეგ გაახსენდებოდა, რომ ამგვარი სიკეთე სხვასაც მიუძღვის მის მიმართ, მაგრამ იმასაც აღიარებდა, რომ სხვების მიმართ არასოდეს არ უგრძვნია ასეთი დამოკიდებულება.

მაგალითად, ბარბას, ყომარბაზ-ლაქლაქს ან თუნდაც იმავე მატრაბაზ-ნურის, ოპიუმის მწეველთათვის ბუნაგი რომა აქვს, რამდენი სიკეთე მიუძღვით. განსაკუთრებით კი იმ არაბ ქალ ჯემილეს.

ჯევრიეს ამათგან ყველაზე მეტად ბარბა უყვარდა და ისიც იმიტომ, რომ ბავშვობიდან იცნობდა მას. საწყალ ჯემილესთან ხომ დასავით იყო.

დანარჩენი ორისა კი ძალიან მადლობელი იყო. მუდამ ერთგული მათი სიკეთე და მოვიდოდა დრო, როცა სამაგიეროს გადახდა ... სიკეთისათვის. სხვა რამ გრძნობა მათ მიმართ ჯევრიეს არა ჰქონდა.

ბარბა კარგი კაცი იყო და ჯევრიე შვილივით უყვარდა.

გაჭირვების დროს ბარბას ქისა ყოველთვის ღია იყო მისთვის... თუ ვერაფრით დაეხმარებოდა, მუშტრებს მოპარავდა და ჩუმად აჭმევდა ჯევრიეს, რომ დუქნის პატრონს თვალი არ შეესწრო.

თავის შეფარება სჭირდებოდა ჯევრიეს თუ დროებით დამალვა, ბარბას ოთახი ყოველთვის საიმედო საფარი იყო მისთვის.

ბარბას ოთახი, დუქანი, სადაც ბარბა მუშაობდა, ბარბას ქისა და ბარბას გული, ყველაფერი, ყველაფერი ღია იყო ჯევრიესათვის.

ამ შესაძლებლობას ჯევრიე განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებდა ხოლმე. არყისა და საჭმლის გარდა, ჯევრიე მხოლოდ მაშინ მიმართავდა მათ, როცა ძალიან უჭირდა. მის ოთახს მაშინ შეაფარებდა თავს, როცა ავად იყო, ან აუტანლად ციოდა, ქარბუქი ტრიალებდა ან ყინვიანი ღამეები იდგა ხოლმე. ერთი-ორჯერ კი მაშინ მივიდა, როცა ერთ ხათაბალა მეგობარს და პოლიციას ემალებოდა.

ერთხელ, მან და გიდინიანთ ჰალილმა რესტორან „ცისფერ ვარდში“ ერთ ღამეში ას ორმოცდაათ ლირას გამოუყვანეს წირვა. ეჰ, რა ღამე იყო! დილით გამოირკვა, რომ ჰალილს კარაქიოიში დამზღვევი საზოგადოების სალარო გაუტეხია. როცა ჯევრიე და ჰალილი ხიდისაკენ მიდიოდნენ, რომ ტაქსი დაეჭირათ და დროსტარება განეგრძოთ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პოლიციელი ამოუდგათ აქეთ-იქიდან, სწვდნენ ჰალილს ხელებში და გაქცევის კი არა, იარაღის ხმარების საშუალებაც აღარ მისცეს. ჯევრიე მაშინვე ხალხში შეერია და მთელი კვირა სანამ არ გაირკვა, რომ ქურდობაში მას არავითარი წილი არ ედო, ბარბას სტუმარი იყო.

ერთხელ კიდევ მთელი რვა დღე გაატარა აქ... როცა საბრის ემალებოდა. ამის დავიწყება, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა. მერე კიდევ, ბარბა გალათის სხვა ნაძირალებს არა გავდა... აი მაგალითად, სასტუმრო „მწვანე ტრანსვალის“ პატრონი... ბარბაზე უფრო ხნიერი კაცია... მაგრამ, ერთხელ, როცა ჯევრიემ თავისივე ხარჯზე სთხოვა სასტუმროში ღამის გათევა, რომ პოლიციას დამალოდა... რაები არ მოუნდომა... ის გაფუჭებული, ისა!

ძალიან ცუდი ხალხია ამ სტამბოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი იყო იამალი ჰოჯა. ამ ქვეყანას პატიოსანი ხალხი-ხალხი

რომ არ ედგას, ის მამაძაღლები სულ დააქცევდნენო. მართლაც და უცნაური ქმნილებებია ეს ადამიანები... აი ეს ყომარბაზი-ლაქლაქა რა ოინბაზია და რა ყაჩაღია?.. ანზავურია[1] პირდაპირ. რამდენ კაცს გაუყარა დანა ყომარზე ატეხილი ჩხუბის დროს... ვისაც არ უნდა ჰკითხო, გეტყვიან, რომ წმინდა წყლის დამლევი არ არისო.

მაგრამ... ერთხელ, საპოლიციო ალყის დროს, ჯევრიე კედელს გადაახტა და ფეხი იღრძო. გასიებული ფეხით სიარული უჭირდა, კოჭლობით მიდიოდა. სწორედ ამ დროს, გზაზე ყომარბაზი-ლაქლაქა შემოხვდა:

— რა ამბავია, გოგო, ეს რა ინგლისური გემივით წელს მიითრევ? — ჰკითხა მან. როცა გაიგო, რაც მოხდა, ტაქსი დაიჭირა და ეთიემეზში[2], სადღაც, ვიღაც ჯარა-ექიმთან მიიყვანა. ფეხი რომ შეუხვიეს, ისევ ჩასვა მანქანაში, გალათაში მიიყვანა სუმბულ-დუდუს[3] სახლში. სუმბულ-დუდუ ცნობილი ქალია გალათაში. ხერხემლის ავადმყოფობის გამო, იგი მუხლუხო ჭიასავით მოკეცილია და ამიტომ თავი მუხლებთან აქვს. ხანდახან, როცა თავს აწევს და სახეს გამოაჩენს ხოლმე, ამ მოკრუნჩხულ ტანზე უფრო ადამიანს შიშსა ჰგვრის მისი გრძელი, თეთრი ბალნებით დაფარული ნიკაპი, წინ გამოშვერილი ორი ჩაშავებული კბილი, ელამი თვალები და მოღუშული წარბები.

არავინ დაიჯერებს, რომ ასეთი საზიზღარი და საშინელი ქმნილება შეიძლება ქალი იყოს.

ეს ქალი იმდენად უშნოა, რომ მართლაც ცხოვრებას შეაძულებს და უიმედობას შეჰყრის ადამიანს.

როგორც თვითონ ამბობს, ის შანსონეტკა ყოფილა აბდურრეზაკის თავის დროზე ცნობილ დასში. „შამრანსა და პატარა ვირჟინიას ზედ არავინ უყურებდა. იმ დროს ერთი ცხონებული ფერუზა იყო და მეორე მეო.“

---

[1] ანზავურ—ჟანდარმი, რომელმაც სულთანისაგან ფაშის წოდება მიიღო. 1918—1922 წლებში ხელმძღვანელობდა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ ბანდებს. მისი სახელი დაუნდობელი და ვერაგი კაცის სიმბოლოდ იქცა თურქეთში.

[2] ეთიემეზ—გარეუბანია სტამბოლში.

[3] დუდუ—ქალი, ქალბატონი. იხმარება ხნიერი სოფლის ქალებისადმი მიმართვაში.

მის ოთახში, კედელზე ფოტოგრაფია „დილაში“ გადაღებული გვა-
თი სურათი ჰკიდია. ეს ჩემი სურათიაო — ირწმუნება სუმბულ-დუდუ.

სურათზე მოჩანს ოცი-ოცდახუთი წლის ქალი, ტრიკოტაჟის ვიწრო
კოფთაში და მოკლე პანტალონებში. მას გრძელი და გაშლილი თმა
აქვს. თავზე ყვავილების გვირგვინი ადევს, მხარზე კი ხელოვნური
მტრედი აზის. ის დგას მოაჯირთან, რომელზეც ყვავილების ქოთანი
მოჩანს და ხელში ბეწვის ბოა უჭირავს. ამ ქალს კოხტა ტანი აქვს,
შესახედადაც არა უშავს. თუ ეს მართლაც სუმბულ-დუდუა, მაშინ
ბუნებას მის სხეულში მართლა სასტიკი გარდაქმნები მოუხდენია.
ეხლა ვინ დაიჯერებდა, რომ ეს დაღვარჭნილი, ჯადოსმსგავსი ქვე-
წარმავალი სწორედ ამ სურათზე გამოხატული ქალი იყო.

ყომარბაზმა-ლაქლაქამ ჯევრიე სწორედ ამ სახლში მოიყვანა და
სუმბულ-დუდუს დაუბარა:

— ამ გოგოს შენ გაბარებ, მიმიხედე. ფეხი აქვს ნაღრძობი... დედ-
ოფალივით უნდა მოუარო, დასვი თავისთვის და აჭამე.

სუმბულ-დუდუმ, თითქოს საკუთარ მუხლისთავებს ელაპარაკებაო,
უპასუხა:

— დარდი ნუ გექნება, ჩემო უფლისწულო, სუმბულ დეიდა შენს
მობარებულს ისე მოუვლის, როგორც ალექსანდრე მაკედონელის
ჩამომავალ ნამდვილ დედოფალს. ჩემს პანსიონს მსოფლიო ბაზარზე
Première classe[1]-ის სახელი აქვს გავარდნილი.

როცა ყომარბაზმა-ლაქლაქამ ხელში რამდენიმე ქაღალდის ფული
მიაჩეჩა, ქალი კიდევ უფრო კარგ ხასიათზე დადგა, „წამო შვილო,
წამოო“, — უთხრა, წინ წაუძღვა და ზედა სართულისაკენ წავიდა.

ეს სახლი სამსართულიანი იყო. ქვევით, ქუჩის კარების გას-
წვრივ, სამზარეულო მოჩანდა. მეორე სართულზე ორი ოთახი იყო,
მესამეზე სამი. მეორე სართულის ქუჩისპირა ოთახში გახუნებული
და ძველი, წითელი ხავერდით დაფენილი დივანი და ორი საგარძელი
იდგა.

კედელზე ეკიდა კორსეტების რეკლამა და გერმანიის იმპერატორის
კაიზერის სურათი. იგი მანქანაში იჯდა. სურათი მისი სტამბოლში

---

[1] Première classe (ფრანგ.)—პირველი კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნის დროს იყო გადაღებული. ეს ფოტო გაზეთიდან ამოჭრილსა ჰგავდა.

ზედ კარის თავზე ერთი ულვაშა კაცის ფოტოგრაფია ეკიდა, ეს კაცი ძალიან გავდა ჩასუქებულ ძველ სომეხ აღას.

იატაკი ხისა იყო. დავნის წინ ჭუჭყიანი და გაცვეთილი ლომის ტყავი ეფინა. ჩუქურთმიან მრგვალ მაგიდაზე ტუჩჩამოტეხილი ლარნაკი იდგა გახუნებული, დამტვერილი და ბუზებისაგან წაბილწული ხელოვნური ყვავილებით. ერთ-ერთი ფანჯრის რაფაზე მოჩანდა ყვავილების ორი ქოთანი, რომელთაც გახუნებული და ჭუჭყიანი ქაღალდი ჰქონდა შემოხვეული. ერთ ქოთანში რაღაც დიდფოთლიანი ყვავილი იყო, მეორეში კი გამხმარი ღეროებიღა მოჩანდა. ფანჯრებზე დაკიდებული ქაღალდის ფარდები, რომელსაც ბოლო არშიასავით ჰქონდა დაჭრილი, იატაკზე ეშვებოდა.

სუმბულ-დუდუმ ჯერ ამ ოთახის კარი შეაღო და ყომარბაზ-ლაქლაქას მიმართა:

— იქნებ მოსვენება გსურს, ჩემო უფლისწულო? მარტო დაგტოვებთ შენ და შენს ქალბატონს.

ამის გაგონებაზე ყომარბაზმა-ლაქლაქამ ერთი მაგრად შეიგინა:

— ვერა ხედავ, ჯოჯოხეთის მოციქულო... ქალს ცალი ბორბალი დაუკარგავს და ფორდის მანქანასავით გვერდს მიითრევს? აქ გულის საჯერებლად არ მოვსულვართ!

— ღმერთო ჩემო, ასე ძალიან რატომ ბრაზობ, ჩემო კარგო. ადამიანი ნაზი ქმნილებაა, გაბრაზებისაგან შეიძლება საგულე დაუზიანდეს. ერთბაშად ძნელი მისახვედრია. ხომ იცი, რომ შენისთანა ჯენტლმენები ჩვენს გალათაში თითებზეა ჩამოსათვლელი.. ქალი მოიყვანო და მაშინვე მიატოვო, იმიტომ, რომ შეუძლოდ არის... ეს ღვთიური კეთილშობილების ნიშანია.

— ქალი კი არა, ტყვიამფრქვევი ხარ, — უთხრა ყომარბაზმა-ლაქლაქამ. — ღმერთმა ტყუილად როდი დაგადო ნიშანი... ერთი ამ გოგოს ოთახი მაჩვენე!..

სიმართლე რომ ითქვას, ჯევრიე ამდენი სიკეთის შემდეგ სხვა რაღაცას ელოდა.

მაგრამ ლაქლაქამ ის მესამე სართულზე რომ დატოვა ერთ ოთახში, სადაც საწოლი, პირსაბანი და ერთადერთი სკამი იდგა, თვითონაც

აღარ სჯეროდა, როგორ შეიძლება მომხდარიყო ასეთი რამ. ხოლო, როცა ჯარა-ექიმის დაზელილი და გაჭიმული ფეხი მთლად [illegible] და ლოგინზე დაეგდო, მაშინ კი იფიქრა რომ ამ ქვეყნად [illegible] უფრო დიდებული ადამიანი ეს ყომარბაზი ყოფილაო და მთელი ნახევარი დღე ისე ეძინა, ფეხი არ გაუნძრევია...

სუმბულ-დუდუ მთელი ერთი კვირა, როგორც თვითონ ამბობდა, ისე უვლიდა ჯევრიეს, როგორც ალექსანდრე მაკედონელის ქალიშვილს.

ერთი მოხუცი ქალი, სუმბულ-დუდუზე ხუთი წლით მაინც უმცროსი, რომელსაც ის დედამთილს ეძახდა, საჭმელს აკეთებდა და ლანგრით ოთახში შემოჰქონდა მისთვის.

საჭმელი ძალიან გემრიელი იყო. ასეთი გემრიელი და ნაირ-ნაირი საჭმელი ჯევრიეს თავის დღეში არ ენახა.

— ჩემი პანსიონის ბადალი, — ამბობდა სუმბულ-დუდუ, — არც ამერიკის პარიზში და არც ევროპაში არ არის. დედაჩემის დამზადებული საჭმელებისა და შეჭამანდის მსგავსი თოკათლიანის[1] ოტელებშიც არ მოიპოვება.

ჭეშმარიტად, ეს საჭმელები და განსაკუთრებით შეჭამანდი, ძალიან ცნობილი უნდა ყოფილიყო, რადგან, მეორე სართულის წყვილ-წყვილი მობინადრენი, რომლებიც დღეში რამდენჯერმე იცვლებოდნენ, სახლში შემოსვლისთანავე იძახოდნენ:

— სუმბულ-დუდუ, აბა ერთი შენებურად კოხტა ფესტივალი მოგვიხერხეო.

ფესტივალს ამ სახლში ისეთ სუფრას ეძახდნენ, სადაც ბლომად საჭმელი და არაყი იდგა.

სუმბულ-დუდუ ხელზე ხელს შემოკრავდა და დედამთილად წოდებულ ქალს გასძახებდა:

— დედი, დედი...

— რა იყო, ჩემო გოგონავ?

— უფლისწულის ბრძანებაა. საჩქაროდ ერთი კოხტა ფესტივალი გააწყე.

ამის შემდეგ მოხუცი ქალი სამზარეულოში მიდიოდა ხოლმე და შალე სახლს მადის მომგვრელი შემწვრის სუნი ედებოდა.

---

[1] თ ო კ ა თ ლ ი ა ნ — უბანია სტამბოლში.

მუშტრები ერთ-ორ ჭიქას რომ შესთავაზებდნენ სუმბულ-დუდუს, მალე ქვემო სართულიდან ისეთი ახალგაზრდულ სიმღერას გაიგონებ-ბდით, რომ არც კი დაიჯერებდით თუ სუმბულ-დუდუ მღეროდა:

გავიკეთებ ლურჯ სათვალეს,
კოხტა ბეგებს ვუთვალთვალებ.
კოხტა ბეგი თუ შემხედავს,
კარგ სალამსაც ვანაცვალებ.
ლელ, ლელ, ლარი, ლელ, ლელ, ლარი,
ვტირი მოთქმითა და ზარით[1].

ეს სუმბულ-დუდუს ყველაზე საყვარელი სიმღერა იყო.

როგორც კი ოდნავ შექეიფიანდებოდა, პირველ რიგში ამ სიმ-ღერას წამოიწყებდა. შემდეგ მის რეპერტუარში ისეთი სიმღერები იყო, რომელიც არავის არასოდეს არ გაუგონია:

თვლები აქვს და იალა,
ეტლიცა აქვს, იალა.

ერთი მხიარული სიმღერა ჰქონდა მას, მაგრამ ჯევრიემ ვერ დაიმახსოვრა.

კიდევ ერთი სიმღერა მოსწონდა ჯევრიეს.

მსხალის ტოტზე გოგო რხევით თვალებს ნაბავს ვაი, ვაი.
ირხევა და ლალის ბაგეს დაითაფლავს, ვაი, ვაი.
ვისთვის იწვის ჩემი გული, საყვარელო,
შენთვისა ვარ დადაგული, საყვარელო!

განსაკუთრებით კი მოსწონდა სიმღერა: „გალმა ქურთების სახლები მოჩანს“, მაგრამ არ იქნა და ვერ დაიმახსოვრა.

ჯევრიე ლოგინზე იწვა და სიმღერებს ისმენდა.

როგორც კი სახლს საჭმელების სურნელი მოედებოდა, ჯევრიემ უკვე იცოდა, რომ მალე დუდუ გამოჩნდებოდა ხელში თაბახითა და მუხლებს შორის მოქცეული თავ-პირით.

— მოგშივდა, დუდუს ჯიგარო, საჭმლის სუნი მთელ სახლს მოედო, მემრე ფორთოხალი და დიარბექირული საზამთრო იქნება.

---

[1] ლექსები თურქულიდან თარგმნა ირინე გოცირიძემ.

—ეტყოდა ის, შემოვიდოდა და თან შემოიტანდა თაბახს, რომელზეც ათასგვარი შემწვარ-მოხრაკული ეწყო.

— რა პეწიანი თავადიშვილები და ნაირ-ნაირი ვაჭრები გინდა, ჩემთან არ ყოფილიყვნენ, — ეტყოდა ხოლმე ხანდახან სუმბულ-დუდუ, — მაგრამ შენ ღვთისაგანა ხარ მობარებული. ჩემი სხეულის გალიაში ისეთი სინდისი არა ზის, რომ მობარებულს უღალატოს.

დიახ, ეს მოგონებები, მოგონებები სუმბულ-დუდუს სახლში გატარებულ დღეებზე, ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო იყო ჯევრიეს ცხოვრებაში. „ბლომად ჭამე, ბლომად სვი... სულთანივით იცხოვრე და მამაკაცების უბედურებისაგანაც შორს იყავი“.

ეს შესანიშნავი კვირა ყომარბაზ-ლაქლაქას მადლი იყო. ამ სიკეთისათვის არც მაშინ და არც შემდეგ მას არაფერი მოუთხოვია ჯევრიესაგან. ამიტომ ის ეხლაც მადლიერი იყო. მაგრამ მადლიერების ამ გრძნობას ჯევრიეს გულში არასოდეს არ გამოუწვევია ისეთი დამოკიდებულება, როგორსაც ამ უცნობი კაცის მიმართ გრძნობდა. ის, უბრალოდ, დავალებულად თვლიდა თავს ლაქლაქას მიმართ. ამგვარი მადლიერი შეიძლება იყო ისეთი კაცისა, რომელმაც გაჭირვების დროს ფული გასესხა და შენ უკანვე ჩაასესხებ პირველივე შესაძლებლობისთანავე. ეს იყო და ეს...

მატრაბაზ-ნურის რაც შეეხება... ის მთელ გალათას აზანზარებდა. მას სიტყვას ვერავინ შეუბრუნებდა... რა თავზე ხელაღებული მძარცველი, თავგასული ხულიგანი უნდა ყოფილიყო, რომ მას არ მოეთოკა. და აი, ამ კაცმა, ერთხელ, და ეს იყო სულ მისი სიკეთე, უცბად ორმოცდაათი ლირა მისცა ჯევრიეს.

ეს ბეიოღლუში მოხდა. ჯევრიე ვიტრინასთან იდგა და თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა ფეხსაცმელებს, რომელთა შორის ერთი, გველის ტყავისა, ძალიან მოსწონდა. სწორედ ამ ფეხსაცმელს დასცქეროდა, როცა უცბად ნურის ხრინწიანი ხმა მოესმა:

— გოგო, ეგრე ღვთის გლახასავით რას უყურებ მანდა?

ჯევრიემ თითით ფეხსაცმელზე უჩვენა:

— ამას ვუთვალთვალებ, ძმაო ნური... ხან ერთ თვალს ჩავუკრავ, ხან მეორეს—მოდით-მეთქი, მაგრამ ღუზაზე დგანან, ჩემს ნიშნებს ვერა ხედავენ!

სწორედ მაშინ გაივლო მატრაბაზ-ნურიმ ჯიბეზე ხელი, რაღაც ამოიღო და ხელში შეაჩეჩა ჯევრიეს:

— ოქროს გასაღებია, ყველა კარს აღებს, — დააყოლა მან, — გამო-მართვი, შედი შიგ და ნახავ ეგ გველის წიწილი როგორ-ატკაცივით გამოგყვეს უკან...

ეს რაღაც სასწაული იყო.

ერთხელ ერთმა ასქერმა, სოფლელმა ბიჭმა, რომელმაც ჯევრიეს-თან ღამე გაატარა ედირნეკაფის სასაფლაოზე, უამბო, როგორ ნახა ჰიზირ ალეიჰისელამი[1], რომელმაც ის გაჭირვებას გადაარჩინა.

მას შემდეგ, როცა რამე გაუჭირდებოდა, ჯევრიე მუდამ სასოებით ელოდა ხოლმე ჰიზირ ალეიჰისელამს.

ის ყოველდღე დადიოდა მაღაზიასთან, ვიტრინის წინ დადგებოდა, ფეხსაცმელებს შესცქეროდა და ელოდებოდა ჰიზირს, რომელიც მო-ვიდოდა და ფეხსაცმლებს უყიდდა. მაგრამ არასდროს აზრად არ მოსვლია, რომ ჰიზირ ალეიჰისელამი მას მატრაბაზ-ნურის სახით გამოეცხადებოდა. ნურიმ ფული კი მისცა, მაგრამ ის კი არ უთქვამს, რომ შედი იყიდე და წავიდეთო. ჯევრიემ კი იცოდა, როდის იყვნენ ხოლმე მამაკაცები გულუხვნი.

მატრაბაზ-ნურიმ ფეხსაცმელები მას ალალი გულით უყიდა. ეს, მართალია, ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ ადამიანები ძალიან უცნაურები არიან. ასეთ რამეებსაც აკეთებენ ხოლმე...

მატრაბაზ-ნურის არა მარტო იმ დღეს არ უთხოვია წამომყევიო, არამედ მის შემდეგაც არასდროს ლოყაზეც კი არ მიუთათუნებია მისთვის ხელი. დიახ, არც მას შემდეგ და არც არასდროს. ჯევრიე თავდაპირველად ვერ მიხვდა, რატომ მისცა მან ეს ფული და იფიქრა, ალბათ სადღაც აწაპნა, უკან მოსდევენ და ზედ რომ არ უნახონ, თავიდან მოიშორაო.

„მაგრამ, რაც იქნება, იყოს“—გადაწყვიტა ბოლოს ჯევრიემ. შევი-და და ორმოცდაორ ლირიანი ფეხსაცმელი იყიდა.

მის ჭუჭყიან შიშველ ფეხებს და გახუნებულ კაბას ეს ფეხსაცმე-ლი არც თუ ისე უხდებოდა. მაგრამ ჯევრიე ამას არ დაგიდევდათ და, როცა ქუჩაში ახალი ფეხსაცმელებით გამოვიდა, ისე ამაყად მიაბი-ჯებდა, თითქოს სტამბოლის ყველაზე უფრო კოპწია ქალი ყოფილი-ყოს.

---

[1] ჰიზირ ალეიჰისელამ — მუსლიმანურ გადმოცემათა პერსონაჟი, რომე-ლიც მუდამ ეხმარება ხოლმე გაჭირვებაში მყოფთ.

მხოლოდ ჯევრიედ ყოფნა იყო საჭირო იმისათვის, რომ ამ ფეხსაცმლებით გამოწვეული სიხარულისა და თავმომწონეობის ძალა ვეგრძნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევიდან სამი თვის შემდეგ, ერთხელ, როცა ხელახლა შეხვდა ნური ჯევრიეს, ჯერ ისევ ის გველის ტყავის ფეხსაცმელი ეცვა...

მის მოუსვენარ ფეხებზე ისინი უკვე საკმაოდ დაძველებული და ფორმადაკარგული იყო, მაგრამ ძველი პეწი მაინც არ დაკარგვოდათ.

მის დანახვაზე, ჯევრიე ცოტა არ იყოს შეკრთა, ვაითუ ფული უკან მომთხოვოსო. ჯევრიემ კარგად იცოდა რა კაციც იყო ნური.

მაგრამ ნურის ეს არ გაუკეთებია. პირიქით, როცა ჯევრიემ ფეხსაცმელები დაანახვა და უთხრა: „ესენი ჩვენი ძმა ნურის წყალობით მაქვს ნაყიდიო“, — მან უპასუხა:

— დარაბები დახურე, თორემ უბერავს.

— რომ იცოდე, როგორ გამეხარდა, როცა ვიყიდე, ძმაო ნური, — არ ეშვებოდა ჯევრიე.

ნურიმ ნაღვლიანად შეხედა მას და უთხრა:

— მე შენოდენა ქალიშვილი მყავს ერთ ყოვლად დაწყევლილ ქალთან. მაგრამ სად ჯანდაბაშია ეხლა, არავინ იცის.—ნურიმ ამოიოხრა და განაგრძო: — ის რჯულძაღლი ქალი ბერძენი იყო... საროსკიპოს ვარდი... ჩემთან თურმე ვერ ძლებდა ის ქვეყნის ნათრევი... მე მაშინ ასეთი როდი ვიყავი, ვარდივით ვყვაოდი... ერთ დღეს აიჩემა ათენი და ათენიო... და აფრინა ტაქსი... თანაც საათში ასოცით... ერთ დღეს მოვედი შინ და... ვინ დაგიტოვებია, ვის ეძებ... გოგო პატარა იყო, — ხელით აჩვენა ნურიმ, — ერთი წლის იყო, როცა მიმატოვა, ამის შემდეგ არც მისი ამბავი ვიცი, არც ბავშვისა. ან საიდან უნდა შემეტყო? მთავრობის დაწესებულებებთან საქმის დაჭერა ხელს არ გვაძლევს. — თქვა ნურიმ და ნაღვლიანი თვალებით მოშორდა ჯევრიეს.

*

* *

დიახ, ერთი კიდევ არაბი ჯემილე იყო, რომლისგანაც ბევრი კარგი ახსოვს ჯევრიეს. მაგრამ ხდებოდა, რომ თვეობით ვერა ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა ჯევრიეც არა გრძნობდა მოთხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილებას, რომ წასულიყო და ენახა. იმ კაცის მიმართ, ვინ-რომლის სახელიც არ იცოდა, ჯევრიე მადლიერების გარდა, დიდ პატივისცემასაც გრძნობდა.

რა უნერგავდა მას ასეთ პატივისცემას? ალბათ ის, რომ ჯევრიე მიჩვეული არ იყო ასეთი ადამიანების ნახვას.

ის თითქოს სხვა ქვეყნიდან იყო მოსული.

ისიც ხომ თურქულად ლაპარაკობდა, მაგრამ მისი თურქული განსხვავდებოდა იმ ენისაგან, რომელზეც ჯევრიე ლაპარაკობდა, ან რომლის მოსმენასაც ჯევრიე იყო შეჩვეული. ის სხვა სიტყვებს ხმარობდა, ესენი კი სხვას.

მისი ხელების კანი არ იყო დახეთქილი. ჩანდა, რომ არასოდეს მძიმე საქმე არ უკეთებია... ფრჩხილები და ტანსაცმელი ყოველთვის სუფთა ჰქონდა. წიგნებსაც და გაზეთებსაც კითხულობდა. ე. ი. ნასწავლი, განათლებული კაცი იყო. ბევრს კითხულობდა და თან ბევრსაც წერდა.

ჯევრიეს, როგორც ჩანს, მისი ასეთი ყოფა და ლაპარაკის მანერა აკვირვებდა.

ჯევრიე ბევრ მამაკაცს იცნობდა, რომლებიც მისი წრისა არ იყვნენ, მაგრამ, ის, არსებითად, არც იმ ადამიანებსა გავდა. იგი ყველასაგან განსხვავებული იყო და ჯევრიეს აზრით „ადამიანები სწორედ ასეთები უნდა ყოფილიყვნენ“.

ჯევრიე მათ ღვინის სარდაფებში შეხვედრია, დროს გასატარებლად რომ იყვნენ მოსულნი. მათ სახლებშიც ყოფილა, მათ ლოგინში წოლილა. მაგრამ მისთვის უცხო იყო მათი გარეგნობა, მეტყველება და ჭამა-სმა. ჯევრიეს არც ენა ესმოდა მათი.

ერთ დღეს ერთმა კაცმა ჯევრიე შინ წაიყვანა. სასმელი დაუდგა წინ და თვითონ ლერწმის ღერით შეუდგა სმას. ჯევრიეს ეს არ გაკვირვებია. პირიქით.

— ოჰო! — შესძახა, ხელი ხელს შემოკრა და დაცინვაც კი დაუწყო: — ერთი ამას დამიხედეთ, წყალსადენის მილი თუ არ გამოიბა, ისე მისი კუჭი არ მუშაობსო.

პიჟონებს ძალიან მოსწონდათ ჯევრიეს ასეთი ხასიათი. თუმცა არაფრად აგდებდნენ, დასცინოდნენ და მაშინაც კი არ მიაჩნდათ ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანად, როცა მკლავებში ყავდათ მომწყვდეული და ეძლეოდნენ. არც ჯევრიე სცემდა მათ პატივს.

— ბიჭო, ადამიანი ხარ თუ ადამიანის პროვოკაცია, რამდენი ხანია გამასხარავებ და შენ კი აინუნშიაც არ მოგდის, შე რეგვენო, შენა. — უთხრა ერთ მათგანს ერთხელ ჯევრიემ და ხახამშრალი დატოვა.

— ეჰ, როგორ დავწვი, როგორ დავწვი, — იტყოდა ხოლმე ჯევრიე ერთ ბებერ მდიდარ კაცზე, რომლის სახლშიც მან მთელი კვირა გაატარა.

ეს ამბავი ზაფხულის ერთ თბილ საღამოს მოხდა...

კაზინოს ნათურებს ჩახჩახი გაუდიოდათ. ასფალტი სინათლით იყო მოფენილი.

ხელი-ხელ გაყრილი ჯევრიე და არაბი ქალი ჯემილე ასფალტზე დასეირნობდნენ. ჯემილეს მაშინ ერთი ნაყინით მოვაჭრე უყვარდა, რომელიც იქვე იყო ქუჩის კუთხეში. აივლიდნენ და ჩაივლიდნენ... ჯემილე თითო-ოროლა სიტყვას ესროდა ხოლმე... ის კი პასუხობდა „დავიწვი, ჩემო შავოო“.

ჯევრიეს მთელი შოფრები იცნობდნენ. მას ყოველი მხრიდან ესალმებოდნენ მაწანწალები — როგორა ხარ ფოსფორიანო? — ისმოდა ირგვლივ.

ჯემილე და ჯევრიე კარგ ხასიათზე იყვნენ. ნაყინით მოვაჭრემ ერთი ამხანაგი გააგზავნა და ბოთლი ღვინო აყიდინა. ისინი დროდადრო ქვევით დაეშვებოდნენ თამაშილასაკენ და ღვინოს დალევდნენ. ღვინო თანდათან ერეოდათ, მხიარულება და თავშეუკავებლობა სულ უფრო ემატებოდათ. მერე ისევ ამოდიოდნენ ზევით და მანქანიდან გადმოსულ კაზინოში მიმავალ წყვილებს უცქეროდნენ.

სწორედ ამ დროს ერთი რაღაც განსაკუთრებული მანქანა გაჩერდა და ის მდიდარი ბებერი პიჟონი გადმოვიდა, რომელთანაც ჯევრიე ერთხელ მთელ ერთ კვირას იყო.

ეს იყო დაბალი, მელოტი კაცი, მუშმულასავით დაპრანჭული სახით. მან ხელი მანქანის კარისკენ გაიწოდა და ვიღაც მოსული ტანის ქალს უშველა გადმოსვლა.

ქალი შუა ხნისა იყო. მორთულობა არ აკლდა. მხრებზე თეთრი მელიების მოსასხამი ჰქონდა მოგდებული. ყოველ მოძრაობაზე შესანიშნავ სურნელებას აფრქვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ ტიპს ხედავ? — მიმართა ჯევრიემ არაბ ჯემილს, — ყურებამდე რომ აქვს გაჭრილი. დაინახე? აი ის, რომ იღიმება, ვერა ხედავ, ლაფშებიანი კაცი, გაპრანჭული ქალი ახლავს, თეთრი ბეწვით... ხედავ? აი მის სახლში მე მთელი ერთი კვირა ვცხოვრობდი...

ჯემილემ მხრები აიჩეჩა:

— აქლემია.

— რა აქლემი, ქალო?

ქალბატონს, როგორც ჩანს, რაღაცა დაუვარდა მანქანაში. ეძებდა და ამიტომ აღარ გადმოდიოდა.

— მივიდე, ხელი ჩამოვართვა?

— მიჰქარავ, ნისიაა.

— რა, ვერ ვიზამ, განა?

— ნუ იქაჩები, გაწყდება და გადაგახდევინებენ.

ჯემილეს ასეთმა განწყობილებამ მთლად გადარია ჯევრიე.

— მივალ და ნახავ... თანაც მიყურე, როგორ გავაშაყირო.

ესა თქვა და უცბად მოშორდა ამხანაგს. ელვასავით გაძვრა სიბნელეში და თავისი ყვითელ-მწვანე ჩითის კაბითა და ბასანოშკებით კაზინოს განათებულ კარებთან ამოჰყო თავი.

მოხუც კაცს ჯევრიეს დანახვაზე ისე შეეცვალა სახე, რომ მართლაც შეგეცოდებოდათ. მან იცნო ჯევრიე და მიხვდა, რომ თავის მოკატუნება არაფერს უშველიდა. ის ხედავდა, როგორ წამოვიდა ჯევრიე მისკენ და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— მომე ხელი, მამიკო, — დამცინავად მიმართა მას ჯევრიემ. — ჩვენც ვიცით ალაფრანსე. მოდი ერთი ჩავებონჟუროთ ერთმანეთს.

კაცი ჯერ ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა, რომ ჯევრიემ ორივე ხელი ერთად ჩამოართვა მას, მაგრად შეარყია და გაშორდა.

თეთრბეწვიანი ქალი განცვიფრებული შესცქეროდა ხან თავის ქმარსა და ხან ქუჩის ქალს. ქმარი კი ცოლის დამშვიდებას ცდილობდა:

— ნამდვილად მთვრალია ვიღაც, — ეუბნებოდა ის და ამით ცდილობდა საქმის გამოსწორებას.

— ეჰ, რა კარგი ღამე იყო ის ღამე. — იტყოდა ხოლმე ჯევრიე, ამ ისტორიის გახსენებაზე. — ნაყინით მოვაჭრემ, შოფრის თანაშემწე

ახმედმა, დიზდიზ[1]-მუსტაფამ და არაფ-ჯემილემ იმდენი იცინეს, ...
კინაღამ მუცლები დაასკდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ჯევრიეს გულის მოსაგებად მარტო ის არა კმაროდა, რომ სხვა წრისა ყოფილიყავ.

*

* *

ჯევრიე არ მარტო ანგარიშს უწევდა მას, არამედ ეშინოდა კიდეც. ეშინოდა ისე, თითქოს მისი ბედი მასზე ყოფილიყოს დამოკიდებული, ისე ერიდებოდა, თითქოს მას ძალა-უფლება ჰქონოდეს ჯევრიეზე. თუმცა, ჯევრიე ძალიან უბრალო გოგო იყო იმისათვის, რომ ამ გრძნობების მნიშვნელობაში გარკვეულიყო.

ჯევრიეს სურდა, რომ მისი მოსაწონი ყოფილიყო. მაგრამ სადღაც გულში ნატრობდა, ეს მოწონება ცოტა უფრო სხვანაირი ყოფილიყო, ვიდრე...

— გოგო, რა ლამაზი მკლავები გაქვს!

— გოგო, რა გულ-მკერდი გაქვს!

— დამწვი და ეგ არის, ფოსფორიანო!

ასეთი სიტყვების გაგონება ჯევრიეს მისგანაც უნდოდა, მაგრამ ეს საკმარისად არ მიაჩნდა.

თვითონ ჯევრიე თუმცა ვერ ხვდებოდა, მაგრამ უნდოდა კი, რომ მისთვის უფრო ძვირფასი ყოფილიყო.

ჯევრიეში რომ ამ გრძნობამ გაიღვიძა, ისევ მისი ბრალია.

ის პირველი მამაკაცი იყო, რომელიც ჯევრიეს პატივისცემით მოეჭცა.

ის პირველი მამაკაცი იყო, რომელსაც ჯევრიე პატიოსანი ოჯახის ქალებისაგან არ გამოურჩევია და არ უგრძნობინებია მისი მდგომარეობა. ის პატივსა სცემდა ჯევრიეს... აქობამდე „თქვენ“ — მისთვის არავის უთქვამს. ის კი ჯევრიეს თქვენობით მიმართავდა.

ის ჯევრიეს სხვა თვალით უცქერდა. ჩანდა, რომ აფასებდა ჯევრიეს. მასთან ყოფნისას ჯევრიე ძალაუნებურად ცდილობდა ყოფილიყო

---

[1] დ ი ზ დ ი ზ — ზუზუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი, როგორიც მისთვის იყო სასურველი, უფრო სწორედ, ეს იყო ფილიყო ისეთი, როგორიც მას არ უნდოდა.

ამ კაცს ჰქონდა ისეთი ძალა, რომელსაც ჯევრიეს გარდაქმნა შეეძლო. სწორედ ეს ძალა იზიდავდა მისკენ ჯევრიეს.

როცა ჯევრიე მას ხედავდა და ელაპარაკებოდა, მასში რაღაც ძლიერი სურვილი იღვიძებდა. ეს იყო სურვილი იმისა, რომ ყოფილიყო კარგი, ყოფილიყო უკეთესი, სრულყოფილი, ეჯობნა ყველასათვის. ეს მისი სულის პირველი გამოღვიძება იყო.

ჯევრიესათვის რომ გეკითხათ, ის ვერც სხვას აუხსნიდა ამას და ვერც საკუთარ თავს. მაგრამ გრძნობა, რომელიც ჯევრიეს მასთან აკავშირებდა, უეჭველად ასეთი სურვილებისაგან შედგებოდა.

ჯევრიეს არასოდეს უფიქრია, რომ ცხოვრებაში შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო, რომ მისთვის შეიძლება სხვანაირად შეეხედათ, რომ მამაკაცთან ცხოველური გრძნობების გარდა შეიძლება სხვა დამოკიდებულებაც ჰქონოდა.

ბავშვობიდან მოყოლებული, მას უცქეროდნენ როგორც მათხოვარს, უპატრონოს, ქუჩის ნაძირალას, იაფფასიან კახპას.

მასთან ურთიერთობა ჰქონდათ უსახელო და ხშირად უსახურ ადამიანებს. ისინი ველური გრძნობების დაკმაყოფილებას ისწრაფოდნენ მხოლოდ. ძალიან ხშირად ეს ნაცნობობა ქუჩის ბნელ კუთხეებში და ბნელ ნახანძრალებზე მთავრდებოდა. თუ არადა, მას შეურაცყოფას აყენებდნენ პოლიციელები, რომლებსაც ერთი საპოლიციო უბნიდან მეორეში გადაჰყავდათ ან სამმართველოში დაატარებდნენ სამედიცინო შემოწმებისათვის.

ყველასათვის, ვისაც კი ის უყვარდა ან არ უყვარდა, ბარბასთვისაც კი, ის „ფოსფორიანი ჯევრიე“ იყო. პოლიციაშიც ფოსფორიანი იყო, ქუჩაშიც, დუქნებში, ნახანძრალებზე, აჰირკაფის გამოქვაბულებში, თექფურის სასახლის ნანგრევებში, ჩეშმემეიდანში, ყველგან. ყველგან „ფოსფორიან ჯევრიედ“ იხსენიებდნენ და ასევე მიმართავდნენ.

*

* *

მაგრამ როგორც კი აქ მოვიდოდა, მ ა ს თ ა ნ, მაშინვე ქრებოდა ხოლმე მისი პიროვნება, როგორც ფოსფორიანისა.

ის თითქოს ამ კარიბჭესთან ჩამოირეცხდა ქუჩის მთელ ჭუჭყსა და წარსულს და ოთახში შედიოდა სულ სხვა, უბიწო, უმწიკვლო, მთლად განწმენდილი.

მის წინაშე ის არ მიმართავდა მამაკაცების გამაღაზიანებელ მდაბიო და ცხოველურ ილეთებს, უხეშ და ვნებების ამშლელ ხუმრობებს, აქ ის ივიწყებდა ყველა იმ ოინებს და ხრიკებს, რომელსაც თავისი ქალობის გასაყიდად ხმარობდა ხოლმე, და თან ნატრობდა — იქნებ არ გაიგოს, რომ მე ასეთი რამეები ვიცი.

არ მიმიხვდესო, — შიშობდა ჯევრიე და რაღაც, დღემდე მისთვის უცნობი გრძნობა მღელვარებას და ნაღველსა ჰგვრიდა.

ეს სირცხვილი იყო...

სირცხვილის უნარი...

რა უცნაური გრძნობაა!

ეს პირველი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში, როცა სირცხვილი იგრძნო. და ეს მოხდა მის წინაშე...

სირცხვილის საშინელი გრძნობა ჯევრიემ პირველად იმ ღამეს განიცადა ,როცა ავადმყოფი, ნახევრად გონებადაკარგული ჯევრიე მან თავის ოთახში მიიყვანა. ეს ის ღამე იყო, როცა მან თავისი ლოგინი ჯევრიეს დაუთმო. ჯევრიეს კი ამ საქციელის მნიშვნელობა გაუგებრად ეჩვენა. პირველად აქ გაღვიძებულმა გრძნობამ შემდეგ მთელი მათი ურთიერთობა განსაზღვრა.

რა უნდოდა ჯევრიესთან ისეთ გრძნობას, რომელიც თითქოს მხოლოდ უცოდველი და წმინდა ქალების ბუნებას ახასიათებს?

მისი სულის ნეტავ რომელ კუნჭულში ღვიოდა აქამდე ეს წმინდა გრძნობა, რომ ერთბაშად ასე გაიზარდა, მომწიფდა და ჯევრიემ სირცხვილი იგრძნო?

მან ჯევრიეში უეცრად გააღვიძა რამდენიმე გრძნობა, რომელთა არსებობა აქამდე თვითონაც არ იცოდა. სწორედ ამ გრძნობებმა მიაჯაჭვეს ჯევრიე ამ კაცს...

*

* *

ხშირი გაფრთხილება, — აქ აღარ მოხვიდეო, — სულ ტყუილ-უბრალო გამოდგა.

ჯევრიე მაინც დადიოდა, მაინც სულ მასთან მიდიოდა.

უმისოდ, იქაური ჰაერის გარეშე, ჯევრიე, დიდი-დიდი, ათი-თხუთ-მეტი დღე თუ გაძლებდა და ყოველ მოსვლაზე მის ნახვას მოუყურებული, ნახვის სურვილით უფრო შეპყრობილი მოდიოდა.

ნეტავ თუ სიყვარული იყო ეს?

განა შეეძლო სიყვარულის განცდა ისეთ ქალს, რომელსაც ასეთი ახლო ნაცნობობა ჰქონდა ადამიანების უმდაბლეს გრძნობებთან?

განა შეეძლო მას საზრდო მიეცა სიყვარულისათვის, რომელიც თავისთავად ასეთი უმწიკვლო, მატერიალურ ინტერესს მოკლებული და სულისათვის ტკბილი სატანჯველი იყო?

როცა ეს კაცი გაიცნო, ყველაფერი არაჩვეულებრივი ეჩვენებოდა. თითქოს რაღაც ჯადოს ძალით, ჯევრიესათვის უცბად შეიცვალა სტამბოლიც. შემოდგომის ცივ საღამოებში ჯევრიე აჰირკაფის ფარნების ძირას ჩამოჯდებოდა, ჩამავალი მზის სხივებზე ტყვიისა და ბრინჯაოსფრად შეღებილ ტალღებს დასცქეროდა და ეჩვენებოდა, რომ წინათ ასეთი ტალღები მხოლოდ სიზმარში თუ უნახავს.

ფერები მას ისეთივე ბრჭყვიალა და ლამაზი ეჩვენებოდა, როგორც მის საყვარელ ფერად ფილმებში.

მაშინაც კი, როცა არავითარ სასმელს არ ეკარებოდა, თავს მუდამ მთვრალივითა გრძნობდა. ეს რაღაც ძლიერი და ტკბილი სიმთვრალე იყო... „ვერ გამიგია რა მჭირს, — ამბობდა ჯევრიე, — მუდამ შეზარხოშებულივითა ვარ“. მას მუდამ კარგ ხასიათზე ყოფნის მოთხოვნილება ჰქონდა. მასთან მოსულ მამაკაცებს დამცინავად უცქეროდა, — აქაოდა, გროშიც კი არ არის თქვენი ფასიო. ეს კი კიდევ უფრო იზიდავდა მისკენ მუშტრებს.

მასა და ჯევრიეს შორის არაფერი არა ყოფილა და ამიტომ ერთგულებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

მამაკაცებთან ყოფნა ხომ ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო მისთვის, როგორიც ჭამა ან ძილი...

იმ ცხოვრებაში, რომელიც ნეჯათიბეის გამზირზე მდებარე საიდუმლო ოთახის გარეთ მიმდინარეობდა, ჯევრიე ისევ ძველი ჯევრიე იყო.

სხვანაირ ცხოვრებას ის ხომ არც იცნობდა... დადიოდა ქუჩებში, ქოხმახებში, მარტოხელა მამაკაცების ოთახებში, ნახანძრალებზე და

ყველა მსურველს უთმობდა თავის სიყვარულსა და ქალობას, ხომ უხდა ეცხოვრა...

ეს მისი ჩვეულებრივი ცხოვრება იყო... მისი ცხოვრების უჩვეულო მხარე ზღაპარში და რომანში აღწერილსა ჰგავდა... ეს იყო ორკვირაში ერთხელ, მის ოთახში გატარებული დღეები.

*

* *

ის ჯევრიეს მიმართ არ ამჟღავნებდა არც ერთ იმ გრძნობასა და დამოკიდებულებას, რომელიც მამაკაცს ქალის მიმართ აქვს ხოლმე. მიუხედავად ასეთი განმარტოვებული და განდეგილი ცხოვრებისა, ის წარმოუდგენელ გულგრილობას იჩენდა.

ჯევრიე კი ისეთი ქალი იყო, რომ მის მიმართ გულგრილად დარჩენა არც ისე ადვილი გახლდათ.

ჯევრიემ კარგად იცოდა, რომ მასთან მოახლოებისას ყველა მამაკაცს ვნება ეშლებოდა ხოლმე.

და მასთან ყოფნისას ჯევრიეს სწორედ ის ანცვიფრებდა, რომ ეს მამაკაცი მის მიმართ აბსოლუტურად ცივი იყო.

*

* *

ჯევრიემ იცოდა, რომ მას რაღაც საიდუმლო ჰქონდა. მისმა ცხოვრებამ ხომ სულ ისეთ ხალხში გაიარა, რომელიც პოლიციას გაურბოდა. მან იცის, როგორ იცქირებიან ისეთი ადამიანების თვალები, რომელთაც დაპატიმრებისა ეშინიათ ან ჰგონიათ, რომ ვინმე ადევნებს თვალყურს. იცის, როგორ კრთებიან ისინი ყოველგვარ ფაჩუნზე, როგორ ეჭვის თვალით უცქერიან ყველას და მეგობრობას ერიდებიან.

ერთხელ, სიკვდილმისჯილმა, ვინმე თაკაჯი[1]-სულეიმანმა, რო-

[1] თ ა კ ა ჯ ი — ნალბანდი, მენალე.

შელმაც განაჩენის დამტკიცებამდე მოახერხა ციხიდან გაქცევა ჯევ-
რიეს თვალწინ თავის საუკეთესო მეგობარს ლუთფის სამჯერ ესროლა
დანა და მოკლა. თურმე ეჭვი შეპარვია, ჩემი გაცემა უნდოდაო...
ლუთფი კი, გაცემა იქეთ იყოს და, იმისათვის მოსულა, რომ ეთქვა,
შენს დასამალად ერთი საიმედო ადგილი ვიპოვეო.

ისინი თავს უფრთხილდებიან, ყველას ეჭვის თვალით უცქერენ.

ალბათ შიშის გამო ერიდება ის ჯევრიეს.

მასთან მისვლის პირველ ღამეს არც ერთს დილამდე თვალი არ მო-
უხუჭავს. „რატომ არ იძინებს? — რამდენჯერ ჰკითხა ჯევრიემ თავის
თავს და არცერთხელ არ გაუცია დამაკმაყოფილებელი პასუხი. — იქ-
ნებ იმიტომ არა სძინავს, რომ ეჭვით მიყურებს, ეშინია არაფერი დავუ-
შავო? — ფიქრობდა ჯევრიე და მის გულს ნაღველი ედებოდა. —
იქნებ ისიც ვერ იძინებს?“ — გაუელვებდა ჯევრიეს ხანდახან თავში
და რაღაც გაურკვეველი და უცნაური იმედი ეუფლებოდა.

ჯევრიემ მთელი ღამე ციებ-ცხელებით შეპყრობილი ადამიანივით
კრიჭაშეკრულმა გაატარა.

უცნაური ამბავია. მამაკაცებთან ყველაზე უფრო ფარულ გრძნო-
ბებზე ამკარად ლაპარაკსა და უწმაწური სიტყვების ხმარებას შეჩ-
ვეული ჯევრიე, რომლის არც ხორცსა და არც სულს ინტიმური აღა-
რაფერი შერჩენოდა, ეხლა გაუნძრევლად იწვა და იმას შიშობდა,
ვაი თუ გამიგოს, რომ არა მძინავს და მიმიხვდეს რა გრძნობითაცა ვარ
შეპყრობილიო.

დიახ, სირცხვილი ყველაზე უფრო ძლიერი გრძნობა იყო იმათ
შორის, რომლებიც ამ კაცმა მასში გააღვიძა.

ეს კაცი ვერ ხედავდა, ვერ გამოეცნო ჯევრიეს ნამდვილი პიროვ-
ნება, უფრო სწორად, თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერა ხედავს და ვერა
ხვდებაო. მის წინაშე კი ჯევრიეს, რომელიც ცუდს ვერაფერს ხედავ-
და თავის საქციელში, აუტანელ ტვირთად ეჩვენებოდა წლების მან-
ძილზე უდრტვინველად გამოტარებული კახპა ქალის ცხოვრების სიმ-
ძიმე. მის დაუდგრომელ სულს ეხლა ეწადა სისხლთან, ხორცთან და
ნერვებთან დაკავშირებულ გრძნობებში გარკვევა.

ჯევრიე ვერ ბედავდა ლოგინში განძრევას. მას ეხლაც ეუფლებოდა
რაღაც გრძნობა და ეს გრძნობა ძალიან გავდა ქალწულის ინსტინქ-

ტურ შიშს — ვნება არ გაეღვიძებია მის მახლობლად მყოფ[illegible]
ცისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ფოსფორიანი ჯევრიე, ჩაქოლილივით უძრავად იწვა ამ სუფთა ლოგინში და სირცხვილით იწოდა, როგორც ქალწული, რომელიც ვერ მიმხვდარიყო რა თბილი ოცნებები დაუფლებოდა მას.

და აი ეს ჯევრიე, რომელიც შიშვლდებოდა სტამბოლის ნაძირალა მაწანწალებთან, ჩივთეთელლისა და მუცლის ცეკვას ასრულებდა ლოთების სუფრასთან, ფულით თუ უფულოდ, უყოყმანოდ ეძლეოდა ყველას, ვინც კი ხელს მოკიდებდა და სურვილს გამოთქვამდა, სტამბოლის ქუჩების ეს ცნობილი ფოსფორიანი ჯევრიე, როცა მიხვდა, რატომ არ ეძინებოდა, ადგილიდან აღარ იძვროდა, არ შემიტყოს რა გრძნობა მომრევიაო.

*

* *

იმ დილით სარკის წინ მოინდომა თმების დავარცხნა და მაშინ დაინახა, რა დასვენებული ჰქონდა სახე და განაზებული სახის ნაკვთები, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ღამე არ უძინია.

უძილობის მიუხედავად, მისი შავგვრემანი კანი ეხლა უფრო ქორფა, ხოლო შავი თვალები უფრო ცეცხლის მფრქვეველი იყო, ვიდრე ოდესმე.

ჯევრიე მასზე ადრე ადგა და დიდხანს იბანდა ჩუმად დერეფანში, რომ ის არ გაეღვიძებინა.

ხელი, პირი და ფეხები კარგად დაიბანა. ბრაზობდა, რომ ტალახისა და ჭუჭყის მოსაშორებლად დილას უნდა დაჰლოდებოდა.

მის ნაბან თასში წყალი მელანივით შავი იყო.

წყალს რომ შეხედა, მიხვდა, რომ არ ზრუნავდა თავის თავზე! „ალბათ ვეზიზღები, — გაიფიქრა მან. — ჭუჭყიანი ვარ და არ უნდა რომ მომეხვიოს“.

ამ ჭუჭყის გამო, ჯევრიემ შელახულად იგრძნო თავმოყვარეობა.

„ის ოთახში ცხოვრობს. ჩემსავით ქუჩაში არა სძინავს სადღაც-სადღაც მოკუნტულს,“ — ამბობდა ჯევრიე და ამით უნდოდა გაემართლებინა ის უყურადღებობა, რომელსაც საკუთარი თვისადმი იჩენდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ნეჯათიბეის გამზირზე მეორედ მისასვლელად ჯევრიე გულმოდგინედ ემზადებოდა.

ის ცოტაოდენი ფული, რომელსაც მთელი კვირა ატარებდა ჭუჭყიან ცხვირსახოცში, ჯევრიემ ძველ წინდებში გადადო. იმ დილას, როცა იქ წასვლა გადაწყვიტა, კაფალიჩარშის[1] მიაშურა და მაჰმუთ-ფაშას[2] მხრიდან გაშლილ დახლებზე ოდნავ დაზიანებული წინდები, ჟერსეს ცისფერი პერანგი და ტრუსიკი იყიდა. უკანასკნელი ფული აბანოში დახარჯა, ერთი კარგად დაიბანა და ნაბანზე კიდევ უფრო დახუჭუჭებული თმა დაივარცხნა. მეწვრიმალის კალათში ნადებ, დაჭმუჭვნილ ახალ საცვალს რომ იცვამდა, ტანში რაღაც სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. მეაბანოვე ქალს სთხოვა და ქვედა კალთები და კოფთა გააუთოებინა. იისფერ ქვედა კაბასა და წითელ-შავ უჯრედებიან ბლუზკაში გამოწყობილმა ჯევრიემ ზედ მწვანე ჟაკეტიც ჩაიცვა, რომელიც ქოსაითენისათვის გამოერთმია იმ დღისათვის და აბანოდან გამოვიდა.

აბანოდან რომ გამოვიდა, გარეთ უკვე ბნელოდა... ეხლა მას აღარ უნდოდა, რომ ვიღაც კაცთან ხვევნა-კოცნის შემდეგ ენახა იგი. რა ექნა? ის, თმაგაუწეწავი, ტანსაცმელდაუჭმუჭნავი, სუფთა, პირდაპირ მასთან უნდა წასულიყო.

გალათაში მისასვლელად ხიდზე მიმავალს გაახსენდა, რომ როგორშე მაწანწალებისათვის უნდა აერიდებინა თავი და უცბად სუმბულ-დუდუს სახლი მოაგონდა.

მას შემდეგ, რაც ჯევრიემ ერთი კვირა გაატარა ამ სახლში, ის და სუმბულ-დუდუ უკვე მეგობრები იყვნენ. ის სტუმრადაც კი იყო რამდენჯერმე, მარტოც ბევრჯერ ყოფილა მასთან. დასხდებოდნენ ხოლმე ჯევრიე, სუმბულ-დუდუ, მისი დედამთილი და ტკბილად უზიარებდნენ ერთიმეორეს თავ-თავიანთ დარდებს. სუმბულ-დუდუ აბდი-ეფენდის თეატრში გატარებულ დღეებს იგონებდა და გზადაგზა ცოტა შაქარსაც წააყრიდა თავის ნაამბობს.

— ეჰ, რა დრო იყო, რა დრო! — ამბობდა სუმბულ-დუდუ. — აი

---

[1] კაფალიჩარში — დახურული ბაზარი სტამბოლში.

[2] მაჰმუთ-ფაშა — ქუჩაა, რომელიც ჩრდილოეთით ჩაუდის კაფალიჩარშის.

მაშინ უნდა გენახათ, რა ფრანტები იყვნენ. ერთხელ ცხონებულმა ფეჰიმ-ფაშამ დამპატიჟა. და მარტო იმიტომ, რომ მასთან მიხდა მიდებული ვიჯექი, ისე მაჩუქა ძვირფასქვიანი ბეჭედი, ვითომც ანაფერიაო... ეხლა რას მიყურებთ... მაშინ სუმბული სუმბული გახლდათ. იმდროინდელ პოეტებში ერთი ნასუჰი-ბეი იყო. შესანიშნავ ყაზალებსა და სიმღერებს თხზავდა. ჩემი ნამდვილი სახელი დიქრანუია. სომხურად ეს ძალიან მაღალფარდოვანია, მაგრამ ცხონებულმა ნასუჰი-ბეიმ ერთ საღამოს შიგ თვალებში ჩამხედა და ეს თვალები კი არა, სუმბულიაო ბრძანა. დიქრანუი რა საშენო სახელია, მე ამას იქეთ სუმბულ-ჰანუმს დაგიძახებო.

იმ დღეს დიდებულ სუფრასთან რამდენიმე არტისტი ვისხედით. ის დღე იყო და ის დღე, დიქრანუი მოკვდა. დარჩა სუმბული. ჯევრიე, შვილო, შენ ჩემ ეხლანდელ ყოფას რას უცქერი... მე დიდი ტანჯვა გამოვიარე. გამთვალეს, ის ჩემი სილამაზე, ახალგაზრდობა, ის ხაჭოსავით თეთრი ჩემი ტანი გაქრა. ლამაზი ქალი ყოველთვის უბედურია. ჩემს კარებთან ერთმა თვრამეტი წლის მედიკოსმა შიგ საგულეში დაიხალა დამბაჩა. მერე მითხრეს, თურმე დედამისი იწყევლებოდა: „ჩემი ნორჩი ვარდი მიწაში ჩავიდა. ღმერთო, ისე დაკრუნჩხე მისი დამღუპველი სუმბული, რომ სახე დედამიწისაკენ მოუქცია, მის თვალებს მიწის გარდა ნურაფერს ანახვებო!“—მისმა სიტყვებმა ფეხი აიდგეს და წელში მეცხენ. იმ დღიდან წელის ტკივილმა ასე მუხლუხოსავით დამკრუნჩხა. მამაკაცებს რამდენიც გინდა იმდენი ეთამაშე... შეიძლება, შეიძლება, მაგრამ ძალიან ნუ შეტოპავ. თავს ნუ დაიტეხ მათი დედების, ქალიშვილების რისხვას.

*

* *

სუმბულ-დუდუ იმ დღეს მარტო იყო.

— ჩემი დედამთილი ბაზარში წავიდა სურსათისათვის. მე სახლი დავასუფთავე და ეხლა ტახტზე ვზივარ თავისუფლად. — უთხრა მან ჯევრიეს, გაჭირვებით ასწია თავი, შეათვალიერა და დააყოლა:—ო, ჯევრიე, დღეს შენი მეგობარი უნდა ნახო? რაღაც ექსტრად მეჩვენები...

ჯევრიე უცბად გაურკვეველმა დაბნეულობამ შეიპყრო, და ეგრძნო, რომ პასუხის გაცემა გაუჭირდა.

— არა, ჩემო სუმბულ-დუდუ, აბანოში ვიყავი და...

— თვალების ალმაცერი გამოხედვაც ქისით ახეხვინე? შენი თვალები მზესავით ბრწყინავენ.

ჯევრიემ გაიღიმა, თუმცა მისი ნათქვამი ხეირიანად არც გაუგია.

სუმბულ-დუდუ და ჯევრიე ქვედა სართულზე მდებარე ოთახში შევიდნენ. კუთხეში ნახშირის ღუმელი ენთო. ღუმელის წინ გაკრიალებული შავი კატა იწვა მოკეცილი.

— შენ დღეს რაღაც განსაკუთრებული ხარ. მარტო აბანოში ნამყოფს არა გევხარ, ჩემო ჯევრიე, თვალებზე გეტყობა, რომ რაღაც არაჩვეულებრივს შეუპყრიხარ. აბა მითხარი, ვის დაუნიშნე დღეს პაემანი?

ჯევრიეს უეცრად მოუნდა გულის ნადები გაეზიარებინა მისთვის, და თუმცა ლოგიკისა და მსჯელობის თავი არა ჰქონდა, მაგრამ ქუჩის ქალის ინსტინქტით მიხვდა, რომ მ ი ს ი ცხოვრების ამბავი საიდუმლოდ უნდა შეენახა.

მასზე ლაპარაკი საჭირო არ იყო. ქუჩის ქალი ბევრ რამეს ხედავს, ბევრ რამეს ისმენს, ბევრი რამის მოწმე ხდება და რაც უფრო გაჩუმდება, მით უფრო მოსვენებული იქნება.

— სუმბულ-დუდუ, განა მე ისეთ სულელსა ვგავარ, რომ მეგობარი ვიყოლიო?

— აბა რა ვიცი, შვილო, კაცმა თუ ერთხელ გახსნა გულის კარები, მერე თურმე ვერც პროფესორები უშველიან და ვერც ჯარი დაუდგება წინ. შენ რომ ერნანის პიესაში ჩემთან ერთად გეთამაშნა, დღეს ასე აღარ იფიქრებდი... — უპასუხა სუმბულ-დუდუმ, ღრმად ამოიოხრა და ყავა შესთავაზა ჯევრიეს.

— ეს ბოლომდე დალიე, მერე კარგად აურიე და დააპირქვავე. მე კი მერე ძირზე დავხედავ და გავიგებ შენი გულის წადილს...

ჯევრიეს ტუჩები ექავებოდა, ისე უნდოდა მ ი ს შესახებ ლაპარაკი, მ ი ს ი ამბის მოყოლა, მაგრამ გაჩუმდა. თუ რამეს იტყოდა, ასე ეგონა, თილისმა ძალას დაკარგავდა და ვეღარ ნახავდა მ ა ს... მაგრამ ცხელი ყავა მაინც დალია და ჭიქა მაშინვე გადმოაპირქვავა.

ოთახი ბნელი იყო, ცხელოდა. ირგვლივ გემრიელი საჭმლის სუნი იდგა. კატას მშვიდად ეძინა... ჯევრიეც ისე იყო აბანოსაგან მოფენილი, რომ საცაა ჩაეძინებოდა.

მოხუცი სუმბულ-დუდუ რაღაცეებს ყვებოდა, მისი ნაამბობი ზღაპარსა გავდა:

— მე რომ შენსავით უზადო ვყოფილიყავ, მთელ სტამბოლს აკსარაის[1] ნასახლარებად მოვაქცევდი. შენ კი, შვილო, უსწოროდ იქცევი. ხარჯავ და ნიავს ატან ახალგაზრდობას. შენ ერთი სახლი გჭირდება შიშლიში[2]... ბეწვის მანტო... თანაც ისეთი, ჩვეულებრივი კი არა, არამედ არგენტინული. ამ შუა ზამთარში ხელის კანი დაგსკდომია... მეძებარი ძაღლივით ქუჩა-ქუჩა წანწალი შენ არ შეგფერის. მე კი კარგი ნაჭრები მყავს გამოჭერილი... ერთი ვაჭარი არის, საყვარელს ეძებს. პირდაპირ საშენო ვაუკაცია... დიდი-დიდი ორმოცი წლისა იყოს, ყველაფერი ადგილზე აქვს... ღმერთმანი, მეც თანახმა ვარ თხუთმეტი წლისა ვიყო, რომ მის მკლავებში ჩამაგორა.

ჯევრიეს თანდათან უმძიმდებოდა თვალის ქუთუთოები.

— პაროლ დონერი[3] მაქვს მიცემული, გამოგიძებნი რამეს-თქო. შენთვის რომ გასაგები იყოს, პატიოსანი სიტყვა მივეცი... მერე რა ენა აქვს, რა სასიამოვნო საუბარი იცის, რომ განახვა, ღმერთმანი, პირს წყალი მოგადგება... მე მითხრა: „სუმბულ-დუდუ, შენისთანა საყვარელი და კულტურული ქალი ქვეყნის გულზე არ მოიძებნება, მაგრამ შენც იცი, რომ ტომარაში კატა და ზღვაში თევზი არავის დაუფასებიაო. ასეთიაო, ისეთიაო, იტყვი, ფულს მოგცემ და შიგ კი ქეციანი კატა აღმოჩნდება. შენ მეტყვი სკუმბრიაო, დოშიაო, ზღვის ქორჭილაო, და თინუსი ან ლოქო კი დამხვდება. ჯერ გოგო უნდა ვნახო, ჭაშნიკი გავუსინჯო, ბალიკფაზარში არასდროს ყოფილხარ? უბრალო ბასთურმასაც რომ ყიდულობ, ვაჭარი ჩამოჭრის და გაგასინჯებს. შენ რომ ამბობ, კარგი რამეები მყავსო, ამოარჩიე ერთი, მოიყვანე და ჭაშნიკი გამასინჯე. ჩვენც გემოს გავუსინჯავთ, თუ მოგვეწონა, ბეს დაგიტოვებთ, თუ არა და ზარალს ავუნაზღაურებთ, ადიოს[4] გეტყვით და

---

[1] აკსარაი — უბანია სტამბოლში.

[2] შიშლი — უბანია სტამბოლში.

[3] Parole d'honneur—პატიოსანი სიტყვა (ფრ.).

[4] ადიო — ფრანგული adieu — მშვიდობით.

ჩვენს გზას ვეწევით.“ სიმართლე თუ გინდა, შვილო ჯევრიე, ეს სიტყვები მეც ჭკუაში დამიჯდა. შენ თუ არ გამხსენებოდე, ალბ, ეს ორი თვალიღა დამრჩა და ისიც დამიბრმავდეს... მაგრამ სტამბოლში „ფოსფორიანის“ ნახვა განა ასე ადვილია? აქეთ ვიკითხე, არავის უნახავს, იქეთ ვიკითხე, არავის უნახავს... ყისმათი ყოფილა ნამდვილად, რომ შენი ფეხით მოხვედი.

ჯევრიე თავს ძალას ატანდა. თვალებს ახელდა და უსმენდა სუმბულ-დუდუს.

— ჯერ მე და შენ შევთანხმდეთ პაემანზე, იმ კაცსაც იმ საღამოსათვის მოვიწვევ. თუ დაითანხმე საყვარლობაზე, ხომ კარგი... თუ არა და რა გიშავს, ქალწულობას ხომ არ კარგავ? მე შენ გეტყვი, ქვები გექნება საზიდი და მკლავები დაგაწყდება.

სუმბულ-დუდუმ შეატყო, რომ ჯევრიე კარგად არ უსმენდა და მისი გამოფხიზლება სცადა.

— ფინჯანი უკვე გაცივებულა, მოდი ერთი გიმარჩიელო.

სუმბულ-დუდუმ რომ ფინჯანი ხელში აიღო, ჯევრიე უცბად გამოფხიზლდა. მან იფიქრა, იმ კაცზე იქნებოდა ლაპარაკი, რამეს გავიგებო მის შესახებ და იმედმა თბილად დაუარა ტანში.

სუმბულ-დუდუ ბებერი მგელი იყო და ფსიქოლოგიც ნამდვილად კარგი იქნებოდა. აკი უთხრა კიდეც — თვალებზე გეტყობა, ჯევრიეო.

დიახ, ის ყველაფერს კითხულობდა მის თვალებში. მან ფინჯანი აიღო ხელში და თითქოს ფინჯანზე კითხულობსო, ნელ-ნელა დაიწყო ლაპარაკი:

— ჯევრიე, ჩემო გოგონავ, აბა ერთი ყურები ცქვიტე... ერთი ვიღაც უცხო კაცი გველივით დახვეული გიზის შიგ გულში... შენ პირადად ძალიანა ხარ მისგან მოხიბლული... შენი საყვარელი სუმბულ-დუდუ სიტყვას გეუბნება და დაუჯერე. ძაღლსა და მამაძაღლს არ გადაეყარო და ცხოვრება არ გაიფუჭო. ბედს ორი გზა გადაუშლია შენთვის. ერთი გზის თავში ფარშევანგი დგას, ო ღმერთო, შენს ფეხის ბულებს ვენაცვალე, — ფარშევანგის წინ კი შენა დგახარ. შუა გზაზე თევზია. ფარშევანგი სიმდიდრეა, თევზი — ბედნიერება, სიმშვიდე, სიუხვე. ყველაფერი ამ გზაზეა — სიმდიდრე, სახელი, ბრწყინვალება. მეორე გზაც არის. ამ გზაზე ახალგაზრდა კაცი დგას, ლამაზი... მის დანახვაზე გული გიფართხალებს და ყელში გებჯინება. თავზე კი

მდუღარე გესხმის, მაგრამ, ჩემო გოგონა, შენ იძულებული ხარ ყური მიგდო, შენს სიყვარულს ის არ პასუხობს, შენ გიყვარს, ის არ უყვარხარ.

ჯევრიე ისმენდა და „რა სიმართლეს ლაპარაკობსო“, — იმეორებდა თავის გულში.

— ვიღაც სხვა ქალიც არის.

ჯევრიემ უსასრულო ნაღველი იგრძნო. „რასაკვირველია, არის, — გაიფიქრა მან, — სხვანაირად განა ასეთი მორიდებული იქნებოდა?“

— აი, ფოსფორიანო, თვალები კარგად გაახილე და შენ წინ გადაშლილი ორი გზიდან ის აირჩიე, რომელიც ბედნიერებას გიქადის... გასაგებია?

— აი, შენ იცოცხლე, სუმბულ-დუდუ, — უპასუხა ჯევრიემ. სუმბულ-დუდუმ ფინჯანი აიღო, წამოდგა და ჯევრიეს მიმართა:

— ჩვენს ჰაჯი აღას როდისათვის დავუნიშნო რანდევუ? ოღონდ არ გამაწბილო, ჩემო ჯევრიე.

— არა, მე ტყუილი არ ვიცი, სუმბულ-დუდუ. ჩემი სიტყვაც ერთია და ალაჰიც ერთია.

— ხვალ საღამოს ადრეა... ალბათ ვერა ვნახავ ... ზეგ საღამოს მოხვალ?

— კარგი, საღამოს აქა ვარ დარჭობილი, ოღონდ შენც კარგი პურ-მარილი გაამზადე... ის ტიპი თუ ვაჭარია, მოხსნას ქისას პირი...

ჯევრიემ გემრიელი საჭმელებით გაწყობილი სუფრა წარმოიდგინა და ნერწყვი მოადგა.

ოთახში თანდათან ჩამობნელდა. სუმბულ-დუდუმ კარებისაკენ გასწია:

— შენ ალბათ მშიერი ხარ, ჩემი ფოსფორიანი ვარიკა ფორდის მანქანა როდია, რომ სტამბოლში დუჟინობით იშოვებოდეს. ოღონდ, ჯევრიე, იმ ღამეს შენი თავი ოქროსა და ბრილიანტივით სულ დირჰემებად და კარტებად უნდა გაყიდო.

როცა სუმბულ-დუდუ ოთახიდან გავიდა, ჯევრიემ ფეხები მინდერზე შემოაწყო და მიწვა, დაძინებას ფიქრობდა, მაგრამ არ ეძინებოდა.

„შენს წინ ორი გზა არისო. ერთზე მამაკაცი დგას, მის დანახვაზე

ელეთ-მელეთი მოგდის. მართლაც რომ სინამდვილე მითხრა, მაგრამ შენ მას არ უყვარხარ, მას სხვა ქალი ყავსო".

სხვა ქალი... ჯევრიე გრძნობდა, რომ ეჭვმა მოიცვა, მაგრამ რა უფლებით?.. დღემდე მას თავის ცხოვრებაში არვისზე პრეტენზია არა ჰქონია... და ამიტომაც ყურადღებას არ აქცევდა მამაკაცს, რომელიც წელან მას ეხვეოდა, ხუთი წუთის შემდეგ, მის თვალწინ, სხვა ქალთან მივიდოდა და ახლა იმას მიესიყვარულებოდა.

რა უფლება ჰქონდა ჯევრიეს, რომ ეჭვიანობა დაეწყო ან დაესაკუთრებინა ის კაცი?

მის მიმართ ის სალ კლდესავით, კუნძივით, უსულო საგანივით გულგრილი იყო.

ის ხომ არც სიყვარულსა და არც ერთგულებას შეჰპირებია ჯევრიეს, რომ ეხლა გული მოუვიდეს — სად არის შენი სიყვარული და ერთგულების ფიცი?

ჯევრიეს ესმოდა, რომ არა ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ თავის გრძნობებს მაინც ვერ ეუფლებოდა, ვერ ძლევდა მათ და ეჭვიანობდა.

სხვა ქალი...

ნეტავ თუ ძალიან ლამაზია ის ქალი? ვინ იცის რა ღირსებები აქვს იმ ქალს? ალბათ იმანაც იცის წერა-კითხვა, ლამაზად ჭამა და ტკბილად საუბარი.

ჯევრიემ ერთ ხანს თვალები დახუჭა... დაძინება უნდოდა, რომ დრო გასულიყო...

ჰაჯი აღას... თურმე საყვარლად სდომებია ის, გაიფიქრა ჯევრიემ. სუმბულ-დუდუ რაღაც სახლზე ელაპარაკებოდა შიშლის უბანში.

„ჩემსავით უბედურს სახლს ვინ დაუქირავებს?" — ამბობდა თავისთვის ჯევრიე და თან სახლზე, სავარძლებზე და ლითონის პრიალა საწოლებზე ფიქრობდა, რომელშიც ადამიანს თავისი თავის დანახვა შეეძლო. რბილი ლეიბი, ყოველდღე მაგიდასთან საჭმლის ჭამა, ნეტავ თუ მართლა უყიდის ის კაცი არგენტინულ ქურქის მანტოს?—გაიფიქრა ჯევრიემ და უცბად თვალწინ წარმოუდგა მექურქეების ვიტრინაში ნახული renard argenté[1]-ები. მან თავის თავიც კი დაინახა ამ შესანიშნავ ქურქში გამოწყობილი... ეს შეუძლებელი იყო... ასეთ რამეს ის ჯერ

---

[1] Renard argenté (ფრანგ.)— ვერცხლისფერი მელა.

არასოდეს შეხვედრია თავის სიცოცხლეში... ასეთი რამე არ მოხდებოდა ეს სინამდვილე რომ იყოს. მაშინ ხომ ერთ ღამესაც ვერ გაატარებდა ნეჯათიბეის ქუჩაზე მდებარე სახლში.

ჯევრიე თავის ცხოვრებაში არც ერთ კაცთან სერიოზულად არა ყოფილა დაკავშირებული. მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თუ სუმბულ-დუდუს მოყვანილ ჰაჯი აღასთან დაიწყებდა ცხოვრებას, მას ველარ ნახავდა.

„განა ფულს მოგცემს ის კაცი და გეტყვის სადაც გინდა იარეო?“ გაიფიქრა ჯევრიემ და უცბად შეწუხდა, თითქოს გული ყელში მიებჯინა.

„სახლიც მასა ჰქონდეს და ბეწვიც“. — გაივლო მან გულში და ადგილიდან წამოვარდა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, აიღო ერთი სიგარეტი, ღუმელთან მივიდა და მოუკიდა. ღუმელთან ისევ იწვა კატა, თვალები დახუჭული ჰქონდა და ძილში იშმუშნებოდა.

„ალბათ რა კარგია თბილ ღუმელთან მთელი დღე უდარდელად ძილი“, — გაიფიქრა ჯევრიემ და თავის თავს გამოუტყდა, რომ თუკი ვაჭარი მას წინადადებას მისცემდა, უარის თქმა არა ღირდა.

ამასობაში ისევ გაიღო კარი. ოთახში სუმბულ-დუდუ შემოვიდა:

— ქა, სიბნელეში რასა ზიხარ? სიხარული ხომ არ მოგერია? აანთე, ერთი, ეგ ელექტრონი, უფალ ღმერთს განა შენთვის და ჩემთვის არ გაუჩენია? — შესძახა სუმბულ-დუდუმ, ასწია ხელი, რომელიც თითქოს კისერში ამოზრდოდა და სინათლე აანთო. შნურის ბოლოზე გამობმულმა ლამფამ სუსტად გაანათა ოთახი, ჯევრიემ თვალები მოჭუტა.

სუმბულ-დუდუს ხელში სინი ეჭირა. ზედ რამდენიმე თეფში საჭმელი და პური იდო.

— დღევანდელმა დღემ ძალიან ქესატად ჩაიარა, დილას აქეთ ერთ სტუმარსაც კი არ დაურეკავს ჩვენი კარების ზარი... დასვენებით კი ვისვენებთ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ამით გვიდგია სული... ცოტა არაყი იყო, გუშინდელი დარჩენილი, ცოტა საჭმელიც მოვაკვარახჭინე, საღამოს კაცს ყელი ექავება ხოლმე.

სუმბულ-დუდუმ არაყი ჭიქებში ჩაასხა და ერთი ჯევრიეს გაუწოდა.

— აბა, გამომართვი, ჯევრიე, შენი კარგად ყოფნისა დავლიოთ.

ჯევრიემ არაყი ერთ ყლუპზე დალია, ხელის ზურგით ტუჩები ში-
იწმინდა და: „იფ, შენი გულისაო“. — დააყოლა.

სასმელი ჯევრიეს ძალიან უყვარდა. გალეშილი სიმთვრალეც
უყვარდა. მაგრამ ეხლა მასთან მიდიოდა და მეტის დალევა აღარ
ინდომა. თუმცა ცხრა საათისათვის მაინც თავბრუ ესხმოდა.

შვიდი საათის შემდეგ წასული დედამთილიც უკვე დაბრუნებულ-
იყო და ცოტა რაღაც მოემზადებია სამზარეულოში. ამ დროს ერთი
სტუმარიც მოვიდა. ცხრა საათზე მეორე გამოჩნდა და სუმბულ-დუდუ
ოთახიდან გავიდა.

მინდერზე მოკეცილი ჯევრიე შუა ღამეს ელოდა რომ მასთან წა-
სულიყო. ხან თვლემდა, ხან თვალები ეხილა, ხან ეძინა. ასე გავიდა
რამდენიმე საათი. თორმეტი ხდებოდა, როცა ჯევრიე ადგა. ოთახში
ამ დროს სუმბულ-დუდუ შემოვიდა:

— აბა, ფრრრ, — მიმართა მან სუმბულ-დუდუს, — მე მოვუსვი.

— ბარემ თქვი, რომ პაემანის საათი დაგიდგა, რას მალავ, ჩემო
ფოსფორიანო.

ჯევრიემ თვალი ჩაუკრა.

— ყოველი კაცის გულში ზის თითო ლომი! — უპასუხა მან, მოიჯა-
ხუნა კარი და ნიავივით გაქრა.

*

* *

ამჯერად ის შინ იყო.

ჯევრიეს ისევ ძველებურად შეხვდა და ბრაზმორეული ხმით
უთხრა:

— მე თქვენ ბევრჯერ აგიკრძალეთ აქ მოსვლა.

— დიახ, ასე იყო, მაგრამ ვერ გავძელი და მაინც მოვედი.

ეს სიტყვები რაღაც აღსარებასავით გაისმა. მაგრამ ის თითქოს
ვერაფერს მიხვდა.

— დიახ, — თქვა მან, — გარეთ ძალიან ცივა. თქვენ ალბათ ღამის
გასათევი ადგილი არა გაქვთ.

ჯევრიეს შერცხვა წეღან ნათქვამი სიტყვებისა, მაგრამ კმაყოფილი
დარჩა, რომ მან სხვანაირად გაიგო ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ამაღამ ძალიან ცივა, — უპასუხა ჯევრიემ და მეორე ხმადაბლა დააყოლა: — შენი ნახვაც მინდოდა.

ეს თქვა ჯევრიემ, მაგრამ ის ისე მოშორდა, თითქოს არაფერი გაეგონოს.

იმ ღამეს ჯევრიეს და მას მეტი აღარც ულაპარაკნიათ. ჯევრიემ ისარგებლა მომენტით, როცა ის არ უცქერდა, ადგა, ფარდის უკან გავიდა და დაგროვილი ჭურჭლის რეცხვას შეუდგა. თავისი ქალური ინსტინქტის კარნახით ის ცდილობდა, თავისი აქ ყოფნა კანონიერი და ბუნებრივი გაეხადა.

ჯევრიე ისე ტრიალებდა ოთახში და საქმიანობდა, თითქოს ეს არამც თუ უფლება, არამედ მისი მოვალეობაც კი ყოფილიყოს.

— ხომ არაფერსა ჭამთ, ჩაის ხომ არ დალევთ? — გაისმა ამ დროს ფარდის მეორე მხრიდან.

მას ეგონა, რომ ჯევრიე აქ ყოველთვის საჭმელად მოდიოდა. ამან ძალიან გააბრაზა ჯევრიე:

— არა, არაფერი არ მინდა. იმდენი ვჭამე, რომ გასკდომაზე ვარ.

ჯევრიე ხომ მისი გულისათვის ეცადა ამდენს, ასე გულმოდგინედ მოერთო და გამოეწყო, მას კი ერთხელაც ზედ არ შეუხედავს. ჯევრიე გულმოსული იყო და ბაგეები უთრთოდა. რაღაცეების თქმა უნდოდა, მაგრამ ბაგეები მაგრად ჰქონდა მოკუმული. რაღაც შინაგანი დისციპლინა, რომელიც მას აქამდე არასოდეს არ უგრძვნია, ენაზე კლიტეს ადებდა.

*

* *

— თქვენ თქვენს ლოგინში დაწექით, მე ტახტზე მინდა დაწოლა. — უთხრა მას ჯევრიემ, როცა დაწოლის დრო მოვიდა.

ამ სიტყვებში დამალული საყვედურის გაუგებრობა არ შეიძლებოდა. მან პირველად გაიღიმა მთელი ღამის განმავლობაში და თქვა:

— სტუმარი როცა მყავს, ლოგინში მე როგორ დავწვე.

სიტყვა „სტუმარი“ ძალიან ესიამოვნა ჯევრიეს... ბოლოს და ბოლოს სტუმრად მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე თუ შენი სტუმარი ვარ, რატომ მაგდებ ყოველ მოსვლაზე? ჰკითხა ჯევრიემ და გაუკვირდა, როგორ მოწყდა მის ენას ეს კითხვა.

— კი მაგრამ, მე ბევრჯერ გითხარით, — დაიწყო მან მასპინძელივით, რომელიც პატიებას ითხოვდა თავისი უხეში საქციელისთვის, — რომ აქ საიდუმლოდ ვცხოვრობ, არც ამ სახლის პატრონმა, არც ამ ოთახის ნამდვილმა დამქირავებელმა არ იცის, რომ აქა ვარ. და თუ ვინმემ გაიგო, რომ აქ ვიმალები...

არყის, მღელვარებისა და სიცხისაგან ჯევრიეს ლოყები დაწითლებოდა.

— ძმაო, — დაიწყო მან, — დედა შემერთოს ცოლად, ლუკმა ყელზე დამადგეს, თუ ან შენ გაგცე, ან ის, ვინც შენ გმალავს. დამრთე ნება, რომ მოვიდე ხოლმე, რა მოხდება?

ის ჯევრიეს მიაცქერდა.

დიახ, ჯევრიეს ყველაფერი ეტყობოდა თვალებზე. ეს თვალები ძაღლის ერთგულებითა და ვედრებით შესცქეროდნენ მას.

კაცი გრძნობდა, რომ ვერაფრით თავს ვერ დააღწევდა ამ ქალს. მის თვალებში ამოკითხულ ვნებაზე, სიყვარულზე და მორჩილებაზე ის ხედავდა, როგორ იყო ეს ქალი მასზე მიჯაჭული და რა ძნელი იყო ამ ჯაჭვის გაწყვეტა.

— მე არავინა მყავს, ძმაო,—თხოვნით განაგრძო ჯევრიემ. ის აღარ ფიქრობდა რას ამბობდა.—რა იქნება, ნება დამრთე, ხანდახან მაინც მოვიდე აქ როგორც საკუთარი მამის სახლში... აქ მოუსვლელად ვერა ვძლებ...

მას არაფერი უთქვამს. შეცქეროდა ამ ლამაზ გოგოს, რომელსაც დაბანილი, პრიალა თმა, გრძნობიერებით სავსე ბაგეები და ანთებული თვალები ჰქონდა.

ნეტავ თუ ვინმე უყვარს? იქნებ საიდუმლოდ რომ ცხოვრობს, ამიტომ ერიდება იმ ქალთან და საერთოდ ქალებთან უფრო ახლო, უფრო მჭიდრო ურთიერთობის დაჭერას.

ჯევრიე უძლური იყო ამის გადასაწყვეტად. მაგრამ ვისაც არ უნდა ენახა, მიხვდებოდა, რომ ამ კაცს არ სურდა მისთვის კეთილ-განწყობილების ჩვენება, არ აპირებდა თავის ცხოვრებაში ამ ქალის შემოშვებას.

ეს მდგომარეობა რომ აღარ გაგრძელებულიყო, მან უცბად შეაჭიკა ჯევრიეს ზურგი და უთხრა:

— გვეყოფა, ეხლა დავწვეთ და დავიძინოთ... თქვენ ჩემს ლოგინზე დაწვებით... მე ტახტზე.

ეს მართლაც არაჩვეულებრივი ამბავი იყო.

განსაკუთრებით კი ჯევრიესათვის...

ასეთი არაფერი უნახავს თავის ცხოვრებაში.

მას გული უკვდებოდა. ასე მოირთო, ასე დაიბანა და ის კი მაინც არ ეკარებოდა...

„მარჩიელობისას სხვა ქალი გამოვიდა, — ამბობდა თავისთვის ჯევრიე, — ნამდვილად ყავს... იმან მოაჯადოვა“.

ჯევრიემ ინახა, რომ თავისი გულის დარდი სუმბულს არ გადაუშალა, სუმბულისნაირმა ქალებმა ნაირ-ნაირი ჯადოები იციან.

მაგრამ შერცხვა, რომ ასეთი რამ გაიფიქრა.

არ უნდოდა ჯადოთი თავის შეყვარება. სიყვარული თავისთავად უნდა მოსულიყო. უჯადოოდ, რომ ჯევრიე ბედნიერი ყოფილიყო.

„ოორემ ისეთი ჯადოც ყოფილა თურმე, რომ ბაყაყს შეგაყვარებს“.

თვითონ არც ბაყაყზე შეყვარებული კაცი უნახავს არასდროს, მაგრამ მნახველები უამბობდნენ და თან იფიცებოდნენ.

ჯევრიეს არც იმ ღამეს სძინებია, მიუხედავად იმისა, რომ არაყი ჰქონდა დალეული.

*

* *

ჯევრიე მხოლოდ მესამე თუ მეოთხე მოსვლაზე მიიღო იმ კაცმა უჩხუბრად.

ის იძულებული შეიქნა დათანხმებოდა ამ ძალად მეგობრობას, რომელსაც ვერაფრით წინ ვერ აღუდგა. მათ პირველად ილაპარაკეს დიდხანს, დიდხანს.

— თქვენ არავინა გყავთ, ჯევრიე?

— არა.

— დედ-მამა როდის დაკარგეთ?

ჯევრიე სიამოვნებით ისმენდა თქვენობით მიმართვას. „ალბათ ვინმე ქალბატონი ვგონივარ,“ — ამაყად გაიფიქრა ჯევრიემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთს არ მოუცია ჩემთვის დედა და მამა, ძმაო. — უპასუხა ჯევრიემ, — ერთი ობოლ-ობერი ვარ, სოკოსავით ამოსული.

— სტამბოლელი ხართ?

ჯევრიემ ისე შეხედა, თითქოს ამ ქვეყნად სტამბოლის გარდა სხვა ადგილი არ ყოფილიყოს.

— რასაკვირველია. მაშ ხიხო ხომ არა ვარ. სტამბოლის ქვაფენილზე ვარ გაჩენილი, ძმაო.

მისი ცხოვრებით დაინტერესებამ და კითხვებმა ძალიან გაახარა ჯევრიე. იგი ადგა და ჟაკეტის ჯიბეში სიგარეტს დაუწყო ძებნა.

— ეძებთ რამეს? — ჰკითხა მან.

— დიახ, გაბოლება მინდოდა.

მან ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და ჯევრიეს გაუწოდა:

— ინებეთ, თითო სიგარეტი მოვწიოთ.

*

* *

დიახ, მათ შორის მეგობრობა და ამხანაგობა ისახებოდა. ჯევრიეს თავიდანვე არა სჯეროდა, რომ ის ფარულად ცხოვრობდა, რადგან მას არც სამუშაო ჰქონდა და არც თავშესაფარი.

ჯევრიემ მთელი თავისი სიცოცხლე ციხიდან გაქცეულებსა, რეციდივისტებსა და კანონის გარეშე მყოფ ნაირ-ნაირ ადამიანებს შორის გაატარა.

ეს კაცი ძალიან დიდ სიფრთხილეს იჩენდა და ჯევრიე გრძნობდა, რომ ის მთლად კანონგარეშე იდგა და საიდუმლოდ ცხოვრობდა. ეს კაცი მარტო პოლიციას კი არა, ყოველ ადამიანს გაურბოდა, ყველაფერს ერიდებოდა და ცდილობდა, ხმა არ გაეღო, არავის დაენახა, არა მარტო მაშინ, როცა ქარვასლა სავსე იყო ხალხით, არამედ მაშინაც, როცა არავინ ჭაჭანებდა.

ჯევრიე ხედავდა, რომ ის უაღრესად ფრთხილ ცხოვრებას ეწევა.

თანდათან კაცმაც იგრძნო, რომ ჯევრიეც ხვდებოდა რაშია საქმე და მისგან ამის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. და აი, ერთ დღეს მან გულახდილად უთხრა ჯევრიეს:

— აქ როცა მოდიხართ, ყურადღება მიაქციეთ, ჩემო კარგო, პოლი-

ცია ან ვინმე არ აგდევნოთ, თორემ ეჭვს აიღებს და მოგვაგნებს. — უთხრა მან, შემდეგ ხმას დაუწია და დაამატა: — გესმით ... მინდა, რომ პოლიციამ იცოდეს ჩემი ადგილ-სამყოფელი.

ჯევრიემ ქუჩის ბიჭივით გაიღიმა და თვალი ჩაუკრა:

— მაგას დიდი ხანია მივხვდი, ძმაო. ულვაშები მომპარსე თუ ერთი პოლიციელი მაინც მოვიყვანო.

სერიოზული საუბრის დროს ჯევრიეს მიერ წარმოთქმულმა ამ ფიცმა, ის უეცრად გააცინა.

აშკარა იყო, რომ ერთგვარად ისიც შეეთვისა ჯევრიეს. მის ფარულ და განდეგილ ცხოვრებაში შემოსულმა ამ ქალმა თან შემოიტანა მთელი ქუჩა და იმ ცხოვრების სითბო, რომელსაც ის ეხლა იძულებით იყო მოკლებული.

როცა ჯევრიემ მისი მხრიდანაც იგრძნო სითბო, უფრო თავისუფლად ეჭირა თავი ოთახში, უფრო მეტს ლაპარაკობდა მასთან, უფრო ადვილად უზიარებდა თავის უეშმაკო ამბებს, გადაუშლიდა ხოლმე გულუბრყვილო სულს.

მაგრამ ის თავს მაინც ისე აჩვენებდა, თითქოს არ იცოდა, რომ ჯევრიე ქუჩის ქალია. მას არასდროს გადაკრული სიტყვა არ უთქვამს ჯევრიესათვის, არასოდეს მიუმართავს ლაპარაკის ისეთი მანერისათვის, როგორითაც, ჩვეულებრივ, მამაკაცები ელაპარაკებიან ხოლმე ასეთ ქალებს.

ერთხელაც არ უგრძნობინებია, რომ იცის, ვინც არის სინამდვილეში ჯევრიე.

ის ესაუბრებოდა არა როგორც ქუჩის ქალს, არამედ როგორც ჩვეულებრივ ოჯახიშვილს.

მასთან ურთიერთობაში, ამ უცნაურ მეგობრობაში ბევრი ისეთი რამ იყო მოსაგონარი, რაც ბედნიერებასა გვრიდა ჯევრიეს. მაგრამ მათ შორის ყველაზე ტკბილი, მის ოთახში გატარებული ზაფხულის ერთი ღამე იყო.

ეს ღამე მას ცხელშიც კი ტკბილი სიზმარივით აგონდებოდა. ხშირად, ციხის ცხაურიანი სარკმელიდან ცას რომ შესცქეროდა ხოლმე, აგონდებოდა ის ღამე, როცა სხვენში გაჭრილი ფანჯრიდან გასცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ღამეს მასთან ოცდახუთი დღის უნახაობის შემდეგ, ოცდახუთი დღის წანწალის შემდეგ, ჯევრიეს გულში უეცრად გაჩენილი მისი ნახვის ნატვრა სურნელოვან არომატივით მოედო მთელ მის არსებას და მთვრალივით გააბრუა. მას დაავიწყდა თავისი მაწანწალა ცხოვრება და, საშინელი გულისწადილითა და ნაღველით სავსე, მასთან გაიქცა.

ისიც თითქოს მონატრებული იყო დიდი ხნის უნახაობისაგან, ჯევრიეს გაღიმებული შეეგება და ჰკითხა:

— სად იყავით ამდენ ხანს?

ძალიან ცხელოდა და ამიტომ ფანჯრების გაღება აუცილებელი გახდა. ამის გამო არც სინათლე ენთო. ერთი ფანჯარა ზედ მისი საწოლის თავზე იყო.

ფარდები და ფანჯრები გახსნილი იყო. ჯევრიე გულაღმა იწვა მის საწოლზე და ღია ფანჯრიდან ცას გაჰყურებდა.

ცას იმ ღამეს მუქი ლურჯი ფერი ედო. რა ბევრი, ბევრი ვარსკვლავები იყო ამ ცაზე.

ჯევრიეს ყველაზე მეტად ორი რამ უყვარდა ამ ცხოვრებაში — ზღვა და ცა.

ზღვა თითქოს მისი საკუთარი აუზი იყო მამის ბაღში, ცა კი საწოლი ოთახის ჭერი...

ეს უკანასკნელი ოცდახუთი დღე იმიტომ არ მოსულა, რომ ამ ზღვასა და ცას ვერ შეელია. ყოველ დღე ზღვაში ბანაობდა და ყოველ ღამე კი მინდორში ღია ცის ქვეშ დაწოლილი ცის თაღს უცქეროდა.

მაგრამ ეხლა ის ცის მხოლოდ პატარა ნაგლეჯს ხედავდა ფანჯრიდან და ასეთი ლამაზი ცა დღემდე არ ენახა.

ძალიან ცხელოდა. ნერვების ამშლელი, სხეულის მომთენთავი სიცხე იდგა.

ის კი ტახტზე იწვა და სიბნელეში პაპიროსს აბოლებდა. ჯევრიეც ზედიზედ ეწეოდა პაპიროსს — ერთს რომ ჩააქრობდა, მეორეს მოუკიდებდა და ეს ორი პაპიროსი ხან ინთებოდა, ხან ქრებოდა ციცინათელებსავით.

ცისკენ მომზირალმა ჯევრიემ ტკბილი მოთენთილობა იგრძნო სხეულში და მასთან საუბარი მოუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველი ვარსკვლავი ცალკე სამყაროა თურმე, არა? — იკითხა ჯევრიემ.

— თქვენ ვინ გითხრათ?

ეს ერთმა ლიცეის მოსწავლემ უთხრა. ისინი ამასწინათ გაეცვნენ ერთმანეთს ზღვის პირას. ისიც ჯევრიესავით პლიაჟის მახლობლად ბანაობდა. ისინი მიუახლოვდნენ ერთიმეორეს, გამოელაპარაკნენ და მერე ღამე იეშილქიოის მინდორზე გაატარეს. ის ვაჟი მთელი ღამე რაღაც უცნაურ ამბებს უყვებოდა ვარსკვლავების შესახებ — რა მანძილით იყვნენ ისინი დაშორებულნი დედამიწას და ერთიმეორეს, და ყოველივე ამას ისეთი დაბეჯითებით ამბობდა, თითქოს თვითონა ჰქონდა გაზომილი. ბოლოს, ჯევრიეს მოსწყინდა ყურის გდება და ვაჟს შეუბღვირა:

— გეყოფა, ბიჭო, რახა-რუხი, თორემ მოგიქცია ყბა და ეგ არის.

ეხლა კი რატომღაც შერცხვა ამის თქმისა და:

— ღმერთმანი, აღარ მახსოვს... გაგონილი კი მაქვს და... — უპასუხა და იქვე ეშმაკური ღიმილით დააყოლა, ისე, რომ მას არ დაუნახავს:— მითხრეს კი, მაგრამ არ დავიჯერე... ასეთი პატარა რაღაცეები როგორ იქნება ცალ-ცალკე სამყარო. იქ საიდან უნდა გაჩნდნენ ბერძნები, ინგლისელები, ამერიკელები, თურქები, სომხები ან ფრანგები? სად არის მათი სტამბოლი, სად არის მათი იზმირი[1]?

კაცს ხმაზე ეტყობოდა, რომ ილიმებოდა.

— ისინი ძალიან შორს არიან და მიტომ ჩანან ასე. თორემ ისე, პატარები როდი არიან.

— რა შორსაც არ უნდა იყვნენ, ყოველი მათგანი თითო სამყარო მაინც არ იქნება.

ერთ ხანს ორივენი დუმდნენ. მერე ისევ ჯევრიემ წამოიწყო:

— უფრო კარგი იქნებოდა, რომ ისინი სამყაროები არა ყოფილიყვნენ.

— რატომ?

— ვარსკვლავი უკეთესია. მათ მხოლოდ სინათლე უნდა გამოასხივონ მუნიციპალიტეტის ფარნებივით. ვარსკვლავები ღმერთის ფარნები უნდა იყვნენ. ისინი ალბათ ცის მოსართავად არიან გამოკიდებულნი. ცას რომ ვუყურებ, იცი რა მაგონდება, ძმაო?

---

[1] ი ზ მ ი რ ი — ქალაქი და ნავსადგური ეგეოსის ზღვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ღამეს მასთან ოცდახუთი დღის უნახაობის შემდეგ მივიდა. ოცდახუთი დღის წანწალის შემდეგ, ჯევრიეს გულში უეცრად გაჩენილი მისი ნახვის ნატვრა სურნელოვან არომატივით მოედო მთელ მის არსებას და მთვრალივით გააბრუა. მას დაავიწყდა თავისი მაწანწალა ცხოვრება და, საშინელი გულისწადილითა და ნაღველით სავსე, მასთან გაიქცა.

ისიც თითქოს მონატრებული იყო დიდი ხნის უნახაობისაგან, ჯევრიეს გაღიმებული შეეგება და ჰკითხა:

— სად იყავით ამდენ ხანს?

ძალიან ცხელოდა და ამიტომ ფანჯრების გაღება აუცილებელი გახდა. ამის გამო არც სინათლე ენთო. ერთი ფანჯარა ზედ მისი საწოლის თავზე იყო.

ფარდები და ფანჯრები გახსნილი იყო. ჯევრიე გულაღმა იწვა მის საწოლზე და ღია ფანჯრიდან ცას გაჰყურებდა.

ცას იმ ღამეს მუქი ლურჯი ფერი ედო. რა ბევრი, ბევრი ვარსკვლავები იყო ამ ცაზე.

ჯევრიეს ყველაზე მეტად ორი რამ უყვარდა ამ ცხოვრებაში — ზღვა და ცა.

ზღვა თითქოს მისი საკუთარი აუზი იყო მამის ბაღში, ცა კი საწოლი ოთახის ჭერი...

ეს უკანასკნელი ოცდახუთი დღე იმიტომ არ მოსულა, რომ ამ ზღვასა და ცას ვერ შეელია. ყოველ დღე ზღვაში ბანაობდა და ყოველ ღამე კი მინდორში ღია ცის ქვეშ დაწოლილი ცის თაღს უცქეროდა.

მაგრამ ეხლა ის ცის მხოლოდ პატარა ნაგლეჯს ხედავდა ფანჯრიდან და ასეთი ლამაზი ცა დღემდე არ ენახა.

ძალიან ცხელოდა. ნერვების ამშლელი, სხეულის მომთენთავი სიცხე იდგა.

ის კი ტახტზე იწვა და სიბნელეში პაპიროსს აბოლებდა. ჯევრიეც ზედიზედ ეწეოდა პაპიროსს — ერთს რომ ჩააქრობდა, მეორეს მოუკიდებდა და ეს ორი პაპიროსი ხან ინთებოდა, ხან ქრებოდა ციცინათელებსავით.

ცისკენ მომზირალმა ჯევრიემ ტკბილი მოთენთილობა იგრძნო სხეულში და მასთან საუბარი მოუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველი ვარსკვლავი ცალკე სამყაროა თურმე, არა? — ჯევრიემ.

— თქვენ ვინ გითხრათ?

ეს ერთმა ლიცეის მოსწავლემ უთხრა. ისინი ამასწინათ გაეცვნენ ერთმანეთს ზღვის პირას. ისიც ჯევრიესავით პლიაჟის მახლობლად ბანაობდა. ისინი მიუახლოვდნენ ერთიმეორეს, გამოელაპარაკნენ და მერე ღამე იეშილქიოის მინდორზე გაატარეს. ის ვაჟი მთელი ღამე რაღაც უცნაურ ამბებს უყვებოდა ვარსკვლავების შესახებ — რა მანძილით იყვნენ ისინი დაშორებულნი დედამიწას და ერთიმეორეს, და ყოველივე ამას ისეთი დაბეჯითებით ამბობდა, თითქოს თვითონა ჰქონდა გაზომილი. ბოლოს, ჯევრიეს მოსწყინდა ყურის გდება და ვაჟს შეუბღვირა:

— გეყოფა, ბიჭო, რახა-რუხი, თორემ მოგიქციე ყბა და ეგ არის.

ეხლა კი რატომღაც შერცხვა ამის თქმისა და:

— ღმერთმანი, აღარ მახსოვს... გაგონილი კი მაქვს და... — უპასუხა და იქვე ეშმაკური ღიმილით დააყოლა, ისე, რომ მას არ დაუნახავს:— მითხრეს კი, მაგრამ არ დავიჯერე... ასეთი პატარა რაღაცეები როგორ იქნება ცალ-ცალკე სამყარო. იქ საიდან უნდა გაჩნდნენ ბერძნები, ინგლისელები, ამერიკელები, თურქები, სომხები ან ფრანგები? სად არის მათი სტამბოლი, სად არის მათი იზმირი[1]?

კაცს ხმაზე ეტყობოდა, რომ იღიმებოდა.

— ისინი ძალიან შორს არიან და მიტომ ჩანან ასე. თორემ ისე, პატარები როდი არიან.

— რა შორსაც არ უნდა იყვნენ, ყოველი მათგანი თითო სამყარო მაინც არ იქნება.

ერთ ხანს ორივენი დუმდნენ. მერე ისევ ჯევრიემ წამოიწყო:

— უფრო კარგი იქნებოდა, რომ ისინი სამყაროები არა ყოფილიყვნენ.

— რატომ?

— ვარსკვლავი უკეთესია. მათ მხოლოდ სინათლე უნდა გამოასხივონ მუნიციპალიტეტის ფარნებივით. ვარსკვლავები ღმერთის ფარნები უნდა იყვნენ. ისინი ალბათ ცის მოსართავად არიან გამოკიდებულნი. ცას რომ ვუყურებ, იცი რა მაგონდება, ძმაო?

---

[1] ი ზ მ ი რ ი — ქალაქი და ნავსადგური ეგეოსის ზღვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი, ჯევრიე.

— მომღერლების ოქრომკედიანი ტანსაცმელი მაგონდება... ვგიჟდები ასეთი კაბებისათვის. შენ არ გიყვარს?

— მე კარგად არც კი ვიცი როგორია მომღერლების ოქრომკედიანი ტანსაცმელი.

— სულ არ გინახავს?

— ძალიან პატარა რომ ვიყავი, დედამ წამიყვანა, მაგრამ კარგად არც მახსოვს.

— დედამ?

— რატომ გაგიკვირდათ? მეც ისევე მყავს დედა, როგორც ყველას. მე რა, არ შეიძლება, დედა მყავდეს?

— შეიძლება... ყველას ყავს დედა. შენც გეყოლება. — ჯევრიე შეეცადა, რომ ხმის კანკალი დაეფარა: — დედაშენი ცოცხალია?

— დიახ.

— სტამბოლშია?

— არა, შორსაა, ძალიან შორს... — თქვა მან და ხმაზე ნაღველი დაეტყო.

— შორსაც რომ იყოს, ხომ გყავს და...—რაღაც უცნაური გრძნობით წარმოთქვა ჯევრიემ... — მე სულ არა მყოლია დედა.

— განა ბავშვი უდედოდ ჩნდება?

— მე კი გავჩნდი და... დედა არასოდეს მყოლია... თითქოს ციდან ვიყო ჩამოვარდნილი... არც კი ვიცი მართლა ქალმა გამაჩინა თუ არა.

ციდან ჩამოვარდნილი ვარო რომ თქვა, ვარსკვლავებს ახედა და ისე შეეწონა მათი ციმციმი, რომ გაუნათლებელი კაცის გულუბრყვილობით იკითხა:

— ვარსკვლავები თუ მართლა სამყაროებია, მაშინ მე ნამდვილად ერთ-ერთი მათგანიდან ვარ ჩამოვარდნილი ჩვენს დედამიწაზე.

ჯევრიეს ძალიან მოეწონა ასეთი კაშკაშა ვარსკვლავების მკვიდრობა.

— ალბათ ფოსფორიანსაც ამიტომ მეძახიან, — წარმოთქვა მან და უცნაური სიხარული იგრძნო.

კაცი დუმდა და ყურს უგდებდა ჯევრიეს აბდა-უბდა ლაპარაკს, რომელიც მას ბავშვის ტიტინს აგონებდა.

ჯევრიეს თავისი ნათქვამი აღარ მოეწონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ სიმაღლიდან რომ ჩამოვარდნილიყავ, ხომ გადასალბენ[illegible] თავით გავბრტყელდებოდი.

უეცრად ერთი საშინელი სცენა წარმოუდგა ჯევრიეს თვალწინ.

ერთ დღეს, ერთმა გოგომ, რომელსაც კუმრუ[1]-ფათოშს ეძახდნენ, ყველას თავი გადასჭამა — გინდა თუ არა ბეიაზითის[2] სახანძრო კოშკზე ავიდეთო.

ოთხნი იყვნენ... ივნისის შესანიშნავი დღე იდგა. არა ცხელოდა. ცა ისეთი მოწმენდილი და ლურჯი იყო, როგორც თოკზე გაფენილი, ლილაში ამოვლებული თეთრეული.

კუმრუ-ფათოშმა ყველას ფული გადაიხადა და კოშკზე აიყვანა.

ყველა იცინოდა და ხუმრობდა, ისიც ერთობოდა. ამ დროს, რა მოხდა, არავინ იცის, ფათოში უცბად გადახტა კოშკიდან. გოგოები ხედავდნენ როგორ მიფრინავდა ქვევით.

შემდეგ კი საწყალი ფათოში ქვებზე ნახეს გაბრტყელებული. სამი გოგო წივილ-კივილით ჩაჰყვა დახვეულ კიბეს.

რა საშინელი იყო იმ დღეს იმ კიბეზე დაშვება, რა საშინელი იყო.

ნეტავ რატომ გადმოვარდა კუმრუ-ფათოში კოშკიდან? ნეტავ რა იყო ამის მიზეზი, როცა ისიც საუბრითა და სიცილით იყო გართული? თავბრუ დაეხვა, წონასწორობა დაკარგა თუ წამიერმა სიგიჟემ წამოუარა?

ვერც ჯევრიემ და ვერც სხვა გოგოებმა ეს ვერასოდეს ვერ გაიგეს.

კუმრუ-ფათოში კარგი გოგო იყო. მუდამ მხიარული, სოფლელი გოგო. ერთ-ერთი მიწისძვრის დროს ობლად დარჩენილი, ქალაქში წამოუყვანიათ და გაუზრდიათ. ვიღაცამ იშვილა, მაგრამ რაღა შვილობილი... მან ვეღარ გაუძლო იქაურ წვალებას და გაიქცა ერთ ახალგაზრდასთან, რომელიც კარისკაცად მუშაობდა მახლობელ სახლში. მაგრამ მასთან მხოლოდ ერთი ღამე იცხოვრა. სახლის პატრონებმა მაშინვე შეუტყვეს და კარისკაცმა, რომელსაც სოფელში ცოლი ჰყავდა, სამუშაოს დაკარგვას ფათოშის გაგდება ამჯობინა.

ფათოშმაც უკან დაბრუნება ვეღარ გაბედა და ასე განაგრძო ცხოვრება.

---

[1] კ უ მ რ უ — გვრიტი.

[2] ბ ე ი ა ზ ი თ — უბანია სტამბოლში.

ჯევრიეს კიდევ ერთი ამბავი გაახსენდა და ხმამაღლა დაიწყო თხრობა:

— ერთხელ ერთი კაცი გადმოაგდეს თექფურის სასახლიდან. მე მდელოზე ვიყავი წამოწოლილი. იმ კაცს არაფერი დამართნია. კატასავით ფეხებზე დაეცა. მერე ადგა და გაიქცა. არც კი კოჭლობდა.

— მაშ თქვენც ალბათ ოთხზე დაეცით ციდან ჩამოვარდნისას?

— მე, ძმაო, სადაც არ უნდა დავეცე, ყოველთვის ოთხზე ვეცემი. ზღვას ქვიშა აქვს, მე კი ბედი... ეგეც რომ არა, ხმელეთზე დაცემა რა აუცილებელია. არასდროს გინახავს როგორ ხტებიან ხიდიდან ზღვაში? ერთხელ მეც გადავხტი უნკაფანის[1] ხიდიდან... ზღვაში ჩავარდნილს არაფერი ემართება... მეც ვარსკვლავებიდან ალბათ ზღვაში ჩავვარდი.

კაცმა გაიღიმა.

— ეგ კარგი აზრია, მართლაც.

— რესპუბლიკის დღესასწაულზეც[2] მინახავს თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმომხტარები... ქანავ-ქანავით ეშვებიან მიწაზე... არაფერი ემართებათ.

კაცს ხმაზე ეტყობოდა, რომ ჯერ ისევ იღიმებოდა.

— იქნებ ღმერთმა პარაშუტით გადმოგაგდოთ ვარსკვლავებიდან?

— არა, — უპასუხა ჯევრიემ. — არა მგონი. ვარსკვლავებიდან მე ნამდვილად პირდაპირ ზღვაში ჩავვარდი. რაც თავი მახსოვს, ხიდის ქვეშ მეძინა და სულ ზღვაში დავცურავდი.

ერთხანს ორივე გაჩუმდა. მერე ჯევრიემ განაგრძო:

— ხიდის ქვეშ ზღვა ძალიან ლამაზი ფერისაა. მწვანეა, როგორც ბოთლი და ტალღებიც აქვს... აი ისეთი, ბეიოღლუს ვიტრინებში გამოდებულ მატერიებს რომ ახატია... გალათის ხიდის ქვეშ ზღვა საშინლად ღრმაა. ერთხელ ჩავყვინთე, რამეს ამოვიღებ-თქო ძირიდან, მაგრამ დავრჩი ხახამშრალი. ძირს ვერაფრით ვერ მიაღწევ, რამდენიც არ უნდა ყვინთო, ძირს ვერ დაინახავ. ბიჭები ამბობდნენ, იქ ზღვა შვიდი მინარეთის სიმაღლეს აღწევსო... ნამდვილად ასეა... ხიდზე სეირ-

---

[1] უ ნ კ ა ფ ა ნ ი ს ხ ი დ ი — ხიდია „ოქროს რქაზე“, რომელსაც ეხლა ათათურქის ხიდი ეწოდება.

[2] რესპუბლიკის დღესასწაული — თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების დღე — 29.X I.1923 წ.

ნობა გიყვარს? წყალმცენარეების და გემების ბოლის სუნი დგას. შესანიშნავია.

ჯევრიემ ფანჯრისაკენ მიიბრუნა სახე და ჰაერი შეიყნოსა.

— აქაც ყოველთვის წყალმცენარეებისა და ბოლის სუნია. ზღვის სურნელი დგას. ამიტომ მიყვარს. ზღვისა და თევზის სუნია. ზღვას ხომ საზამთროს სუნი აქვს? ღამე, როცა ხიდის ქვეშ ჩამოვჯდები, ფეხებს ზღვაში ჩავკიდებ და მის სურნელებას ვყნოსავ, საზამთრო მომინდება ხოლმე.

ჯევრიემ გაიცინა და დააყოლა:

— ზოგჯერ ნაგვის საზიდი ნავებიდან ზღვაში ნაგავს ყრიან. იმ დროს თუ ლოდოსმაც[1] დაჰბერა, ეს ბინძური ნაგავი ხიდისაკენ მოდის. ჩემი საყვარელი ზღვის სუნს ნაგვის სუნი ერთვის და ადამიანი ცუდ ხასიათზე დგება... სამაგიეროდ მაშინ თოლიების პანტომიმას უნდა უყურო... საწყალი თოლიები... თითქოს განძს რამეს მიაგნესო, განუწყვეტლივ ესევიან ნაგვის გროვას... ხოლო როცა ნაგავს ნაპირთან გამოიტანს, მაშინ ქუჩის ბავშვებიც თოლიებივით იქექებიან მასში. რომ იცოდე, ძმაო, რა არ არის ამ ნაგავში. ლამაზ-ლამაზი კოლოფები, ხის ნაჭრები... ხის ნაჭრებს მზეზე გააშრობ, მოხუც ქალებს საწვავად მიჰყიდი და პურს ყიდულობ... ჩემი ბავშვობა სულ ასე გავატარე ზღვის პირას, ზღვაში.

— მაშ არც დედა გახსოვთ, არც მამა?

— დედა სრულიად არ მახსოვს... ძალიან პატარა რომ ვიყავი, ერთი ავადმყოფი კაცი დამყვებოდა ხოლმე, გამხდარი, მაღალი კაცი... მახსოვს, ძალიან მიყვარდა ის კაცი. ეხლაც მიყვარს, როცა გამახსენდება... რატომ მიყვარს, არ ვიცი... იქნებ ის კაცი იყო მამაჩემი...

ჯევრიე ერთი წამით დადუმდა და მერე ღიმილით და ხუმრობით განაგრძო:

— ეს იქნებ ის კაცი იყო, რომელმაც ზღვაში მიპოვნა ვარსკვლავებიდან ჩამოვარდნილი.

ამ სალამოს ისიც ეხუმრებოდა ჯევრიეს.

— თქვენ მგონი მართლა გჯერათ, რომ ვარსკვლავებიდან ხართ ჩამოვარდნილი.

---

[1] ლ ო დ ო ს ი — სამხრეთის ქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ ლამაზი ვარსკვლავების დანახვაზე, რა მოგატყუოთ, ... კუბოში გენახოთ ჩემი თავი, ძალიან მომწონს იქედან ჩამოვარდნის ამბავი... არა განა, ძმაო? აბა რა, სოკო ხომ არა ვარ, რომ მიწიდან ამოვიდე...

ჯევრიე უცბად გაჩუმდა. მან უსასრულო ნაღვლი იგრძნო. შემდეგ კი ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— შენ დედა გყოლია, ძმაო, მითხარი, ძალიან საყვარელია დედა?

მისი ხმა ნაღვლით იყო სავსე:

— დედა ძალიან საყვარელია, ჯევრიე!

— ის გამხდარი და ავადმყოფი კაცი, ალბათ მამაჩემი იყო. ამიტომ ეხლაც მიყვარს, როცა გამახსენდება. ის ხიდის ქვეშ მოკვდა ერთ დღეს. ის რომ მამაჩემი არ ყოფილიყო, ისე არ ვეყვარებოდი. კარგად არ მომივლიდა... სანამ ის ცოცხალი იყო, სულთანივით ვცხოვრობდი... ცხელ-ცხელ წაბლს ყიდულობდა ჩემთვის... თვითონ არა ჭამდა, მე მაჭმევდა... როცა ვიწექით, ჩემს ცივ ფეხებს გულზე იკრავდა, პიჯაკს, პალტოს, ყველაფერს, რაც ჰქონდა, მე მახურავდა.. თავისი ტანით მე მიფარავდა სიცივისაგან.

ჯევრიე გაჩუმდა. შემდეგ კი უცბად განაგრძო:

— შენც, ავად რომ ვიყავი, იმ ღამეს, შენი პალტო დამახურე.

ამის გახსენებაზე ჯევრიე თრთოლამ აიტანა. განცვიფრებულს გაახსენდა, რომ ამან მოაგონა კაცი, რომელიც ხიდის ქვეშ პალტოს აფარებდა და სიცივისაგან იცავდა მას და დაბალი ხმით დააყოლა:

— მამაჩემსავით...

ჯევრიეს არასოდეს არავისთვის არ უამბნია ეს ძველი მოგონებები და მათ გახსენებაზე არასოდეს არ უგრძვნია თვალზე მდუღარე ცრემლი. ეხლა კი, როცა მას უყვებოდა, ეჩვენებოდა, თითქოს გაყინული და გაქვავებული ძველი მოგონებები ცხოვრებისეულმა სითბომ დააღნო და გააცოცხლა.

ყველაფერი ისეთი მნიშვნელოვანი გახდა, თითქოს იმ წუთში ხდებოდა. ძველი სიხარული და ძველი დარდები ახალი სიხარულივითა და ახალი ნაღველივით მოედო მის გულს. ჯევრიე ავადმყოფივით ბოდავდა. ძველმა ამბებმა როგორც კინოფირზე, ისე გაირბინეს მის თვალწინ.

— დიახ, დიახ, ის კაცი ნამდვილად კარგი ადამიანი იყო... თავს მევ-

ლებოდა. ხიდის ქვეშ ისე კრძალავენ ღამისთევას, თითქოს მამაკაცთა სახლი ყოფილიყოს. ღამღამობით მამაჩემს პონტონების ყველაზე ბინ-ყუჟულ ადგილას მივყავდი ხოლმე. იქ ვწვებოდით. ღმერთმანი, ისე მივლიდა, ისე მივლიდა, რომ... ლორდების პალატაში ცხოვრება მიმიქარავს... უჭმელს მაჭმევდა და უსმელს მასმევდა. რაც მინდოდა წინ მედო, რაც არა და არა...

ხიდის ქვეშ იმ საწყალ სნეულ კაცთან გატარებულმა ცხოვრებამ მართლაც დატოვა მასში ასეთი ალალი მოგონებები. ამას ჯევრიე ისე იგონებდა, როგორც თავისი ცხოვრების უბედნიერეს და უტკბეს პერიოდს.

ბოლოს და ბოლოს ჯევრიეც ხომ არ იყო დიდი მოთხოვნილების ადამიანი, ის ასეთივე კმაყოფილებით იგონებდა თავისი ცხოვრების თითქმის ყოველ დღეს. მას ხომ ბუნებით უყვარდა სიცოცხლე. მისთვის ყოველგვარი ცხოვრება საყვარელი, ლამაზი და კარგი იყო.

— ის რომ მოკვდა, ბევრი ვიტირე... შემდეგ, არ ვიცი იმ დღეს იყო თუ სხვა დროს, ოღონდ ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ თითით უჩვენებდნენ ჩემზე ხიდქვეშ მცხოვრები მთელი მაწანწალები. არ კი მახსოვს რაში იყო საქმე, დავაშავე რამე, თუ მუნიციპალიტეტს დრო დაუდგა და ქუჩის ბავშვებს დასდევდა დარულაჯეზეში[1] გასაგზავნად... არ ვიცი რა იყო.. ირგვლივ პოლიცია შემომეხვია. მე გავრბოდი, პონტონიდან პონტონზე ვხტებოდი. თავგის სოროს მსგავს ხვრელებში ვძვრებოდი. ისეთ ადგილებში დავძვრებოდი, რომ პოლიციას კი არა, ისევ ჩემი ტანის ბავშვს თუ შეეძლო გაძრომა. როგორ მოხდა არ ვიცი და, ვიხტუნე, გავძვერი, გამოვძვერი და პოლიციას დავუსხლტი ხელიდან. მტკავლისოდენა ლაწირაკი ვიყავი.

ამ ოინის გახსენებაზე ჯევრიემ ყაჩაღანა ბიჭივით, გულიანად გადაიხარხარა:

— მერე რანაირად მივრბოდი არ მახსოვს, ამომშრალ წყაროს შევაფარე თავი. ეს ამბავი ალბათ უნკაფანის ხიდთან მოხდა... მაშინ ეს ლამაზი ხიდი ჯერ არ იყო. ნამდვილად არ იყო, რადგან ახალ ხიდს რომ აშენებდნენ, მახსოვს, ღამღამობით გამოვიდოდი წყაროსთავიდან. სადღაც დავხეტიალობდი, ვპოულობდი ბოსტნეულის ნარჩენებს და თოლიასავით ამ ნარჩენებში ვიქექებოდი.

---

[1] დარულაჯეზე — უპატრონო ბავშვთა სახლი.

ჯევრიე გაჩუმდებოდა და მერე განაგრძობდა უდრტვინველად ამბავი ჩილებით:

— ღმერთი დიდია. ყველას სადღაც გამოუჩენს საკვებს... ჩემთვის ნაგავში გამონახა. ის იყო ჩემი წილი. მე არ უნდა მოვმკვდარიყავ... ღმერთს ვფიცავ, სტამბოლი სიცოცხლისათვისაა გაჩენილი. რამდენ გაჭირვებულს აცოცხლებს... აქ, მუქთად შეიძლება ცხოვრება... ტყუილად როდი უთქვამთ, სტამბოლს ქვა და მიწა ოქროსი აქვსო...

— ეგ თქვენი საყვარელი ღმერთი საკვებს უფრო სუფთა სახით ვერ მოგაწვდიდათ, ნეტავ? — ჰკითხა მან.

— ალაჰის საქმეებში ჩარევა არ იქნება! შუბლზე როგორც გვაწერია, ისე ვცხოვრობთ, ჩვენი ბედი სადაც არის, მას იქ ვპოულობთ.

განა ბედი არ იყო ის, რამაც ჰისარში[1] ჯევრიე ამ კაცის ნავამდე მიიყვანა?

ჯევრიე არ უჩიოდა თავის ბედს. მას არ ეგონა თუ ცხოვრებაში უკეთესი რამე არსებობდა. უკეთესს არაფერს იცნობდა და ამიტომ არც არაფერს ნატრობდა.

ეხლა ის ვარსკვლავებს შესცქერის, იგონებს ძველ ამბებს, რომელთაც ყველაზე მეტი კვალი დააჩნიეს მის ცხოვრებას. ხან გამხიარულდება, ხან მოიწყენს, ხან გადაიხარხარებს, ხანაც სერიოზულ სახეს მიიღებს.

— მაშინაც ალაჰი გვაძლევდა საკვებს და ახლაც. ჩვენც ვცხოვრობთ. მაშინაც ვწვალობდით, ახლაც ვწვალობთ. ღმერთი მოწყალეა, ჯევრიე.. განა ცოტა ზომე ამ სტამბოლის ქუჩები. განა ღმერთმა ხელი აიღო ჩემზე?... არა... ამ ქვეყნად არც დედა მყავს, არც მამა, ეს ვეება ქალაქიც, სადაც არ უნდა მიხვიდე, გერეკება როგორც გიაურს და მიუხედავად ამისა, მე მაინც რა ჯორის ტანი მოვიყარე, ვინა მკვებავდა წლიდან წლამდე... ამ ქვეყნად ჩემს სახელზე ერთი ქვა არ ჭაჭანებს... ღმერთი დიდია... მადლიერი ვარ მისი... თორემ ასე, ამოდენა ტანისას, რა მომყრიდა. ბავშვები სადმე ცარიელ ნავს დავინახავდით თუ არა, შიგ ჩავხტებოდით და ზღვაში გავიდოდით სათევზაოდ... ჩვენ შორის ერთი ჩირთლაკ[2]-ჰამდი იყო. ერთ დღეს ის სამმართველოს მეორე გან-

---

[1] ჰ ი ს ა რ — უბანია სტამბოლში, იგულისხმება რუმელი ჰისარი, რომელიც სტამბოლის ევროპულ ნაწილში მდებარეობს.

[2] ჩ ი რ თ ლ ა კ — ჭრიჭინა.

ყოფილებიდან ეზოში თავდაყირა გადაეშვა... ის იყო და ის, ჩვენ, რომ თევზით ვბრუნდებოდით ხოლმე, მას ზეითუნის ზეთი მოჰქონდა. სად შოულობდა, არ ვიცი... მოჰქონდა კი... მაშინვე ცეცხლს გავაჩაღებდით სადმე ცარიელ ადგილზე, ზედ ზღვაში და ნაგავში ამოკრეფილ კონსერვის კოლოფებს დავაწყობდით, შიგ ზეთს ჩავასხამდით და ვხრაკავდით თევზებს. ზამთრობით თოვლში მახეს ვაგებდით, კაკანათს ვდგამდით, ჩიტებს ვიჭერდით, ვწვავდით და შევექცეოდით. ჩვეულებრივ კი, ხილითა და მწვანილეულით დატვირთულ ნავებსა ვცლიდით. საქონლის პატრონი ფულს არ გვაძლევდა — რამდენსაც შეჭამთ, ჭამეთო, — გვეუბნებოდა. ერთხელ, მუშმულით სავსე ნავი გადმოვტვირთეთ. პატრონმა კალათები ჩამოგვირიგა და საღამომდე სული ამოგვართვა მუშაობით, მაგრამ მერე სავსე კალათა მუშმულა მოგვცა. დავსხედით და სულ შევჭამეთ. იმდენი ვჭამე, რომ ავად გავხდი... მუშმულა ხომ საწამლავი არ არის... არ არის, მაგრამ... მეტის მეტი, თავში რეტიო და... ავად გავხდი. ქუჩაში დავვარდი. საავადმყოფოში წამიყვანეს... კუჭი ამომირეცხეს... კინაღამ კოლონიაში მიკრეს თავი... საპოლიციო უბნის ფანჯრიდან გადავხტი და თავს ვუშველე... არასოდეს დამავიწყდება. იმ ღამეს ჩვენს საწყალ შასი[1]-ფათის ტრამვაიმ ფეხები გადაჭრა. შენ ალბათ იცი, ზემოთ, ფათიჰის[2] მახლობლად ძველი მედრესე არის. მის ოთახებში ღარიბები არიან თავშეფარებულნი. იქ ერთი ჯადოქარი ცხოვრობდა, ჯადალოზ[3]-ემინეს ეძახდნენ. მან ერთხელ მე და რამდენიმე ბავშვი დაგვიყოლია — ჩვენ უნდა მოწყალება გვეთხოვა და საღამოს მისთვის ფული მიგვეტანა. ის კი მოგვივლიდა: დაგვბანდა, დაგვასუფთავებდა, გვაჭმევდა... ჩვენ უნდა გვემუშავა, ფული მისთვის მიგვეტანა.. ყველანი ცალ-ცალკე ჩამოვსხედით ქუჩის კუთხეებში. საკმაო ფული გავაკეთეთ... საღამოს მივუტანეთ. იმ საღამოს ჩვენთვის ღვეზელები გამოუცხვია და გვაჭამა, მაგრამ ისეთი იყო, რომ კინაღამ თითებიც თან შევატანეთ. კმაყოფილნი დავრჩით. იმ ღამეს ყველას ერთი ჭილოფი დაგვიგო, ერთმანეთის გვერდით ვიწექით. მეორე დილით ისევ ქუჩაში გაგვისტუმრა. ისევ ვიმუშავეთ. მაგ-

---

[1] შ ა ს ი — ელამი.

[2] ფ ა თ ი ჰ — უბანია სტამბოლში.

[3] ჯ ა დ ა ლ ო ზ — ავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ იმ საღამოს ღვეზელი კი არა, ცარიელი ლობიო მოგვცა. მესამე დღეს ბურღულის სუფი დაგვალევინა, მეოთხე ღამეს მარტო ბუბლიკები. მივხვდით, რომ ქალს ჩვენი გაცურება უნდოდა... ვითომ ის არა კმაროდა, რომ გვაშიმშილებდა, დღისით ჩვენს ადგილებსაც დაივლიდა და თუ იქ არა გვნახავდა, საღამოს ჯოხს მოგვცხებდა ხოლმე და ყვირილს მოჰყვებოდა — აი თქვე ცოდვის შვილებო, თქვენაო, ემინენინე თქვენთვის არის მოსული ამ ქვეყნად, თუ როგორა გგონიათო? მე თქვენ უნდა გიაროთ, თქვენ კი იხეტიალოთ და მერე ლოგინი და თბილი საჭმელი მომთხოვოთო. ერთ დღეს ბავშვები შევყარე და ლექცია ჩავუტარე: „ეგ პატრონმკვდარი ოხერი ჯადო ყმებივით გვამუშავებს, არც გვივლის და გვიბათქუნებს-მეთქი. ნეტავ რატომ უნდა ვიმუშაოთ მისთვის. უმისოდ განა მშივრები ვისხედით, თუ რა-მეთქი". ერთი სიტყვით, კარგა ბევრი ვროშე. ბავშვებმა ყველაფერი გაიგეს. იმ დღეს გადავწყვიტეთ, რომ მისთვის აღარ გვემუშავა. მე ალბათ ყველაზე უფროსი ვიყავი და ამიტომ გამოვუცხადე: „ყური მიგდე, მეგობარო-მეთქი, ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ შენთან კავშირს ვწყვეტთ. ჩვენ ყოველდღე მოგვაქვს შენთვის ფული, შენ კი ჩვენს წილს არ გვაძლევ... ჩვენისთანა ღლაპებს რომ ლუკმას ართმევ, ცოდო არ არის განა? შენ ცალი ფეხი სამარეში გიდგას... მესაფლავე მაჰმუდმა უკვე დაგნიშნა. საცაა ჯვარს დაგწერს... ნუთუ ალაჰისა არ გეშინია? ობლების დომხალი გგონივართ თუ ვირების კოლექტივი? ამის შემდეგ ჩვენთან საქმე აღარა გაქვს".

ეს ჯადო ადუღდა, წამოავლო ცოცხის ტარს ხელი, მომდგა და წვენი ხომ მადინა და მადინა, ჩემს ნეკნებს, კიდევ, სულ დიმპიტაური აძახებინა. მე რომ ვიყვირე, ოთახში ჩვენი ხროვა შემოცვივდა, რომლებიც გარეთ იცდიდნენ. ყველა ქუჩის მაწანწალა იყო, მაგრამ უკეთესს მაინც ვერ ინატრებდი. ჩვენ შორის ერთი ყოჩ-მუსტაფა იყო. ის ეხლაც გალათის რისხვაა. მხოლოდ თავით ჩხუბობს, ყოჩივით... ერთი თავური თუ მოსდო, წინ ზაალის ძე როსტომიც ვერ დაუდგება. მის თავს დაზგის ტყვიამფრქვევიც ვერაფერს დააკლებს. ისეთია, რომ ტანკი გეგონება. მაშინ მუჭისტოლა იყო, მაგრამ მისი თავი მაშინაც თავობდა. ერთი თავური რომ მოსდო, იქვე დასვა ის ჯადო. ამასობაში დანარჩენმა ჭია-ღუებმა საჩხრეკად გასწიეს. საბან-ლოგინი გადაქექეს. მაყუთი საკმაოდ აღმოჩნდა. ქალს ხელები შევუბორკეთ. მის თვალწინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავყავით და ერთი წილი მასაც ვარგუნეთ. თვითეულს ოთხი-ოთხი ქაღალდი გვერგო. შემდეგ ხელები გავუხსენით და წავედით. მერე კ- გვეშინოდა, პოლიციაში არ გვიჩივლოს-თქო. სანამ პოლიცია წაგვართმევდა, ამ ფულს ჩვენ თვითონ მოვუღეთ ბოლო. ჯერ ნამცხვრები გეახელით და მერე მუჰალები[1] დავაყოლეთ. მანამდე მუჰალები არასდროს არ მეჭამა. მედუქნემ ზედ ვარდის წვენი დაგვისხა... ისეთი სუნი იდგა, თავი ვარდის ბაღში გვეგონა. ერთი შევჭამე... მეორეც ვჭამე... მერე გამზირზე გამოვედი. დუქნის ვიტრინებში მზა ტანსაცმელს ვათვალიერებდი. ამ დროს ერთი ბუს თვალებიანი კაცი გაჩნდა ჩემს გვერდით. დუქანში რომ შევიდე, პატარა ხარო და ტანსაცმელს არ მომცემენ, თანაც შემეშინდა — არა მკითხონ, ამდენი ფული ვინ მოგცაო. მაშინ ამ კაცს მივუბრუნდი: „ძია, — ვუთხარი, — აი ფული, შედი და ეს წითელი კაბა მიყიდე-თქო“. ჩემი ფული ნამდვილად არ იკმარებდა იმ კაბის საყიდლად, მაგრამ კაცს ხმა არ ამოუღია. ფული გამომართვა და შევიდა. შევიდა და აღარც გამოჩენილა. ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო... გაქრა ჩემი ქაღალდებიანად. იმ ბებერ ქალს თვითონ ჰქონდა რეგისტრაცია და ამიტომ ალბათ პოლიციაში აღარ მისულა. ჩვენთვის ხელი არავის უხლია. ერთხელ კიდევ წავაწყდი ერთ კარგ საქონელს. კინაღამ ოპიუმსა და ჯიბგირობას შეგვაჩვია. ყური მიგდე და გაგიკვირდება რა ნომრები ხდება ამ სტამბოლში. ერთ დღეს მუხლამდე მოთოვა. ქარბუქიც ამოვარდა. ტრამვაის ლიანდაგებს წმენდენ, ისევ თოვლსა დებს. ტრამვაები კანტი-კუნტად დადიან. ისეთი ქარბუქიანი დღეები იყო, რომ... გეგონებოდა სტამბოლელები სადღაც გაქრენ და მთელი ქალაქი მარტო უპატრონო ქუჩის ბავშვებს დაუტოვესო. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მისირჩარშისი[2] და მისი სკვერი. ბავშვები მანქანების (ეხლა სამარშრუტო ტაქსების) სადგომ კუთხეში ვიდექით. სტამბაში აწეულ ქაღალდებს ცეცხლი წავუკიდეთ, შემოვეხვიეთ და ვთბებოდით. მანქანებს ჯაჭვები ერტყათ საბურავებზე და იშვიათად, მაგრამ ხმაურით მიდი-მოდიოდნენ. ემინენიუს მოედანზე, იენიჯამის[3] თაღებქვეშ, სიცარიელე იყო, — ცხენზე შეჯექ და შეაჯი-

---

[1] მ უ ჰ ა ლ ე ბ ი — ბრინჯის ფქვილით შეზავებული რძის კისელი.

[2] მ ი ს ი რ ჩ ა რ შ ი ს ი — ბაზარია სტამბოლში.

[3] ი ე ნ ი ჯ ა მ ი — მეჩეთია სტამბოლში.

რითე... ჩვენც სწორედ აქ გვენთო ცეცხლი, ვთბებოდით და ვთამამდებ-
დით. ამ დროს ერთი ვიღაც ახმახი მოგვადგა. საკმაოდ ახალი შავი
პალტო ეცვა. ყელზე წითელი კაშნე ეხვია. ცალი თვალი მეორეზე პა-
ტარა ჰქონდა. ცხვირი ყვავის ნისკარტს მიუგავდა. ვიღაც ვიგინდარა
იყო. ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ერთხანს გვიყურა და მერე შემოგ-
ძახა:

— ეი, ლაწირაკებო, თქვენ აქ სული ამოგძვრებათ. სახლ-კარი არა
გაქვთ, თუ რა? შინ წასულიყავით... სად არის თქვენი პატრონი?

მე ხელი გავკარი ჩემს გვერდით მყოფს და ჩავჩურჩულე:

— ეს ტიპი პოლიციელსა ჰგავს, ძმობილო, ჩვენს ასაკრეფად მოვი-
და ალბათ!

ჩემს გვერდით მდგომი თოფალ-შევქეთი ყოფილა.

— კიდევ უკეთესი, ალბათ კარაქიოის სკოლაში წაგვიყვანენ. —
მიპასუხა მან და მერე იმ კაცს მიუბრუნდა:

— სახლი გვაქვს თუ არა, შენ რა? — მოუჭრა შევქეთმა.

— ჰაი, თქვენს გამჩენს გადმოექცა გულ-მუცელი, არ გეძებენ?

— დედაჩემი მაწანწალებთან ატარებს დროს და ჩემზე საფიქრე-
ლად დრო აღარა აქვს, — უპასუხა შევქიმ. — ქალი დღე-ღამეში
ოცდახუთი საათი მამაკაცებთან არის ლოგინში. შინ რომ წავიდე, რა
გავაკეთო? რქები ვჭედო ზარნიშით, თუ რა?

ჩვენი თოფალ-შევქეთი მაშინ სულ შვიდი-რვა წლისა იყო. მისი
სიტყვები, როგორცა ჩანს, ეუცნაურა იმ კაცს, რადგან გაიცინა და
უთხრა:

— ბრიყვო, შენ ხომ ძუძუს ბატკანი ხარ ჯერა, რქა სადა გაქვს, რომ
ზარნიშით მოჭედო. აქ კბილების კაწკაწს, შინ წახვიდე? დედაშენის
ნაძირალებთან რა საქმე გაქვს?

— ძმაო, შენ შენს საქმეს მიხედე, — მამლაყინწასავით უპასუხა თო-
ფალ-შევქეთმა. — ჩვენ მაგის იშტაზე არა ვართ...

თოფალ-შევქეთი ძალიან კარგი ბიჭი იყო. მან ბოლომდე ვეღარ
შეძლო საკუთარი თავის მოტყუება, ათი წლის შემდეგ მოკლა თავისი
კახპა დედა. თვითონ კი ჩამოახრჩვეს.

ამ პასუხმა ის კაცი მთლად გაამხიარულა:

— ვხედავ, — უთხრა მან. — თქვენ წასასვლელი არსადა გაქვთ.
არც ქარბუქი აპირებს ჩადგომას. ჩემ სახლში წაგიყვანთ. ცოტა საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს გასაკეთებელი. ჯერ გათბებით, გაგაძღებთ კიდეც, მერე ... მეს გააკეთებთ.

— ეს კაცი წმინდა სულისას არ გავს, — ვეუბნები მე ჩემს ამხანაგებს ხმადაბლა. — დედა შემერთოს ცოლად თუ უპატრონოების სახლში არ წაგვასხას. თქვენ ბიჭები ხართ, რა გიშავთ, თქვენთვის კარაქიოიში სკოლა არის. მე, მე რა უნდა ვქნა?

— შენ კიდევ შარვალი ჩაიცვი, — მითხრეს მათ, — თუ ემინენიუს საპოლიციო უბნის გზას დავადგებით, მაშინ ყველანი ერთ მხარეს მოვკურცხლავთ, გავაცურებთ ამ კაცს, შენ კი ამასობაში თავს უშველი...

ძალიან გვციოდა. მისი წინადადება მივიღეთ.

გავყევით. თაჰთაკალეში[1] მივედით... იქ მან ქოხის მსგავს ერთ უცნაურ ადგილას მიგვიყვანა. ეს ადგილი ქარვასლის უკანა მხარე იყო, ოღონდ შემოსასვლელი ქარვასლის ეზოდან კი არა ჰქონდა, არამედ სხვა კარიდან. ირგვლივ შიგნეულის საშინელი სუნი ტრიალებდა. შუა ოთახში, რომელშიც ჩვენ შევედით, თუნუქის ღუმელი იდგა.

— ჯერ ძვალ-რბილი გაითბეთ და მერე ვილაპარაკოთ, — გვითხრა მან.

ჩვენ რამდენიმე საათი ვისხედით ღუმელთან. ჩაიც შემოგვთავაზა... ჩაიჩიმ[2] ბუბლიკებიც მოიტანა.

ძალიან კმაყოფილები ვიყავით. მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ ამდენ ბავშვს ერთად სიკეთეს არავინ გაუკეთებდა. რომელიღაც ჩვენგანი, ეხლა აღარ მახსოვს ვინ იყო, წამოხტა და იმ კაცს მიმართა:

— ძია, ყური მიგდე, თუ გინდა რომ მათხოვრობა დაგვაწყებინო, მე უკან ვიხევ.

აქ მეორეც ჩაერია:

— ჩვენ მაგისთანა საქმისაგან ყელამდე ვართ. ერთხელ უკვე მივიღეთ, რაც გვერგებოდა. — დაუდასტურა მან.

კაცმა შემოგვხედა და გაიცინა:

— ნუ ღელავთ, ჩვენი საქმე გასართობი საქმეა. ოღონდ ვხედავ, რომ ახალ გამთბარზე მოდუნებულები ხართ. ცოტაც დაისვენეთ და მერე ვილაპარაკოთ.

---

[1] თ ა ჰ თ ა კ ა ლ ე — უბანია სტამბოლში.

[2] ჩ ა ი ჩ ი — ჩაიხანის პატრონი.

სხვებმა რა ქნეს, არ ვიცი. მაგრამ ჩაიმ, ბუბლიკმა და სიმბომ მე საშინლად მომთენთა. ეს კაცი რომ სასიკეთოს არაფერს აკეთებდა, კი ვიცოდი. მაგრამ მაინც მომერია ძილი, ნელ-ნელა მივლულე თვალები და ჩამეძინა.

რამდენი მეძინა არ ვიცი. როცა გავიღვიძე, დავინახე, რომ ჩემს გვერდით არავინ იყო. ბავშვები სადღაც წასულიყვნენ. ელექტრონის ლამფა ენთო. გარეთ ბნელოდა... მაშინვე ავდექი და გვერდით კარს მივაშურე. კარს მივუახლოვდი თუ არა, გულს მომეშვა. კარებს იქედან ჩემი ამხანაგების ხმა ისმოდა. კარებში თავი შევყავ. იმ კაცს პალტო გახდილი ჰქონდა. ტანზე საკმაოდ ახალი ყავისფერი ტანსაცმელი ეცვა. წითელი კაშნე ისევ კისერზე ეხვია. პიჯაკის ქვეშ მწვანე შალის ჟილეტი მოუჩანდა. იდგა ბავშვებს შორის და რაღაცას ურიგებდა. დამაინტერესა რას არიგებს-მეთქი. პაპიროსი იყო. მეც შევედი ოთახში.

— ძია, მეც მომეცი ერთი ცალი! — ვუთხარი მე.

შემომხედა. გაიღიმა. და ერთი სიგარეტი მეც მომცა. მერე კი გვითხრა:

— პაპიროსი მოსწიეთ და გათბით. დღეს ძალიან ცუდი ამინდია. საქმე არ გაკეთდებაო.

ყველანი მეორე ოთახში დავბრუნდით ღუმელთან. ისევ გავაჩაღეთ ცეცხლი და პაპიროსები გავაბოლეთ.

ჯევრიე ცოტა ხანს გაჩუმდა.

— შენ მოგიწევია ოდესმე ოპიუმიანი პაპიროსი? — იკითხა მან დუმილის შემდეგ.

— არა, ჯევრიე.

— კარგი გიქნია... ამ ქვეყნად ამაზე უარესი არაფერია... რამდენი ვაჟკაცი მინახავს, რომ ეგრე შეეჩვია და მერე დაიღუპა მისი საქმე. ღმერთმა ნურავინ შეაჩვიოს... ხანდახან მეც ვეწეოდი... არც მომწონებია და არც მინდა... იმ დღეს პირველად მოვწიეთ ოპიუმიანი პაპიროსი. თავბრუ დამეხვა და რადგანაც ჯერ ლაწირაკი ვიყავი, გონება დამიკარგავს. ჩემი დაძინების შემდეგ კი ყოფილა ამბავი. ყოჩ-მუსტაფას შეუნახავს, მერე მოვწევო. ამიტომ, რასაკვირველია, თავბრუც არ დახვევია და ყველაფერი კარგად უნახავს. ჩვენ ყოჩ-მუსტაფამ გვიამბო. მე აღარ მახსოვს, მაგრამ გამოვსულვარ და სიმღერა დამიწყია. ჩირთლაკ-ჰამდიმ თავი თურმე რეგულიატორად წარმოიდგინა, კარაქიო-

იში რომ უნახავს, დადგა შუა ოთახში და მანქანების და ტრამვაების ძალ-
რაობის რეგულირება დაიწყო, ვიღაცას უყვირია—ცოფიანი ძაღლი მო-
დისო და კუთხეში შემძვრალა. რომელიღაც ბავშვს დასძინებია. ერთი
სიტყვით იქაურობა საგიჟეთს დამსგავსებია. ყოჩ-მუსტაფას შეშინებია.
ეს პაპიროსი გააგიჟებს ადამიანსო და თავისი ცეცხლში შეუგდია. თუმცა
ჩვენი პაპიროსების ბოლს ცოტათი მაინც უმოქმედნია მასზე... იმ საზიზ-
ღარმა და ურწმუნო კაცმა ბოლოს და ბოლოს ჩირთლაკ-ჰამდი და
თოფალ-შევქეთი მაინც მიაჩვია ოპიუმს. როცა გავიღვიძე, უბედურ
დღეში ვიყავი. თავი მტკიოდა. ნუ დამზრახავ და, მაღებინა და მაღები-
ნა. ვიფიქრე, ვკვდები-მეთქი და გარეთ გამოვედი, სუფთა ჰაერზე. გა-
მოვედი და გამოვედი... უკან აღარ მივბრუნებულვარ... მერე შევიტყე,
რა შვილიცა ყოფილა ის კაცი. თურმე ბინა ჰქონია, სადაც ოპიუმს
ეწევიან. გარდა ამისა, პატარა ბავშვებს აჩვევდა ოპიუმს, რომ მერე
ხელში ყოლოდა, ქურდობას ასწავლიდა და აქეთ-იქით აგზავნიდა. თი-
თებით თურმე ისე მუშაობდა ეს კაცი, რომ პირდაპირ სასწაული იყო...
ისე მუშაობდა, ის ოხერი, თითქოს თითები სულ არა ჰქონდა. ჩვენი
ამხანაგები მან გაწვრთნა. ერთი კი უნდა ენახა ის საწყალ ჩირთლაკ-
ჰამდის, სანამ ტვინს მიასხამდა ბეტონზე... ზათი-სუნგური შეგირდად
თუ გამოადგებოდა... ტრამვაიში ადამიანს რომ ჩაუვლიდა გვერდით,
პირიდან ისე ამოაცლიდა გულ-ღვიძლს, რომ კაცი აზრზეც ვერ მოვი-
დოდა. ასეთი სწრაფი ხელი ქვეყნად არავის ჰქონდა... მის მასწავლე-
ბელს უთქვამს კიდეც მისთვის — ჩემი მასწავლებელი შენა ხარო...
ერთხელ ციხეში თორმეტი კაცის თანდასწრებით ხელებიც დაუკოცნია
მისთვის — „ჩემი მასწავლებელი ხარ, შენისთანა ილეთები მე არ ვი-
ცი...“ იმ დღეს რომ არ წამოვსულიყავით იქედან, ნამდვილად არ მო-
გველოდა კარგი ბოლო. ჩვენც ვისწავლიდით ამ ხელობას. ხომ გაგი-
გონია — ნედლი ხე კარგად იდრიკებაო.

*

* *

დიახ, ის დიდ სიამოვნებას გრძნობდა, როცა ყვებოდა ბავშვობის
დროინდელ წარსულს, მოგონებებს, როცა ჯერ კიდევ არ იცნობდა
მამაკაცების ხვევნა-ალერსს.

ეს თავგადასავლები, რომელთაგანაც მთელი მისი ცხოვრება შედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებოდა, ჯევრიეს არასოდეს არავისთვის არ უამბნია. ასეთი თანაგრძნობით მისთვის ჯერ არავის არ უსმენია. დღემდე ის მხოლოდ ყოველი გავლილი წუთით ცხოვრობდა და არასოდეს არ უფიქრია, რომ მის ცხოვრებას ჰქონდა წარსული და მომავალი...

ეხლა კი, როცა ყვებოდა, გრძნობდა, რომ ყველაფერი მას ეხებოდა, რომ ეს იყო ის, რამაც წარმოშვა ჯევრიე, იყო ის მასალა, რომლისგანაც მისი ცხოვრების სახურავი იყო გაკეთებული.

თხრობის დროს ჯევრიე დროდადრო გაჩუმდებოდა ხოლმე და ცდილობდა მოგონებათა ბნელ ქაოსში ისეთი რამე ამოერჩია, რომ საამბოდ შესაფერი ყოფილიყო.

— სტამბოლის გალავნის ახლოს, მგონი ჩათლადიკაფიში[1], ერთი ბაღი იყო. ბაღის ერთი კუთხე სასაფლაოს წარმოადგენდა. პატარა სასაფლაო იყო... სულ ოთხი-ხუთი საფლავი და ერთი დიდი აკლდამა. ამ ბაღში ლეღვი იყო, თითო მუშტის ტოლა იქნებოდა, ღმერთმანი... მთელ სტამბოლში ასეთი ლეღვი არსად მოიძებნება. ზედ ბაღის უკან კი, ღვთის მოცემული, უდაბური ადგილი, ნანგრევები და ძველებური სათოფურები იყო... ეს ადგილი ძალიან ხელსაყრელი იყო ღამის გასათევად... ლეღვობის დრო დადგებოდა თუ არა, მთელი ჩვენი ჭია-ღუები იქეთ გადასახლდებოდნენ... საჭმელი ბლომად... სუფთა ჰაერი... ჩემს სანატრელ სტამბოლში, სადაც უნდა მიხვიდე, ყველგან მაძღარი ცხოვრებაა.. ღმერთმანი, მეფესავით შეიძლება ცხოვრება... როცა მებაღე დაგვიჭერდა, იცოცხლე, დაგვასველებდა უწყლოდ... მაგრამ, როცა ის არ იყო, მაშინ მატლებივით მივესეოდით. საუკეთესო ლეღვი სასაფლაოს მხარეს იყო, საფლავებს შორის ჩამწკრივებული, ერთი მეორის გვერდით. განსაკუთრებით კი აკლდამასთან, მწვანე ჩალმიან ევლიას[2] თავთან. ჩვენ გვეშინოდა მისი ყაუხისა[3] და იმ შესანიშნავ ხეს ვერ ვეკარებოდით. ერთმა ჩვენგანმა თქვა — ეს ლეღვი წმინდანისაა და თუ ხელი ვახლეთ, ჭკუას გადავალთო. ჩვენც გაგიჟებისა გვეშინოდა და გულებს ისეთი ბაგა-ბუგი გაუდიოდა, როგორც სამბაქნიანი „მაჰმუდიეს“[4] ხრახნებს.

---

[1] ჩ ა თ ლ ა დ ი კ ა ფ ი — უბანია სტამბოლში.

[2] ე ვ ლ ი ა — წმინდანი.

[3] ყ ა უ ხ ი — ქუდია ერთგვარი.

[4] „მ ა ჰ მ უ დ ი ე“ — გემის სახელია.

დანარჩენი ხეები პირწმინდად გავკრიფეთ. ერთხელ მე მთელი დღე ვუთვალთვალე საფლავზე მდგარ ლეღვს... ჩვენ შორის ნიშნობის ცერემონია ჩატარდა... საღამოს, ღვთის ნებითა და მოციქულის ლოცვაკურთხევით, ჯვარი დავიწერე... პირველი ღამეც დადგა... მე სასიძოსავით ცეცხლი მედებოდა. ხორცები რომ დაეგლიჯათ, ვერაფერს ვიგრძნობდი... თვალის ჩინი ლეღვმა დამიბნელა... ერთი წმინდანი კი არა, ათასიც რომ აღმდგომოდა წინ, ვერ გამაჩერებდნენ. როცა დაღამდა, ერთი კი მოვავლე კედლებს თვალი და ბაღში ამოვყავი თავი... ბაღში ჩახტომა და ხეზე ასვლა ერთი იყო. იმდენი ლეღვი ვჭამე, იმდენი რომ... სათვალავი არა ჰქონდა... იმ საღამოს ცაც თეფშივით იყო მოწმენდილი... მთვარე ისე ანათებდა, ისე, რომ ნუღარ იტყვი. ხეებზე დარჩენილი ლეღვისათვის მუსრის გასავლებად ამ დროს ბავშვებიც მომზადებულან. ის იყო ბაღს მოუახლოვდნენ, რომ შეამჩნიეს — ხეზე რაღაცა მოძრაობს. ხომ იცი, რომ ლეღვის ხეს კვიმატიანს ეძახიან. თან კიდევ ეს ხე ზედ ჩალმიანი საფლავის ქვის თავთან დგას... ბავშვებმა რომ დამინახეს, ვიღაცა ხტის ტოტიდან ტოტზეო, იფიქრეს გიჟიაო, მოიბუზნენ და მოუსვეს იქიდან.

მე ისინი არც კი დამინახავს... ხიდან რომ ჩამოვედი, სიარულის თავიც აღარ მქონდა, იქვე მოვიკეცე და საფლავებს შორის დავიძინე.

ჯევრიე გაჩუმდა, რაღაცას ფიქრობდა, მერე ამაყად წარმოთქვა:

— მას შემდეგ სასაფლაოებისა სრულებით არ მეშინია. სასაფლაოზე სიჩუმეა ხოლმე. არც წმინდანები დგებიან საფლავებიდან... იქ თითქოს მკვდრები კი არ არიან, არამედ ყველაფერს ღრმად სძინავს... მე ბევრჯერ მძინებია სასაფლაოზე, მაგრამ მკვდარი არასოდეს მინახავს.

ჯევრიეს არა მარტო სძინებია სასაფლაოზე, არამედ აქ, საფლავებს შორის არიგებდა ის თავის სიყვარულს. მაგრამ სირცხვილის რაღაც უცნაური გრძნობის გამო ვეღარ უთხრა. მას მხოლოდ ბავშვობისდროინდელ ამბებსა და გულუბრყვილო ისტორიებს უამბობდა.

ბავშვობის შემდეგდროინდელი მოგონებების მოყოლა მას არც კი უფიქრია.

სრულიად ქვეცნობიერად, მას სურდა, რომ მისთვის თავისი თავი გულუბრყვილო, ალალ და ყაჩაღანა ქუჩის ბავშვად ეჩვენებინა.

ნეტავ თუ მიიყვანდა ეს თხრობა ქალიშვილობის დროინდელ ამბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამდე? თავისდაუნებურად თუ უამბობდა თავისი ცხოვრების ჩოდილოვან მხარეებსა და შეცოდებებს?

ჯევრიე შეუსვენებლივ ყვებოდა. ეხლა უკვე სხვა ამბავზე იყო გადასული.

— მარტოობის სიძნელე ავადმყოფობის დროს იგრძნობა... თუ ღმერთმა ჯანმრთელობა მოგცა, ნუ გეშინია, სტამბოლის ყოველი კუთხე მოწყალებით არის გამოტენილი... მაგრამ თუ ერთხელ მოგიგრიხა კისერი, მაშინ კი მშვიდობით, გაჭიმე ფეხები. იმ უღმერთო ავადმყოფობამ ერთ ზაფხულს ისე დამაგდო, ისე დამაგდო, რომ... სიცხით ვიწვოდი... თავის განძრევისა და გადაბრუნების ილაჯი მქონდა გაწყვეტილი... ზაფხული იდგა და მთელ დროს ბოღაზზე[1] ვატარებდით. ემირგანს[2] ზემოდან, ოდნავ მარჯვნივ, ტყის გადაღმა ერთი პატარა აგარაკი იდგა. ის აგარაკი დაიწვა. იქაურობა მოწმინდეს და ოთხკუთხედი სახლი ააშენეს. ჯერ მხოლოდ ოთხი კედელი იდგა იმ დროს. ღამე იქ გვეძინა... ერთ საღამოს ჩვეულებრივ, მივაშურე იქაურობას... დავწექი. დილას ვეღარ გავინძერი. მარტო არ ვიყავი ხოლმე. ოთხი-ხუთი ბავშვი მუდამ ერთად დავდიოდით... მანჯღრიეს, მაქანავეს. ძვლებს მამტვრევს, გული მერევა... — „გოგო, რა გემართება, — მეკითხება არაფ-ჯემილე. — სახეზე ფერი აღარ გადევს... წერილი ხომ არ მიგაქვს?“ — მომიახლოვდა, შუბლზე თმები გადამიწია, ხავერდივით შავი პატარა ხელები და ლამაზი სადაფგადასმულივით ფრჩხილები ჰქონდა. „ძალიან ცუდად ვარ, ჯემილე-აბლა![3],“ — ვუთხარი მე. ჯემილე ჩემზე უფროსი იყო. „დღეს აქედან არ გაინძრე, — მითხრა. — ჩვენ ერთს წავინადირებთ და სადილად რამეს მოგიტანთო“. ყველა წავიდა. ქვეშ ძველი შალის მინდერი მეგო. ის ამ სახლის ბაღში ვიპოვეთ, სახურავჩამონგრეულ ბოსელში. იმ მინდერზე მე და ჯემილე ვიწექით... ჯემილე რომ წავიდა, მარტო დავრჩი. ცხელოდა. მწერებს ბზუილი გაჰქონდათ. ბუზები მესეოდნენ... შუა დღისას არაფ-ჯემილემ რძე მომიტანა. რძესაც ვერა ვსვამდი. უარესად გავხდი. — „გოგო, ჯევრიე, ნუ გეშინია, — მეუბნებოდა ის. — მე აქა ვარ. დედასავით მოგივლი. საავადმოყოფოში არ გავატან შენ თავს“.

---

[1] ბ ო ღ ა ზ — ბოსფორის სრუტე.

[2] ე მ ი რ გ ა ნ — უბანია სტამბოლში.

[3] ა ბ ლ ა — უფროსი და.

ჩვენ, ქუჩის ბავშვებს, ყველაზე მეტად მთავრობის ხელში ჩავარ-
დნისა გვეშინოდა. ყველამ იცის, რომ მაშინვე გიჟებთან ... ,
საგიჟეთში...

საწყალი ჯემილე მე მეუბნებოდა, ნუ გეშინიაო. თვითონ კი ერთი
გაწრიპული გოგო იყო. მერე გაიფურჩქნა... ტანი მამაკაცივით აიყარა.
წვრილი წელი, მრგვალი თეძოები, პატარა და მაღალი მკერდი დაუდ-
გა... ყველა მამაკაცი მისთვის გიჟდებოდა. შარშან ერთმა ახალგაზრ-
დამ ზურგში ჩასცხო დანა და იქვე გაათავა... არ ვიცი რამდენ ხანს ვიყა-
ვი ავად. იმან რომ მე მომიარა, ისე ქვეყნად არავის არავისთვის არ მო-
უვლია. ჯემილე ჯერ პატარა იყო, მაგრამ დადიოდა საზაფხულო კაფე-
ებსა და კაზინოებში და ინგლისურის მიბაძვით მღეროდა კინოებში მოს-
წენილ სიმღერებსა და არაბულ ცეკვებს ასრულებდა. ღმერთმანი, ისე
კარგად ბაძავდა, ძმაო, რომ, მასთან შედარებით, ის შავი არტისტები
არაფერი იყო. შემდეგ ჯემილე მართლა არტისტი გახდა. მუმჰანეს
პროსპექტზე, არტისტების კაფეში, ერთი ჩოფურა ტიპი დადიოდა.
იმან პრიმადონად აქცია ჯემილე. ანატოლიაში[1] სოფელი არ დარჩენი-
ლა, სადაც ისინი არა ყოფილიყვნენ. საბერძნეთსა და არაბეთშიც იყვ-
ნენ. ბოლოს ის მაჯლაჯუნა შეუყვარდა... ის უსინდისო კაცი ლამაზი
მაინც ყოფილიყო. ცალი თვალით ცერად უმზერდა გამჩენ ღმერთს.
პირი მუდამ ქვევრივით ღია ჰქონდა... თუმცა დუგლასის ულვაშები არ
აკლდა... პირს რომ გააღებდა, უნდა გაცლოდი, რომ გული არ აგრეო-
და... საწყალ ჯემილეს ისე შეუყვარდა ეს ტიპი, ისე, რომ... ჯემილეს
არტისტობაც მოკვდა და ბოლოს თვითონაც შავ მიწაში ჩაბრძანდა...
რას ვამბობდი? ჰო, მე რომ ავად ვიყავი, ჯემილე დადიოდა საზაფხულო
კაფეებსა და კაზინოებში; მღეროდა, მაყუთს აგროვებდა, საღამოს კი
მოდიოდა და თავს მევლებოდა, მაჭმევდა.

დიდხანს ვიყავი უგონოდ. ის იყო ჩემი პატრონი, მაგრამ მერე
ღმერთმა მთელი ეს სიკეთე სულ ცხვირში ადინა. ბოლოს აიღო და
ტყუილუბრალოდ დაღუპა...

ჯევრიე გაჩუმდა. ცოტა ხანს რაღაცას ფიქრობდა. მერე ღრმად
ამოიოხრა:

— ეჰ, ეს გული! — და დადუმდა.

---

[1] ა ნ ა ტ ო ლ ი ა — თურქეთის აზიური ნაწილი.

ოთახი რომ განათებული ყოფილიყო... მაშინ კი ნახავდა თოგონ-წამოწითლდა და შეცბა ჯევრიე. მაგრამ უმალ შეეცადა დამშვიდებოდა. შეწყვეტილ ამბავს და განეგრძო თხრობა. ის შიშობდა, არ მიმიხვდეს რატომ შევკრთი და რატომ წამოვიძახე — ეჰ, ეს გულიო.

ბოლოს მაინც მოიკრიბა ძალა, ხმას ისევ დაუბრუნა წელანდელი ბუნებრივი კილო და თხრობა განაგრძო. ამ თხრობაში მას ისევ წარსული დაეუფლა და განსაკუთრებული ცდა აღარ დასჭირვებია იმისათვის, რომ მშვიდი ხმით განეგრძო ლაპარაკი.

— არაფ-ჯემილეს ერთ ხანს მართლაც ხელზე ატარებდნენ. არაფერი აკლდა... ერთხელ მას თეფეუსთუში[1] ვუყურე. მათი დასი იქაც გამოვიდა... ადამიანი რომ ასე ცეკვავდეს, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, ღმერთმანი... ვაი მის მკვლელ ნაძირალას. ამბობენ თხუთმეტი წელი მისცესო... ღმერთსა ვთხოვ, რომ იქედან ცოცხალი არ გამოსულიყოს... თვალები იქ დაეხუჭოს... ამ ახალგაზრდა გოგოზე როგორ ასწია ხელი... ასეთი კაცი მეგობარი კი არა, ღვთის რისხვაა. იშვიათი ეგზემპლარია. ვითომ მას გამოეზარდოს, მას მოეყვანოს ამ ასაკამდე... იარლიყის დაკვრა არ მოუნდომა... რა ეგონა ნეტავ, ჯემილეზე პატენტს მისცემდნენ თუ ნასყიდობის ქაღალდს... არტისტია. პროფესია აქვს ასეთი, უნდა შენთან ივლის, უნდა სხვასთან... მერე, ჯემილე ფანტაზიებსაც იყო მიჩვეული. ბოლო დროს მხოლოდ „ბაფრას“[2] ეწეოდა. ახლა ის ნეილონის ქამრები... ის ნეილონის საცვალი... ისეთი იყო, რომ გადაყლაპავდი... მაგრამ თავს არ გასვლია. სადაც ნაცნობს დაინახავდა, გადაეხვეოდა, კოცნიდა და კოცნიდა.

დიახ, მათ ნამდვილად დებივით უყვარდათ ერთმანეთი. მთელი ცხოვრების მანძილზე ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ოღონდ, როცა ის არტისტი გახდა და დასში შევიდა, მაშინ დიდი ხნით დაშორდნენ. თუმცა სტამბოლში უკანასკნელად ჩამოსვლისას, სიკვდილის წინ რამდენიმე დღით ადრე მან ნახა ჯევრიე, და გალათაში ერთად იყვნენ ერთ ნაცნობ დუქანში.

— ჯევრიე, — უთხრა მაშინ ჯემილემ, — მე შენს შესახებ ველაპა-

---

[1] თ ე ფ ე უ ს თ უ — უბანია სტამბოლში.

[2] ბ ა ფ რ ა — ქალაქია სამსუნის ვილაეთში, სადაც უმაღლესი ხარისხის თურქული თამბაქო მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკე ჩვენს პატრონს და ვუთხარი, რომ კარგად ასრულებ ეროვნული ცეკვებს. ერთ თვეში ტურნე გვაქვს და შენც წაგიყვანთ.

მაგრამ ჯევრიემ არ მიიღო ეს წინადადება. რადგანაც არაფ-ჯემილეს უკანასკნელი ჩამოსვლის დროს, ის უკვე იცნობდა ამ კაცს და სტამბოლიდან შორს წასვლა შიშსა ჰგვრიდა.

მისივე გულისათვის არ მიიკარა ჯევრიემ სუმბულ-დუდუს ჰაჯი აღა,[1] რომელიც მას საყვარლობას სთავაზობდა.

რამდენს კი არიგებდა სუმბულ-დუდუ:

— ჯევრიე, — ეუბნებოდა ის, — სწორედ შენისთანაზე იტყვიან, ვირის ჭკუა აქვსო... ნამდვილად დაკარგე ჭკუა? თუ შეყვარებული ხარ და გონება აღარ გემორჩილება? კაცი მორთულ სახლს ყიდულობს შენთვის კურთულუშში[2], ნუთუ სახლის პირველი სართული უარესია, ვიდრე კარაჯააჰმედის სასაფლაო ან თაშკიშლას ვერანები? კაცი ჭკუას არის გადასული შენგან. სულ ყურები გამომიჭედა — ფოსფორიანი და ფოსფორიანიო. გუშინ საღამოს ისევ გამოცხადდა, ცოტა საჭმელ-სასმელი დაუდგით. ცოტა ათაბეის შესახებ ვილაპარაკეთ... ისე, ანთირ ფარანთეზ[3] და, ის კაცი ათაბეის დიდი დოსტია... ისე ტრაბახობს, ისე ტრაბახობს, რომ... ფუთიანებს ატრიალებს... შენი სახელიც ახსენა, ღმერთმანი... მინაკიან ეფენდის დასში რომ ცხონებული ბინემეჯიანი იყო, უკეთ ისიც ვერ ითამაშებდა შეყვარებული გრაფის როლს. რაც მეტი ილაპარაკა, მით უფრო გათამამდა და რაც უფრო გათამამდა, ილაპარაკა და ილაპარაკა. ბოლოს არ ვიცი, შენ ვეგონე თუ რა, გადამეხვია და ორივე ლოყა არ დამიკოცნა? მართალი გითხრა, ცოტა არ იყოს, შავშინდი, სხვა რამეც არ დამიპიროს-თქო...

ჯევრიე სიცილით ისმენდა ამ სიტყვებს.

იმ კაცის საყვარლობა არ ინდომა...

მან ამკარად მისცა წინადადება იმ ღამეს, როცა სუმბულ-დუდუს წინა ოთახში იყვნენ. ეტყობოდა, რომ ფული აქვს... იმ ღამეს ბლომად მისცა ფული და შეპირდა, თუ მასთან ცხოვრებაზე დათანხმდებოდა, ყელსაბამსა და ოქროს სამაჯურს უყიდდა.

---

[1] გამდიდრებული პროვინციელი მდაბიო.

[2] კურთულუშ — უბანია სტამბოლში.

[3] entre parenthèses (ფრ.) — სხვათა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯევრიე კი ეხუმრებოდა:

— გალათაში რომ ოქროს სამაჯური და ყელსაბამი გაიკეთო, ვინძე ან თავს მოგაჭრის, ან ხელს. მოდი, მე და შენ კვირაში ერთხელ შევხვდეთ, ჰაჯი აღა, — უთხრა ჯევრიემ და ხელი კისერზე შემოხვია... — ყოველდღე რომ ერთმანეთი ვნახოთ, რა უნდა ვაკეთოთ? შენც ხომ იცი, კაცს ყოველდღე ფახლავისა და ღვეზელის ჭამაც მოწყინდება.

ჰაჯი აღამ სიმთვრალისაგან მოჭუტული თვალები ჯევრიეს მიაპყრო და უთხრა:

— მე შენ სიკვდილამდე არ მომწყინდები, ჯევრიე... — და მხურვალედ ჩაიკრა გულში. ჰაჯი აღა პროვინციელი იყო და ამიტომ დროზე ადრე დაბერებულსა გავდა... მართალია, შვილიშვილებიც ყავდა, მაგრამ ისე კი, ორმოცი წლის კაცი იყო... ულვაშებსაც ატარებდა, სოფლად რომ მეტი პატივი ჰქონოდა. ულვაშები დიდი და ჭაღარაშერეული ჰქონდა.

ცოლს, რომელიც პროვინციაში იყო, ის დიდი ხანია აღარ გაჰკარებია. ეს ქალი ხუთი წლით იყო ქმარზე უფროსი. ადრე მის უფროს ძმასა ჰყავდა ცოლად. ძმა რომ მოკვდა, მაშინ დაიწერა ჯვარი... იმ დროს ქალი ოცი, თვითონ კი თხუთმეტი წლისა იყო. ძალიან დიდხანს, ისეთივე გრძნობით უყვარდა ეს ქალი, როგორც ეხლა ჯევრიე... ათ წელიწადს... მერეც... ბოლოს, როცა თვითონ ოცდახუთი წლისა გახდა და ის კი ოცდაათის, ცოლი ბებრად მოეჩვენა... იმ დროიდან სულ ღალატობდა.

მაგრამ ჯევრიესთან შეხვედრამდე მასზე არც ერთ ქალს ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია...

ბოლო დროს ის ხშირად ჩამოდიოდა სტამბოლს, საქმეები ჰქონდა.

სუმბულ-დუდუ რომ ბინას ამბობდა, ეს იყო არა ყველაფრით გაწყობილი ბინა, არამედ ორი ოთახი ბერძნის სახლის პირველ სართულში. აქ ბერძნის დატოვებული ბარგიც იდგა.

ადრე აქ ერთი ახალგაზრდა ბერძნის გოგო ჰყავდა. ექვსი თვე სულ მასთან მოდიოდა ხოლმე. ერთ ღამეს, როცა ის მოულოდნელად ჩამოვიდა სტამბოლში, გოგოს ერთ ახალგაზრდა, ლამაზ ბერძენთან წაასწრო.

— ჩემი ზმაა, ღმერთმანი, ჩემი ზმაა...

ირწმუნებოდა ის გოგო, მაგრამ ყველა პროვინციელის მსგავსად,

არც ჰაჯი აღას უნდოდა ქალაქელებისათვის მოეტყუებინა თავი და ხი-ხო გამოსულიყო, ამიტომ არ დაუჯერა, ერთი მშვენივრად ძობეგვა ის ვაჟიც და გოგოც და გარეთ უკრა თავი.

ბინის ქირა ამ კაცს ერთი წლისა წინასწარ გადაუხდია და ეხლა ქალი სჭირდებოდა, რომელიც მასთან იცხოვრებდა დარჩენილი ნახევარი წლის განმავლობაში.

ჯევრიეს მიყვანაც სწორედ ამ ხუთნახევარი თვით უნდოდა.

სხვა დროს უეჭველია, რომ ჯევრიე, ისევე როგორც სხვა ქუჩის გოგოები, ასეთ წინადადებას მადლობის გრძნობით მიიღებდა, მაგრამ ეხლა არ უნდოდა...

არ უნდოდა და ის იყო... ჰაჯი აღასთან ცხოვრებას რომ დათანხმებოდა, მაშინ აქ როგორღა მოვიდოდა სანატრელი ადამიანის სანახავად... ჯევრიეს ბორკილებად ეჩვენებოდა კისერზე შემოხვეული ჰაჯი აღას მკლავები. „ამ საქონელს ერთხელ თუ შეხვდება კაცი. ყოველ დღე ერთსადაიმავე კაცთან რა გაძლებს?“ — ფიქრობდა ჯევრიე.

*

* *

დიახ, ჯევრიეს არ სურდა თავისი ცხოვრების ასეთი მხარეების შესახებ ლაპარაკი. ასეთი რამეები მოაგონდებოდა თუ არა, მაშინვე თავის მეხსიერების შორეულ, ბნელ კუნჭულებში გადაისროდა და მხოლოდ ისეთ სურათებს დატოვებდა წინა პლანზე, რომლებიც სასირცხო არ იყო.

— იმ ურჯულომ დანა შიგ ზურგში ჩასცა არაფ-ჯემილეს, — თქვა ჯევრიემ. ამოიოხრა და განაგრძო:

— საკუთარ დასავით მიყვარდა. ერთხელ ფული უნდა შევაგროვო და მევლუდი[1] წავაკითხო მისი სულის მოსახსენებლად. მევლუდი კარგია, არა? თურმე მევლუდს რომ წაუკითხავ, მიცვალებულები ძალიან მშვიდდებიან. მევლუდი თურმე პირდაპირ მათ სულს მიუდით.

---

[1] მ ე ვ ლ უ დ — ლოცვა, რომელსაც პანაშვიდზე კითხულობენ მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდან იცით ყველაფერი ეს?

— ესენი კირკ-იამა ჰოჯასაგან ვიცი.

— ვინ არის ეს კირკ-იამა ჰოჯა?

— კირკ-იამა ჰოჯა? ნასწავლი კაცია, ძმაო... სულთანაჰმედზე[1] გერმანელების წყაროსთან ზის და მოწყალებას ითხოვს, წითური წვერი აქვს... არც ბებერია, იმ ხნისა არ არის, რომ საღვთო კაცი იყო. მორწმუნეა... არის ხალხი, რომელთაც მოუსმენიათ მისთვის, ძალიან კარგი ხმა ჰქონია წინათ. ჰაფიზი[2] ყოფილა... ისე კითხულობდა თურმე ყურანს, ისე, რომ... მერე გაუგიათ, რომ კარგი ხმა აქვს და კაზინოში წაუყვანიათ სამღერლად, ბევრი ფული მიუციათ და ისიც დათანხმებულა. მაგრამ ღვთის სადიდებლად მინიჭებული ხმა სიმღერის პირველსავე ღამეს ჩაწყდომია... ეხლა ძლივს იღებს ხმას... ამის შესახებ არაფერს ამბობს, მალავს. მევლუდის ამბავი მან მასწავლა. ალაჰის არსებობა და ალაჰის სიყვარულიც მან მასწავლა. ძალიან მიყვარს მასთან საუბარი.. როცა კი ვხვდები, გვერდით მივუჯდები ხოლმე... მისი სიტყვები გულში წვდება ადამიანს... ჯემილე რომ მოკვდა, ბევრი ვიტირე... ბევრი ვიტირე იმ დღეს... მერე, გიჟივით რომ დავძრწოდი, გზაზე შემომეყარა. მივედი და გვერდით მივუჯექი, ბევრ რაღაცეებზე მელაპარაკა. კირკ-იამალი ჰოჯა ამბობს, რომ ადამიანმა თუ ერთხელ მოინანია, რა ცოდოც არ უნდა იყოს, ღმერთი აპატიებს. ოღონდ ერთხელ მთელი გულით უნდა მოინანიო.

ჯევრიეს, მართალია, ხმამაღლა არ უთქვამს, მაგრამ თავისთვის კი გაიფიქრა: „მეც მოვინანიებ ერთხელ. ჯერ ახალგაზრდა ვარ. როცა დავბერდები და სიკვდილი მომიახლოვდება...“ — შემდეგ ხმამაღლა განაგრძო:

— როცა ჯემილეს დავტიროდი, კირკ-იამალი ჰოჯამ დამინახა და მკითხა: „რა გატირებს ჯევრიე?“ — მე ვუპასუხე: „გახსოვს, წინათ ერთი გოგო დამყვებოდა ხოლმე. არაფ-ჯემილეს ეძახდნენ. არ ვიცი გინახავს თუ არა? ერთმა ურწმუნომ ზურგში ჩასცა დანა და მოკლა“. — „ძალიან გიყვარდა?“ — მკითხა. „აბა ეგ რა სათქმელია. — საკუთარ დასავით ახლობელი იყო ჩემთვის. თანაც ბევრი სიკეთე მახ-

---

[1] სულთანაჰმედ — უბანია სტამბოლში.

[2] ჰაფიზი — ყურანის ზეპირად მცოდნე.

ნოვს მისგან“. — ვუპასუხე და ყველაფერი ვუამბე. — „შენ ვალში ყოფილხარ მის წინაშე, მევლუდი მოუწყე, შენც მოისვენებ და ისიც“. მე მას ყოველთვის ვაძლევ ხოლმე ფულს, რომ ჩემთვის ილოცოს. ალაჰმა ყველაფერი იცის. ის რომ ილოცებს, ეცოდინება, რომ ჩემთვისაც ლოცულობს... ალაჰს აბა რა გამოეპარება, მისი თვალების ჭირიმე...

— ალაჰი ძალიან გიყვართ, ჯევრიე?

— აბა, სხვა არავინა მყავს, ძმაო, რომ მიყვარდეს. — ღრმააზროვნად უპასუხა ჯევრიემ.

— რისთვის გიყვართ?

— მწამს და მიყვარს.

— ძალიანა გწამთ?

— მწამს, რასაკვირველია. მაშ ვიღა ვიწამო თუ არა ღმერთი?

კაცი გაჩუმდა. მის უკან ცის უსასრულო ნაფლეთი და უთვალავი ვარსკვლავი მოჩანდა.

— რაც ამქვეყნად გვაკლია, ღმერთი თურმე ყველაფერს მოგვცემს იმქვეყნად... საიქიოს... იქნებ დედაც მარგუნოს იქ...

ჯევრიე იცინოდა. ეს აზრი მას უცნაურად ეჩვენებოდა.

— იქნებ ის ბუმბულიანი და ყვავილებიანი ქუდი და ქსოვილიც მომცეს, რომელსაც მე, როგორც კატა ძეხვს, ვუცქერი ხოლმე ბეიოღლუს მაღაზიების ვიტრინებში... თურმე ყველაფერს მოგცემს, რაც შენს სულს უნდა...

უცბად ჯევრიეს თვალწინ გაუელვა კაფალიჩარშის ერთ დუქანში ნახულმა საპატარძლო კაბებმა, ფატებმა და ისე მოეჩვენა, თითქოს ზედაც ეცვა. მან წარმოიდგინა თავისი თავი თეთრ კაბასა და ფატაში, ხოლო თავის გვერდით ის, მისი საქმრო, წითელი ცხვირსახოცით გულის ჯიბეში, ფეხზე ახლად გაპრიალებული ფეხსაცმელით, ყელზე ვარდებიანი ჰალსტუხით. რა შესანიშნავი სასიძო იქნებოდა ლურჯ პიჯაკში და ნაცრისფერ გატკეცილ შარვალში. ის სუნამოიან ხელს გამოუწვდიდა ჯევრიეს, მკლავში მოჰკიდებდა... შემდეგ კი, ქალაქის მმართველობაში შესვლისას, აუცილებლად გადაიღებდნენ სურათს მოხეტიალე ფოტოგრაფთან...

ასეთი ოცნებისაგან ჯევრიეს გულმა ტკბილად დაუწყო ცემა. თუმცა თავისთვის კი ფიქრობდა: „ნეტავ რა საჭიროა ეს უცხო საკენკი,

ამქვეყნად ასეთი რამეები არ ხდება. ეს მხოლოდ იქ შეიძლება მოხდეს, სამოთხეში, სადაც გულის ყველა წადილი სრულდება.

— ჩვენს გულს რაც ენატრება, თურმე ყველაფერი ასრულდება სამოთხეში, — ჩურჩულით წარმოთქვა ჯევრიემ. — ყველაფერი უმალვე გაჩნდება, რასაც კი ჩვენი სული ინდომებს... საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, ყველაფერი...

— მიცვალებულებს ხომ ხორცი არა აქვთ, — თქვა მან, — და საჭმელ-სასმელი რად უნდათ?..

— მეორედ მოსვლის დღეს თურმე ეს ქვეყანა ხელის გულივით გასწორდება და სუდარებში გახვეული მიცვალებულები საფლავებიდან ამოცვივდებიან...

— ვინ გიამბოთ ესენი?

— კირკ-იამალი ჰოჯამ... განა შენ არ გაგიგონია?

— არა!..

ჯევრიე ერთი წამით გაჩუმდა.

— შენ იქნებ ღმერთი არა გწამს? — ჰკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ.

— არა! — უპასუხა მან ყრუდ, მაგრამ რიხიანად.

ჯევრიე შეკრთა:

— როგორ, ღმერთი თუ არა გწამს, მაშ საიდან ხარ ასეთი კეთილი... დაიფიცე... ვისაც ღმერთი სწამს, სამოთხეც სწამს. სამოთხე თუ არ ვიწამეთ, მაშ რიღას იმედი უნდა გვქონდეს ამ ქვეყნად...

— მეცა მწამს სამოთხე, მაგრამ ჩემი სამოთხე კირკ-იამალი ჰოჯას სამოთხე არ არის....

*

* *

ჯევრიეს არასოდეს არავისთან არ უსაუბრია ასე დიდხანს.

მას არ ახსოვს, რომ ასე დიდხანს ელაპარაკოს. ჯევრიე სასიამოვნო მოთენთილობას გრძნობდა. გულალმა იწვა და ცას გასცქეროდა.

ვარსკვლავები სინათლის წვიმასავით ხშირ-ხშირად ცვიოდნენ დაბლა.

არა! მართალია, მათ შორის არაფერი ყოფილა, მაგრამ ეს ღამე, რო-

ცა ჯევრიემ მის წინ გადაშალა ყველაზე უფრო ტკბილი მოგონებები, სიკვდილამდე არ დაავიწყდება. ამ ღამის მოგონება მუდამ ეცხოვრებს მის გულსა და გონებაში, როგორც მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთების მოგონება.

*

* *

გადიოდა დღეები და ჯევრიე სულ უფრო ხშირად იმეორებდა გულში: „ვინანიებ, ვინანიებო“, რადგან გრძნობდა, რომ ის მის გულში ალაჰისთვის განკუთვნილ ადგილს იკავებდა.

ჯევრიე გრძნობდა, რომ პატივსა სცემდა მას, უყვარდა, გრძნობდა რომ მის თვალში ის ყველაზე მაღლა იდგა და ყველაზე ძლიერი იყო.

ეს გრძნობა ძალიან გავდა იმას, რომელსაც ჯევრიე ალაჰის მიმართ განიცდიდა.

ეხლა ამ უცხო კაცის მიმართ ჯევრიეს ისეთივე გრძნობა ამოძრავებდა, როგორიც ალაჰისადმი კირკ-იამალი ჰოჯას შთაგონებებით გამოწვეული სიყვარული და პატივისცემა.

ჯევრიე ისევე იყო აღფრთოვანებული და ისევე სცემდა თაყვანს მას, როგორც ღმერთს და ისევე არ ელოდა მისგან თანაგრძნობას, როგორც ღვთისაგან არ ელიან მორჩილებისა და თაყვანისცემის სანაცვლოს.

კირკ-იამალი ჰოჯას მიერ მოწყალე და გამჩენი ღმერთის მიმართ ჩანერგილი რწმენა თუ ის კუნჭული იყო, სადაც შინაური ცხოვრების ყველა ცოდვებისაგან შეიძლებოდა განწმენდა, სამაგიეროდ ჯევრიეს გრძნობები იმ კაცისადმი ყოველდღიური ცხოვრების სიბინძურისა და ცოდვილი გრძნობებისაგან თავის დასაცავ თავშესაფრად იქცა.

ჯევრიე მისგან არ მოითხოვდა იმას, რასაც სხვა მამაკაცებისაგან და არც ის ელოდა ჯევრიესაგან ისეთ რამეს, რასაც მისგან სხვა კაცები მოელოდნენ.

მიუხედავად ამისა, უფრო სწორედ, ამის გამო ის გადაიქცა იმ ღერძად, რომლის გარშემოც ტრიალებდნენ მთელი მისი ფიქრები და გრძნობები.

მისი ოთახი სამოთხის ერთ პატარა კუთხესა ჰგავდა.

ჯევრიე აქ სულ სხვა ჰაერით სუნთქავდა, სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა. ასეთი რამ მას წინათ ვერც კი წარმოედგინა.

სატრფოსთან მიმავალი ადამიანის მსგავსად, რომელიც ყოველ-დღიურ ტანსაცმელს გაიძრობს და ახალს გადაიცვამს, ჯევრიეც თავი-დან იშორებდა გარყვნილებას, ქუჩას, სამიკიტნოებს, სამართებლის ტრიალს, ჩხუბს, უწმაწურ სიტყვებს და ისე მიდიოდა მასთან.

იცვლებოდა მთელი მისი არსება, დიდრონ შავ თვალებში ისადგუ-რებდა სიყვარულის შთაგონებული ცეცხლით ანთებული და ღრმა იდუ-მალებით სავსე გამოხედვა, პირის კანზე ქორფა ბავშვივით სპილოს ძვლის ფერი ედებოდა, ხოლო წითელი ბაგეების კუთხეებში იმედის სხივი უთამაშებდა. შიში და იმედი, ნაღველი და ბედნიერება, სირცხვილი და მღელვარება ცინიზმისა და გარყვნილების საფარისაგან წმენდდა მის სახეს.

ჯევრიეს, რომელიც ყველა გამვლელ-გამომვლელს უთმობდა თავის სხეულს, განსაცვიფრებელი სულიერი სიწმინდით უყვარდა ი გ ი და მ ი ს ოთახში შესვლისას ისე როდი უბზინავდა თმა, როგორც ქუ-ჩაში ფარნის ძირას მდგომს, როცა ის გამვლელებს ეპატიჟებოდა ხოლმე. ეს არ იყო შეცოდებით აღსავსე და კუნაპეტ ღამეებში მამა-კაცების ვნების აღმგზნები ის ბზინვა, რომლის გამოც სტამბოლის ქუ-ჩებში მას მეტსახელად „ფოსფორიანი“ შეარქვეს... არა, მის ოთახში და მის გვერდით ყოფნისას ეს ბზინვა გავდა იმ ნათელს, რომელიც საფოს-ტო ბარათებზე გამოხატულ ანგელოზებს ადგათ თავზე. ეს ნათელი ღვთაებრივ იერს ანიჭებდა მას. ჯევრიე, „ფოსფორიანი ჯევრიე“, მას-თან თავისი ნამდვილი სახისაგან გაძარცვული მოდიოდა.

„ფოსფორიანი ჯევრიე“, რომელმაც არც სახე, არც სახელი და არც რიცხვი იცოდა მასთან დრონატარები მამაკაცებისა, დიახ ეს ქუჩის ქალი, ამ მამაკაცის წინაშე, რომელიც არამც თუ უცქერდა მას რო-გორც ქუჩის ქალს, არამედ არც კი უგრძნობინებია ეს, ისეთი მორცხვი, ისეთი წმინდა და უმწიკვლო იყო, თითქოს არასოდეს არც მამაკაცის ხელი შეჰხებოდეს და არც მამაკაცის მზერა ეგრძნოს.

ჯევრიე ამას ვერავის ვერ უყვებოდა. რომც ეამბნა, არვინ დაუ-ჯერებდა.

მაგრამ ცხადი იყო, რომ ამ უცხო მამაკაცმა მის ცხოვრებაში ასე-თი უცნაური ცვლილებები მოახდინა.

მისი სული იწმინდებოდა ყველა ბინძური და მინარევი ვნებებისაგან და მ ი ს წინაშე კრისტალივით ანკარა არსებით წარსდგებოდა ხოლმე.

ეს სულიერი ცვლილებები მის გარეგნობასაც სხვა ნიშანწყალსა სცხებდა.

ნახანძრალების, სამიკიტნოების, საროსკიპოებისა და ქუჩის ნაცნობებს რომ ის ამ ოთახში ენახათ, ჯევრიე არისო, ვერ იტყოდნენ.

დიახ, აქ ის არც მხრებს ათამაშებდა ცეკვის დროს და არც თავს იქნევდა წარამარა, რომ სახეზე ჩამოშლილი თმები გადაეგდო უკან.

მისი ხმა აქ კარგავდა სიანჩხლეს. მისი სხეული დინჯად და მსუბუქად მოძრაობდა.

მასთან რომ მიდიოდა, ცდილობდა ზედმეტი ფერ-უმარილი მოეშორებინა, დაევარცხნა გაწეწილი თმები და ტანსაცმელი გაეწმინდა. ჯევრიეს მუდამ მასთან, განუშორებლად მასთან ყოფნა უნდოდა.

უნდა ითქვას, რომ ეს ახალი ჩვევები სათანადო პირობებში შეიძლება ჯევრიეს ნამდვილ ბუნებადაც გადაქცეულიყო.

თვითონ ის თუ ხედავდა, ნეტავ, რა ზეგავლენას ახდენდა ამ გოგოზე?

ნეტავ რატომ აძლევს ჯევრიეს საშუალებას განაგრძოს ეს ურთიერთობა? რატომ არ ცდილობს დაეუფლოს ამ ქალს, რომელსაც ძველი ზამთრისა და ზაფხულის არაერთი ღამე გაუტარებია მის სახლში.

იქნებ ეშინია მასთან ასეთი ურთიერთობის დამყარების, თავის ცხოვრებაში მისი კიდევ უფრო ღრმად შეშვების?

ბოლოს და ბოლოს თვითონაც მარტო ცხოვრობს! პირდაპირ გაუგებარია.

სადღაც ვინმე ქალიც რომ ჰყოლოდა, მაინც ძნელი იყო იმ გულგრილობის ახსნა, რომელსაც იგი ასეთი, და მასთან ასე დაახლოებული, ქალისადმი იჩენდა.

მაგრამ ასე კი იყო და ამას ვერავინ შეცვლიდა.

ხანდახან, ქუჩაში რომ მიდიხარ, უკან გაძვალტყავებული კატა ან ქეციანი ძაღლი აგედევნება. რამდენიც არ უნდა გააგდო, რამდენიც არ უნდა ეცადო, რომ თავიდან მოიშორო, ის მაინც მოგდევს. ჯერ განერვიულდები, შემდეგ გული მოგივა, მაგრამ ბოლოს მოლბები. რამდენჯერმე სახლშიც კი შეიყვან და ბოლოს შენი განუყრელი და საყვარელი მეგობარიც კი გახდება.

ალბათ ჯევრიეც ასე იყო მისთვის. თავდაპირველად ნამდვილად ეძ-
სურდა მისი იქ ყოფნა, შემდეგ გული მოსდიოდა მის მოსვლას, ბო-
ლოს კი შეურიგდა, როგორც ფაქტს.

ისიც მიხვდა, რომ ჯევრიე შეეჩვია მას, უკვე ენდობოდა ჯევრიეს. კაცი, რომელსაც ის „ნათესავს“ ეძახდა და რომელსაც მასთან საჭმელი მოჰქონდა, ეხლა უკვე გარეთ აღარ ტოვებდა საჭმელს. ის ჯევრიეს იქ ყოფნის დროსაც კი შემოდიოდა ოთახში. ეხლა უკვე ჯევრიემაც იცოდა ვინ იყო ის. ის ქარვასლის კარისკაცი იყო.

ჯევრიე ძალიან გახარებული იყო, რომ შინ დადიოდა ისეთ კაცთან, რომელიც ასეთ საშიშ და საიდუმლო ცხოვრებას ეწეოდა. ამით თავი მოსწონდა კიდეც. ამაყობდა, რომ ის იყო ერთი იმ ორი ადამიანიდან, რომლებიც მის ცხოვრებაში მონაწილეობდნენ.

ეს კარისკაცი მისი თანამონაწილე უნდა ყოფილიყო. ჯევრიემ იცოდა, რომ ამ კაცს პოლიციისა ეშინია და უეჭველია, მისი საარსებო წყაროც დაფარული იყო.

ჯევრიეს ეგონა, რომ ის ციხიდანაა გამოქცეული, დასაჭერად დასდევენ, ან კიდევ რეციდივისტია, რომელსაც რაღაც ბნელი საქმეები აქვს ჩადენილი.

კანონთან, პოლიციასთან და კანონიერ ცხოვრებასთან ნორმალური დამოკიდებულების არც ერთ ადამიანს არ იცნობდა ჯევრიე და ამიტომ არც ეს გაკვირვებია. ფაქტია, რომ ეს კაცი ისევ განაგრძობდა თავის დანაშაულს. ასეთ რამეებში ჯევრიე გამოცდილი იყო.

ჯევრიეს ისიც კი ეგონა, რომ დაახლოებით იცოდა, რაში მდგომარეობდა მისი დანაშაული.

ეს თავისებური კონტრაბანდა იყო. ის ნავით მიდი-მოდიოდა სადღაც. მძიმე პაკეტებით რაღაცა მოჰქონდა საიდუმლო ბინაზე... ის ან მძარცველი იყო, ან კონტრაბანდისტი.

დიახ, იყო ორი კაცი, რომელიც მის საიდუმლო ცხოვრებაში მონაწილეობდა და მისი საიდუმლო თავშესაფარი იცოდა. ერთმა მათგანმა ეს აუცილებლობის გამო იცოდა.

თვითონ მას რაც შეეხებოდა, ის მასთან საქმიანი კავშირის აუცილებლობით არ იყო დაკავშირებული.

მიუხედავად ფარული ცხოვრებისა, მან ქუჩაში არ მიატოვა ავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფი ჯევრიე, სინიდისმა არ მისცა ამისი უფლება და ეს უცხო ქალი თავის სამალავ ადგილზე მიიყვანა.

და ეხლა ჯევრიეს უნდოდა, რომ მისი ნდობის ღირსი და მისი ერთგული ამხანაგი ყოფილიყო.

*

* *

ჯევრიეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცხოვრება ჰქონდა. ერთი, როცა მ ა ს თ ა ნ იყო, მეორე როცა მ ა ს თ ა ნ არ იმყოფებოდა.

ეს ორი ცხოვრება სრულებით არ ეხებოდა ერთმანეთს. მათი მიჯნები ოდნავადაც არ ირეოდნენ ერთმანეთში. ისინი მკაცრად შემოფარგლული საზღვრებით იყვნენ ერთმანეთისაგან გამოყოფილნი.

ჯევრიე მასთანაც და ქუჩურ ცხოვრებაშიც ერთნაირად გულწრფელი იყო.

არც აქა და არც იქ ძალას არ ატანდა, რომ ბუნება შეეცვალა. ორივეგან ცხოვრობდა ისე, როგორც მის სულსა და გულს სურდა.

იმ ღამეს, როცა მ ი ს ოთახში არ იყო ხოლმე, ისევ ქუჩის კუთხეში იდგა და მუშტარს ელოდა, ან კიდევ ცეკვავდა მოქეიფეებთან, რომლებიც ტაშს უკრავდნენ და „ვაშა, ფოსფორიანორ“! შესძახოდნენ.

ის ისევ რჩებოდა გალათის, ჩეშმემეიდანის, ბეიოღლუს განაპირა ქუჩების, თოფჰანეს, თაშკიშლას, გიუმუშსუიუს, იენიშეჰირის, კურთულუშის და მეჯიდიექიოის ერთადერთ ფოსფორიანად.

ის ისევ ქუჩის მაწანწალების, მამალი რეციდივისტებისა და სტამბოლის ნაძირალების ცნობილი ლამაზმანი იყო, ვნებიანი კახპა, ფოსფორიანი ჯევრიე.

სამიკიტნოებში ისევ ჩხუბობდნენ მისი გულისთვის მამაკაცები.

ეს ქუჩის ფოსფორიანი ძველებურად ხან ფულისათვის, ხან უფულოდ მარცხნივ და მარჯვნივ არიგებდა თავის სილამაზეს, თავის ქალობას.

ეს ის ცეცხლოვანი ჯევრიე იყო, რომელიც მშიერ კუჭში დიდი ჭიქით ისხამდა არაყს, უხვად ისროდა უწმაწურ სიტყვებს და ცეკვის დროს კეკლუცად ათამაშებდა ხოლმე თავის ბრინჯაოსფერ მხრებს.

დიახ, სრულებით არ შეცვლილიყო ძველი ჩვევები, ძველი ცხოვრება ისევ გრძელდებოდა.

ოღონდ ერთი კია, რომ ჯევრიე ცდილობდა არავისი საყვარელი არ ყოფილიყო, ან არავინ აეკიდებინა. ამიტომ მეორედ აღარ ეყარებოდა მამაკაცს, რომელთანაც ერთხელ უკვე იყო ნამყოფი.

თავისი გამოცდილებით ჯევრიემ კარგად იცოდა, რომ ხელახალმა შეხვედრამ შეჩვევა იცის და ამიტომ ცდილობდა, ასეთ შემთხვევებს ადგილი არა ჰქონოდა, თუმცა წინათ თვითონ ძალიან უყვარდა ვინმე გაქანებულ რეციდივისტთან მეგობრობა, მის საყვარლად ყოფნა... ეს, ჯერ ერთი, პატივისცემას იწვევდა სხვა გოგოებში და მეორეც, ყველა ძაღლი-მამაძაღლი უბატონოდ ხმას ვერ გასცემდა.

მაგრამ ეხლა ჯევრიეს არავის საყვარლობა არ უნდოდა.

სხვაგვარად ის ერთი წამითაც ვერ მივიდოდა ნეჯათიბეის ქუჩაზე საიდუმლო ადგილას, ვერც კი გაივლიდა იმ ქუჩაზე, რომ არავის მიეკვლია საიდუმლო თავშესაფარისათვის.

ეს იყო ის, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჯევრიე.

ამ კაცის არსებობის შესახებ ჯევრიეს ჯერ ერთი სიტყვაც არსად დასცდენია. ის ყოველ წამს თრთოდა შიშით, გაუფრთხილებლობის გამო არავისთვის გაემხილა მისი არსებობა, მისი საიდუმლო თავშესაფარი და ყველაზე ძვირად თავის ცხოვრებაში ამ საიდუმლოების შენახვას აფასებდა.

მერე, სულ სხვა მიმზიდველობა და ლაზათი ჰქონდა იმასაც, რომ ეს ადგილი საიდუმლო და ფარული იყო, განსხვავდებოდა მისი ყოველ-დღიური ცხოვრებისაგან და საერთო არაფერი ჰქონდა მასთან.

*

* *

ჯევრიე თავისი არსების ერთ ნაწილში ქუჩის ქალი იყო, მეორეში— ამხანაგი. დიახ, თან კიდევ მამაკაცის ამხანაგი.

ეს მამაკაცი მას თქვენობით მიმართავდა; ხელს არ ახლებდა და მიუხედავად იმისა, რომ მთელ დღეებს ატარებდნენ ხოლმე ერთად, ერთხელაც კი არ მოხვევია.

ისევე სცემდა პატივს, როგორც წესიერ ქალს და სხვებივით დასისხლიანებული, ველური თვალებით არ უცქეროდა და არ ეუბნებოდა — გოგო, ერთი ჩამოუარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აზრადაც კი არ მოსდიოდა ასეთი რამე მოეთხოვა ჯევრიეს-თვის.

ის ყოველთვის მომღიმარი სახით, როგორც სანუკვარ მეგობარს, ისე ხვდებოდა ხოლმე ჯევრიეს.

დიახ, ამ ორ ცხოვრებას შორის ღამეების სქელი კედლები იყო აღმართული. ეს ორი ცხოვრება ყველაზე უფრო უკუნ ღამეებში ხვდებოდა ერთმანეთს.

ჯევრიე მიატოვებდა ხოლმე სიბინძურითა და უწმინდურობით სავსე საამკარაო ცხოვრებას და უკუნეთი ღამეების საფარქვეშ მიაშურებდა თავის იდუმალ, მაგრამ წმიდა ცხოვრებას.

*

* *

ჯევრიემ რამდენჯერმე მოინდომა გამოეკითხა მისი ცხოვრების ამბავი.

ეს ქალის უბრალო ცნობისმოყვარეობა არ იყო. შეყვარებულ გულს სურდა, რომ უკეთ გაეცნო იგი. ჯევრიეს სურდა გაეგო რა აიძულებდა მას ეცხოვრა ასე საიდუმლოდ, რა დააშავა ისეთი, რომ ყოველ ფაჩუნზე კრთის... და საერთოდ, რა საქმიანობას ეწევა.

ჯევრიეს ბევრი უნახავს ისეთები, ვინც პოლიციას ემალება და კანონის გარეშე ცხოვრობს.

მაგრამ ასეთი ფრთხილი ჯერ არავინ შეხვედრია.

აჰ, ნეტავ მისი სახელის და ცხოვრების გამოცნობა შეეძლოს. ეჰ, ნეტავ ერთად შეეძლოთ ყველა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. რა ბედნიერი იქნებოდა ჯევრიე.

ჯევრიემ იცოდა, უფრო სწორად, გრძნობდა, რომ ყოველ შეკითხვას შეიძლებოდა მისი ეჭვი გამოეწვია და ამიტომ ერჩია დაკმაყოფილებულიყო იმით, რაც იცოდა მისი ცხოვრებისა და პიროვნების შესახებ.

*

* *

ერთი წლის მანძილზე მის ოთახში გატარებული დღეები რომ ერთად შეგვეკრიბა, ალბათ ორთვენახევარი გამოვიდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ისინი ნამდვილად და სავსებით იყვნენ ერთმანეთს შეჩვეულნი.

მანაც შეუშვა ჯევრიე თავის ცხოვრებაში.

ამ განმარტოებულ ცხოვრებაში მას იქნებ ართობდა და ამშვიდებდა კიდეც ეს ქუჩიდან მოსული ენაჭარტალა ქალი, რომელიც, მიუხედავად თავისი ცხოვრების ბინძური თავგადასავლებისა, ბავშვივით ტიტინებდა.

მასთან გატარებული ყოველი დღე, ყოველი საათი და ყოველი წამი ჯევრიეს თავისი ცხოვრების უბედნიერეს დღედ, საათად და წამად მიაჩნდა და როცა მარტო იყო ხოლმე, ვერც კი იტყოდა რომელი რომელს ჯობდა.

მაგრამ ეხლა, იმ დღეების მოგონებებს შორის, ყველაზე ბედნიერ და ყველაზე უბედურ დღედ მას მიაჩნდა ის ახალი წლის წინა ღამე. როცა ისინი უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს.

ჯევრიემ იმ დღეს დილიდან მოამზადა მისთვის ერთი კოლოფი კამფეტი, იყიდა საფოსტო ბარათი, რომელზეც ფერადი თოვლის პაპა. ორი ბავშვი, მზე და ვარსკვლავები ეხატა, მივიდა ცენტრალურ ფოსტასთან და, მეტი სილამაზისათვის, შემდეგი სიტყვები გამოაყვანინა საბეჭდ მანქანაზე: „გილოცავთ ბედნიერ დღესასწაულს, გულწრფელად გართმევთ ხელს“. შემდეგ იყიდა კონვერტი, რომელზეც მტრედი ეხატა ნისკარტში კონვერტით, ეს ბარათი შიგ ჩადო და კონვერტი ფერად. პრიალა ლენტებს შორის გაატარა, რომლითაც კამფეტების კოლოფი იყო შეკრული, შემდეგ კი ქუჩა-ქუჩა მოჰყვა ხეტიალს, რომ როგორმე დრო გაეყვანა საღამომდე.

მას ადრეც ძალიან უყვარდა დღესასწაულები. ეს დღეები მათთვის ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე შემოსავლიანი და მხიარული დღეები იყო.

მაგრამ დღეს ის ცდილობდა არსად გამოჩენილიყო, არავის დანახვებოდა, რომ ჩამობნელებისთანავე მასთან წასულიყო.

ამაზე ფიქრით გართული ჯევრიე ბებექში[1] ტრამვაების გაჩერებისაკენ მიდიოდა, რომ ვიღაცამ ხელი სტაცა:

— საით, ფოსფორიანო? — ჩასძახა ვიღაცამ ყურში.

---

[1] ბ ე ბ ე ქ — უბანია სტამბოლში.

„ვაი, მაინც გამომიჭირეს“, — გაიფიქრა ჯევრიემ თავისთვის და მოიხედა. მის წინ კაფე „ჯევიზლის“ ძველი მსახური ქემალი იდგა, რომელიც შვებულებით გამოეშვათ ჯარიდან.

— ვაი, შენა ხარ? — წამოიძახა ჯევრიემ.

— საით, ასე გამალებული? — ჰკითხა ქემალმა. — მოდი ერთი სადღესასწაულოდ ჭერს ქუდი ვკრათ. შენს ბარბასთან წავიღეთ... გადავკრათ ცოტაოდენი, წამო, ჰა!

— საქმე მაქვს....

— კარგი ერთი, ჯევრიე...

— ამ უთენია ლოთობის დრო არა მაქვს...

— რაშია საქმე, ცოდვები ხომ არ მოინანიე?

ამ სიტყვამ უეცრად სული გაუნათლა ჯევრიეს.

— მოვინანიე კი არა... — თქვა ჯევრიემ, მხრები შეათამაშა და თვალი ჩაუკრა: — საქმე მაქვს, კაცო.

— იქნებ ანგაჟირებული ხარ!..

ქემალის თავიდან მოშორება იყო საჭირო. მაგრამ არ იცოდა როგორ, ქემალს ორივე ხელი ჩაეკიდა მისთვის და ანჯღრევდა.

— ძალიან მომენატრე, ჩემო ფოსფორიანო!

ქემალი მისი ძველი მეგობარი იყო. ჯარში წაყვანამდე შეყვარებულიც კი იყო ჯევრიეში კარგა მაგრად.

ჯარში წასვლამდე ჯევრიესაც მოსწონდა ქემალი. ის მაღალი, შავგვრემანი ბიჭი იყო. უკან გადავარცხნილი შავი გრუზა თმა, სწორი ცხვირი, მტაცებელი ცხოველივით დიდი პირი და წვეტიანი კბილები ჰქონდა.

ჯევრიეს მაშინ სწორედ ეს პირი მოსწონდა.

ის ცდილობდა ხშირად შეხვედროდა ხოლმე ამ გაუთლელ ბიჭს. ის ბევრ სხვას ერჩია.

ქემალი რომ ჯარში მიყავდათ, ჰაიდარფაშას[1] სადგურზეც კი გააცილა.

იმ დღეს ქემალი სულ ერთსადაიმავე კუპლეტს იმეორებდა იმ სიმღერიდან, რომელსაც „ფოსფორიანი ჯევრიე“ ეწოდება:

---

[1] ჰ ა ი დ ა რ ფ ა შ ა — რკინიგზის სადგურია სტამბოლის აზიურ ნაწილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავმისადგომი ხიდის თავშია,
ჩემი მიჯნური მიდის ჯარშია.
განა ცოტა ხნით, ჩემო ჯევრიე,
სამ წელს ვიქნები იმის ჯავრშია.

მღეროდა ქემალი და ამ ვეება ვაჟკაცის თვალები ცრემლით ივსებოდა.

— ჯევრიე, თუ დავბრუნდი, ერთად ვიცხოვროთ!

— შენ ჯერ დაბრუნდი, — უთხრა მაშინ ჯევრიემ და როცა ქემალი თვალს მიეფარა, ორად ორი წვეთი ცრემლიც შეიმშრალა.

გემით უკან დაბრუნების შემდეგ ჯევრიეს ის აღარც კი გახსენებია...

ქემალი კი ყოველი შვებულების დროს ეძებდა, ნახულობდა ჯევრიეს და მთელ შვებულების დღეებს დილიდან საღამომდე ერთად ატარებდნენ.

ეხლა კი, როცა ქოს-აითენმა უთხრა, კაფე „ჯევიზლის" ქემალი შვებულებაში ჩამოსულა და დაგეძებსო, გული ყელში მოაწვა და გადაწყვიტა, აღარ გაევლო იმ ადგილებში, სადაც შეიძლება ქემალი შეხვედროდა.

ჯევრიე ვარაუდობდა — ის სადღესასწაულოდ არის შვებულებაში ჩამოსული, ჩემთან მოინდომებს ამ დღეების გატარებას, ამეკიდებაო და ამიტომ მასთან შეხვედრა აღარ უნდოდა.

მაგრამ ეხლა ის უკვე მის წინ იდგა, ორივე ხელი ჩაევლო და ეუბნებოდა:

— ძალიან მომენატრე, ჩემო ფოსფორიანო...

ჯევრიემ თავი გაითავისუფლა მისი მკლავებიდან.

— ბიჭო, რასა შვრები, ძალასა სინჯავ თუ რა? მკლავები გინდა დამამტვრიო?.. — შეშინდა ჯევრიე, მკლავებზე დაიხედა და როცა ნახა, რომ გაწითლებული ჰქონდა, გაბრაზდა.

—არა გრცხვენია, ბიჭო, ერთი ჩემს მკლავებს დახედე, როგორ გამოვჩნდე ასე ვინმესთან?..

ამ ალალმა გულისწყრომამ ქემალი გააცოფა.

— ჰა, რა იყო, შე გათახსირებულო? მეგობარი გაიჩინე?..

გაბრაზებული ქემალის დანახვაზე ჯევრიე უცბად გონს მოეგო:

— შენ რა ბრიყვი და ჩერჩეტი ყოფილხარ, ბიჭო? ვერა ხედავ, რომ გენაზები?.. ცოტა თუ გაიპრანჭა კაცი, ამ მამაძაღლებმა მაშინვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყალმაყალი უნდა აგიტეხონ... რომ ეჭვიანობ კიდეც... ჩვენ, რა-ნაგ-ლოზები ხომ არა გგონივართ, რომ უჭმელ-უსმელი გავძლოთ მთელი წელიწადი? ჭამა არ გვინდა, თუ რა? რამდენ ხანს უნდა გაძლოს კაცმა უჭმელად? ყოჩაღ, შენა... რომელი ქარვასლები, აბანოები და სახლები, ლიონის კრედიტი და ოსმალეთის ბანკი დამიტოვა მამა-პატრონმა? ეს ბატონიშვილი თურმე ეჭვიანობს?.. გალათაში მაგისთანას არავინ ჭამს. ეს წელიწადი შენ მაცხოვრებდი, ეხლა რომ მეკითხები — ვინმე გყავს თუ არაო? ყური მიგდე, ქემალ, ნაყიდი ვარ შენგან თუ რა? შენ ხომ იცი, მე რა საქონელიცა ვარ... არ გინდა, თავი დამანებე... ოღონდ ისიც იცოდე, რომ მეგობარი არა მყავს... ამ საღამოს კი შეგვიძლია ჭერში ვისროლოთ ქუდები... თანაც ისე კი არა, ბარბასთან, ფეხზე დამდგარი... ერთი კარგად უნდა დავლიოთ... დავლიოთ კი არა, ერთი უნდა გამოვიტრიტოთ... ჩვენი ქემალი მუდამ როდის არის აქა, ერთი ნახავ, რა ჩივთეთელი დავცხო შენი შვებულებისა და დღესასწაულის სახელობაზე... ოღონდ ეხლა შემეშვი... საქმე მაქვს... საღამოს ხუთ საათზე ბარბასთან ჩამოდი... საწყალი, მთლად მოხუცდა... უკვე საიქიოს სუნი ასდის...

მერე თვალიც ჩაუკრა, პასუხი აღარ დააცადა:

— ოღონდ, საახალწლო საჩუქარი მომიმზადე, — დააყოლა მან და შეახტა ტრამვაის, რომელმაც ამ დროს რახრახით ჩამოიარა.

— საღამოს ხუთზე! — ტრამვაიდან გადმოსძახა ჯევრიემ და ხელი დაუქნია.

იმ დღეს ჯევრიე ქალაქში აღარ დაბრუნებულა იმის შიშით, რომ ქემალი შემხვდებაო. ტრამვაიდან ბებექში ჩამოვიდა, ჰისარამდე ზღვის პირს გაჰყვა ნელ-ნელა, შემდეგ ციხის ნანგრევებს მიაშურა, ბუჩქებში წამოწვა, რომ თავი აერიდებინა იქ მოხეტიალე მაწანწალებისათვის და საღამომდე ბოსფორს გასცქეროდა, რომ მერე მ ა ს თ ა ნ წასულიყო.

*

* *

ჯევრიე უკანასკნელი ტრამვაით ჩამოვიდა გალათაში, მიიხედ-მოიხედა — ხომ არავინ მომდევსო და კმაყოფილმა გასწია ქარვასლისაკენ. ქარვასლის პატარა კარი ეხლაც ღია იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულზე მაგრად მიკრული კოლოფით ჯევრიე კიბეებს ავყვა.

სულ ზედა სართულში კარს მიადგა და ოდნავ დააკაკუნა. კარი მაშინვე გაიღო.

შესვლისთანავე ჯევრიემ დაინახა, რომ საჭმელ მაგიდაზე ახალი სუფრა იყო გადაფარებული.

ოთახში ლურჯი სინათლე ენთო. კაცმა მაშინვე გადაკეტა კარი და ჯევრიეს გაუღიმა.

მაგიდაზე სამი თუფში ელაგა. მასპინძელმა ელექტრონის ღილაკი გადაატრიალა და დიდი სინათლე აანთო.

— სტუმარს ელოდი? — იკითხა ჯევრიემ.

— დიახ!

— მაშინ წავალ, აღარ შეგაწუხებ. — ენა დაება ჯევრიეს.

— შენ გელოდი, ჯევრიე!

ამის გაგონებაზე ჯევრიეს ისე აუფართხალდა გული, რომ ეგონა, უგრძნობლად დავეცემიო.

— მე მელოდი?

ეს პირველი იყო, როცა ჯევრიეს შენობით მიმართა.

— დიახ, შენ გელოდი.

ის შენობითაც მიმართავდა და თან გელოდიო — ეუბნებოდა.

ჯევრიემ აღარ იცოდა, სად წაეღო კოლოფი და გაუნძრევლად იდგა.

— დღესასწაულის მოსალოცად მოვა-თქო, ვიფიქრე.

— სწორად გიფიქრია... — უპასუხა მან.

„ეშმაკს რომ შევეცდინე და ქემალს გავყოლოდი?“ — გაუელვა ამ დროს ჯევრიეს.

ჯევრიე მაგიდას დასცქეროდა და თავისი ბედნიერებისა არა სჯეროდა.

„მაშასადამე მან იფიქრა, რომ მოვიდოდი და სუფრაც გაშალა წინასწარ“.

ესე იგი მას უნდოდა, რომ ის მოსულიყო, იმედი ჰქონდა და შესახვედრად მომზადებულა.

ამან ისე ააღელვა ჯევრიე, რომ კინაღამ გული წაუვიდა.

დილიდან ნატარები და ოდნავ მოთელილი კოლოფი გაუწოდა.

—ეს რა არის? — ჰკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღესასწაულია-თქო და მოგიტანე.

— რატომ შეწუხდი? — უპასუხა მან და კოლოფი გამოართვა.

მას ფეხზე ქეჩის ფაჩუჩები, ნაცრისფერი შარვალი და მოკლესახელოებიანი ხალათი ეცვა.

ფარდები მჭიდროდ იყო ჩამოფარებული, რომ ლამფის ანთება შეძლებოდათ. ოთახში საკმაოდ ცხელოდა.

ის მაგიდისაკენ გაემართა. ჯევრიე უკან გაჰყვა. ერთხანს ერთად დასცქეროდნენ მაგიდას. მერე ჯევრიემ თავი თეფშებისაკენ გადაიქნია რომ მღველვარება დაეფარა და ხმადაბლა ჰკითხა:

—ჩემს გარდა ვის ელოდები?

მან ქვედა სართულისაკენ ანიშნა თავით:

— ქერიმიც ამოვა ეხლა.

მაგიდასთან რომ ჯდებოდა, ჯევრიემ დაინახა, რომ მან კონვერტი ამოაძრო ლენტებს შორის.

— კონვერტიც არის?

— დიახ!

— ესეც მე?

ჯევრიემ თვითკმაყოფილებით გაიღიმა:

— ნამდვილად შენ. მართალია, ქუჩაში გავიზარდეთ, მაგრამ წესები ვიცით.

მას კონვერტი ხელში ეჭირა.

— ოო, ეს რა ლამაზი კონვერტია... — წარმოთქვა მან ისე, როგორც პატარა ბავშვებს ეტყვიან ხოლმე, როცა უნდათ, რომ გაახარონ.

— რა ლამაზი საფოსტო ბარათია... თანაც მანქანითაა დაბეჭდილი... — წარმოთქვა მან ჯევრიეს გულის მოსაგებად.

— მეც გილოცავ დღესასწაულს, — უთხრა მან და ორივე ხელი ჯევრიესაკენ გაიწოდა.

ჯევრიეს საამოდ აუძგერდა გული. თვითონაც გაუწოდა ბედნიერებისაგან ალმოდებული და ათრთოლებული ხელები.

ჯევრიეს ტანი ეხლა მის ტანს შეეხება. ჯევრიეს ხელები ეხლა უდიდეს ბედნიერებას იგემებს მის ხელებში.

ამდენი ხანია აქ დადის და ხელიც კი არ ჩამოურთმევიათ ერთმანეთისათვის.

ეხლა კი ის ორივე ხელს უწვდიდა მას.

ჯევრიემ ზეპირად იცოდა, რამდენჯერ შეეხო აქამდე მას მის ხელი.

პირველად იმ ღამეს, როცა გაიცნეს ერთმანეთი — პულსი რომ გაუსინჯა რამდენჯერმე. მერე ნავიდან რომ ამოიყვანა და გზაში მკლავი გაუყარა, მერე კიბეზე რომ აჰყავდა, წელზე შემოჰხვია. ავადმყოფობის დროს სიცხის გასაგებად რამდენჯერმე ხელის ზურგი დაადო შუბლზე და პულსი გაუსინჯა. ეს იყო და ეს... თითქმის ერთი წელია რაც იცნობს. ამის მეტად მისი ხელი გამარჯობისთვისაც არ შეჰხებია ჯევრიეს.

ეხლა კი ხელს უწვდიდა, ჯევრიეს ხელში ხელს ჰკიდებდა.

მის წინაშე ჯევრიეს ყოველთვის პატარად ეჩვენებოდა თავი და ეხლაც, როცა თავისი პატარა ხელები მის ვეება მტევნებში დაინახა, განცვიფრებული დააცქერდა მათ.

როცა ეს ვეება, თბილი და მეგობრული ხელები მთლიანად შემოეჭდო მის ხელებს, ჯევრიეს რაღაც უცნაურმა, მათრობელა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ასეთი გრძნობა წინათ მას არასოდეს განუცდია.

ასეთი ბედნიერება მისთვის დღემდე არავის მიუნიჭებია.

და რაღაც მოძრაობით ჯევრიემ თავისი ბაგეებისაკენ წაიღო ეს ვეება ხელები.

თითქოს მინიჭებული ბედნიერებისათვის მადლობის ნიშნად, მან ტუჩებთან მიიტანა ეს ხელები და ემთხვია.

აქამდე ჯევრიეს ხელზე არავისთვის უკოცნია, და როცა ბაგეები მის ხელებს შეეხო, ჯევრიეს თითქოს თაყვანისცემის მსგავსი გრძნობა დაეუფლა.

ამ გრძნობაში იყო სიამოვნებაც, ბედნიერებაც და ნაღველიც.

ეს იმდენად დიდ ბედნიერებასა და სიამოვნებას გვრიდა ჯევრიეს, რომ ბედნიერების სიჭარბე ნაღველად უბრუნდებოდა.

შეეხო თუ არა მის ხელებს, თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა და ორი წვეთი მის ხელებზე დაეცა. ეს იყო და ეს... ჯევრიემ ძლივს შეიკავა ცრემლები. და როცა მან ძალით წაართვა ხელები, ჯევრიემ თავი მიიბრუნა, რომ ცრემლიანი თვალები არ გამოეჩინა.

მას კი ისე ეჭირა თავი, თითქოს არც შეუმჩნევია თავის ხელებზე ორი წერტილივით მიმშრალი ჯევრიეს ორი ცხელი კურცხალი.

ჯევრიემ ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღო. მან იცოდა, საკმარისი იყო

პირის დაღება, რომ თავშეუკავებლად აღმოხდენოდა ოხვრა-ტირილი, როგორც მოვარდნილი ლოდების ზვავი.

რატომ უნდოდა ასე ტირილი? ნეტავ თუ მადლიერება იყო ის გრძნობა, რომელიც ცრემლებამდე აღაგზნებდა მას?

აი, გაშლილი სუფრა და ამ სუფრაზე მისთვის დადგმული თეფში. ი ს ფიქრობდა და მოელოდა მას ამ ახალწლის ღამეს.

მაგრამ განა სხვა არავინ ელოდა მას ამაღამ?

ელოდა...

ამაღამ მას კაფე „ჯევიზლის" მსახური ქემალიც ელოდა. ბარბას სამიკიტნოში... დიახ, ვინ იცის რა სუფრა იყო გაშლილი ახალი წლისა და ფოსფორიანი ჯევრიეს პატივსაცემად.

ამის გახსენებაზე ჯევრიეს იქაური არყისა და საჭმლის სუნი ეცა ცხვირში... იქ, შიგნით, მის მოლოდინში, ტკაცატკუცით იწვის ცხელ-ცხელი საჭმელები... იცდის არღანი.

მას აქეთ, რაც ბაგეები მის ხელს შეახო, ჯევრიემ თამამად იგრძნო თავი.

თავი ისე ეჩვენებოდა, თითქოს გაზრდილიყო.

ასეთი გრძნობის დაოკება მხოლოდ ქუჩის ქალის თავგასულობით შეიძლებოდა.

რაც ლოყებზე ალმური მოედო და მის ხელებს ბაგეები ააგლიჯა, ჯევრიე ხმას ვეღარ იღებდა. თვალები დაეჭყიტა, გაფითრებულიყო და ოდნავ პირდაღებული მისჩერებოდა მას. და თუ რამეს იტყოდა, ეს იქნებოდა მუდარით ნათქვამი სიტყვები: „ჩამიკარ გულში, ღვთის გულისათვის, შემიყვარე, შემიყვარეო".

დიახ, მას სამიკიტნოს სუნი სცემდა ცხვირში...

ყავახანის მსახური არც ისე ხელწამოსაკრავი იყო. ის რომ ხარჯვას დაიწყებდა, მერე ლორდებიც კი ვერ დაუდგებოდნენ წინ.

ჯევრიეს სმა უნდოდა, დილამდე არღნის მოსმენა, ჭიქების მტვრევა, ღრიანცელი, აყალ-მაყალი, ქეიფი, ისეთი ქეიფი, რომ მთელ გალათას შურით სულ თითები დაეკვნიტა.

დიახ, მას სურდა ყოველივე ამის გაკეთება და ამ თავგასულობის მოთოკვა მხოლოდ პოლიციას შეეძლო.

ყველაფერი თავდაყირა დადგა... ჯევრიეს სულში ქარიშხალი ბობოქრობდა. მან თვალები დახუჭა და ასე იდგა ერთხანს. თვალებზე

არ მიმიხვდეს რა დავი-დარაბაც მიტრიალებს სულშიო და შიშით თვალებს ვერ ახელდა. თვალწინ გალათის ქუჩების სურათებმა გაურბინეს. სამიკიტნოს სუნი და შეღებილი გოგოების ჩახრინწული ხმა ნაღვლად ინთებოდა მის გულში.

მისი სულიერი აშლილობა მხოლოდ მაშინ დაცხრებოდა, როცა, არყით გალეშილი, უგონოდ მიეგდებოდა კუთხეში ცარიელ ბოთლებს შორის.

მხოლოდ მაშინ...

ნეტავ ხვდებოდა თუ არა ი ს ჯევრიეს ამ განცდებს? ან იქნებ არ უნდოდა მიხვედრა?

ჯევრიეს ძალიან ეშინოდა, არაფერს მიმიხვდესო.

*

* *

უცბად კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა, ჯევრიემ თვალები გაახილა, და როცა ისევ ის მშვიდი ოთახი და სუფთად გაშლილი მაგიდა დაინახა, მაშინვე გადაავიწყდა ქუჩა, სამიკიტნო, ყველაფერი და აქ დარჩენის, აქედან არ წასვლის სურვილმა შეიპყრო.

მას რომ მოენდომებინა, ჯევრიე არასოდეს წავიდოდა აქედან. სულ მასთან დარჩებოდა, მისი ფოსფორიანი იქნებოდა. „მას შეუძლია ამის გაკეთება“, — გულუბრყვილოდ ფიქრობდა ჯევრიე.

მაგრამ მართლაც რომ ექნა ასე, შეძლებდა კი ჯევრიე დარჩენას?

დარჩებოდა ალბათ, მაგრამ დიდხანს ვერა!..

თუმცა იმ წუთში ძნელი იყო მისი დარწმუნება იმაში, რომ ფოსფორიანი ჯევრიესათვის ეს ძალიან საძნელო საქმე იქნებოდა.

ჯევრიეს დიდი ფერიცვალება უნდა განეცადა, რომ ასეთი რამ მომხდარიყო.

მას ხომ თავისი ჩვევები და თავისი სუსტი მხარეები ჰქონდა.

და რომ ჯევრიე აქამდე ჯევრიე იყო, სწორედ ამ თვისებების წყალობა გახლდათ...

ამჟამად კი ჯევრიე ისევ ის ძველი ჯევრიე იყო და ეს უცხო კაცი გიჟივით უყვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად უყვარდა თავის ცხოვრებაში და უყვარდა იმ დიდი სულიერ ყვარულით, რომელიც ადამიანებს ძალუძთ.

მის დანახვაზე თვალთაგან ისევ გაუქრა მთელი თავისი ცხოვრება. ამ კაცთან ყოფნის დროს თითქოს თვითონაც არა სჯეროდა, რომ გალათის ცნობილი ფოსფორიანი იყო.

ახლადმოსული ის კარისკაცი იყო.

— დაგაგვიანდა, ქერიმ. — მიმართა მას კაცმა.

ჯევრიეს ეს ქერიმი ძალიან უყვარდა. ის რამდენჯერ ჰყავდა ნახული ამ ოთახში. ნახვის პირველი დღიდანვე შეეთვისა.

როგორ შეიძლება ჯევრიეს არ მოსწონებოდა, განსაკუთრებულად ლამაზი არ ჩვენებოდა ის, რაც მისი საყვარელი ადამიანის გარშემო, რაც მის მახლობლად იყო.

ჯევრიეს ქერიმიც პატივისცემით ელაპარაკებოდა.

ქერიმი მასავით სერიოზული, ჩუმი და გაუცინარი როდი იყო. საყვარელი კაცი იყო, გულკეთილი ჩანდა.

მუდამ ხუმრობდა. და მისი ხუმრობა ისეთი მოურიდებელი და უწმაწური არ იყო, როგორც გალათაში გაეგონა ჯევრიეს.

ხნიერი იყო... სულთნების დროს, პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა...

მან უცნაური ამბები იცოდა. ისეთი, რომ სიცილით მოკლავდა ადამიანს.

ჯევრიეს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ყოფილიყო ამბავი საინტერესო და სასაცილო, თუ შიგ ბილწსიტყვაობა არ ერია. ქერიმის ნაამბობი კი სულაც არ იყო ასეთი...

ეს იყო უბრალო ამბები, მისი ცხოვრების სხვადასხვა დროინდელი თავგადასავალი გაჭირვების, სიყვარულის სასაცილო ისტორიების, გადატანილი სირცხვილისა და ნაღველის შესახებ. ჯევრიეს სიამოვნებდა მათი მოსმენა.

როგორც ჩანდა, ქერიმსაც სიამოვნებდა ჯევრიესათვის ყურის გდება.

ჯევრიე გრძნობდა, რომ ქერიმს უფრო გაუხსნიდა გულის ნადებს, ვიდრე იმას, ვინც უყვარდა.

მისთვის ჯერ არაფერი გაუმხელია, თავის თავზე არ უსაუბრია, მაგრამ ამ კაცში ისეთი რაღაცა იყო, რაც მას ხიდის ქვეშ გარდაცვლილ კაცს აგონებდა.

ყველაზე მეტად კი ჯევრიეს ის მოსწონდა, რომ მის საყვარელ კაცს ქერიმი ზრუნვით ეპყრობოდა.

ქერიმს ძალიან უყვარდა იგი, უფრთხილდებოდა მას, იცნობდა მის ჩვევებს და მამასავით ექცეოდა. „ნეტავ მამა ხომ არ არის?“ — რამდენჯერ უფიქრია ჯევრიეს.

თუმცა, შეუძლებელია მამასთან იმალებოდეს. ეს ტყუილია... ალბათ ძალიან ახლობელია ვინმე... როგორცა ჩანს, ისინი, განუყრელი მეგობრები არიან, ძალიან უყვართ ერთმანეთი.

ქერიმი ხანდახან მისი ბავშვობის შესახებაც ლაპარაკობდა. ყვებოდა ბავშვობის დროინდელ ამბებს. რა სასიამოვნოა მისი ბავშვობის ამბების ცოდნა.

რა შესანიშნავია...

ქერიმი არასოდეს სახელით არ მიმართავდა მას და ამიტომ ჯევრიეშაც ვერ გაიგო რა ჰქვია.

ჯევრიეს მუდამ ეგონა, რომ ამ ამბების თხრობის დროს, სადმე მაინც გაიგებდა მის სახელს.

მაგრამ იმედმა არც ერთხელ არ გაუმართლა. მისი თანდასწრებით ქერიმს არასოდეს არ წამოსცდენია ეს სახელი.

ქერიმი სამოცი წლისა იქნებოდა. თმა მთლად გათეთრებული ჰქონდა. შუბლს ზემოთ კი საერთოდ არ ჰქონდა თმა. შავგვრემან სახეზე ღრმა ნაოჭები დასდევდა. ფართო მხრები ჯერ ისევ გამართულად ეჭირა...

მარცხენა ხელზე ორი თითი აკლდა. მსოფლიო ომში დაკარგეო, ამბობდა.

ლაპარკზე ოდნავ კუთხური კილო ეტყობოდა, ოღონდ ჯევრიე ვერ მიმხვდარიყო, სადაური უნდა ყოფილიყო.

ერთ-ერთი საფუძველი ჯევრიეს დასკვნისა, რომ ისინი მამა-შვილი არ იყვნენ, ესეც იყო. ი გ ი წმინდა სტამბოლის კილოზე ლაპარაკობდა.

ის სტამბოლელი იყო, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა.

როცა ისინი საუბრობდნენ ხოლმე, ჯევრიე სულ ცდილობდა, უფრო დაწვრილებით გაეგო მისი ცხოვრების ამბავი.

ეს, რასაკვირველია, არ იყო ავი განზრახვით გამოწვეული ცნობისმოყვარეობა...

ჯევრიე უზომოდ და თავდავიწყებით იყო მასში შეყვარებული, თუმცა გულში კი შიშობდა, სხვა ქალი ხომ არა ყავს ვინმეო.

ჯევრიეს უყვარდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მ ა ს არ უყვარდა ჯევრიე და არც შეიყვარებდა.

მიუხედავად ამისა, სხვა ქალის არსებობას ისე უყურებდა, როგორც დიდ უბედურებას.

სწორედ ამის შეტყობა უნდოდა — არსებობდა ასეთი ვინმე თუ არა?

და თუ ჯევრიე ზოგჯერ გაფაციცებით უსმენდა მათ საუბარს, ამის მიზეზი მხოლოდ ეს იყო...

*

* *

ეხლა ისინი უკვე სუფრასთან ისხდნენ. ქერიმი ისევ მხიარული იყო. სასაცილო ამბებს ყვებოდა.

ჯევრიე უსმენდა და მადიანად შეექცეოდა საჭმელს. მან ხომ მთელი დღე უჭმელმა იხეტიალა. და ეხლა, მიუხედავად ბედნიერების მომგვრელი ამ მღელვარებისა, მადა მაინც არა ჰქონდა წამხდარი.

ჯევრიე ისე ხარბად და მადიანად ჭამდა, როგორც კაცი, რომელსაც იშვიათად უხდება ხოლმე გემრიელი საჭმელების ჭამა.

როგორც ყოველთვის, უფრო მეტად ისინი ლაპარაკობდნენ, ჯევრიე კი ჭამით იყო გართული და დუმდა. „ნეტავ აქამდე რატომ არა ჭამეს საჭმელიო?“ — ეკითხებოდა თავის თავს.

„ნეტავ თუ მე მელოდნენ?“

ქერიმი შორიდან მოსულს გავდა. ოთახში რომ შემოვიდა, დაღლილობა ეტყობოდა.

მაგრამ ახლა, სუფრას რომ მიუსხდნენ, დაღლილობამ გადაუარა.

ჯევრიე ძალიან მშვიდად გრძნობდა თავს.

სუფრაზე ღვინოს სვამდნენ.

წელან, როცა ბოთლსა ხსნიდა, ქერიმმა უცბად სერიოზული გამომეტყველება მიიღო და გამოაცხადა:

— აქ დათრობა არ შეიძლება!

ჯევრიე მიხვდა, რომ ქერიმი მისთვის ამბობდა. „ალბათ ჰგონია გავილეშები და მოვყვები სისულელეების როშვას“, — გაიფიქრა მან.

და გადაწყვიტა აჩვენოს როგორ იცის სმა და მაინც არ თვრება.

— როცა დალევ,—ამბობდა ქერიმი,—რაც უნდა იყოს, მაინც იმოქმედებს... და ჩვენ თუ ხმამაღლა დავიწყეთ ლაპარაკი... მორჩა, გათავებულია ჩვენი საქმე!..

— აბი, — მიმართა ჯევრიემ და თვალი ჩაუკრა, — ღმერთმანი, ერთი დოქიც რომ ამოვაშროთ, თუ ენაზე კბილის დაჭერაა საჭირო, მე მაინც მოვწევ აღვირს...

და თუმცა ასე ამბობდა, მაგრამ როცა ჯევრიეს პირველი ჭიქა დაუდგეს წინ, მან მაინც გაიფიქრა: „ამაღამ ნამდვილად ამივარდება თავშიო“.

ჯევრიე თავისთავადაც მთვრალსა გავდა, რატომღაც.

ეს გრძნობა მასში იმდენად ძლიერი იყო, რომ ნამდვილად მალე გამოვთვრებიო, ფიქრობდა.

ჯევრიე გრძნობდა, რომ მის გვერდით, მის მაგიდაზე, მასთან ერთად დათრობა ძალიან სასიამოვნო იქნებოდა.

ეს ხომ ის სუფრაა, რომელიც წინასწარ გაეწყოთ და მის მოსვლას ელოდნენ!

კირკ-იამა ჰოჯას სამოთხეშიც კი არ აღუთქვამს ასე დიდი ბედნიერება.

„იქნებ არ დავლიო?“ — გაიფიქრა ჯევრიემ, როცა ქერიმი სქელ ჭიქაში უსხამდა წითელ ღვინოს.

დიახ, ღვინო ნამდვილად მოერეოდა და ღვინო თუ მოერია, ჯევრიე ნამდვილად ჩაიდენდა რამე სისულელეს.

ეს უკვე წესი იყო...

მაგრამ ნუთუ აქაც ჩაიდენდა სისულელეს?

„არ დავლევ, — ერთი წუთით გაიფიქრა ჯევრიემ... — არა ვსვამთქო რომ გამოვაცხადო, უფრო ღირსეულიც იქნება... თუმცა რა, განა ვერა ხვდებიან რა საქონელიცა ვარ? იმასაც მიხვდებიან, რომ ღვინისთვის ვგიჟდები და მხოლოდ ქალობაზე ვდებ თავს. — დაასკვნა ჯევრიემ და გადაწყვიტა: — რაც უნდათ, ის იფიქრონ, მე მაინც უნდა დავლიო“. — და თუმცა იცოდა, რომ ღვინო აუცილებლად მოერეოდა, მაინც ბოლომდე გამოსცალა ჭიქა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველივე ჭიქამ იმოქმედა ჯევრიეზე. თუმცა გასაკვირი იყო, რომ ღვინომ ასე იმოქმედა, რადგან ჯევრიეს ჭიქობით, ბოთლობით შეეძლო არყის სმა.

ის მართლაც დაათრო ერთმა ჭიქა ღვინომ.

მეორე ჭიქაზე ჯევრიემ უარი ვეღარ თქვა, თუმცა კი შეშინებული იყო, რომ ნამდვილად დათვრებოდა.

ამ ჭიქას ჯევრიე ერთ ყლუპზე უპირებდა გამოცლას, მაგრამ დავთვრებიო, შეეშინდა და ვეღარ გაბედა.

„აბა, რა საჭიროა, რომ ჩემი ვაჟკაცობა ვუჩვენო. — ფიქრობდა ჯევრიე. — მას სრულებითაც არა სურს ჩემი ამ თვისების დანახვა. ისე მეპყრობა, თითქოს ქალბატონი ვიყო. თუმცა რა განსხვავებაა ჩემსა და ქალბატონს შორის. განა ალაჰმა არ გამაჩინა მეცა და ისიც? — გაიფიქრა ჯევრიემ, როცა მეორე მოსმაზე ეს მეორე ჭიქაც გაანახევრა. — ორივე ალაჰმა შეგვქმნა, მაგრამ სხვადასხვად გაგვაჩინა. — გაუარა ჯევრიეს კატეგორიულმა აზრმა. — ამ ქვეყნად ერთი ჩემნაირი ფოსფორიანიც იყო საჭირო. ღმერთს რომ ფოსფორიანი არ გაეჩინა, გალათის მაწანწალებს რა ეშველებოდათ?“

ჯევრიემ გადაწყვიტა ხმამაღლა წარემართა საკუთარ თავთან ეს ხუმრობა და მესამედ მოსვა ჭიქა. მისი ვარაუდით ჭიქაში კიდევ ერთი ყლუპი ღვინო იყო დარჩენილი, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია, შეეშინდა—არ მიმიხვდნენ, რომ მთვრალი ვარო. ისინი საუბრობდნენ... ჯევრიე არ უსმენდა. მთელ ამ საუბარში მას მხოლოდ ერთი აინტერესებდა — მისი სახელი...

„ნეტავ რა უნდა ერქვას?“

„აჰმედი?“

აჰმედი არ მოეწონა... სამწვადის პატრონი აჰმედი გაახსენდა...

რა საზიზღარი ტიპი იყო ის აჰმედი...

იქნებ ოსმანი ჰქვია... ოსმანი ძალიან კარგი სახელია... ჯევრიეს ძალიან მოსწონს ეს სახელი. რაც აქამდე ოსმანებს იცნობდა, ყველა კარგი ხალხი იყო. ჩაკირ[1]-ოსმანი, რომელიც ბავშვობაში მასთან ერთად თამაშობდა ხიდის ქვეშ.

ეჰ, ჩაკირ-ოსმანი... რა ბიჭი იყო...

ერთხელ მას მოეჩვენა, რომ ჯევრიე იხრჩობოდა და ზედ გალათის ხიდიდან გადაეშვა ზღვაში. თვითონ კი ერთი ციდა იყო...

მერე, მერე შოფერი ოსმანი... განა შოფერ ოსმანს ცოტა სიკეთე

---

[1] ჩ ა კ ი რ — მიმინო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუძღვის მის წინაშე. რამდენი უტარებია მანქანით. სულ ძოლოდ ბარბასა ჰგავდა. სამაგიეროდ არფერი მოუთხოვია. ერთხელაც კი არაფერი უთქვამს ცუდი. ჯევრიეს დაინახავდა თუ არა, დაუძახებდა: „მოდი, ჯევრიე, ჩამიჯექ, გაგატარო... შენ ბედნიერება მოგაქვს ჩემთვის“. მანქანიდან რომ ჩამოსვამდა, ფულსაც მისცემდა ხოლმე. და ღმერთმანი ხელს არ ახლებდა. უბრალოდ ყბედობდნენ, უწმაწურებს ისროდნენ და იცინოდნენ.

ან კიდევ ყარაული ოსმანი და პოლიციის კომისრის მოადგილე ოსმანი... ორივე კარგი კაცია. ყველა ოსმანი კარგი იყო. ყარაულმა ოსმანმა რამდენჯერ დახუჭა თვალი და გააპარა.

კომისრის მოადგილე ოსმანი კი, ყოველთვის, როცა ჯევრიე პოლიციაში მოხვდებოდა, სიგარეტებს აძლევდა და ჩაის სთავაზობდა.

ფოსფორიანს მან ერთხელ ერთი კოლოფი სიგარეტი უყიდა კიდეც.

„პოლიციელიც რომ იყოს, თუ ოსმანია, კარგია“. — თქვა ჯევრიემ თავისთვის

და გადაწყვიტა, გულში ოსმანი ეწოდებინა მისთვის.

კი, მაგრამ, იყო ისეთი კეთილშობილი სახელებიც, როგორიცაა შერაფეთინი, ჰუსამეთინი, ბაჰა, ბიულენთი, თურგუთი... არა... არა... მას არც ერთი სახელი ისე არ უხდებოდა, როგორც ოსმანი...

„მე რომ მისი დედა ვყოფილიყავ, — ფიქრობდა ჯევრიე, — აუცილებლად ოსმანს დავარქმევდი.

ოსმან... ოსმან... ოსმან...“ — იმეორებდა გულში ჯევრიე.

ყოველ ადამიანს და ყოველ საგანს თავისი სახელი აქვს.

ნეტავ ვინ არქმევს ამ სახელებს?

„ხალხს საქმე-საზრუნავი არა აქვს და ყველაფერს სახელს არქმევენ“. — გაიფიქრა მან და მერე უბცად გაახსენდა:

— ნეტავ მე ვინ დამარქვა ჯევრიე? რაც თავი მახსოვს, სულ ჯევრიეს მეძახიან.

ეს მან ხმამაღლა წარმოთქვა. კაცებმა განცვიფრებით შეხედეს. ქერიმმა ჩუმად გაიცინა:

— რაში გაგახსენდა, ჯევრიე? ყველას ან დედა არქმევს სახელს, ან მამა...

— მე არც დედა მყავს, არც მამა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოდესღაც ხომ გყავდა... ადამიანები ხომ სხვანაირად არ ჩნდებიან ამ ქვეყნად.

ჯევრიეს დღემდე არც კი უფიქრია, რომ ეს სახელი მას დედამ დაარქვა.

ეს სახელი ეხლა მისთვის იყო ის იდუმალი კვანძი, რომლითაც ის თავის დედასთან იყო დაკავშირებული, ის იდუმალი კავშირი, რომელსაც ჯევრიე დედამისთან მიჰყავდა. „მეცა მყოლია დედა, თუკი სახელი დაურქმევია“, — ამაყად გაიფიქრა ჯევრიემ.

ეს ძალიან საამო ფიქრი იყო.

დღემდე არასოდეს არ უფიქრია, რომ მასაც შეიძლება ჰყოლოდა დედა. ასეთი რამ ვერც კი წარმოედგინა.

დედის ყოლა!..

ჯევრიეს გონებას დასაშვებადაც კი არ მიაჩნდა თავისთვის ასეთი რამის არსებობა.

თავის გაჩენაზე როცა ფიქრობდა ხოლმე, იტყოდა — ღმერთმა, მისი ჭირიმე, ალბათ სოკოსავით მიწაში გამაჩინა, ან წვიმასავით ციდან ჩამომაგდოო — და მხრებს აიჩეჩავდა.

დედა!.. ეს მისთვის ძალიან შორეული ცნება იყო...

მან კარგად იცოდა, რომ ადამიანები ამ ქვეყნად უდედოდ არა ჩნდებიან, მაგრამ თუ მასაც ოდესმე ყავდა დედა, ეს შეუძლებლად მიაჩნდა.

ქალი... ნუთუ მართლა არსებობდა ისეთი ქალი, რომელმაც თავის საშოში ატარა ის, თავისი სისხლით კვება და ტანჯვა გადაიტანა, რომ მისთვის სიცოცხლე მიენიჭებინა.

ქალი, რომელმაც ხელით ატარა ის, ძუძუ აწოვა.

— ეჰ, ეს რომ მართალი იყოს, კაი რამე იქნებოდა, — თქვა მან და ამით დაადასტურა, რომ ასეთი რამე მართლაც მოწონდა.

მან არასოდეს არ იცოდა, რა იყო ქალური სიყვარული, ქალური ალერსი და სიახლოვე... მას აზრად არასოდეს მოსვლია, რომ რომელიმე ქალი შეიძლებოდა დედობრივი სიყვარულით მოქცეოდა მას.

ქუჩის ქალებს შორის ბევრი ამხანაგი ყავდა, ბევრი უყვარდა და თვითონაც ბევრისთვის იყო საყვარელი.

მაგრამ ეს არ იყო ქალური ალერსი.

მას ყველაზე მეტად ახლობელი ადამიანიც ყავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფ-ჯემილე!..

არაფ-ჯემილე და ის მრავალი წლის მანძილზე მეგობრობდნენ. მაგრამ ჯემილე მისი კბილა იყო.

ეს ალერსი და სიყვარული შეიძლება დისადმი დის სიყვარულს ჰგვანებოდა. „ორ დასავით რომ ერთმანეთი უყვარდეს ადამიანს. ერთი დედის შობილი უხდა იყოს. ორ ამხანაგს, როგორც არ უნდა უყვარდეს ერთმანეთი, დების სიყვარული მაინც სხვაა“. — გაიფიქრა ჯევრიემ და სული მოითქვა.

მან იგრძნო, რომ ერთი წამით შეიპყრო სურვილმა თვითონ გამოეცადა, თვითონ ეგემნა ეს მისთვის უცნობი სიყვარული.

მაგრამ ჯევრიეს არ შესწევდა ამ გრძნობების გაანალიზების უნარი და სიმწრისაგან ცხვირი აეწვა.

„საცაა ვიტირებ, — უკვირდა ჯევრიეს. — ძალიან არ მომერია ამაღამ ეს ოხერი ღვინო.

დღესასწაულები სწორედ მაგიტომ არის.

მაგრამ ვინ იცის, რა ტკბილია ეს დღესასწაულები იმათთვის, ვისაც დედა ჰყოლია“.

მას გაახსენდა, როგორ გამოდიოდა ხოლმე დღესასწაულების დროს მოედნებზე.

მის წინაშე გაცოცხლდნენ ნაირ-ნაირ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონების და მეზღვაურის ტანსაცმლიანი ბიჭების სურათები.

ის ამ მოედანზე ტალახიანი შიშველი ფეხებით მოდიოდა. ტანზე მარტო პერანგი ეცვა... ბავშვების დავარცხნილ თმებს, ყელზე შემოხვეულ აბრეშუმის მანდილებსა და თმებზე გაკეთებულ ბაბთებს ის განცვიფრებული შესცქეროდა.

მათი არასოდეს შეშურებია, ყოველთვის ისე უცქეროდა, როგორც უცნაურ ქმნილებებს.

არასოდეს სდომებია, მათი მსგავსი ყოფილიყო. მხოლოდ ნახვა უნდოდა ხოლმე მათი.

მას ალბათ არასოდეს უფიქრია, რომ თვითონაც შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო. მას არც ეგონა ეს და ამიტომ არცა წუხდა, რომ არ იყო ისეთი.

ეჰ, ის დღესასწაულები...

ჯევრიე იმ მორთულ ბავშვებზე უფრო მოუთმენლად ელოდა მას.

წინა დღით, ზარბაზნების სროლას რომ დაიწყებდნენ, ჯევრიეს ძალიან უფრთხებოდა, გული უცემდა, სულ ბორგავდა და ერთი სული ჰქონდა და გათენებამდე.

ის წინა დღესაც მიდიოდა იქ, რომ ენახა როგორა დგამდნენ კარუსელებს.

— ძია, მოგეხმარები რა და ხვალ უფულოდ დამსვი? — თხოვდა ჯევრიე ოსტატებს და ფიცრებსა და ლურსმნებს ეზიდებოდა, მონასავით მუშაობდა, რომ მეორე დღეს კარუსელზე შეესვათ. მაგრამ მეორე დღეს, იმდენ ბავშვებში, მას ვეღარავინ ცნობდა.

— ძია, მე გუშინ გეხმარებოდი. შენ არ მითხარი, ხვალ უფასოდ გაქანავებ, კარუსელზე შეგსვამო? — შეახსენებდა ჯევრიე, მაგრამ მას ერეკებოდნენ:

— წადი, გასწი... მე არაფერი ვიცი.

რამდენჯერ იმუშავა ასე ჯევრიემ, რამდენჯერ გამოაგდეს...

ნავახშმევს ჯევრიემ სუფრა აალაგა. ჭურჭელს რომ რეცხდა, ოთახში მამაკაცებმა ჩუმად დაიწყეს რაღაცაზე ლაპარაკი. ჯევრიეს არ უნდოდა მათი მოსმენა, ეშინოდა, ასეთმა მიყურადებამ არ გააბრაზოსო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯევრიეს გულში ზოგჯერ ისე ძლიერ იჩენდა ხოლმე თავს ამ კაცის შესახებ რაიმეს შეტყობის სურვილი, რომ მისი დაძლევა მართლაც შეუძლებელი იყო.

ჩურჩულის მეტი არაფერი ისმოდა. ოღონდ ის კი გაიგონა, როგორ ჰკითხა მან ქერიმს:

— იტირა?

ქერიმის პასუხი არ გაუგონია.

— საწყალი ქალი, — ისევ მოესმა ჯევრიეს მისი სიტყვები. „საწყალი ქალი!.. ვისზე ამბობს? ვინ არის ის ქალი?“

ჯევრიემ იგრძნო, როგორ აუკანკალდა ხელები და გული შეეკუმშა. მაგრამ ხომ შეიძლება ეს ქალი დედა ყოფილიყო!..

სატრფოც რომ ყოფილიყო, რა უფლება ჰქონდა ჯევრიეს გული მოეყვანა ან გაბრაზებულიყო?

ის ხომ ერთხელაც არ მოხვევია ჯევრიეს.

საერთოდ კი ქალს, რომელზეც ლაპარაკი იყო, ხომ შეიძლება, ქე-

რიმთან ჰქონოდა კავშირი. მართლაც, რა აუცილებელი იყო, რომ ვინმე ყვარებოდა.

ჯევრიე თავის დამშვიდებას ცდილობდა. არ უნდოდა დღევანდელი ბედნიერების ჩამწარება. ის გრძნობდა, რომ მეგობარი იყო ამ კაცისა და სწორი არ იქნებოდა იმაზე მეტის მოთხოვნა, რაც მან უკვე მისცა ჯევრიეს და რასაც მომავალშიც ეპირებოდა.

როცა ჭურჭელი გარეცხა და უკან შებრუნდა, ნახა, რომ ის წელანდელივით მხიარული აღარ იყო. ტახტზე იჯდა ჩაფიქრებული, ნიკაპი ხელებზე შემოედო და იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა.

ქერიმი მაგიდასთან იჯდა. მის წინ ისევ იდგა ღვინის ჭიქა.

ის კვლავ მხიარული იყო. ხმადაბლა იცინოდა და რაღაც სასაცილო ამბავს ყვებოდა.

ის არ იცინოდა. როცა ქერიმი თავისავე ნაამბობზე გაიცინებდა, ის მხოლოდ ოდნავ იღიმებოდა.

ქერიმმა ჯიბიდან რაღაც ამოიღო. ეს იყო მუქი ფერის აბრეშუმის ჰალსტუხი.

— კინაღამ დამავიწყდა, — სიცილით წარმოთქვა ქერიმმა. — შენთვის საახალწლოდ უყიდია და წამოსვლისას მოცემა დავიწყებია.

„ის ქალი!“ — გაუელვა ჯევრიეს, კინაღამ წამოხტა და ნაკუწებად აქცია ჰალსტუხი.

იდუმალი რაყიფის არსებობამ სულ დაუკარგა გემო ამ საახალწლო ღამეს.

კაცმა ჰალსტუხი გამოართვა ქერიმს. ის მთლად გაფითრებული იყო. თვალები უსასრულო ნაღველით ჰქონდა სავსე... ჯევრიეს გაუკვირდა, ასე როგორ ააღელვა ამ ერთმა ჰალსტუხმაო.

საჩუქარმა ააფორიაქა ასე, თუ მისი გამომგზავნის გახსენებამ — გაუგებარი იყო.

მაგრამ ჯევრიე ხედავდა, რომ ისე ეჭირა საჩუქარი, თითქოს ეალერსებაო.

— როგორ გავაწვალე, როგორ გავაუბედურე. — წარმოთქვა მან.

ქერიმს პასუხი არ გაუცია.

მის თვალებშიც ნაღველს დაესადგურა, თუმცა კი ცდილობდა, რომ თავი მხიარულად მოეჩვენებია.

— ეს ღამე მხიარულებისთვისაა და არა ნაღველისათვის, — გაიმეორა მან და მძიმედ დაიქნია თავი.

— რომ აღარ გათავდა ეს ნაღვლიანი ღამეები, — წარმოთქვა მან.

ქერიმს ხმა არ ამოუღია. ერთხანს ყველა დუმდა.

— ძალიან კარგი, რომ ხვალ დღესასწაულია, — თქვა ბოლოს ქერიმმა. — დღეს გვიანამდე მოგვიხდა ჯდომა. ხვალ ვიძინებთ და ვიძინებთ...

— წასვლას აპირებ? — ჰკითხა მან ქერიმს.

„ნეტავ რაღას ელაპარაკება, წავიდეს ბარემ...“ — გაიფიქრა ჯევრიემ.

ის გაბრაზებული იყო თავის საყვარელ ქერიმზე.

ეს ჰალსტუხი მან მოიტანა იმ ქალისაგან.

„ო, ღმერთო, ვინ არის ეს ქალი? რატომ არ ინაწილებს მის ამ ყოფას?

მე რომ მისი ცოლი ვყოფილიყავ, უსათუოდ მასთან ვიქნებოდი“.

ეს ქალი იქნებ ცოლი არ არის, უბრალოდ შეყვარებულია მასში. ისე კი თავისი ცხოვრება აქვს.

ჯევრიე ცნობისმოყვარეობის ძლიერი გრძნობით იყო შეპყრობილი. ამ გრძნობას აღტაცების გრძნობაც ერთვოდა. მან იცოდა, რომ ქალი, რომელიც მ ა ს უყვარს, რაღაც განსაკუთრებული იქნებოდა და ჯევრიე ვერასდროს ვერ დადგებოდა მის გვერდით.

რა ბედნიერი უნდა ყოფილიყო ეს ქალი...

ჯევრიეს ცრემლები მოადგა.

ჯევრიე გიჟდებოდა, ისე უნდოდა იატაკზე დამხობილიყო, ეფართხალა, ეგინებინა, ეტირა, ეტირა და ეკითხა: — ვინ არის ის ქალი, ჰალსტუხი რომ გამოგიგზავნაო...

მაგრამ კითხვას ვერ ბედავდა.

მას არა ჰქონდა ამისი უფლება...

რა ძნელია, როცა ძალიან გიყვარს ვინმე, ძაღლივით ხარ შეყვარებული, ისიც იცი, რომ არ უყვარხარ და უფლებაც არა გაქვს მოსთხოვო სანაცვლო სიყვარული ან იეჭვიანო.

დღემდე განუცდელი ნაღველის განცდასაც თავისი ლაზათი აქვს.

ჯევრიეს ყველაფერი უყვარდა, რაც კი მისგან მოდიოდა... ნაღველიც კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჰალსტუხი ვინ გამოგიგზავნა?“ — ეს სიტყვები ენასა ეწყალობა ჯევრიეს, მაგრამ იჯდა და დუმდა.

იჯდა და მას შესცქეროდა. „რა იქნებოდა, ღმერთო, იმის შეყვარებას, მე შევყვარებოდი...“ — ფიქრობდა ჯევრიე.

*

* *

ეხლა მარტონი იყვნენ ოთახში.

საკმაო ხანს ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ...

ის თავის ფიქრებში იყო წასული. ჯევრიე უცქეროდა.

დაახლოებით ერთმა საათმა განვლო ასეთ მდგომარეობაში. შემდეგ ის წამოდგა.

— კინაღამ დამავიწყდა, ჯევრიე. — თქვა მან. — შენთვის რაღაცა მაქვს მომზადებული.

— ჩემთვის?

— დიახ!

— რა რაღაცა?

— სადღესასწაულო საჩუქარი... შენთვის საახალწლო საჩუქრები მაქვს ჯევრიე!..

— ჩემთვის?

— დიახ!..

კაცი ადგა, კარადის ცალი კარი გამოაღო და ერთი წყვილი აბრეშუმის წინდა და მოსასხამი გამოიღო.

ჯევრიეს მაშინვე გადაავიწყდა ეჭვი ჰალსტუხის გამომგზავნი ქალისადმი, რომელსაც ის არ იცნობდა და არც კი იცოდა, რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

— ეს მე, ეს მე? — რამდენჯერმე გაიმეორა აღელვებულმა ჯევრიემ. მაგრამ ხელის ხლება ვერ გაბედა.

— მოგეწონა?

— ღმერთო, რა კარგია.

ჯევრიე თითებს უსვამდა საჩუქრებს და სიტყვას ვერ პოულობდა,

რომ რამე ეთქვა. მან არ იცოდა ის დელიკატური სიტყვები, რომლებიც მადლობის ნიშნად ითქმის ხოლმე ასეთი საჩუქრების მიღებისას.

— გაგახსენდი და მიყიდე, არა?

— რატომ გიკვირს, რომ გამახსენდი, ჯევრიე. ჩვენ განა მეგობრები არა ვართ? — თქვა მან და შემდეგ ნაზი ხმით დააყოლა:

— განა შენც არ გაგახსენდი?

— მე შენ არც მავიწყდები.—თავისდაუნებურად წამოცდა ჯევრიეს. ის სითბოთი აღსავსე თვალებით შესცქეროდა მას.

რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ სიტყვებმა... ამის გამოცნობის თავი ჯევრიეს არა ჰქონდა...

— მეც ყოველთვის გელოდები. როცა არა ხარ, გეძებ. — ღიმილით უთხრა მან.

ჯევრიე ბედნიერი ბავშვივით შესცინოდა მას. რა არაჩვეულებრივი ღამეა.

აჰ, ეს ძვირფასი საჩუქრები, საბუთი იმისა, რომ ის ჯევრიეზე ფიქრობდა.

„ღმერთო ჩემო, ეს რა შესანიშნავი დღესასწაულია!“ — ამბობდა ჯევრიე და არა სჯეროდა, რომ ესოდენ ბედნიერი იყო.

რა იქნებოდა?

რა იქნებოდა?

რომ ის ქალი არ არსებობდეს...

იმ ქალს რომ ჰალსტუხი არ ეჩუქებინა...

ჯევრიე საჩუქრებს ეალერსებოდა. ამან მას თითქოს გამბედაობაც შეჰმატა და უფლებაც მისცა, რომ ასეთი შეკითხვა დაესვა:

— შენ ეგ ლამაზი ჰალსტუხი ცოლმა გამოგიგზავნა, არა?

ამ კითხვაზე კაცის სახემ სერიოზული და ნაღვლიანი გამომეტყველება მიიღო.

— მე ცოლი არა მყავს, ჯევრიე. — უპასუხა მან და მერე უფრო გულნატკენად დააყოლა:

— მე ცოლი უკვე აღარა მყავს.

— მაშ საყვარელმა ქალმა გამოგიგზავნა...

ჯევრიემ დაინახა, რომ მისი ვეება ხელი მის ლოყას უახლოვდებოდა. მისი ცხელი ხელისგული როგორც ბავშვს, ისე ეალერსებოდა ჯევრიეს ლოყას.

ქერიმი ჩუმად განაგრძობდა ლაპარაკს.

ჯევრიე უკვე მოშორებით იყო. ლოგინზე იჯდა. ის ოდნავ დაბნეულიც მაგრამ ბედნიერი იყო. მათი ჩურჩულით გამოწვეული მღელვარებაც კი ვერა ჩრდილავდა მის გულში დაბუდებულ უსასრულო ბედნიერებას.

ო, ღმერთო, რა მოხდა ამ შუაღამისას?

რა კარგი იყო ცხოვრება, რა შესანიშნავი იყო სიცოცხლე...

ჯევრიეს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ქვეყნად ცუდი არაფერი არსებობდა...

ამ ქვეყნად ყველგან ბედნიერება სუფევდა, ყველაფერი კარგი იყო...

ნეტავ რატომ იყო ქერიმი ასე გაფითრებული და რასა ჩურჩულებდნენ? ის, რაზეც ისინი ლაპარაკობდნენ, ჯევრიეს გულში იმ წამს ჩასახული ბედნიერების დარღვევას ხომ არ აპირებდა ნეტავ?

ჯევრიეს თავისი თავისთვისაც კი ვერ გაებედნა ამის კითხვა.

მათ საკმაო ხანს იჩურჩულეს, შემდეგ კაცმა კედელზე დაკიდებული პიჯაკი ჩამოიღო და ხმაამოუღებლად ჩაიცვა.

ეს რა არის?

რა უთხრა მას ქერიმმა? სად მიდის?

იქნებ უცბად იჩინა თავი იმ საშიშროებამ, რომელიც დიდი ხანია ემუქრებოდა მას?

ის ჯევრიესაკენ მობრუნდა და ხრინწიანი ხმით უთხრა:

— ჯევრიე,შენ დაწექი. მე ცოტა ხნით გარეთ უნდა გავიდე... გასაღები მიმაქვს. როცა მოვალ, კარს თვითონ გავაღებ. შენ დაიძინე.

გავიდნენ.

„შენ დაიძინეო, — მითხრა, — დავიძინო?..“

ჯევრიეს არასოდეს ასე ფხიზლად ყოფნა არა სდომებია, როგორც ეხლა. მას თავის ბედნიერებაზე უნდოდა ფიქრი და ძილს არ აპირებდა.

რა კარგი საჩუქრები მოუტანა. რა კარგი რაღაცეები უთხრა.

სად წავიდა?

ჯევრიე ადგა, კარებთან მივიდა და მიაყურა, უნდოდა გაეგონა როგორ ჩადის კიბეებზე.

მაგრამ არაფერი ისმოდა.

სიტყვაც არ მოუთავებია.

ჯევრიემ აღარც კი იცოდა, მოათავებდა თუ არა ის ოდესმე, თავდაპირველ სათქმელს.

„ნეტავ თუ ვუყვარვარ?“ — გაიფიქრა ჯევრიემ და სასადილო მაგიდისაკენ გაემართა.

ბოთლში ორი თითის სიმაღლეზე დარჩენილი ღვინო ჭიქაში ჩაისხა და ერთბაშად დალია.

„ამ საღამოს დოქებს დავცლიდი“. — გაიფიქრა ჯევრიემ.

„რას ვიცეკვებდი, არღანი რომ ყოფილიყო...“ მეჯიდიექიოის კაზინოში და იორგის სამიკიტნოში, გალათის უბანში, ძველ-ძველი არღნები აქვთ. ჯევრიე დათვრებოდა თუ არა, ჩაეჭიდებოდა არღნის ტარს და ატრიალებდა და ატრიალებდა.

არღანი უკრავდა.

„ვაშა, ფოსფორიანო!“ — გაიძახოდნენ ნაძირალები.

ეხლაც რომ დაეკრა არღანს... ქაღალდის ფარნები ანთებულყვნენ... მას ძალიან უყვარდა ის ქაღალდის ფარნები და ყვავილები.

ჭიქაც რომ მიემსხვრია...

დიახ, დიახ, ერთი-ორი ჭიქა რომ მიემსხვრია...

„ჰეი, ფოსფორიანო, დაიწვას შენი დამწველი...“

ჯევრიეს დღეს დღესასწაული ჰქონდა, ნამდვილი დღესასწაული...

ჯევრიეს უნდოდა ერთი შეეძახნა „ვიწვი, ვიწვიო,“ ხელი წამოეღო არყის ჭიქისათვის, დაემსხვრია და დაჭრილს თეთრი ნაჭრით ხელშეხვეულს ევლო.

ღვინომორეულს, უნდოდა, რომ მარცხენა ხელი აეწია და უკან გადაეფურთხებია, ერთი გემრიელად გადაეფურთხებია და ამაყად გადაეძახნა ნაძირალებისათვის: „ჩამიფურთხებია ყველასთვის სულში. მე ჩემს სატრფოს ვუყვარვარ. მე უკვე მისი საყვარელი ვარ!“

„მისი საყვარელი...“

ჯევრიეს ტრაბახი უნდოდა...

მან მხრებში მოჰკიდა ხელი. ლოყაზე მოუალერსა.

ამ საღამოს ელოდა კიდეც...

რა კარგი სიტყვები უთხრა. პირდაპირ სწავლულივით ლაპარაკობდა ეს კაცი...

მეტი ღვინო აღარ იყო. ჩასვლა და ყიდვა მოინდომა, მაგრამ იფიქრა, საშიში იყო.

ისინი ტყუილად არ წასულან, ალბათ. ნამდვილად რაღაცასაშიშროება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რა საშიშროება იყო — ეს ჯევრიეს არ ესმოდა.

მას არ ესმოდა ის საიდუმლოება, რის გამოც ეს კაცი ასე ერიდებოდა ადამიანებს.

საერთოდ არაფერი ესმოდა იმისა, რაც მასთან იყო დაკავშირებული.

*

* *

როცა ღვინის დალევის იმედი გაუწყდა, ბარბაცით გაემართა ლოგინისაკენ, თუმცა მთვრალი არ იყო და თავქვე დაემხო.

თავი ბალიშებში ჩარგო... და ბედნიერებისაგან იყო ეს თუ ნაღვლისაგან, თვითონაც არ იცოდა, დიდხანს იტირა.

*

* *

ბედნიერებამ, რომელიც ამ ქვეყნად წილადა ხვდა ჯევრიეს, როგორცა ჩანს, უკვე მიაღწია ზენიტს. ამ წერტილიდან მოყოლებული მისი ბედი ისევ წახდა.

და ერთმანეთს მოჰყვა უბედურება და ნაღველი.

იმ ღამეს ის მალე არ დაბრუნებულა. მხოლოდ გათენებისას მოვიდა.

— შენ ეხლავე ადექი და წადი. — უთხრა მან ჯევრიეს. — ასეა საჭირო.

ძალიან გაფითრებული იყო.

სხვა ახსნა-განმარტებები მას არ მოუცია. არც ჯევრიეს უთხოვია. მან ხომ კანონს გარეშე მყოფ ხალხში გაატარა თავისი სიცოცხლე.

როცა კაცს ასე მოექცევა სახე, საფეთქლები აუთამაშდება და დანა პირს არ უხსნის, ეს იმას ნიშნავს, რომ საცაა ხელსა სტაცებენ.

ჯევრიე ადგა და საჩქაროდ ჩაიცვა.

საჩუქრები ხელში აიღო და კარებში რომ გადიოდა, მან ისევ გაიშვირა მისკენ ხელი და უთხრა:

— ჯევრიე, ამაღამ ძალიან ცუდი ამბავი მომხდარა... ერთი ხანი-ნუ მოხვალ აქ... ჩემს სანახავად არავინ არ უნდა მოვიდეს...

ჯევრიემ იცოდა, რომ ეს უბრალო გაფრთხილება არ იყო. ამჯერად მართლა იყო საშიშროება.

— რა მოხდა? ყველაფერი შეგიძლია მითხრა... შენ მე საკმარისად მიცნობ...

— ჯევრიე, ჩემო გოგონავ... შენ იცი, ფარულად ვცხოვრობდი... გუშინ საღამოს გაუფრთხილებლად მოვიქეცი... წლობით უნახავი დედა ვნახე... თურმე მას უთვალთვალებდნენ, რომ ჩემი კვალისთვის მოეგნოთ... როგორც ჩანს, ეჭვი აიღეს, რომ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს... მე ვერ ვუპოვივართ, დედაჩემი დაუჭერიათ... დედაჩემი...

მას ფერი აღარ ედო.

— აქ მოსვლა საშიშია. — განაგრძო მან. — სანამ დედაჩემის დაკითხვა არ გათავდება, ნუ მოხვალ...

— მე როგორ გავიგო, როდის უნდა გნახო?

— ერთი თვის შემდეგ... ზუსტად ერთი თვის შემდეგ ჩაიარე აქ... გესმის... თუ ნაშუადღევის სამ საათზე ჭიშკართან ქერიმი ნახო სკამზე დამჯდარი, მაშინ იმ ღამეს მოხვალ, როგორც ყოველთვის.... თუ არა, კიდევ ერთი თვე მოიცადე... ყოველი თვის ერთსა და იმავე დღეს, ნაშუადღევის სამ საათზე...

— ყველაფერს გავაკეთებ, ვიდრე საშიშროება არ გაივლის და შენ არ შეგხვდები... — აქვითინებული ხმით წარმოთქვა ჯევრიემ და მუდარით აღსავსე თვალებით მიაცქერდა მას.

— რატომ აკეთებენ ამას? რატომ გეძებენ? დიდი დანაშაული გაქვს?

— სიკვდილი მაქვს მისჯილი.

ჯევრიე უცბად ვერაფერს მიხვდა. იგი მთელი ტანით კანკალებდა.

— სასჯელი დაუსწრებლად გამომიტანეს. თუ ხელში ჩაუვარდი... გესმის?..

ძალიან კარგად ესმოდა ჯევრიეს. უნდოდა ეყვირა, აურ-ზაური აეტეხა. ეშინოდა რომ მოსტაცებდნენ ამ კაცს და სახრჩობელაზე გაგზავნიდნენ.

— რა დანაშაული გაქვს? — ჰკითხა ჯევრიემ.

— ეხლა მაგის დრო არ არის... ოღონდ იცოდე, რომ გაუფრთხილებელი ნაბიჯი ძვირად დამიჯდება.

ჯევრიემ გულისნადები ვეღარ დამალა. თვალებიდან ღვარად გადმონადენ ცრემლთან ერთად თავისი გულისნადებიც გადმოანთხია:

— შენ უნდა მოგკლან? რატომ ის ხელები არ დააწყდებათ. ხომ ხედავ, როგორ მიყვარხარ, ძაღლივით შენი ერთგული ვარ, წლობით არა გნახავ, სულ არა გნახავ, ოღონდ შენ იცოცხლე.... დე, მე მოვკვდე, ოღონდ შენ იცოცხლე...

მას ჯევრიესათვის ხმა არ გაუცია. მხრებზე მოხვია ხელი, თავისკენ მიიზიდა, მის მკერდზე აქვითინებულს თმებზე აკოცა და:

— ჩემო გოგონავ! — უთხრა.

ამ დროს კიბეებზე ისევ გაისმა ფაჩუნი, კარზე დააკაკუნეს.

— ჩქარა გამოვიდეს! — გაისმა ოთახში შემოსული ქერიმის ხმა.

ჯევრიემ ხელის ზურგით ცრემლები მოიწმინდა.

— რა მოხდა, ძია ქერიმ, ხომ არ კვდები? — უთხრა ჯევრიემ და გავიდა.

მას თან მიჰქონდა გულში ჩაკრული საჩუქრები.

*

* *

ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ჯევრიეს ის აღარ უნახავს.

ასე დამთავრდა მათი ურთიერთობა, რომელიც მთელი წლის მანძილზე სანთელივით სწვავდა და ადნობდა ჯევრიეს.

მთელი ერთი წელიწადი ცალმხრივი სიყვარულისაგან იწვოდა და იღვენთებოდა ჯევრიეს უაზრო ცხოვრება, მაგრამ ამაში ის მაინც გრძნობდა რაღაც სიამოვნებას.

მთელი წელიწადი ფიქრობდა ჯევრიე, რომ მას არ უყვარდა და არც შეიყვარებდა, გრძნობდა რომ ის მასში ქალს არ ხედავდა, იცოდა რომ მხოლოდ მეგობრულად გამოუწოდეს ხელი.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მუდამ იმედი ჰქონდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ის ქალს დაინახავდა მასში და შეიყვარებდა.

დროდადრო იყო შემთხვევები, როცა დაუოკებელი თავგასულობა დროსტარების, ლოთობისა და გახრწნილების უფსკრულში გადა-

ისვრიდა ხოლმე ჯევრიეს, მაგრამ საერთოდ მ ი ს ი ნაცნობობა და მ ი ს ი სიყვარული დამამშვიდებლად მოქმედებდა მასზე.

ჯევრიეს სიყვარული ქარიშხალივით ძლიერი იყო.

და ამ გრძნობით შეპყრობილი ჯევრიე, ქარიშხლის ატაცებულ ხის პატარა ტოტივით ანგარიშმიუცემლად მიექანებოდა მისკენ.

მ ი ს ი გაცნობის შემდეგ ჯევრიეში ერთბაშად ამოძრავდნენ და გაცოცხლდნენ ყველა ის გრძნობები, რომლებიც აქამდე ჩრდილში იყვნენ მიძინებულნი.

ჯევრიეს ის უყვარდა როგორც დედა, რომელსაც ის არ იცნობდა და ამიტომ არ შეიძლება ჰყვარებოდა, უყვარდა როგორც მამა, რომლის ხატება არასოდეს არა ქრებოდა მის გულში, უყვარდა როგორც ძმა, რომელიც არ ყავდა, და თუ ყავდა, არ იცნობდა; უყვარდა როგორც საქმრო, რომელიც არასოდეს არ გამოეცხადებოდა მას, რადგან ჯევრიე არასოდეს არა ყოფილა ქალწული, უყვარდა როგორც საქმრო, რომელსაც ბედი მას არასოდეს არ არგუნებდა.

ჯევრიეს ის უყვარდა ყველას მაგივრად და ერთნაირი სიყვარულით.

*

* *

ერთი თვის შემდეგ შეძლებდა მის ნახვას...

ეს ერთი თვე ლოდინი, და თანაც მაშინ, როცა მას საშიშროება ელის, ჯოჯოხეთურ ტანჯვაზე უარესი იყო ჯევრიესათვის.

აღარ იცოდა სად წასულიყო.

სტამბოლი თითქოს უეცრად დაპატარავდა მისთვის. ყოველი ადგილი ვიწროდ ეჩვენებოდა.

ქუჩები მოწყენილი და დაღვრემილი იყო... სამიკიტნოებში ობისა და ნაგვის სუნი იდგა.

ზღვას ტყვიისფერი ედო.

ცუდი ამინდები იდგა, ქალაქს ტყვიის თაღებად გადაჰფარებოდა ცა...

ჯევრიე ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გარბოდა.

ეხლა რომ ედირნეკაფიში იყო, ერთი საათის შემდეგ მაჩკაში[1] თამკიშლაში ნახავდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აქეთ, რაც იქ მისვლა აუკრძალეს, ჯევრიე სტამბოლში წასასვლელ ადგილს ვეღარ პოულობდა.

ყოველ საღამოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ნეჯათიბეის ქუჩაზე მდებარე სახლში აპირებდა წასვლას.

ჯევრიე დაბნეული და საწყალი იყო, როგორც სახლიდან გამოგდებული კატა. „ერთი თვე რომ არა ვნახო, არაფერია, მაგრამ ვაითუ დაიჭირეს“... — ფიქრობდა იგი.

და მაშინ მთელი ტანი უძაგძაგებდა...

როცა გაიგო, რომ სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მისთვის სიცოცხლე ტანჯვად გადაიქცა...

— აქამდე ხომ იმალებოდა და იქნებ ეხლაც არ ჩაუვარდეს ხელში. — იტყოდა ჯევრიე თავისთვის, მაგრამ იქვე ბრაზმორეული წაიბურტყუნებდა: — ნეტავ რა მოხდა ისეთი, რომ მაინცდამაინც დანა გაუყარა ვიღაცას?

კი მაგრამ, ის რომ არა გავს კაცის მკვლელს!..

ჯევრიეს შეუძლებლად მიაჩნდა ასეთი რამ.

თუმცა, ზოგჯერ ისეთი ოხრებიც არიან, რომ ძალით გამოგტყუებენ სიკვდილს!..

რა დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს, რა მიზეზითაც არ უნდა მიესაჯათ მისთვის სიკვდილი, ეს ჯევრიეს არ ეხებოდა.

ჯევრიესათვის ის იყო კეთილი კაცი, რომელმაც ავადმყოფობის დროს ქუჩაში არ მიატოვა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, შეიბრალა, სახლში წაიყვანა და მთელი კვირა უვლიდა და მკურნალობდა.

ის წყნარი და გულკეთილი ადამიანი იყო...

ის იყო მეგობარი, რომელიც ახალწლის ღამეს ელოდა მას, სუფრა გაუშალა და საჩუქრები მისცა...

მან ისეთი პატივისცემა და მეგობრობა გამოიჩინა მის მიმართ, როგორიც არავის არასოდეს არ გამოუჩენია.

მას არ უთქვამს — „აბა ერთი დატრიალდიო“, და მუცლის ცეკვა არ უთხოვია მისთვის. და არც მთვრალი არ დასწაფებია მის ბაგეებს.

---

[1] მ ა ჩ კ ა — უბანია სტამბოლში.

ის სხვა კაცი იყო... არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ჯევრიეს არა ჰგავდა. მისმა სიახლოემ სულ სხვა არსება გააღვიძა ჯევრიეში.

ჯევრიემ პირველად მასთან იგრძნო, რომ ადამიანია. ის მას როგორც ქალბატონს, ისე ეპყრობოდა. როგორც ჯევრიე იტყოდა: „ისე მეპყრობოდა, თითქოს ხიდის ქვეშ კი არა, დედ-მამასთან ვყოფილიყავ გაზრდილიო“.

მის მიმართ ჯევრიეს მადლიერებისა და პატივისცემის უდიდესი გრძნობა ჰქონდა.

პირველად მის გვერდით გაუჩნდა სურვილი სხვანაირი ყოფილიყო მის გვერდით...

ნეტავ თუ შესძლებდა მასთან მისვლას...

„მაგრამ... ვაითუ შეიპყრეს?“ — ფიქრობდა ჯევრიე და ცეცხლი ეკიდებოდა.

„მაგრამ თუ ციხეში გამოამწყვდიეს!..“

ციხეს კიდევ რა უშავდა... მას ხომ სასიკვდილო პერანგი უნდა ჩაეცვა.

ჯევრიეს უნახავს სიკვდილმისჯილი ადამიანები.

ოჰ, ღმერთო, რა საშინელი იყო მათი ცხოვრება...

ახლა, მათი საყვარელი ქალების ცხოვრება...

ჯევრიეს დარტყმული-მარიკა გაახსენდა.

მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მას სიკვდილი მიუსაჯეს, თვალწინ სულ დარტყმული-მარიკა ედგა.

მაშინ მას დარტყმულ-მარიკას არ ეძახდნენ. მისი სახელი ფინდიკ[1]-მარიკა იყო. ის ყველაზე მოჭიკჭიკე გოგო იყო მთელ გალათაში. ჯევრიეს არასოდეს დაავიწყდება, როგორ ცეკვავდა ის სირტოს, როგორ მღეროდა ბერძნულ მხიარულ სიმღერებს. მარიკა რომ ერთს გაიცინებდა, მთელი სამიკიტნო გუგუნებდა.

საწყალი მარიკა...

მას ჯოფჯოფ-ომერი შეუყვარდა. ომერმა ის მემაწვნე ეთემი მოჰკლა. ომერი ლამაზი არ იყო, მაგრამ ვაჟკაცური შეხედულება ჰქონდა.

მუდამ წარბშეკრულს, პიჯაკი მხრებზე ჰქონდა მოგდებული და ხელები განზე ეჭირა ხოლმე. ულვაშებზე კოხტად იცოდა ხელის

[1] ფ ი ნ დ ი კ — თხილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასმა. მარიკას, როგორცა ჩანს, ამ ვაჟკაცური იერისთვის შეუყვარდა იგი.

გალათაში ის ბურსიდან[1] მოხვდა... ბურსელები ხათაბალა ხალხია.

— კარგი საქონელია! — თქვა ჯევრიემ, როცა პირველად ნახა ჯოფჯოფ-ომერი.

მარიკას ის როგორღაც უცბად შეუყვარდა.

რა ძალიან უყვარდა, ღმერთო, მიუხედავად იმისა, რომ სცემდა მარიკას, სულსა ხდიდა...

ერთხელ ჯევრიე და ორი კაცი ბარბას სამიკიტნოში ისხდნენ და სვამდნენ. იქვე მაგიდას მარიკა და ჯოფჯოფ-ომერი უსხდნენ.

— ჯიგრის ქაბაბი გააკეთე, ბარბა! — დაიძახა ვიღაცამ გვერდითი მაგიდიდან და ცალი თვალი მარიკას შეავლო. ეს შეხედვა საკმარისი იყო ჯოფჯოფ-ომერის გასაცოფებლად.

ეს კაცი უბედურება იყო, პირდაპირ უბედურება.

ის უცბად მიუბრუნდა ქაბაბის მსურველს:

— ჯიგრის ქაბაბი, ჩემი ჯიგრის ქაბაბი ხომ არ გინდა შეგიწვას ამ გოგომ, — თქვა მან, წამოხტა, ყელში სწვდა იმ კაცს და მიწაზე დაანარცხა.

ო, ღმერთო, ჯევრიეს ეხლაც ახსოვს ის ღამე. იმ მაგიდასთან მსხდომნიც წამოცვივდნენ.

წავიდა დაკა-დაკა...

რა აყალმაყალი ატყდა... ისეთი ხალხიც ჩაერია, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონდათ ამ ჩხუბთან. ჰაერში სულ თეფშები და ჭიქები ტრიალებდნენ.

ბარბას მაშინდელი გამომეტყველება ეხლაც თვალწინ უდგას ჯევრიეს... ცხვირი დაგრძელებოდა თითქოს... საწყალი ბარბა...

ერთი ჭიქა ჯევრიესაც მოსდეს თავში. მარჯვენა წარბთან ეხლაცა აქვს ნაჭრილობევი.

ჯოფჯოფმა ის კაცი მუცელში დაჭრა მარჯვენა მხარეს. ისინი მოწმეებად ჩაწერეს. მოსამართლის წინაშე რომ წარსდგნენ, მორიგე-სასამართლოს მოსამართლემ ჯევრიეს ალმაცერად გადმოხედა და წესისამებრ სახელი ჰკითხა.

---

1 ბ ურ ს ა — ქალაქია თურქეთში.

— აყალმაყალის მოწმეს რა უნდა ერქვას, ბატონო თავმჯდომარეო? ჩემი სახელი — ჯევრიე... გვარი — ფოსფორიანი...

მოსამართლისაგან იმ დღეს ბლომად მოისმინა ჭკუის დარიგებები.

მარიკა შეყვარებული იყო. იმ კაცმა კი ფულის გამოწველის ხერხები იცოდა და მეტი არაფერი.

მარიკა თავის ამხანაგებს ძალით ართმევდა მუშტრებს, რომ მისთვის ფული ეშოვნა. ჯევრიე მარიკაზე ამხანაგებს ეტყოდა ხოლმე:

— ეგ რა ქალია, სამარშრუტო ტაქსივით მუშაობს...

ეჰ, საწყალი მარიკა. ომერი რომ მემაწვნეს კლავდა, ნეტავ თუ გაახსენდა, რომ სიკვდილს მიუსჯიდნენ?

განზრახ კაცის მოკვლა და ისიც ყომარის გულისათვის... სულ ხუთნახევარი ლირის საქმე იყო...

ის მემაწვნე ყომარბაზების თავი იყო...

მამაძაღლობდა ხოლმე... ბევრჯერ უბეგვიათ.

— „ძაღლს სიკვდილის დრო რომ დაუდგება, მეჩეთს მიადგება და ფეხს აწევსო[1]“ — ამბობდა მთელი გალათა, როცა გაიგეს, რომ ჯოფჯოფმა მემაწვნე მოკლა.

ძაღლს სიკვდილის დრო რომ დაუდგება... მაშ რა ეგონა, ეგ გააცურებდა ჯოფჯოფს?.. კაცი თვითონ პირველია გაცურებაში. რას არ ატრიალებს, მაგრამ მემაწვნეს მაინც ვერ მიუხვდა ხრიკსა და ხუთნახევარი ლირა... ხუთნახევარი ლირა დაკარგა.

არის ხოლმე დღე, როცა ხუთნახევარ ყურუშსაც ფასი აქვს, მაგრამ...

მაგრამ ხუთნახევარი ქაღალდისათვის მაინც არ შეიძლება ასეთი შურისძიება...

ჯევრიემ იმ დღეებში ნახა მარიკა, როცა ჯოფჯოფი დაიჭირეს. ის თმაგაწეწილი იდგა და ციხის კარებს არ შორდებოდა.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე, თითქმის მთელი წელიწადი... საწყალი მარიკა...

ბოლოს, სიკვდილი მიუსაჯეს. მარიკა იმ ღამეს ნახა... ხიდზე შეხვ-

---

[1] მუსლიმანური წესების მიხედვით, ძაღლი, რომელიც მეჩეთს წაბილწავს, მაშინვე უნდა მოკლან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. მას ნაცრისფერი ედო, ტუჩებს იკვნეტდა, თვალები გაფაციცებოდა. ერთ წერტილს მისჩერებოდა. ჯევრიეს ვერა ხედავდა.

ჯევრიემ მკლავში წაატანა ხელი.

— მარიკა! მარიკა!

საწყალი მარიკა... ღმერთო, რა სახე ჰქონდა.

— მარიკა...

— გაჩუმდი, ჯევრიე, გაჩუმდი!..

— სად მიდიხარ?

— ვიცი განა, სად მივდივარ?

— წამო, ბარბასთან მივიდეთ, წამო... ძალიან ცუდი ფერი გადევს... დავლიოთ რამე...

— არ მინდა...

— წამო-მეთქი, გეუბნები... თუ არადა ქვევით ჩადი, ხიდის ქვეშ დაჯექი, დამელოდე... დამელოდე, სასმელს მოგიტან...

ჯევრიე შევიდა და ერთი ბოთლი არაყი იყიდა. მთელი მისი ფული მეტს არ გაწვდა.

ხიდის ქვეშ, კადიქიოისა[1] და ჰალიჩის[2] ნავმისადგომებს შორის მარიკამ ერთბაშად გამოცალა არაყი, შემდეგ თავი ჯევრიეს მიაყრდნო მხარზე და ბოთლი წყალში გადაისროლა.

— ჩამოახრჩობენ... — თქვა მარიკამ, მერე ჯევრიეს მხრიდან თავი ასწია და იყვირა:

—არა, არა, არა!..

ჯევრიემ ხელი დააფარა პირზე:

— ენა ჩაიგდე, თორემ ხელს წამოგვისვამენ... მიხვდებიან, რომ მთვრალი ხარ...

ჯევრიე არ იყო ცუდი გოგო... ეცოდებოდა მარიკა, მაგრამ პოლიციაში ღამის გათევა არ უნდოდა...

იმ ღამეს მარიკა ძალისძალად წაიყვანა ბარბასთან.

ბარბამ დარაბები დახურა. ბარბა და ჯევრიე დილამდე ასმევდნენ მარიკას...

რა ვაჟკაცია ეს ბარბა... გამგებიანი კაცია. „გულის ექიმია, სულის მკურნალი, ეს ბარბა“, — ფიქრობდა ჯევრიე.

---

[1] კ ა დ ი ქ ი ო ი — უბანია სტამბოლში.

2 ჰ ა ლ ი ჩ — ოქროს რქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

ჯევრიეს ომერის წამების დილა მოაგონდა. ო, ღმერთო, რა საშინელი დილა იყო...

მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ომერს სიკვდილი მიუსაჯეს... სულ თვალწინ ედგა სულთან აჰმედის მოედანი... ხალხის ბრბო... სახრჩობელა... ის დღე, როცა მოედანზე შეკრებილი ხალხი სეირის საცქერლად მოსულსა ჰგავდა...

— ახალი ბუბლიკი.. ახალი ბუბლიკი.. ცხელ-ცხელი! — ყვიროდა ბუბლიკებით მოვაჭრე და ხალხში დადიოდა.

ჯევრიეს თითოქს ეხლაც სცემდა მუშკის სურნელი. ომერის წამების მოლოდინში, ხალხი ხარბად შეექცეოდა მუშკის სურნელიან ბუბლიკებს.

ჯევრიემ ეხლაც წარმოიდგინა ის სცენა, განსაკუთრებით კი ის წუთი, როცა მოედანზე ციხის მანქანა გამოჩნდა...

ჯოფჯოფის დასანახად გალათის მთელი ნაძირალები ზედ სახრჩობელის ახლოს მოგროვილიყვნენ.

ჯოფჯოფი ვაჟკაცი ბიჭია. წამების წინ გაპარსულიყო. თმები დაესველებინა და გადაევარცხნა და ლურჯი პიჯაკის ჯიბეში იისფერი ცხვირსახოცი ჩაედო.

როგორც ყოველთვის, პეწიანი და ვაჟკაცური იყო. ჯევრიე თითქოს ეხლაც ხედავდა, როგორ დიდებულად მიაბიჯებდა იგი სახრჩობელისაკენ.

დანარჩენისათვის ჯევრიეს აღარ უცქერია, გული აერია, თავი მოიბრუნა, გადააფურთხა და იქაურობას გაეცალა.

რამდენიმე დღის შემდეგ მან გალათის ნავმისადგომში ნახა მარიკა მიწაზე გაშხლართული.

„ან მკვდარია, ან გული აქვს წასული“... — გაიფიქრა ჯევრიემ.

მარიკა გალეშილი მთვრალი იყო. მთვრალი, მაგრამ რა მთვრალი...

ჯევრიე მის ფეხზე დაყენებას შეეცადა. ამ დროს პოლიციელები მოვიდნენ. იფიქრეს, ერთად არიანო და მარიკა საავადმყოფოში წაიყვანეს, ჯევრიე პოლიციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებისას ისიც ავად აღმოჩნდა. რამდენიმე კვირა ... სნეულებათა საავადმყოფოში გაატარა...

ეს არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევას... ჩვეულებრივი ამბავი იყო...

ამის შემდეგ არც ჯევრიეს და არც მთელი სტამბოლის საპოლიციო უბნებს და განყოფილებებს მარიკა ფხიზელი აღარ უნახავთ.

მარიკა აღარ გამოფხიზლებულა. სულ სვამდა და სვამდა... სვამდა ვიდრე ცნობას არ დაკარგავდა ხოლმე.

არაყს იშოვიდა, არაყს სვამდა, ღვინოს იშოვიდა, ღვინოს. თუ ვერაფერს ნახავდა, დენატურატსაც არ იწუნებდა.

ლოთობაში თანდათან ჭკუასაც გადაცდა. ამიტომ ეძახდნენ მას დარტყმულ-მარიკას.

დარტყმული მარიკა!..

*

* *

— არა, არა, მას ვერ დაიჭერენ, — ამბობდა ჯევრიე, როცა ეს ამბავი გაახსენდებოდა ხოლმე.

როცა შიში ძალიან მოერეოდა, ჯევრიე თავს იმშვიდებდა: — რატომ უნდა დაიჭირონ? აქამდეც ხომ ვერ ჩაიგდეს ხელში.

ჯევრიე სულ იმის შიშით იყო შეპყრობილი, დაიჭერენ და ვეღარ ვნახავო და არსად აღარ დადიოდა.

თავისი საყვარელი სიცოცხლის ნახევარს დათმობდა ჯევრიე, ოღონდ ერთი თვე გასულიყო, გაევლო ნეჯათიბეის ქუჩაზე მდებარე სახლის წინ და ქერიმი დაენახა კარებთან სკამზე ჩამომჯდარი.

„ნახევარი სიცოცხლეო, სიტყვაზე ითქმის, თორემ მთელ სიცოცხლეს დავთმობ... მისი დარდით ისედაც საცაა სული გამძვრება...“

*

* *

ამ დღეების მანძილზე რამდენჯერმე შეიარა ბარბასთან. ბარბა თვალებზე ატყობდა, რომ ის რაღაც განსაკუთრებულ განცდებში იყო.

ყველაფრის, ყველაფრის ამოკითხვა შეიძლებოდა ჯევრიეს ამ ლაბ-
მაზ შავ თვალებში...

არც ერთ ქუჩის ქალს ალბათ არა ჰქონდა ჯევრიესავით მეტყველი
და ნათელი თვალები, რომლებშიც ასე კარგადა ჩანს ადამიანის დარდი
და სიხარული.

მას ყველაფერი ეტყობოდა თვალებზე.

— მატოთეო, მატოსტავრო[1], ჯევრიე, — ეტყოდა მას ბარბა, — შენს
გულში სიყვარული დასახლებულა.

ჯევრიეს ერთი სული ჰქონდა, რომ გულის დარდი გადაეშალა მამა-
სავით საყვარელი ბარბასათვის.

მაგრამ პირზე კლიტე ედო. მის შესახებ ერთი სიტყვაც რომ ეთქვა
ვინმესათვის, თილისმა ძალას დაკარგავდა და მას ვეღარ ნახავდა...

ჯევრიემ იცოდა, რა საშიში იყო მისი ხსენება.

არავის არ უნდა სცოდნოდა მის შესახებ. ჯევრიესათვის ის სტამ-
ბოლის ღამის უკუნეთში ჩაფლულ ტკბილ საიდუმლოებად უნდა დარ-
ჩენილიყო.

*

* *

ეს ჰეროინიუმის საქმეც, სულ რომ არ ეგონა და არ მოელოდა,
ისეთ დროს გამოტყვრა.

ასეთი დიდი უბედურება ცხოვრებაში არავის არ დაატყდებოდა
თავს.

ჯევრიე თითებზე ითვლიდა დღეებს. ვადა თითქმის ამოწურული
იყო.

ნეჯათიბეის ქუჩაზე მყოფი სახლის წინ გავლამდე რაღაც ერთი
კვირაღა რჩებოდა.

მის საძებნელად წასვლის დღეები რომ მოახლოვდა, ჯევრიეს ისევ
იმედი მიეცა. „ის ამ უფსკრულსაც გადაახტება“, — ფიქრობდა ის
გულდაიმედებული და ხარობდა.

აუცილებლად ნახავდა მას.

---

[1] მ ა ტ ო თ ე ო, მ ა ტ ო ს ტ ა ვ რ ო (ბერძნ.) — ვფიცავ ღმერთსა და ჯვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე მჯერა ჩემი იღბლისა, მე ვენდობი ჩემს იღბალს“. — ამბობდა ჯევრიე. ის მართლაც ძალიან ენდობოდა თავის ბედს.

ერთი კვირის შემდეგ ქარვასლის წინ უნდა ჩაევლო და სკამზე მჯდარი ქერიმი დაენახა.

პირში პაპიროსგაჩრილ, მომღიმარ ქერიმს, რომელიც სკამზე უნდა მჯდარიყო, ჭაღარა თავი გვერდზე ექნებოდა გადახრილი.

შემდეგ...

ოჰ, შემდეგ...

იმავე ღამეს, როგორც კი დაღამდება, არა, გვიან ღამით, იქ უნდა მივიდეს.

ავა კიბეებზე, არა, ფრთაშესხმულივით მსუბუქად აივლის კიბეებს.

განშორების წინ, ოთახში ქერიმის შემოსვლამდე, მან გულზე მიიკრა ჯევრიე და „ჩემო გოგონაო“, უთხრა.

არც ერთ მამაკაცს არ უთქვამს მისთვის „ჩემო გოგონაო“ ასეთი ტკბილი და ნაზი ხმით.

მამაკაცები მას მხოლოდ თავიანთი სურვილის დაკმაყოფილებასა სთხოვდნენ. ჯევრიესათვის ბედნიერების მინიჭება, მისი დაცვა მათ არ შეეძლოთ. არავინ მიალერსებია მას თვით მისი, ჯევრიეს გულისათვის.

ის იყო ერთადერთი მამაკაცი, რომელიც ალალი გულით მივიდა მასთან, გულთბილობა გამოიჩინა და ასე წმინდად ეალერსებოდა მას.

ნეტავ რა დაემართება ჯევრიეს, როცა მის ოთახში მივა და მას შეხვდება?

ჯევრიემ ხომ უკვე ყველაფერი უთხრა.

დიახ, ჯევრიემ უკვე ყველაფერი თქვა, მან კი გულზე მიიკრა ის და „ჩემო გოგონაო“, — უთხრა.

ამის შემდეგ ცხოვრებას მისთვის სულ სხვა სახე უნდა ეჩვენებინა.

„მე მისი სატრფო გავხდები“, — ამბობდა ჯევრიე.

მაგრამ მთავარი ეს არ იყო. ამ ქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერება ის იყო, რომ ის კაცი აფასებდა ჯევრიეს.

მის საყვარელ და ახლობელ ქალად ყოფნა ბედნიერება იყო.

მაგრამ ამ ჰეროინიუმის საქმემ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ძალიან უდროო დროს მოხდა და იმის საბაბი შეიქნა, რომ მთლად დაეკარგა და არასოდეს აღარ ენახა იგი.

იმ ერთი თვის განმავლობაში ჯევრიე ძველებურად აქვავებული ეძლეოდა ყველას, რომ ეცხოვრა, საჭმლისა და სასმელის ფულიანი.

და აი, ქუჩის კუთხეში რომ იდგა ერთ საღამოს, ვიღაც უნამუსომ, დედის რძე შეერგოს შხამად, ხელში ჰეროინიუმის პაკეტები შეაჩეჩა და უთხრა — შემინახე, მერე გამოგართმევო.

ჯევრიე ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა, რა შეაჩეჩეს ხელში, რომ რამდენიმე კაცი შემოერტყა გარს.

ეს ცუდი ამბავი იყო.

პოლიციის თანამშრომლებმა ხელში დაუჭირეს პაკეტები.

— ეს რა არის, გოგო?

— მეც არ ვიცი! — გულუბრყვილოდ უპასუხა ჯევრიემ.

მაგრამ როცა შეხედა, ვინც ერტყა გარს, იცნო და ეჭვი აღარ შეპარვია იმაში, თუ რა უნდა ყოფილიყო პაკეტებში.

ეს ჰეროინიუმი იყო.

— ეხლა ჰეროინიუმით დაიწყე ვაჭრობა, ფოსფორიანო? — უთხრა ერთმა მათგანმა.

— თავის თავს ტონობით ყიდდა, ეხლა კი გრამობით ვაჭრობას სწავლობს, — დააყოლა მეორემ.

— წეღან რომ შენთან კაცი მოვიდა, ვინ იყო? — მკაცრად ჰკითხა მესამემ.

— რომელი კაცი?

— ეს პაკეტები რომ მოგცა.

— არ ვიცნობ, აბი!

— მაშ ჩვენ ვიცით, როგორ გაგაცნოთ.

ჯევრიესათვის საპოლიციო უბნებიც ნაცნობი იყო, პოლიციის განყოფილებებიც და სამმართველოც.

იქ ყოფნისა არ ეშინოდა... არასოდეს... მაგრამ ეხლა...

„ვის რა ვუთხრა საწყალმა ჯევრიემ?“ — ფიქრობდა ის თავისთვის. თუმცა ამით ის თავს ვერ დააღწევდა.

*

* *

მართლაც ასე მოხდა...

ჯევრიე ვერ დაუძვრა ამ საქმეს. მასში ქუჩური მორალი იჯდა.

ჯევრიეს მიაჩნდა, რომ „იმ ოხერმა“, რომელმაც ხელში პაკეტები შეაჩეჩა, თავისი დანაშაულის საიდუმლოებაც გაანდო.

ჯევრიეს კი მისთვის განდობილი ერთი სიტყვაც კი არასოდეს არავისთვის გაუცია.

მას არავისთვის უამბნია არა მარტო ისეთი საიდუმლოება, რომელიც „შესანახად“ გაანდეს, არამედ ისეთიც კი, რომლის მოწმეც იგი თავისდაუნებურად გამხდარა ხოლმე.

ასეთი სიმუნჯის მიზეზი კი ის იყო, რომ ჯევრიემ ქუჩაში მიიღო აღზრდა.

თუ რაიმე შემთხვევის მოწამე გახდი და სადმე თქვი, ღმერთმა დაგიფაროს, ადამიანს სულს ამოგართმევენ. თუ მოცლილი ხარ, იარე განყოფილებიდან განყოფილებაში... დარდს არავინ გაგიგებს და მოწმედ მიყვანილი, ბრალდებული აღმოჩნდები.

მარტო საპოლიციო განყოფილებით თუ გათავდა საქმე, კარგი იქნება... მაგრამ მერე სასამართლო გამოძიება დაიწყება — ცხრაჯერ დაგიძახებენ. ხან ალის დაგაყენებენ პირზე, ხან ველის... მერე კი ისე დაგიწყებენ ცქერას, როგორც უდანაშაულოს დამღუპველს ან კიდევ დამნაშავის უკანონოდ გადამრჩენს... ამას სიკვდილი ჯობია.

„სასამართლოში მოწმედ ხომ ყოველთვის მატყუარები, ცრუები და უპირო ხალხი გამოდის ხოლმე“, — ფიქრობდა ჯევრიე.

„ბატონი მოსამართლე“ არასოდეს არ უჯერებს მოლაპარაკის არც ერთ სიტყვას.

ხან ერთსა ჰკითხავს, ხან მეორეს, ცდილობს დააბნიოს და ბოლოს გავიწყდება ადრე რა თქვი ან რა ნახე.

ყველაფერსა სჯობია ენას კლიტე დაადო და თუ რამე გკითხეს, უპასუხო: არ მინახავს, არ გამიგონია, არ ვიცი... და წახვიდე.

ჯევრიე უკვე რამდენი წელია ასე იქცევა. ყოველ სასამართლოზე, სადაც ის მოწმედ ყოფილა, მოსამართლე ეტყოდა:

— შენ იქა ყოფილხარ... შენ თვალწინ კაცი დაუჭრიათ.

— ლუკმა პურმა თვალში სინათლე წამართვას, ბატონო მოსამართლევ, არც მინახავს, არც გამიგონია, არფერი არ ვიცი.

— იქ არ იყავი?

— იქ ვიყავი...

— შენ თვალწინ ხდებოდა ესა და შენმა თვალებმა როგორ ვერ დაინახეს?

— პირდაპირ გასაკვირი ამბავია, ბატონო მოსამართლე, იმ დროს რაღაც ეშმაკად, მკვდარივით მეძინა.

ასე იდგა ხოლმე ჯევრიე უარზე. ეს მისი წესი იყო...

გალათაში ასეთი გოგოები მოსწონდათ. კაჭკაჭივით ენაჭარტალებს კი ფასი არა ჰქონდათ...

ყველა ნაძირალამ იცოდა:

ჯევრიე ცოცხლად რომ აკუწო, ერთ სიტყვას არ იტყვის...

— საიდუმლოების ქვევრიაო, — ამბობდნენ ხოლმე.

ჯევრიე ამას თავის გამოსაჩენად როდი აკეთებდა. ეს მისი ბუნება იყო. საკუთარ თავს კი ის ვერ გადაახტებოდა.

აი ახლაც, ამ საქმეშიც, ენაზე კლიტე ედო.

— ეს ჰეროინიუმი ვინ მოგცა?

— არ ვიცი, აბი...

— იმ კაცს რა ჰქვიან, შენთან რომ მოვიდა?

— არ ვიცი, აბი...

სინამდვილეში კი ძნელია დუმილი, როცა იცი იმ ოხერის სახელი...

ჯევრიე იძულებული იყო, ხმა არ ამოელო, მაშინ როცა ერთი სული ჰქონდა, სანამ თავს დააღწევდა აქაურობას.

არავის არ ესმოდა რა ხდებოდა ჯევრიეს სულში.

ჯევრიესი არავის არ ესმოდა.

ძალიან უნდოდა იმ კაცის სახელის თქმა, მაგრამ არ ამბობდა.

ამას, ალბათ, შიშიც უშლიდა ხელს. გალათაში განა ცოტა იყო ისეთი შემთხვევა, როცა ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნაძირალებმა შური იძიეს გამცემზე და დანაზე წამოაგეს?

ციხეში ყოფნის პირველ დღეებში ჯევრიეს ძალიან აეშალა ნერვები. ზედამხედველ ქალზე გული მოსდიოდა, ყველას აგინებდა, თავის ადგილზე ვერ ეტეოდა.

ასე გრძელდებოდა ერთი კვირა, ათი დღე. დრო ნელა გადიოდა, გული უკვდებოდა...

ორი კვირის შემდეგ დამშვიდდა. დამხობილი იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა და მასზე ფიქრობდა.

„მოსახდენი მოხდა, — ფიქრობდა ის, — მე მის კვალს ვერარ მივაგ-ნებ... რომ ვეღარ ვნახო, მოვკვდები კიდეც“.

ციხეში ყოფნის მეოთხე კვირას ის ერთ ახალგაზრდა ქალს დაუმე-გობრდა, რომელსაც სახელად შეფიქა ერქვა.

სხვა ქალები მას ედალი[1]-შეფიქას ეძახდნენ და მის პრანჭვა-გრეხაზე იცინოდნენ.

ეს გრეხია ქალი კი, სხვათა შორის, კაცისმკვლელი იყო.

ერთ ღამეს თვითონ უამბო ჯევრიეს ყველაფერი.

მას თავისი საყვარელი კაცი მოუკლავს.

— შენი საყვარელი ადამიანი როგორ გაიმეტე?

— მატყუებდა.

— სულ ეს იყო მისი დანაშაული?

— დიახ, ჯევრიე... თანაც ჯერ მუცელი გამიბერა... მე მეგონა ვუ-ყვარდი, მაგრამ...

შეფიქას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— ნამუსი შემირცხვინა...

ნამუსი!..

რა იყო ეს, ჯევრიემ არ იცოდა... არავის არ შეეძლო მისი ნამუსის შერცხვენა...

„ნეტავ მე რატომ გამაჩინა ღმერთმა ასეთი უნამუსო?“ — ფიქრობ-და ის... რატომ დააკლო ღმერთმა ასეთი ძვირფასი რამ. რატომ სრუ-ლებით არ მისცა ნამუსი?

„თუმცა მე მაინც კარგი გოგო ვარ“.

ჯევრიე კარგი გოგო იყო.

ეს თვითონაც კარგად ესმოდა.

და თუკი უნამუსო ადამიანებიც შეიძლება კარგები იყვნენ, ეაშინ რატომ მოკლა ედალი-შეფიქამ კაცი იმისათვის, რომ ნამუსი შემირც-ხვინაო.

„ადამიანები ერთნაირები იბადებიან, — ფიქრობდა ჯევრიე. — ალბათ მეცა მქონდა ნამუსი, როცა დავიბადე... მე ვიღამ შემირცხვინა ნამუსი?“

ჯევრიეს ქუჩები გაახსენდა... მას თვალწინ წარმოუდგა ქუჩები,

---

[1] ე დ ა ლ ი — პრანჭია.

ხალხის ბრბო... არა, ჯევრიე ვერავის შეიძულებდა იმის გამო, რომ ის ასეთ მდგომარეობაში იყო.

„ჩვენ ხიდის ქვეშეთის შვილები ვართ... ღმერთი ხიდის ქვეშ მიიტანს ნამუსს?“

ხიდის ქვეშ ნამუსს რა უნდა?

— მხოლოდ იმიტომ მოჰკალი, რომ ნამუსი შეგირცხვინა? — მიუბრუნდა ჯევრიე შეფიქას.

— არა, მხოლოდ მაგიტომ არა, ცოტა მიყვარდა კიდეც.

უყვარდა და იმიტომ?

ნეტავ იმას რიღასთვის მიუსაჯეს სიკვდილი? საყვარელი ქალის მოკვლისათვის?

რისთვის?

შეფიქა მართლაც ისეთი პრანჭია, ნაზი და ზრდილობიანი ქალი იყო, რომ მეტსახელი კარგად შეეფერებოდა. ისიც ისეთი რბილი და კარგი ადამიანი იყო, რომ ვერ იფიქრებდი თუ კაცის მოკვლა შეეძლო.

„მე ქათამსაც ვერ დავკლავ. — ფიქრობდა ჯევრიე. — შესახედად მე უფრო ვგავარ კაცისმკვლელს, ვიდრე ედალი-შეფიქა“.

ედალი-შეფიქას კაცი ყავდა მოკლული.

მოკლული ყავდა, მაგრამ ახლაც უყვარდა.

მის შესახებ როცა ლაპარაკობდა, ტიროდა. ნახვის დღეებში მასთან მოსულ მოხუც დედას სთხოვდა, მისი საფლავი გააკეთებინეო და თან ეუბნებოდა, საფლავის გასაკეთებლად ჩემი ძვირფასეულობა გაყიდეო. ამის გამო ეჩხუბებოდა დედას და ატირებული შემოდიოდა უკან.

ჯევრიე და შეფიქა ერთად ჭამდნენ .ის ფულსაც აძლევდა ჯევრიეს, რომელიც მას უვლიდა ხოლმე.

— ჩემი ფიქრი გარეთ რომ არ იყოს, სულში დარდი რომ არ ვეჯდეს, აქ ისე ვიცხოვრებ, როგორც ლორდების პალატაში, — იტყოდა თავისთვის ჯევრიე.

ციხეში ყველაზე ცნობილი ტიპი მკითხავი არაფ-ფაზილე იყო.

რა ქალი იყო...

ციხეში ძალით ჩაიგდო თავი. განგებ მოწმეების თვალწინ ჩაიდინა დანაშაული და ეს იმიტომ, რომ ის ყველაზე მეტ ფულს ციხეში აკეთებდა.

სიყვარულის რა თილისმებს არ უკეთებდა ახალგაზრდა ქალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ჯადოებს არ ამზადებდა, რა ლოცვებსა და თილისმებს არ ასუფ-
ლიდა, რომ სასამართლოში ენა დაბმოდა მოსამართლეს.

ყავაზე ხომ შესანიშნავად იცოდა მკითხაობა. ყველა ტუსაღი ქალი
დარწმუნებული იყო, რომ მისი ნათქვამი კარგად ახდებოდა.

არაფ-ფაზილეს ყველაზე ცნობილი თილისმა სიყვარულის თილისმა
იყო. ციხეში ეს ყველასა სჯეროდა. თუ მან ვინმე ქალს კაცი მოუჯა-
დოვა, ის კაცი სიკვდილამდე აღარ მიატოვებდა მას.

ჯევრიეც, როცა კი ჯიბეში ფული ჰქონდა, მასთან გარბოდა ხოლმე.
ისიც მარჩიელობდა. ფაზილემ რამდენჯერმე შესთავაზა იმ კაცის მო-
ჯადოება.

მარგამ ჯევრიე ყოველთვის ამაყად უარყოფდა ხოლმე ასეთ წინა-
დადებას და იტყოდა — მას მხოლოდ მე ვუყვარვარ, მოჯადოება არა
მჭირდებაო...

მარჩიელობა კი მაინც საჭირო იყო.

არაფ-ფაზილე ჯევრიეს ჩანაფიქრს ვერასოდეს ვერა ხვდებოდა.

ჯევრიე ისე კარგად ინახავდა თავის საიდუმლოებას, რომ არაფ-
ფაზილე ვერაფერსა ხვდებოდა და ვეღარ მკითხაობდა ყავაზე.

— დეიდა ფაზილე, — ყვიროდა ხოლმე ჯევრიე, — თვალებს დაგ-
თხრი, ვერა ხედავ შენ ჩემ დარდს.

მიუხედავად ამისა, ის ყოველდღე მასთან დადიოდა ხელში თავისი
ჯეზვეთი[1].

მან ერთხელ მაინც, დაახლოებითაც ვერ გამოიცნო მისი დარდი.

ყავის ფინჯანში ერთხელაც კი ვერ დაინახა „ის“.

ჯევრიეს ცეცხლი ედებოდა მისი ამბის შეტყობის მოლოდინში.

სანამ აქ იყო, მის შესახებ რაიმეს გაგება შეუძლებელი იყო.

თავისთვის მხოლოდ იმას ლოცულობდა, რომ მის თავს არაფერი
მომხდარიყო. ეს იყო და ეს.

*

* *

ექვსი თვე ციხეში ჯდომის შემდეგ, ჯევრიეს ერთი წლის პატიმრობა
მიუსაჯეს.

---

[1] ჯ ე ზ ვ ე — ყავის მოსახარში სპილენძის ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიმრობის დარჩენილი ვადა ჯევრიემ იმავე ციხეში გატარებ-
თავისუფლების დაკარგვა, და განსაკუთრებით კი ჯევრიესნაირი
თავისუფალი გოგოსათვის, აუტანელი ტანჯვა იყო.

რამდენჯერ მოუარა ჯევრიეს სურვილმა, დაძგერებოდა ჩაკეტილ
კარებს, ყრუ კედლებს, ებღავლა და ცოფიანი მხეცივით ერტყა მათ-
თვის თავი.

ადვილად წარმოიდგენთ რა მწარე იქნებოდა ციხის დისციპლინა
ჯევრიესათვის, რომელმაც ამ ხნობამდე ისე მოატანა, რომ მისთვის
არ არსებულა არავითარი მატერიალური და სულიერი კანონები. თუმცა
თავისუფლების დაკარგვა მაინც არ იყო მისთვის მთავარი.

ყველაზე მეტად ის ეძნელებოდა, რომ შორს იყო მ ი ს გ ა ნ, არ
იცოდა მ ი ს ი ამბავი და მოკლებული იყო მ ი ს გ ა ნ ცნობის მიღების
შესაძლებლობას.

ჯევრიე დარწმუნებული არ იყო, რომ გამოსვლის დღეს იმავე ად-
გილზე ნახავდა მ ა ს და ამის გამო ციხეში გატარებული დღეები მტან-
ჯველად და გრძლად ეჩვენებოდა.

ი ს იქნებ არც კი არის დაჭერილი. ასეთ შემთხვევაში ჯევრიეს
გულს სხვა დარდი ღრღნიდა.

თუ დაჭერილი არ არის, ნეტავ რასა ფიქრობს ჯევრიეზე?

ნეტავ რა ჰგონია, რომ ჯევრიე აღარ მოდის ნეჯათიბეის ქუჩაზე,
რომ აღარ ეძებს მას?

„მაწანწალა ქალია... რა უნდა მოსვლოდა, ალბათ ვინმეს მიეტმას-
ნა.“ — თუ ფიქრობს ის. ან იქნებ უარესსაც ფიქრობს: „როცა გაიგო,
რომ სიკვდილი მომისაჯეს, შეშინდა და აღარ მოდისო“.

ყველაზე მეტად ჯევრიეს იმისა ეშინოდა, რომ ასე არ ეფიქრა.

ეს რომ გაახსენდებოდა, ლოგინში ვეღარ ისვენებდა, ტრიალებდა
და დილამდე ვეღარ იძინებდა.

*

* *

ვაითუ დაიჭირეს!

როგორ გაიგოს?.. მამაკაცების ციხე ორ ნაბიჯზეა, მაგრამ... იქი-
დან ამბავი მხოლოდ იმათგან მოდის, ვისაც აქ საყვარელი ყავს.

ჯევრიემ სახელიც კი არ იცის მ ი ს ი, რომ სხვა ქალებს საშუალებით მაინც გაიკითხოს.

ციხიდან გამოსვლამდე, სასჯელის მოხდამდე არაფერი არ იცოდა მ ი ს შესახებ... როცა ხელში ნახმარი გაზეთი ჩაუვარდებოდა, წერაკითხვის მცოდნესთან მიიტანდა და სთხოვდა:

— ერთი ეს წამიკითხე, გენაცვალე, ჩამოხრჩობის ამბავი ხომ არაფერი წერია?

ერთხელ ედალი-შეფიქასაც მიმართა ასეთი თხოვნით.

ეს საქციელი რომ გაახსენდება, ეხლაც სირცხვილი იპყრობს ხოლმე ჯევრიეს.

ცოტა მოფიქრება იყო საჭირო. მაგრამ ვერ მოიფიქრა. შეფიქა მკვლელობის გამო იჯდა ციხეში და ჩამოხრჩობის მუხლი ჰქონდა მიყენებული. ისიც საქმის დამთავრებასა და პროკურორის დასკვნას ელოდებოდა და ეშინოდა, რომ სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან განა შეიძლებოდა სიკვდილით დასჯაზე ლაპარაკი? მაგრამ ჯევრიემ ამდენი ვერ მოიფიქრა. როცა ერთხელ, ისევ ჩაუვარდა გაზეთი ხელში, მაშინვე ედალი-შეფიქას წაუღო და სთხოვა:

— ერთი ნახე, გენაცვალე, ჩამოხრჩობის ამბები ხომ არაფერია შიგ?

შეფიქას ისეთი ყვითელი ფერი დაედო, რომ ჯევრიეს შეეშინდა.

— ჩაგაძაღლებ მე შენ! — იყვირა განერვიულებულმა შეფიქამ და გაზეთი ცხვირ-პირში ჩასცხო ჯევრიეს.

შეფიქას ლამაზმა სახემ საშინელი გამომეტყველება მიიღო. ბაგეები დაემანჭა, თვალებში მხეცური გამოხედვა გაუჩნდა, ნესტოები უცნაურად დაუვიწროვდა.

თითქოს ნიღაბი გაიკეთა სახეზე.

— ე, რეგვენო, ვინა გგონივარ, ჩემთან ეგ ოინები არ გაგივა! — შესძახა ჯევრიემ და გაიბღინძა, მაგრამ, რამე უბედურებას რომ არ გადაყროდა, გაშორდა იქაურობას. ჯევრიე ჯერაც არ იყო მიმხვდარი, რატომ მოიქცა შეფიქა ასე.

სწორედ ამ დროს შეფიქა კუნძივით დაეცა და გული წაუვიდა.

— ეს რას გადავეყარე? — თქვა ჯევრიემ და უკან დაბრუნდა. — არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ მოსახლეობაში ეგეც წერია, აღამიანად ჩათვლიან და ანგარიშს ჩვენ მოგვთხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედალი-შეფიქა მიწაზე იწვა.

ისტერიკა დაემართა.

სხეული მთლად გაუშეშდა, ხელები დაეკრუნჩხა, თვალები ნახევრად წაუვიდა, კრიჭა შეეკრა, კისრის ძარღვები დაეჭიმა და დაებერა.

— გაფშიკა ფეხები, თუ რა მოუვიდა ამ ქალს? რა ვუქენი ისეთი, გაზეთი ვაჩვენე მხოლოდ!

— ეჰ, შვილო, — უთხრა ჯევრიეს ერთმა შუა ხნის ქალმა, რომელიც ამ დროს გაჩნდა იქ, — განა არ იცი, რომ სასიკვდილო მუხლი აქვს მიყენებული? მან იფიქრა ან მაღიზიანებს, ანდა ჩემი ჩამოხრჩობის განაჩენი გამოიტანესო.

— მართალია, დეიდა... ცეცხლზე ნავთი დამისხამს, მაგრამ ორივე თვალით დავბრმავდე, თუ მეფიქრობს...

— უნდა იფიქრო ხოლმე, ჯევრიე... — უთხრა მან ჯევრიეს და შეფიქასთან ჩაიჩოქა. ეს იყო ბებია ქალი. აქ აბორტის საქმეზე იჯდა.

მან მუცლის ზელა დაუწყო შეფიქას და ჯევრიეს მიმართა:

— ასე სულელივით ცქერას, წადი, გაიქეცი და ცოტა წყალი და ოდეკოლონი მოიტანე.

ჯევრიე დამნაშავე კატასავით ფეხაკრეფით გაშორდა იქაურობას.

ედალი-შეფიქას ნელ-ნელა დაუბრუნდა სუნთქვა. თანდათან ქვითინი მოისმა. მალე ქვითინი გაძლიერდა, სახე იცვალა და მწარე მოთქმად მოედო ციხეს.

შეფიქა მოთქვამდა და ისე ღრიალებდა, თითქოს ხორცებს აგლეჯენო. ამ ყვირილზე საკნის ბოლოში აკვანში მძინარე ბავშვს ვაეღვიძა. ბავშვის დედა ერთი გლეხის ქალი იყო ჩათალჯას ვილაიეთის რომელიღაც სოფლიდან და ვირის ქურდობისათვის იჯდა. ის ეხლაც ირწმუნებოდა, რომ არაფერი იცოდა ამის შესახებ და უდანაშაულო იყო.

ის იყო შეფიქა გამოერკვა, რომ ამ ქალის ხმაც გაისმა:

— კახპა ისე ყვირის, გეგონება, ხორცებს აგლეჯენ.

აქ ბევრი იყო ისეთი, რომლებიც ვერ იტანდნენ ედალი-შეფიქას პრანჭვა-გრეხას.

ციხეში ის არავის არ უყვარდა, სულ მარტო ცხოვრობდა. ჯევრიეს კი, ისე უცქეროდა, როგორც თავის მოსამსახურეს.

შეფიქა გადამდგარი ჩინოვნიკის ქალიშვილი იყო, მდიდარი არ ეთქმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიჟურ სიყვარულს რომ მისთვის თვალები არ დაებრმავებინა, ალბა-სოდეს მოუხდებოდა თავისი ცხოვრების ერთი ნაწილის ციხეში გატარება.

მაგრამ ბედმა და გულმა აქ გამოგზავნეს.

ბედის ამხანაგებისადმი მას არც თანაგრძნობა ჰქონდა და არც დასამშვიდებელი სიტყვა.

შეფიქა ისე ცხოვრობდა ამ ხალხში, თითქოს მათ შორის გამჭვირვალე კედელი ყოფილიყო აღმართული. ამის გამო არავინ არ მისულა მის დასახმარებლად და მის გაჭირვებას ყველა ისე უცქეროდა, თითქოს რამე გასართობი მომხდარიყოს.

*

* *

შეცდომის გამოსასწორებლად ჯევრიე მაშინვე გაიქცა, წყალი და ოდეკოლონი მოიტანა და ხელების ზელას შეუდგა.

ირგვლივ ქალებს მოეყარათ თავი სეირის საყურებლად.

— ერთი პარუნ აკოფის ამ ბატებს დამიხედეთ! — შეუტია ჯევრიემ ქალებს. — აქ რა, მაიმუნს ათამაშებენ თუ დედა-ფირუზა სიმღერებს ამბობს? ადამიანობის საქმეა... ცოტა უხეშად მომივიდა... წაიქცა და გული წაუვიდა. ამაზე ხარობთ?

— გვაპატიე, — თქვა ერთმა სოფლელმა დედაკაცმა. — ქალი მომაკვდავი ჭოტივით გაჰკივის და რა არის აქ სახარბიელო, გვებრალება და ვუცქერით...

— აბა, გაიწ-გამოიწით, — შესძახა ბებია ქალმაც, — ყველანი ქალები ვართ, ნერვების ამბავია, ყველას შეიძლება დაგვემართოს.

სანამ შეფიქა გონს მოვიდოდა, უფრო სწორად, ღრიალს შეწყვეტდა, ნახევარი საათი გავიდა, ალბათ.

იმ დღიდან, რამდენი ბოდიშიც არ უხადა ჯევრიემ, მისი გული მაინც ვერ მოიბრუნა. შეფიქამ მტრის თვალით დაუწყო ცქერა.

ამ დღის შემდეგ მას ხშირად უმეორდებოდა ასეთი შეტევები. ახალგაზრდა ქალი მუდმივ შიშში ცხოვრობდა.

იმ დღეს, როცა მისთვის პროკურორის საბრალდებო დასკვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა წაეკითხათ, დილას ის საპირფარეშოში წავიდა და თავის ჩამოხრ-
ჩობას შეეცადა.

ძლივს გადაარჩინეს.

„ო, ღმერთო, ღმერთო, — ფიქრობდა ჯევრიე. — დიდი-დიდი, ჩა-
მოახრჩონ. მაგრამ ხომ შეიძლება არ ჩამოახრჩონ. არა სჯობია ბოლომ-
დე დაიცადოს?“

ჯევრიეს ყოველთვის უყვარდა სიცოცხლე. არასოდეს არა სდომე-
ბია სიკვდილი.

სიცოცხლე მაშინაც კი უყვარდა, როცა აქ იჯდა, უყვარდა იმ წუ-
თებშიც, როცა ფიქრობდა, რომ დაკარგა ის და უსასრულო შიშით
იტანჯებოდა.

სიცოცხლე იმედი იყო.

სიცოცხლე ყველაფერი იყო. თუ იცოცხლებდა, ისევ შეძლებდა
მ ი ს პოვნას, მ ი ს ნახვას, მ ა ს თ ა ნ შეხვედრას.

ჯევრიეს, საერთოდ, დაუშვებლად მიაჩნდა სიკვდილი.

მას იმედი მაშინაც კი ჰქონდა, როცა თითქოს აღარაფერი იყო დარ-
ჩენილი.

ცხოვრება ხომ აურაცხელ ალბათობებს და შესაძლებლობებს წარ-
მოადგენს.

მაგალითად, პროკურორმაც შეფიქას ამ დანაშაულში შემამსუბუ-
ქებელი გარემოებები გამონახა და სიკვდილი კი არ მოითხოვა მის-
თვის, არამედ თხუთმეტი წლით პატიმრობა.

თხუთმეტი წელი რომ გაიგო, ედალი-შეფიქა ბედნიერი დაბრუნ-
და იმ დღეს ციხეში. ყველასათვის ყავა შეუკვეთა და პირველად იგრძ-
ნო სურვილი რომ დალაპარაკებოდა და დამეგობრებოდა იმათ, ვინც
თავისზე დაბლად მიაჩნდა.

—მოდი ერთი ამაღამ კარგი დრო გავატაროთ! — წინადადებაც
კი შემოიტანა მან.

— სასმელი ჩემია! — დაიძახა საროსკიპოს პატრონმა ლამიამ.

იმ ღამეს დიდი ქეიფი გაიმართა. არაყიც შეისვა... თანაც ბლომად.
ლამიამ იშოვნა... როგორ იშოვა? არავის ეს საიდუმლოება არავისთვის
არ გაუნდვია.

ედალი-შეფიქას გადარჩენამ ისე გაახარა ჯევრიე, რომ თვალზე

ცრემლი მოადგა. იმ ღამეს ისეთი ჩივთეთელი დაუარა, რომ მთელი ქალები ააკუნტრუშა.

— ჯევრიე, აქედან თუ გავედით, შენ ჩემი გვირგვინი იქნებ... — უთხრა ლამიამ და თან იმასაც ფიქრობდა, როგორ გამოაწყობდა ჯევრიეს.

— აქედან თუ გავედი, ლამია აბლა, ჰერი ბიჭო, მერე მშვიდობით, ვინც მიპოვნოს, იმან დაიტრაბახოს.

— სად უნდა წახვიდე, ჯევრიე?

— ეს მე და ალაჰმა ვიცით.

— ვა, — შესძახა ქურდმა მელაჰათმა, — შენ და ღმერთს შორისაც არის რამე?

ბებია ქალი გაბრაზდა:

— ნუ სცოდავ, გოგო, ჩვენ თუ რამე გვემართება, სულ თქვენისთანა ურწმუნოების ბრალია.

— ჩვენი გულისათვის, თუ თქვენი გულისათვის, ებე-ხანუმ? — ჩაერია ქურდი მელაჰათი. — თუ ასე გეშინია ღვთისა, მაშინ ბავშვებს როგორა წყვეტ დედის საშოს?

— მე ეგ არ გამიკეთებია... თუ ვაკეთებდი, მებრალებოდა და უფულოდ ვაკეთებდი... მაგრამ ცოდვაა-თქო და არ ვაკეთებდი.

— მე ჯერ არ მინახავს ისეთი ბებია ქალი და ექიმი, რომელიც უფულოდ აკეთებდეს აბორტებს...

— სხვები რას აკეთებენ, ეგ მე არ მეხება...

— ჩვენც არ გვეხება, შენ რას აკეთებ... აქ რა, იმიტომ ხომ არა ვართ გამომწყვდეულები, რომ მეჩეთში მივდიოდით სალოცავად და ქადაგების მოსასმენად, ან მათხოვარს მოწყალება მივეცით... ყველასა გვაქვს რაღაც დანაშაული...

— ალბათ, მაგრამ მე არა მაქვს...

იქეთ მემანქანე ემინე წამოხტა:

— ბებია ქალებზე არაფერი ითქმის... ისინი რომ არ არსებობდნენ და არ გვეხმარებოდნენ, რაღა გვეშველებოდა...

მემანქანე ემინეს თავის უფროსთან ჰქონია რომანი. უფროსის ცოლმა მათ დანაშაულის ადგილზე წაუსწრო და ემინეც სიძვისათვის ციხეში ჩასვეს...

— მე იმათაც ვცემ პატივს, ვინც ჩემივე ხარჯით მეხმარება. —

თქვა ემინემ. — განა ჩვენ თვითონ არ გადავჭამთ ხოლმე ფაფას, ხელ-ფეხს ვუკოცნით, შველასა ვთხოვთ და ფულსაც იმდენს ვთავაზობთ, რამდენიც შეგვიძლია?

— ისინი კი ერთხელაც არ შეგვიბრალებენ და ამ საქმეს უფულოდ არ გაგვიკეთებენ, — თქვა ქურდმა მელაჰათმა.

— მოგართმევენ, ეგ არის, აი... თან პასუხისმგებლობა აიღე თავზე და თან უფულოდ გააკეთე... როცა მამაკაცებთან დროს ატარებთ, განა რა, ჩვენთან მოდიხართ და პირობას გაძლევთ, რომ აბორტს მუქთად ვაკეთებთ-თქო?

უცბად ჯევრიე წამოხტა.

— რა ისე მიესიეთ ერთმანეთს, თითქოს მამის ქონებას იყოფდეთ, დებო? ნასწავლი ხალხი ხართ, ეგ ლაპარაკები ყელამდე გვაქვს მოსული. ჩვენი შეფიქა სიკვდილს გადარჩა. ჩვენ მის პატივსაცემად ვატარებთ ეხლა დროს... გაათავეთ ყიყინი... ნახეთ, რა სეფეთჩიოღლუ ვიცეკვოთ...

— გაგიმარჯოს, ჯევრიე აბლა, — შესძახა ქათმის ქურდმა ფემბემ. — ერთი ქამანჩა ავიღო და გავახურო... გაჩუმდით, ქალებო.

ფემბემ ქამანჩა დაუკრა. ჯევრიემ იცეკვა.

ის გულმოდგინედ ცეკვავდა. რამდენი თვეა არ დაულევია, ეხლა შესაძლებლობა მიეცა და შექეიფიანებულსა და გახარებულს, რომ ადამიანი ჩამოხრჩობას გადარჩა, ქვეყანა ვარდისფრად ეჩვენებოდა.

„ არა, მ ა ს ვერ იპოვნიან. ისე კარგად იმალება, რომ...“ — ფიქრობდა ჯევრიე.

*

* *

პატიმრობამ ასე ერთფეროვნად ჩაიარა.

მაგრამ მისთვის პატიმრობაზე უფრო ძნელი ასატანი ბოლუში გადასახლება იყო.

ბოლუში რომ არ გაეგზავნათ, ციხიდან გასვლას ცოტა ფასი მაინც ექნებოდა. ამ რკინის კარებში გამოსვლას კი მისთვის არავითარი სიხარული არ მიუნიჭებია, რადგან მაინც ბოლუში მიდიოდა. მართალია, ის შედარებით თავისუფალი იქნებოდა, მაგრამ სტამბოლში არ იქნებოდა.

ქუჩაში ვერ გავიდოდა და მ ი ს ამბავს ვერ შეიტყობდა. ამაზე დიდი წამება რა უნდა ყოფილიყო?

ჯევრიეს სიზმარივით ახსენდებოდა მგზავრობა ბოლუში, ბოლუში გატარებული დღეები, ბოლუში გაცნობილ სატვირთო მანქანის შოფერთან მოლაპარაკება.

ბოლუში დარჩენის შემდეგ მთელი მისი ცდა იქეთ იყო მიმართული, რომ გეგმა შეედგინა თავის დასაღწევად. მთელი დღეები ფიქრობდა და ბოლოს გადაწყვიტა, რომელიმე სატვირთო მანქანის შოფერს შეთანხმებოდა.

*

* *

სტამბოლში ჩამოსულ ჯევრიეს ხელი სტაცეს, მაგრამ ბედმა გაუღიმა. მან მაშინვე მოახერხა გაქცევა.

„ღმერთმა უშველოს თოფ-მელაჰათს“, — ფიქრობდა ჯევრიე. მელაჰათი რომ არა, ის ვერასდროს თავს ვერ დააღწევდა პოლიციას.

სამმართველოდან მას სამედიცინო შემოწმებაზე გააგზავნიდნენ და იქედან კი ისევ გადასახლებაში უკრავდნენ თავს.

იმ ღამეს ჯევრიე მავროს დუქნის უკანა ფანჯარაში გაძვრა. უკანა გზით თოფჰანეში გავიდა, ერთხანს ქუჩაში იხეტიალა, შემდეგ, რასაკვირველია, თავი ვეღარ შეიკავა და ქარვასლას მიაშურა.

ჯევრიემ იცოდა, რომ უკან პოლიცია არ მოსდევდა.

სანამ პოლიცია ისევ თვალს მოჰკრავდა და დაიჭერდა, უნდა გაეგო, რა დაემართა მ ა ს.

ნესტიან და ბნელ ღამეს ქარვასლის კარებს რომ მიადგა, გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

თუ არაფერი მოსვლია, თუ ჯერ ისევ აქ არის, ხუთი წუთის შემდეგ ნახავს. ავა კიბეებზე, დადგება კარის წინ, დააკაკუნებს, ალბათ ძინავს. მაგრამ ის ისეთი ფრთხილი ადამიანია და ყურებსა ცქვეტს ყოველგვარ ხმაურზე, რომ შეუძლებელია ჯევრიეს კაკუნი არ გაიგონოს. ჯევრიე ვერ გაიგონებდა მისი ფეხის ხმას. ჯევრიეს არასოდეს არ გაუგონია მისი ფეხის ხმა. ფარულად ცხოვრება მისთვის იმდენად

ჩვეული ამბავი იყო, რომ სიარულის დროს მისი ფეხის ხმა არასოდეს
არ ისმოდა. დადიოდა როგორც ლანდი, როგორც ჩრდილი.

ეხლაც უცბად გაიღება კარი და... ჯევრიეს რომ დაინახავს, აუცილებლად გაეხარდება.

— გოგო, ჯევრიე, შენა ხარ? — იტყვის ის. — სად იყავი ამდენ ხანს?

ამ სიტყვებს ფრთხილად იტყვის, კარების დაკეტვის შემდეგ. ჯევრიე გახარებული შეხედავს მას და მიუგებს:

— ნუ მკითხავ. ჯერ ციხეში ვიყავი, მერე გადასახლებაში.

— მართლა, გენაცვალე?

როგორ გაუკვირდება, გაუკვირდება და გაუხარდება.

ძალიან კმაყოფილი დარჩება, რომ ჯევრიემ არ მიატოვა, არ დაივიწყა და თუ არ მოდიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ციხეში იჯდა.

— ერთი შემოგხედო, ხომ არ გამოიცვალე?

— არ ვიცი. — ეტყვის ჯევრიე.

— ცოტა თითქოს გაფითრებული ხარ.

დიდ სინათლეს აანთებენ და ამ დიდ სინათლეზე ნახავს მ ა ს არა როგორც აჩრდილს ან სიზმარში ნახულს, არამედ სინამდვილეში. დაინახავს მისი სახის ფერსაც და სახის ნაკვთებსაც.

— მე უკვე მეგონა, რომ აღარ გენატრები. — იტყვის ის, მაგრამ ჯევრიე უპასუხებს:

— რას ამბობ? ძალიან მომენატრე. — და ჯევრიე, მის ხელს აიღებს ხელში, შუბლზე მიიდებს და იტირებს.

— ნუ ტირი, ჩემო გოგონავ! — ეტყვის ის, შემდეგ ალერსიან და თბილ ხელებს მხარზე დაადებს, მარჯვენა ხელს ლოყაზე მოუსვამს და გაიმეორებს:

— ჩემო გოგონავ...

და გაგრძელდებოდა ის ტკბილი მოგონება, რომელიც ოდესღაც აქ შეწყდა.

ჯევრიეს არც კი უფიქრია, რა სახით გაგრძელდებოდა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ ამით უნდა დაწყებულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

ჯევრიეს ეს ტკბილი ოცნება მაშინ ჩაქრა, როცა მისი ხელი ჭიშკრის კარს შეეხო.

კარები დაკეტილი იყო.

ნეტავ რას ნიშნავდა ეს?

იმას, რომ მისი ოცნებები ფუჭი იყო.

რა საჭირო იყო, მაინცდამაინც, ცუდის ფიქრი. კარი იქნებ იმიტომ იყო ჩაკეტილი, რომ თვითონ შიგნით არის? იქნებ ეხლა განგებ აკეთებენ ამას... სიფრთხილისათვის...

ჯევრიე ფეხის თრევით გაშორდა იქაურობას.

რომ არ რცხვენოდეს, ილრიალებდა და მთელ ღამეს შეაზანზარებდა.

რისთვის ჩამოვიდა სტამბოლში?

სად უნდა წასულიყო ეხლა?

კარები რომ ჩაკეტილი დახვდა, ჯევრიეს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს, ციხის კარების უკან ყოფილიყოს გამომწყვდეული, საწყალი და ბეჩავი.

„მოხდა მოსახდენი“. — ფიქრობდა ჯევრიე.

დაიჭირეს.

არა, რატომ უნდა დაეჭირათ. ალბათ სადმე სხვაგან შეაფარა თავი.

დიახ, ჯევრიეს სურდა, რომ ის გაქცეული ყოფილიყო.

იქნებ ფიქრობენ, ვინ იცის რა შეიძლება მოხდესო, და ამიტომ კეტავენ კარებს.

ჯევრიე დაქანცა ამდენმა თავგადასავალმა. ციოდა და აკანკალებდა.

თავშესაფრის ძებნაში მან თოფჰანესაკენ გასწია. მივიდა დანგრეული აბანოს გვერდით მყოფ ერთ კართან და დააკაკუნა.

შიგნიდან ხველება მოისმა.

— ვინ არის?

— სათილმიში მანდ არის?

— სათილმიში რად გინდა? — უპასუხა ქალმა, რომელსაც მამაკაცივით ბოხი და ხრინწიანი ხმა ჰქონდა.

— ქალო, ჰანიფე, გააღე კარი, მე... მე ჯევრიე ვარ...

კარები ჭრიალით გაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ვნახოთ ვინ არის ეს ჯევრიე. — წარმოთქვა ქალმა.

კუთხეში მდგარი ლამფის სინათლე თმებზე ეცემოდა ჯევრიეს.

— ა, გოგო, ფოსფორიანო, შენა ხარ? — წამოიძახა ქალმა და ჯევრიე შიგ შეიყვანა.

— ამაღამ შენთან უნდა დავრჩე, დეიდა ჰანიფე. სათილმიში ამიტომ მინდოდა.

— სათილმიშს ნულარ ეძებ.

— რა მოუვიდა სათილმიშს?

— ეგ მესაფლავე მაჰმუდს უნდა ჰკითხო.

ამ სიტყვებმა ჯევრიეზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინეს.

— სათილმიში მოკვდა?

— ჰო, ალბათ უკვე არც რბილია მისი დარჩენილი და არც ძვალი.

— ეს რა მითხარი, ქალო, ჰანიფე, ერთი წლის წინ არა ვნახე?

— ერთი წლის? არა, გენაცვალე... მგონი ხუთი წელია უკვე... რაც მოკვდა.

ლამფასთან მივიდნენ.

ჯევრიემ ეხლა კარგად დაინახა ჰანიფეს სახე.

ერთი წლის წინ ის ენერგიული ქალი იყო, ცოცხალი თვალები და მომღიმარი სახე ჰქონდა.

ეხლა კი ოთხმოცი წლის ბებერივით დაპრანჭვოდა სახე.

ჭუჭყიანი თავსაფრის ქვემოდან ჭაღარა თმა მოუჩანდა. იგი ტუჩებდაპრანჭული, წარბშეკრული ქალი იყო, შეშლილივით იყურებოდა.

— ჯერ ფული მომეცი და მერე შემოდი.

— თავი დამანებე, ქალო ჰანიფე. ეხლა გამოვედი ციხიდან. კაპიკიც არა მაქვს.

— აქ რა, საქველმოქმედოა?

— არა, ჰანიფე, მაგრამ განა არ მიცნობ? სათილმიშს რამდენჯერ მოვუყვანივარ.

— სათილმიშს თუ რამე დაემართა, სულ თქვენისთანა კახპების გამო დაემართა.

— დღეს მუშტრადა ვარ მოსული. აღარ გახსოვვარ?

— როგორ არ მახსოვხარ? ფოსფორიანი ხარ...

— ფოსფორიანი ვარ, მაგრამ შენ ისე მექცევი, თითქოს არ იცოდე რომ სიტყვის პატრონიც ვარ...

— ეხლა დროება შეიცვალა. ძველი სიტყვის პატრონები ეხლა ამას დაეძებენ როგორ გამოსდონ ადამიანს კვანტი... ცუდი დროა. ერთმა მაწანწალამ, რომელიც მთელი თვეობით მუქთად იყო ხოლმე ჩემთან, ვიღაც კახპის გულისათვის დანა გაუყარა სათილმიშს.

ჰანიფემ ამოიოხრა.

— ის უკანასკნელი იყო ჩემი ცხრა ვაჟიდან.

ჰანიფე კარებში ჩამდგარიყო და ჯევრიეს შიგ არ უშვებდა.

— ერთი სიტყვით, მაყუთი თუ არ დავდე, მივბრუნდე და გავწიო, არა? მითხარი, ავუშვა აფრები?

ქალი ერთხანს დუმილით შეაცქერდა ჯევრიეს.

— კარგი, ეს ღამე გაათიე... ხვალ თუ ფული არ მოგიტანია, მეტს აღარ შემოგიშვებ.

ეს ოთახი ოდესღაც აბანოს წარმოადგენდა. კედლებზე მარმარილო ჩამოცვენილიყო. აბანოს ქვაზე ტომრებში გახვეულ რამდენიმე კაცს ეძინა.

ოთახში ბუღი იდგა, ცხელოდა, თავის გამაბრუებელი ჰაერი იდგა.

— თრიაქიც ხომ არ გინდა?

ოპიუმის სუნისაგან ჯევრიეს გული ერეოდა.

— არა, არ მინდა, თუ ღმერთი გწამს.

— რაღაც ერთხელ შემოხვედი... ცოტა მეტს გადამიხდი და ის არის... შენ იცი...

— შენ საკუთარ ოთახში წამიყვანე... აქ ბოლი დგას...

— ჩემი ოთახიც ასეთია... იქაც არის ბოლი და სუნიც...

— რა მოხდა, ჰანიფე, შენც დაიწყე...

ჰანიფემ მხრები აიჩეჩა:

— რას იზამ, ჯევრიე... რაც შვილი დავკარგე, ჩემს თვალებს ძილი აღარ ეკარება... მოდი, აი აქ დაწექი.

გამაბრუებელი ჰაერი იდგა... „დასაძინებლად ცუდი არ იქნება, თუ ერთ-ორს მოვწევ“,—იფიქრა ჯევრიემ, მაგრამ სადღაც, შიგნით, გრძნობდა, რომ თუ ერთხელ დაიწყო, მერე ვეღარ მოეშვებოდა აქაურობას.

რამდენი კაცი შეეჩვია ოპიუმს ასე...

ჯევრიე ისევ ჰანიფეს მიუბრუნდა:

— შენს ოთახში ალბათ უკეთესი იქნება. მე და შენ სათილმიშზეც ვილაპარაკებთ ცოტას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცმა ქალმა მხრები შეათამაშა:

— რა უნდა ვილაპარაკოთ? მასზე ლაპარაკი გულს დამწვავს და მეტი არაფერი... მე კი ჩემს ოთახში მოსვენება მინდა... შენ აქ დაწექი... — უთხრა მან და ჯევრიე ტომარაჩამოფარებულ კარებში შეიყვანა... იატაკზე თივით გატენილი მინდერი იდო.

— როცა სათილმიშს მოვყავდი ხოლმე, თავის ოთახში მაწვენდა. ფულსაც არ მთხოვდა ღამის გასათევს.

მოხუცი ქალი წავიდა.

„ნეტავ როგორ მოკვდა სათილმიში? — ფიქრობდა ჯევრიე. — რამ მოკლა ეს ვეებერთელა კაცი?“

ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო. იმ ვიღაცას დანა რომ არ გაეყარა, ვინ იცის რამდენ წელიწადს იცოცხლებდა...

ეხლა კი მკვდარი იყო.

ერთ წელიწადში გაქრა კაცი.

გააქრეს.

„საწყალი სათილმიში, — ფიქრობდა ჯევრიე, როცა თავის მინდერზე წვებოდა. — წელიწადზე ცოტა მეტი თუ იქნება, რაც ის და სათილმიში უკანასკნელად იყვნენ აქა.

ვიღაც მაწანწალას კახპის გულისათვის დანაზე წამოუგია.

ქარვასლის კარი დაკეტილია... იქნებ ისიც იპოვეს.

დაიჭირეს... ღმერთმა დაიფაროს“. — სხვანაირად ფიქრი ჯევრიეს არ უნდოდა.

ჯევრიე თივით გატენილ მინდერზე იწვა და ტომრის ნახვრეტებიდან ოპიუმის მწველელებს უცქეროდა.

ყველა გაბრუებული იყო. აბანოს ქვის ერთ კუთხეში სანთელი იდგა. მის მოციმციმე სინათლეზე ჯევრიე ქვაზე დაწოლილ ხალხს ხედავდა. მათ შორის ერთი ქალი იყო. ლამაზი ქალი. ტანზე ჭუჭყიანი ძონძები ემოსა, წაბლისფერი თმა გაჩეჩოდა. ნეტავ თუ მასაც ჰქონდა ოპიუმი მოწეული?

ნამდვილად ასე იყო. ოღონდ სხვები ხვრინავდნენ, მას კი არ ეძინა.

სათილმიშის სიკვდილმა და ქარვასლის დაკეტილმა კარებმა ძალიან შეაშინეს ჯევრიე.

„ღმერთია მოწყალე, მას არაფერი უჭირს,“ — ფიქრობდა ჯევრიე.

სიკვდილი ლატარიაა. სათილმიში მასზე ბევრად ახალგაზრდა იყო და უკვე მოკვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღლილობის მიუხედავად ჯევრიეს ძილი არ ეკარებოდა. „ნეტავ დილა იყოს, წავალ და ძია ქერიმს ვკითხავ“.

აქაური ჰაერი აუტანელი იყო. ჯევრიეს თანდათან თავმა დაუწყო ტკივილი.

გაბრუებულს ფიქრები ერეოდა.

„პირდაპირ მთვრალი ვარ“, — ამბობდა ჯევრიე.

დილით კი ადრე უნდა გასულიყო აქედან, ქერიმი მოენახა და ყველაფერი გაეგო.

*

* *

როცა ჯევრიეს გაეღვიძა, კარებში სუსტი სინათლე შემოდიოდა. თავი გასკდომაზე ჰქონდა.

— არ მიყვარს ეს საზიზღრობა, მორჩა და გათავდა. თვითონაც და მისი ბოლიც სულსა ხდის ადამიანს, — დააყოლა ჯევრიემ.

თუმცა მაინც ძალიან კმაყოფილი იყო, დაწყნარებული და გამოძინებული.

რაც არ უნდა იყოს, ღამის მეორე ნახევარში მაინც ეძინა... ეხლა ის სატვირთო მანქანით მგზავრობის დაღლილობასაც გრძნობდა და იმ დაქანცულობასაც, რომელიც სტამბოლში ჩამოსვლის, დაპატიმრების და გაქცევის გამო გადატანილი მღელვარებით იყო გამოწვეული. ციხეში ყოფნისას ჯევრიე ფიქრობდა ხოლმე, რომ აქედან წასვლა, რაც არ უნდა იყოს, მაინც სასიამოვნოა და მართალია იცოდა, რომ გადაასახლებდნენ, ამის გახსენებაზე მაინც მთელი არსებით თრთოდა.

მას არც კი ეგონა, რომ ციხიდან გამოსვლა ასეთი მტანჯველი იქნებოდა.

როცა ჯევრიე ადგა და გარეთ გავიდა, ჰანიფე უკვე ეზოში იყო და ძველი თუნუქიდან გაკეთებულ ტაფაზე თევზს წვავდა.

ჯევრიემ თევზი რომ დაინახა და სუნი ეცა, ნერწყვი მოუვიდა.

ჰანიფემ თევზის გადასაბრუნებელი მაშით ტაფიდან თევზი აიღო და ჯევრიეს გამოუწოდა.

— გამომართვი, ჭამე... — უთხრა მან ჯევრიეს. — დაისვენე?

— დავისვენე, ნუ წუხდები, ქალო ჰანიფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს ბიჭს მოჰყავდი აქ არა? საწყალი სათილმიში.

— საწყალი სათილმიში! — გაიმეორა ჯევრიემ.

ცხელი თევზი ჯევრიემ მიწიდან აღებულ ქაღალდზე დალო და ჭამა დაიწყო. თევზი ცხელი იყო, ტუჩებს წვავდა.

— ეს ჩემი საყვარელი თინუსია. ეს რომ არ არსებობდეს ქვეყნად, ცხოვრებაც არ ეღირებოდა, ღმერთმანი.

— სათილმიშს არ უყვარდა, მის სიცოცხლეში არასოდეს არ გამ-კეთებია, — თქვა ჰანიფემ და დააყოლა: — ადვილი შესაწვავია...

— გემოც კარგი აქვს...

— სათილმიში განებივრებული იყო. ცხრა ვაჟიდან ეს ერთი დამრ-ჩა. დანარჩენები დიდი ხანია მივაბარე შავ მიწას.

ჰანიფეს გაეცინა.

— მე რომ ბავშვები არ გამეჩინა, ნეტავ რა გააძღებდა ამ ხარბ მი-წას?..

ჰანიფე ეხლა უფრო ფხიზელსა გავდა.

— შავ მიწას რა გააძღებს! — კანკალით წარმოთქვა ჯევრიემ და ის გაახსენდა. არა, აქ მეტი დარჩენა აღარ შეიძლებოდა, ეხლავე უნდა წასულიყო და გაეგო...

ჯევრიე თევზის ღეჭვით გაიქცა კარებისაკენ...

— საით, გოგო?

— ხვალ ოცდახუთ ყურუშს მოგიტან, ქალო ჰანიფე.

— ოცდახუთი ყურუში თავში იხალე... შენ აქ სათილმიშს მოჭ-ჭავდი... სათილმიშის სტუმარი ხარ...

ჰანიფემ თვალზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა. ალბათ ბოლი-საგან ეწოდა თვალები.

*
* *

ჯევრიე ქუჩაში გავიდა და კარებთან შეჩერდა. ქუჩაში ტალახი იდ-გა... სად წასულიყო?

უკვე ბნელოდა. გამოდის, რომ ჯევრიეს დილიდან საღამომდე სძი-ნებია. იქვე მოშორებით გაზის ფარანი აინთო. ჯევრიე მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ საღამო იყო. თორემ იფიქრებდა, ღრუბლიანი ამინდია და ამიტომ ბნელაო.

ეხლა რომ ჯევრიე გამზირზე გასულიყო, მაშინვე ხელსა სტაცებ-
დნენ. იქნებ უკან დაბრუნება ჯობდა?

დაბრუნდება...

არა...

აუტანელი იყო იმ ქალის ცქერა, რომელიც სათილმიშზე და სიკვ-
დილზე ლაპარაკობდა.

ის ვეღარ შებრუნდებოდა უკან...

უცბად სუმბულ-დუდუ გაახსენდა. განა არა ჯობდა, მასთან მისუ-
ლიყო, ის ენახა?

სუმბულ-დუდუსთან მისასვლელად გამზირზე გასვლა საჭირო არ
იყო.

ნეტავ გუშინ საღამოს გახსენებოდა...

ათი წუთის შემდეგ სუმბულ-დუდუმ უკვე კარი გაუღო ჯევრიეს:

— ჯევრიე, შვილო... ოჰ ღმერთო, თვალებს აღარ ვუჯერი! — გაი-
ძახოდა სუმბულ-დუდუ.

— ჩემო სუმბულ დეიდა...

— შემოდი, სუმბულ დეიდას ვარდის კოკობო... ეს რა სიცივეა გა-
რეთ? ძვლებს სულ ტკაცატკუცი გააქვს... ქალო, ამდენი ხანი საღ
ჯანდაბაში იყავი?

— უარეს ადგილას ვიყავი, სუმბულ დეიდა... ციხეში ვიყავი.

— ქალო, ისეთი რა აუტეხე შენს თავს? ისეთი ხელობა შენ არა
გაქვს რომ... მოიპარე რამე?

— რას მიჰქარავ, სუმბულ დეიდა...

— აბა არ ვიცი. შენი ხელობა სიძვაა. კარგი მუშაობისათვის განა
ვინმეს ჩასვამენ ციხეში?

— რაებს ამბობ, კაცო? სიძვისათვის რატომ ჩავჯდებოდი? ორთა
ოიუნის[1] მოთამაშე ხომ არა ვარ. ჰეროინიუმის გულისათვის მოვხვდი.
ჰეროინიუმის...

— ეჰ, სულელო, გოგო, ეგ რა გიქნია... ჰეროინიუმი აბა რა შენი
საქმეა, საყვარლის კოცნა უკვე აღარ გაკმაყოფილებს განა? რას ერე-
ოდი მაგისთანობაში...

— მე არ ჩავრეულვარ...

---

[1] ოიუნი — ხალხური თეატრია.

— შენ, რასაკვირველია, არ ჩარეულხარ, მესმის... მესმის... ეს ეგ-
ი მ შენს სატრფოს, გაგიჟებით რომ შეგიყვარდა ამ ბოლო დროს და
თავი ვეღარ დაიძვრინე...

— არა, სუმბულ დეიდა, ცარიელ ქუჩაში ვიდექი, სამუშაოს მოლო-
დინში, რომ ერთი ვიღაც დაწყევლილი მომადგა და პაკეტი მომაჩეჩა
ხელში. ამ დროს პოლიციელები მოცვივდნენ. გვაჩვენე რა გაქვს ხელ-
შიო. ვაჩვენე. პაკეტში ჰეროინიუმი აღმოჩნდა.

— მართლაც სასწაულია. შენ ჯერ რძეც არ შეგშრობია ტუჩებზე.
შენი ჭირიმე, ჩემო პატარავ, ვერ მიხვდი, იმ მამაძაღლის ოინს?

— რას მალაპარაკებ ამდენს, სუმბულ დეიდა... აბა რა გავიგო მე
იმ ვიღაცის ოინებისა.

— როგორა თუ რა გაიგო? შენ არ იცნობ გალათას. ის ტიპი შენი
საყვარელი იყო?

— არა, გენაცვალე, ერთი ვიღაც გაიძვერა.

— აბა ერთი კარგად ჩამხედე თვალებში, ჯევრიე, თუ ჩემი მოტყუ-
ება გინდა, მაშინ ჩემთან საქმე არა გაქვს.

— ღმერთმანი, ვიღაც გაიძვერა იყო ის კაცი. თან ვერც კომისარი.
ვერც განყოფილების უფროსი, ვერავინ დავაჯერე, რომ ასე იყო.
ბრალი მე ამკიდეს. სიბნელეში მისი გულის ვარდი ვერ დაუნახავთ.
მხოლოდ ის დაინახეს, რომ თვითონ ბითუმად მოვაჭრეს ელაპარაკებო-
და. ერთი წელიწადი პურზე და წყალზე დამსვეს წითელი ნახევარმთვა-
რის სასარგებლოდ. ეხლა მზადაა ყველაფერი, თითის ანაბეჭდიც და
რეგისტრაციაც...

— თავი მოგწონს, ჩემო გოგო...

— მომწონს მაშ, სუმბულ დეიდა... დედა მე არა მყავს, გვარი მე
არა მაქვს და ჯილაგი... ამას იქეთ კი ყოველ რეგისტრაციაზე ახალი წო-
დება, ახალი სახელი და ჩინი შეგვემატება.

— შენ წესიერი და პატიოსანი გოგო ხარ, ოღონდ უმანკოება არა
გაქვს და ეგ არის.. უმწიკვლო არა ხარ. მე მჯერა შენი სიტყვებისა...
მაგრამ, რადგანაც ის ადგილი, სადაც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, დედა-
მიწის ჭიპია, ბედის ყოველგვარი უკუღმართობა შეიძლება დაგვატყდეს
თავს... საქმეში მთავარია მოთმინება... ჩემთავად კი გინდ ჰეროინიუმის
გულისათვის მჯდარხარ და გინდ კოკაინისათვის, არც ერთს ეღტისოდე-
ნა ფასი არა აქვს... თან ეხლა ჰეროინიუმი საგარეო ვაჭრობის საქო-

ნელი გახდა. ჩვენი ნაძირალების დასაჭერად ამერიკიდან საგანგებო დეტექტივები მოდიან...

— კაცო, აქ ფეხზე ამდენ ლაპარაკს, სახლში შემიყვანო...

— უჰ, ჩემო საყარელო, ღმერთმა ახალგაზრდა დამტოვა ქვრივად... შვილები არა მყოლია, შენ საკუთარი შვილივით მიყვარხარ, ჩემი სახლი შენი სახლია, ჯევრიე... აქ შენ რა დაპატიჟება გინდა.

ორივენი გვერდით ოთახში შევიდნენ. ჯევრიემ წინასწარ ივარაუდა, რომ აქ ღუმელი უნდა ყოფილიყო და თავიდანვე უნდოდა აქ შემოსვლა.

— სიცივემ სულ ძვლებამდე გამატანა. — თქვა ოთახში შესულმა ჯევრიემ და შეიშმუშნა.

— ამერიკულ ვისკის დალევ?

— ამერიკულ ვისკის?

— შენ ერთი წელიწადი ციხეში იყავი, ჯევრიე... აქ ცვლილებები მოხდა. სტუმრების გემოვნებაც შეიცვალა... ის ჰაჯი აღა, რომელიც ვინ იცის რომელი ბნელი სოროდან ჩამოდის აქა, მხოლოდ ამერიკულ ვისკისა და რაღაც ჯინსა და მინს კი ითხოვს. ამას წინათ ერთი მოვიდა... საქონლით ვაჭრობს. აქამდე საქონლის მომმარაგებელი იყო, ახლა სახელიც შეიცვალა... საქონლით მოვაჭრე გახდა... ეს სუმბულ-დუდუ შორსმხედველი ქალია... ხომ გაგიგონია, დროება თუ არ შეგეწყობა, შენ შეუწყე დროებასაო... მეც საქონლის მიმწოდებელს საქონლით მოვაჭრის ტიტულით ვიხსენიებ... ჰო, რას ვამბობდი... მერე ისეთია ეს საქონლით მოვაჭრე, რომა... ჯიშიანი საქონლის საშენში რომ გააგზავნო, იმაზე უკეთესი ბუღა იქ არ იქნება. სწორედ რომ გააუმჯობესებს საქონლის ჯიშსა. მისი მოდგმის ხარებმა საქონლის საერთაშორისო გამოფენაზე თუ ოქროს მედლები არ მოიპოვეს, ეს ორი თვალი დამიბრმავდეს. ჩვენი შაშკალოზ-სარა ხომ იცი? იმას თმები ყვითლად შეუღებია. ფეხზე რაღაცნაირი უქუსლო ფაჩუჩები აცვია, ტანზე კალთებგაფრიალებული კაბა, მხრებზე კი, ჩვენს შორის იყოს და, ბოშების კალათები ხომ გინახია, იმისთანა დაწნული ჩანთა ეკიდა. დააკაკუნეს კარზე. გავაღე თუ არა, შაშკალოზ-სარამ Hav ariyu[1] Hello არ მომაძახა. სუმბულ-დუდუს აბა რა შეეშლებოდა... არაფერი შევიმჩნიე, მეც მაშინვე ოქეი-მეთქი, ვუპასუხე და შემოვუშვი.

---

[1] How are you (ინგლ.) — როგორ ბრძანდებით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ო ღმერთო, სუმბულ-დუდუ, გამოდის, რომ შენც გაამერიკელდი?

— თუკი შაშკალოზ-სარა გაამერიკელდა, მე რაღა ვარ, რა? ეგ კიდევ არაფერი... საქონლით მოვაჭრე რომ მიდიოდა, ბაიბაი[1] არ მითხრა? მერე ჯიბიდან ერთი დოლარი ამოიღო და ფეშქეშად ხელში ჩამიდო, სახსოვრად გქონდესო, მითხრა. ძალიან მეწყინა. სუმბულ-დუდუ ამ ჰასაკამდინ მოსულა და ბინძურ საქმეში ხელი არასოდეს ჰქონია, ღირსეული ქალია... დოლარი რომ გამოვართო, რა ვქნა, წვენი ვადინო? თუ, ამ ერთი დოლარისათვინ შავ ბირჟაზე მივიდე და კონტრაბანდისტებს მივმართო? მაგრამ კაცმა ბევრი ფული დახარჯა და მეც ამის გულისთვინ არაფერი ვუთხარი. არაფერი ვუთხარი, მაგრამ... ღმერთმა კარგად იცის... სისხლმა ჯერ ფეხებისკენ დაიხია და მერე ტვინისკენ ავარდა. — თქვა სუმბულ-დუდუმ და ხელები მუხლებსშორის მოქცეულ თავზე მიიდო.

— საწყალი სუმბულ-დუდუ..

— სუმბულ-დუდუს პატარავ, მე მაგნაირი ხალხისა ვერაფერი მესმის. სხვათა შორის, არც იმ პირუტყვისა არაფერი გამეგება, რომელსაც საქონლით მოვაჭრის სახე მიუღია და დადის, და არც აშარ შაშკალოზ-სარასი, თმები ოქროს ფოჩს რომ მიუგავს, რეზინას იღეჭება და ჰავარიუს გაიძახის... შენ, ფოსფორიანო, ჩემი სულის ნაწილი ხარ... როცა მუშტარს შენს თავს ვუჩვენებ ხოლმე, გული დედური სიამაყით მევსება. აი, ვეუბნები, ასეთი მზეთუნახავები მხოლოდ ჩვენს გალათაში, ჩეშმემეიდანში, ედირნეკაფიში, თოფკაფიში, იენიშეჰირში იბადებამეთქი.

— მადლობთ, დეიდა სუმბულ...

— გოგო, მე ჩემი ხელობის ადამიანს ბევრი ლამაზი ქალი მინახამ, მაგრამ შენ თავად სტამბოლის ქუჩა ხარ, შენსებრ არც ერთი არ მიყვარს.

ჯევრიეს უცბად გულით მოუნდა, რომ ჰყვარებოდათ. ხელში ხელი მოჰკიდა სუმბულ-დუდუს, ბაგეებთან მიიტანა, აკოცა, ლოყაზე მიიდო და უეცრად ტირილი წასკდა.

— ჰა, არ იტირო, ჩემო ფოსფორიანო, გულს ნუ მატკენ, შვილო...

---

1 good bye (ინგლ.) — ნახვამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუმბულ-დუდუმ ცალი ხელი თვალებთან მიიტანა და ბოფოებდასილ-ებული თითებით ცრემლები შეიწმინდა.

— აბა ერთი მიამბე, რათა ტირი, ჯევრიე?

ასეთ გულითად სიტუაციაში ჯევრიემ ერთბაშად იგრძნო მოთხოვ-ნილება ყველაფერი ეამბნა, მაგრამ გაჩუმდა.

არა, მან კარგად იცოდა, რომ იძულებული იყო დაემალა მ ი ს ი არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მ ა ს საშიშროება ელოდა.

— ერთი წელი ციხეში ჯდომა ადვილია განა დეიდა სუმბულ? ერ-თი წელი ყველასაგან შორს ყოფნა... საყვარელი სტამბოლისაგან მო-შორებით ცხოვრება...

— არა, შვილო... მე შენ ისე მომენატრე, რომ...

— მეც ყველანი მომენატრეთ... განსაკუთრებით კი შენ მომენატრე, სუმბულ-დუდუ...

— მაიწმინდე ცრემლები, ჯევრიე... მე წავალ და საჩქაროდ რამეს მოგიმზადებ საჭმელად... ცოტა წავიქეიფოთ... ამერიკული ვისკი ხასი-ათზე მოგვიყვანს... — უთხრა სუმბულ-დუდუმ და სიცილით დააყოლა:

— არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო...

— მართალია, სუმბულ-დუდუ, მართალი...

— რაც ცხონებულმა დედაჩემმა სული განუტევა, მე ისეთ გემ-რიელ საჭმელებს ვეღარ ვაკეთებ, თანაც სული მეხუთება.

ჯევრიე უცბად შეკრთა:

— რას ამბობ, სუმბულ-დუდუ, დედაშენი მოკვდა?

— ეჰ, შვილო, არ გაგიგია განა? ჰო, მართლა, მაშინ შენ ალბათ ადგილ-სამყოფელი უკვე გამოცვლილი გქონდა. საწყალი, პირდაპირ სამოთხეში წავიდა. ღმერთმა ის სხვა სასუფევლისთვის არ გაიმეტა. ერთ ღამეს დაიძინა საწყალმა... დილით რომ გავიღვიძე, ის ჯერ ამდგა-რი არ იყო, სხვა დროს დილის ეზანზე ის უკვე სამზარეულოში მიდი-ოდა ხოლმე. დავუძახე, მაგრამ ჩვეულებისამებრ ალარ უპასუხნია: „რა იყო, ჩემო პატარაო“. მის ოთახში შევედი. ჩემს წინ ასეთი სურათი გადაიშალა: ის ლოგინზე წევს, ხელი გულზე მიუდვია... ლოგინთან მივედი. თვალები ისე აქვს დახუჭული, თითქოს სძინავს. მაგრამ პირი სამინლად დაუღია... ხელებზე შევხედე, ხატი უკავია — ღვთისმშობელი მარიამი იესო ქრისტეთი ხელში... ნეტავ თუ ანგელოზები მოფრინდ-ნენ და ხელში ჩაუდეს სიკვდილის შემდეგ? ან თუ, როცა იგრძნო, ცუ-

დად ვარო, გულზე მიიკრა, იქნებ ცოტა შვება ვიგრძნოო? ... ოლონდ, ღმერთმანი, უცოდველი წმინდა სული კი ჩააბარა ...

სუმბულ-დუდუს ხმა რაღაც უცნაურად ყღერდა:

— მე ის საკუთარი თავივით მიყვარდა. მის გარდა არავინ მყავდა ქვეყნად. დედამთილი რასა ჰქვია, თითქოს მისი ნაშობი ვყოფილიყავ..

ჯევრიე სხვას ვერაფერს ამბობდა. მხოლოდ ერთს ჩურჩულებდა აღელვებული ხმით:

— საწყალი... საწყალი ქალი... მაშ იმანაც გაჭიმა ფეხები!

ჯევრიეს ეჩვენებოდა, რომ სიკვდილი ყველგან თან დასდევდა ავის მაუწყებლად.

თავში გამჯდარმა ეჭვმა თანდათან გაუძლიერა ეს გრძნობა. ხოლო ეს სიკვდილის ამბები, თავისი მხრით, კიდევ უფრო ზრდიდნენ მის გულში დაბუდებულ ეჭვებს.

სუმბულ-დუდუ განაგრძობდა თხრობას:

— როგორ დავკრძალე, რომ იცოდე, როგორ დავკრძალე. ღმერთმანი, ის რომ ამერიკის ხელმწიფის ასული ყოფილიყო, ასეთი ამბით არ დაიმარხებოდა... მთელი გალათა მოვიდა მის გასვენებაში... ბაყალსა და ყასაბს აბა რა გული უნდა ჰქონდეს? მაგრამ ყოველ ადამიანის შვილს გული აქვს მკერდში... ყველა გულს თავისი ენა აქვს... როგორც სულეიმან მოციქულმა იცოდა ნადირისა და ფრინველების, ყოველგვარი მცენარეულობისა და ცხოველების ენა, ისე ამ მადლიანმა ადამიანის შვილმა, როგორცა ჩანს, თავისი ენით გზა მონახა ყველას გულებისაკენ. ცხადია, რომ ჩემმა დედამთილმა ყველას ენა იცოდა... როცა საწყალი ქალის ცხედარი დუქნების წინ ჩაატარეს, ყველამ მაშინვე დაკეტა დუქნის დარაბები... ყასაბი რასიმ ეფენდი ეკლესიიდან ბოლომდე გაჰყვა პროცესიას... ყველამ იტირა. ის წმინდა ქალი იყოო, — ამბობდნენ, — ის წმინდანი იყოო...“

ჯევრიემ მოიწმინდა ცრემლები:

— ღმერთმანი, მეც ძალიან მიყვარდა...

— ტირილი არა ღირს, ჯევრიე, — უთხრა სუმბულ-დუდუმ, — ღმერთი მოწყალეა. ამ წარმავალ ქვეყანაზე მუდმივი მხოლოდ მიზანსწრაფვაა, მოვა აზრაილი და ჩვენს სხეულში რომ სული დგას, წაიღებს... მერე უკვე ფილოსოფია იწყება. ჩემი პირველი ქმარი, სუფლიორი ხაჩიკ ეფენდი, ნათელი დაადგეს იმ ქვეყნად, ამის შესახებ

სოკრატის შესანიშნავ სიტყვებს მეუბნებოდა ხოლმე. „აგრამ დრომ წაშალა ისინი ჩემი მეხსიერებიდან. თან, ხომ იცი, შენისთანა და ჩემისთანა მხიარულ ქალებს დარდი და ნაღველი არც შეეფერება და არც გამოადგება. მე შენ ახლა ცოტა საჭმელსა და არაყს მოგიტან. ხომ გაგიგონია, ძველი დარდიც კი კარგი მოსაგონარია. — თქვა სუმბულ-დუდუმ და კარებში რომ გადიოდა, წაუმღერა:

„ვინც წავიდა, არ დაბრუნდა, ეს რა საქმეა!“

ჯევრიემ ღუმელისაკენ გაიხედა. ზანტი შავი კატა თავის ადგილზე იწვა და ეძინა.

უცბად იმედი მოეცა. შავი კატა აქ იყო, ღუმელთან, ამაღამ თვითონაც სიამოვნებით დაჯდებოდა ღუმელთან ამ კატასავით.

გალათაში მისთვის ყველაზე მეტად საყვარელი ადგილი სუმბულ-დუდუს სახლი იყო... აქაურობა ისე უყვარდა, როგორც ტკბილი ოჯახი. ამიტომ, წეღან რომ შემოვიდა, ეს სახლი, როგორც ყოველთვის, გულთბილად შეხვდა. მაგრამ მოხუცი ქალის სიკვდილი რომ გაიგო, სახლი უცბად დაცარიელებული და მიტოვებული მოეჩვენა.

ის მოხუცი ქალი, რომელიც არასოდეს არავის არ უნახავს, თითქოს თვითონ ქმნიდა ამ სახლში არსებულ განწყობილებას. სურნელება, რომელიც აქ შემოსვლისთანავე ეცემოდა ადამიანს, იყო სწორედ ის თავისებურება, რომელიც მას შინაურ იერს აძლევდა. სამზარეულოდან მომავალი რჩეულ-რჩეული საჭმელების ეს სურნელი ატკბობდა ადამიანის ყნოსვას და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს, სადაც არის, მთელი ოჯახი შემოუსხდება მაგიდასო...

ეხლა კი, რაც მისი სიკვდილი შეიტყო, სახლი ცარიელი ეჩვენებოდა.

ჯევრიე ღუმელს მოშორდა, მინდერისკენ გაემართა და დაჯდა. სწორედ ამ დროს ოთახში სუმბულ-დუდუ შემოვიდა ხელში სინით.

— აჰა, შენ, ლომის რძე, — უთხრა მან ჯევრიეს, შემდეგ ვისკი გაახსენდა და დააყოლა: — ბაღლინჯოს წვენი არ გეგონოს!

სინი შუაში ჩადგეს.

— ეხლა ხშირად იარე ხოლმე ჩემთან, ჯევრიე, მუდამ საქმეზე და კომერციისათვის როგორ შეიძლება... სანახავად მოდი ხოლმე ხშირ-ხშირად.

— მოვალ ხოლმე, სუმბულ-დუდუ, მოვალ!

— შენ ცრუპენტელა ხარ... შენი თოკით ჭაში ვერ ჩავა კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა მე და შენ საერთო საქმე გვქონდა ხოლმე, ერთ-მეორეზე, რამდენჯერ დაგტოვე ჭაში და დაგახრჩვე?

— არა, შენთან საქმის დაჭერა კარგია, ვაჟკაცური სიტყვის პატრონი ხარ. საწყალ დედასაც სულ ამას ვეუბნებოდი. ჩემი ჯევრიე კარგი გოგოა, ნამუსიანი და პატიოსანი, ოღონდ უმანკოება არა აქვსმეთქი.

ჯევრიემ ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერ გაიგო, მაგრამ მაინც თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

პირველი ჭიქა ერთად გადაკრეს.

— ჩემი საწყალი დედამთილის სულის საცხონებელი იყოს!.. — თქვა სუმბულ-დუდუმ.

ჯევრიემ დაუდასტურა.

— ნათელი დაადგეს, — დაამატა სუმბულ-დუდუმ.

საჭმელი დააყოლეს.

„ნამდვილად ბედი მწყალობს, — გაიფიქრა ჯევრიემ, — საცა მივალ ღმერთი ყველგან მაძლევს საკვებს“.

დღეს განსაკუთრებით სჭირდებოდა ჯევრიეს ბედის წყალობა და რწმენა.

ის იღბლიანი გოგო იყო, ძალიან იღბლიანი.

და ამაღამ, გვიან, როცა ხელახლა მივიდოდა იქ, კარები ღია დახვდებოდა.

დიახ, წელიწადზე მეტია რაც იტანჯება.

ასე არ გაგრძელდებოდა. მარტო ტანჯვა ხომ არ იყო ამ ქვეყნად.

გათავდა ბედუკულმართობა.

ციხეში ჯდომა გათავდა, გადასახლებიდან გამოიქცა, სტამბოლში ჩამოსვლისთანავე ხელი სტაცეს, მაგრამ მაშინვე უშველა თავს.

სულ მშვიდი და გაუჭირვებელი ხომ არ იქნება ადამიანის ცხოვრება.

პირველ დღეს მივიდა, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. ამჯერად კი აუცილებლად ღია დახვდებოდა კარი...

— შენი დღეგრძელობა იყოს, ჩემო მშვენიერო სუმბულ დეიდა...

— ეჰ, მშვენიერებით კი ვიყავი წინათ მშვენიერი... მერე წავხდი, თორემ... მაგრამ პატივი, ჩემი პატივი... სრული თექვსმეტი კარატია... არ დამიკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგიმარჯოს, სუმბულ-დუდუ!..

ორი ჭიქა არყის შემდეგ ჯევრიეს ეს ცხოვრება იოლი ეჩვენა.

— სუმბულ-დუდუ, შენი გულისათვის სულს მივცემ.

— შენ კარგად იყავი!

— სუმბულ-დუდუ! — თქვა ჯევრიემ მესამე ჭიქის შემდეგ. — მე ციხიდან გამოვედი, მაგრამ პოლიციასთან კიდევ მაქვს ანგარიშები. თავისუფლად ვერ დავდივარ. ჯიბეში კაპიკი არ მიჩხავის. მომცემ რამე საქმეს, ისე რომ არ ვიარო აქეთ-იქით?.. შემახვედრე ვინმეს!

— ზღვაში ქვიშაა და ჩემთან კი დროსტარების მოყვარულნი... ხვალ საღამოს...

— დღისით აჯობებს...

— დღისით?

— ღამე ცოტა საქმე მაქვს...

— რაღაც უცნაურობა დაგჩემდა, ჩემო ფოსფორიანო... ნათ პინკერტონი ხარ, შერლოქ ჰოლმსი ხარ თუ ფანტომად და არსენ ლიუპენად გადაიქეცი?

— ასეთ რამეს გაკადრებ მე შენ? გრცხვენოდეს.

—ხომ იცი, ადამის შვილთა უმრავლესობას ბილწი რძე უწოვია და კუჭში უზის. ეს რძე დროდადრო დუღილს იწყებს და კუჭიდან სისხლში გადადის, სისხლიდან ტვინში, ტვინიდან კი მის მოქმედებაში ვლინდება. მიხვდი?

— მივხვდი, სუმბულ-დუდუ... ოღონდ მე მაგისთანა არაფერი მჭირს. ჩემი საქმე შენ კარგად იცი, მე კახპა ვარ.

— აი შენ იცოცხლე, ჩემო ფოსფორიანო...

— ათასი ოხერია და მეშინია. თანაც არ მინდა, რომ პოლიციამ დღისით მნახოს. კარგი კაცი აბა რას მერჩის? გულახდილად რომ გითხრა, ერთი წელი ციხეში ყოფნის შემდეგ ბოლუში გადამასახლეს.

— მის მდივანსაც საცხოვრებელ ადგილად ბოლუ მიუჩინეს. თუ ასე იტყვი, ვინმე ჩინოვნიკი ეგონებით და პატივსაც გცემენ...

— მოეშვი ეხლა ხუმრობას... ბოლუში ვიყავი, მაგრამ ვერ გავჩერდი. აქ ფარულად ჩამოვედი...

— ო, ღმერთო, ღმერთო... ბოლუში საქმეები არ კეთდება? ბოლუს მამაკაცებს ფული არა აქვთ?.. ერთი ამას დამიხედე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე სტამბოლს მოშორებული ვერა ვცხოვრობ.

— უსტამბოლოდ გაძლება არ შეიძლება, ჯევრიე... პირველი მსოფლიო ომის დროს ერთ წარმოსადეგ გერმანელ მეზღვაურს გერმანიაში უნდოდა ჩემი წაყვანა. მაშინ მე გასავალი მქონდა. დედამისს ჰამბურგში საროსკიპო ჰქონია... პირველი კლასისა... იქ უნდოდა ჩემი გაგზავნა, მაგრამ სამათიელი[1] სუმბულ-დუდუ საექსპლოატაციოდ როგორ გადადებდა თავს? თუ სიკვდილია, გალათაში მოვკვდე-მეთქი, ვთქვი. ამ გალათას რა, სუნი არ უდის?

სუმბულ-დუდუმ ისე ღრმად შეისუნთქა, თითქოს რამე სასიამოვნო სურნელება ყოფილიყოს.

— ეს სუნი, თუ ღრმად არ ჩამიჯდა ფილტვებში, ისე მეხუთება სული, როგორც ხმელზე ამოგდებულ სკუმბრიას.

ჯევრიემ თავი დაჰკიდა.

— ეჰ, დეიდა სუმბულ, სიტყვამ მოიტანა და ნუ გეწყინება... შენ გიაური ხარ... გიაურად არ ჩაითვლები, მაგრამ მაინც გიაური ხარ. და სტამბოლი ასე გიყვარს, მაშ მე...

— აი შენ იცოცხლე, შენა. არ გამაცინე დღესა, არ გამაცინე... ჩემი გიაურობა ან შენი მუსლიმანობა აბა რა სატრაბახოა? მე, სულ რომ არაფერი იყოს, მონათლული მაინცა ვარ ეკლესიაში, შენ კი ამდენი მუსლიმანობაც არა გაქვს... შენ მუსლიმანი, მე გიაური... ამაზე ხომ ძაღლებიც გაიცინებენ... საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე და შენ ადამიანებიც კი არა ვართ...

— ნუ გეწყინება სუმბულ-დუდუ, ნუ გეწყინება... მე ცუდი გულით არ მითქვამს... გამოუცდელობისაგან წამომცდა ეგ სიტყვა... იმის თქმა მინდოდა, როგორ მომენატრა სტამბოლი... როცა ბოლუში წამიყვანეს...

ჯევრიემ ამოიოხრა და განაგრძო:

— ღმერთმანი, ჭკუას ვკარგავდი.

შემდეგ თვალები მოჭუტა და ჭიქა აიღო ხელში.

— ჩემი საყვარელი სტამბოლი... სტამბოლის სადღეგრძელო დავლიოთ...

— დავლიოთ, ჯევრიე!

სუმბულ-დუდუმ ჭიქა აიღო ხელში, ჯევრიე უკვე შექეიფიანებული იყო.

---

[1] სამათია — პატარა ქალაქია თურქეთში.

— მწვანე ზღვას მზის ამოსვლისას წითელი ფერი ეკვრება. ბოლოს, ვიხსენებდი მე და თვალწინ მეხატებოდა საზამთროს მწვანე კანი და წითელი გული... აჰ, ხანდახან ზღვას საზამთროს სურნელი ასდის... შენ იცი, სუმბულ-დუდუ, ყველაზე მეტად რისი მიტოვება არ მემეტებოდა სტამბოლში?.. ქვაფენილებისა... ზაფხულში, როცა წვიმა მოესხურება ხოლმე, სტამბოლის ქუჩები მსხვილ წინწკლებიან ნაცრისფერ მატერიასა გავს... ხოლო როცა წვიმს, მუშკის სუნი დგას, არა განა?

— შენ ღვთის საყვარელი ქალი ხარ, ჯევრიე, რადგანაც ღმერთმა ქუჩაში გაგაჩინა და ქუჩაშივე გაცოცხლებს...

— ხომ მართლა იღბლიანი ქალი ვარ, სუმბულ-დუდუ? ალაჰს ვუყვარვარ.

— ნამდვილად, ჯევრიე, თორემ როგორ უძლებ ამდენ ძაღლსა და მამაძაღლს, ამდენ შიმშილსა და სიცივეს... რომ არ ჰყვარებოდი, განა ასე იქნებოდა?

— არ იქნებოდა, სუმბულ-დუდუ, არა...

— არ იქნებოდა, მაშ!

— იმას კი ვენაცვალე, ღმერთს ვუყვარვარ... მას არ უნდა რომ უბედური ვიყო... ყოველთვის მაძლევს ხოლმე, რაც მინდა...

ამბობდა ჯევრიე და იმედი ჰქონდა, რომ ამ საღამოსაც აუსრულებდა გულის წადილს.

*

* *

მაგრამ ჯევრიეს კარები ამჯერადაც დაკეტილი დახვდა. ტყუილი იმედი რა საჭირო იყო. ი ს აქ არ იყო.

„იქნებ დაიჭირეს, ან იქნებ წავიდა აქედან, რომ არ დაიჭირონ?“ — ფიქრობდა ჯევრიე.

ჯევრიეს აღარ შეეძლო ამდენი მღელვარების ატანა.

აღარ იცოდა, რა ექნა.

რაც მოხდება, მოხდეს, ხვალ დღისით წავა იქ და ქერიმს მოძებნის. მან ქერიმი უნდა ნახოს და მისგან გაიგოს ყველაფერი.

ჯევრიე შიშობდა, დამიჭერენ და მის ამბავს ვერ გავიგებო. იგი ერიდებოდა თავისუფლად სიარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაეგო სიმართლე.

თუ აქ არის და არსებობს მისი ნახვის შესაძლებლობა, მაშინ გაბედული საკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.

თუ არ არის, მაშინ... „ყველაფერს მოუკვდა პატრონი". — თქვა ჯევრიემ, წარბი ასწია და ხელი ჩაიქნია.

მაშინ ხომ სულერთია, რაც მოხდებოდა.

ჯევრიემ აღარ იცოდა, სად გაეტარებია ღამის დარჩენილი ნაწილი.

ბარბა გაახსენდა... ბარბას ოთახის ფანჯარას რამდენიმე კენჭი ესროლა.

ეს ერთგვარი ნიშანი იყო ბარბასა და ჯევრიესათვის.

— დღეს საიდან მოხვდი ჩემს სახლში?

— მომასვენე... ნურაფერს მეკითხები... დღეს არა ვარ ლაპარაკის ხასიათზე. ხვალ საღამოს ხუთ საათამდე აქა ვარ... ენა გააჩერე. უნდა დავიძინო.

იყო ჯევრიეს პასუხი.

მაგრამ, ლოგინში, რომელიც მას ბარბამ დაუთმო, ჯევრიემ დილამდე იტრიალა და ვერ დაიძინა.

მეორე დღეს, საღამოს ხუთ საათზე ჯევრიე ნეჯათიბეის ქუჩაზე წავიდა, მის გულს, ხან იმედით მოცულს და ხან უიმედობით შეპყრობილს, ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

ქერიმი თუ ნახა, მაშინ მის პოვნასაც შეძლებდა. „ქერიმი თუ ვერ ვნახე, მაშინ ყველაფერი დაღუპულია", — ფიქრობდა ჯევრიე.

ნეტავ რით ავსებდა ჯევრიე თავის ცხოვრებას მ ი ს გაცნობამდე და შეყვარებამდე?

ეხლა ჯევრიეს მთელი ფიქრები მხოლოდ მ ი ს კ ე ნ იყო მიმართული.

ნეჯათიბეის ქუჩაზე მყოფი ქარვასლის ყარაულს ფართო და კოხტა ოთახი ჰქონდა.

ქერიმი ლოგინზე იწვა გულღმა. ხელები თავქვეშ ამოედო.

მისმა დანახვამ ისე იმოქმედა ჯევრიეზე, რომ კინაღამ გული წაუვიდა.

მაშ ქერიმი აქ იყო!..

ჯევრიე პატარა ლამფით განათებულ ოთახში შევიდა. მან ლამპა ხვაზე, ქერიმი განცვიფრებული წამოდგა ადგილიდან.

— ვაი, ჩვენი ჯევრიე! — წარმოთქვა მან.

ჯევრიე გულისფანცქალითა და ღიმილით შეხვდა ქერიმის შეძახილს.

— მე ვარ მაშ, აბა რა გეგონა?

— გოგო, სად იყავი ამდენ ხანს? — ჰკითხა ქერიმმა და ფეხები გადმოკიდა ლოგინიდან. — რატომ არ მოდიოდი? რა დაგემართა?

— ნუ იტყვი, ნუ იტყვი, აბი, — ამოიოხრა ჯევრიემ. — ერთი ვიღაც ოხერი მაწანწალის გულისათვის ერთი წელი ციხეში ვიჯექი.

— ჩვენ სულ არაფერი ვიცოდით.

ჩ ვ ე ნ ს რომ ამბობდა, ი ს ი ც ყავდა მხედველობაში.

— საიდან გეცოდინებოდათ. საწყალ ჯევრიეს სახელსა და სურათს გაზეთების პირველ გვერდზე ხომ არ გამოაქვეყნებდნენ.

— როდის გამოხვედი?

— თხუთმეტი-ოცი დღეა, აბი.

— ყოჩაღ, თხუთმეტი-ოცი დღეა და ჩვენ არ მოგვაკითხე?

ჯევრიეს გაეხარდა, რომ ისევ ჩ ვ ე ნ თქვა. მ ა ს ალბათ არაფერი დამართნია.

— სამი დღეა სულ რაც თავისუფალი ვარ, აქა ვარ. თუმცა თავისუფლება არც ეთქმის.

— ვერაფერი გავიგე.

— აქ გასაგებიც არაფერია, აბი, ერთი წლით ბოლუში გამამწესეს საცხოვრებლად.

ჯევრიეს სუმბულ-დუდუს სიტყვები გაახსენდა. უფრო კულტურულად უნდოდა ეთქვა — ბოლუ მიმიჩინეს საცხოვრებელ ადგილადო, მაგრამ შეეშალა და გამამწესესო, უთხრა.

— ეს რაღას ნიშნავს?

— ორივესთვის გასაგები თურქულით რომ გითხრა, ბოლუში გადამასახლეს.

— კი მაგრამ, აქ რაღას აკეთებ?

— გამოვიქეცი.

— გამოიქეცი?

ქერიმმა სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

ჯევრიე იღიმებოდა, თითქოს დიდი ვაჟკაცობა ჩაედინოს.

— რასაკვირველია გამოვიქეცი... ციხე ციხეა. კედლები მაღალი აქვს, კარები გადარაზული, ეზოსა და საკნებს ზედამხედველები ყავს. ბოლოს კი ღვთისგან დალოცვილი მხარეა. იქიდანაც თუ ვერ ავითესე, სირცხვილი ჩვენს თავს.

ჯევრიეს თავი მოსწონდა ასეთი საქციელით, გული სიამაყით ევსებოდა და ტრაბახობდა.

— სამი დღეა სულ თქვენ გეძებთ. ვერ გიპოვეთ. ღამ-ღამობით კარები მუდამ დაკეტილი დამხვდა. ეხლა ყინვებია და ალბათ შეგცივდათ.

ქერიმს არ გაუღიმია.

— ეხლა კარებს ვკეტავ ხოლმე.

ქერიმმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ჯევრიე უეცრად შეკრთა და მღელვარების დაფარვას შეეცადა:

— რატომ? — იკითხა ჯევრიემ.

— იმიტომ, რომ ღამღამობით ის აღარავის ჭირდება.

— ვერაფერი გავიგე, აბი...

ჯევრიე მაგიდას იყო მიყრდნობილი. თავს დაღლილად გრძნობდა.

„დილიდან ლუკმა არ ჩამიდევს პირში. გული მერევა“, — ფიქრობდა ჯევრიე.

— ის სად არის? — ხმამაღლა იკითხა ჯევრიემ.

— ის? — თქვა ქერიმმა და ერთხანს ხმა არ ამოუღია. ველარ გადაეწყვიტა, ეთქვა სიმართლე თუ არა. — დააპატიმრეს.

— დედამისს ათქმევინეს? — წამოიძახა ჯევრიემ და იატაკზე ჩაიკეცა. მუხლებში ძალა ჰქონდა გამოცლილი.

„ეს არის ილბლიანი ვარ-თქო, ეს არის?“ — ფიქრობდა ჯევრიე.

ეს ამბავი დაუჯერებელი იყო. მაგრამ ეს დაუჯერებელი და საშინელი ამბავი უკვე მოხდა. ის პოლიციელებმა დაიჭირეს.... და... ეხლა...

არა, არა. ასეთი რამის მოთმენა შეუძლებელია.

ჯევრიეს ყვირილი უნდოდა. „ნეტავ ციხეში მოვმკვდარიყავ და ასეთი ამბავი არ გამეგო“, — ფიქრობდა ის.

— დედამისს არაფერი უთქვამს. — თქვა ქერიმმა. — მაშინ დედამისი გამოუშვეს. ის ეხლა სხვა საქმეზე დაიჭირეს, დანაშაულზე წაუსწრეს. ეს ახალი დანაშაულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

გულში შავი დარდი აქვს

უდზე დამკვრელი სიმღერას განაგრძობდა.

„გულში შავი დარდი აქვს“.

დიახ, მას შავი დარდი ჰქონდა.

ჯევრიეც გრძნობდა ამას. „დღემდე ამ ქვეყნად არავინ არავის ისე არ ჰყვარებია, როგორც მე ის მიყვარს!“ — ფიქრობდა ჯევრიე.

ნაღველით მოცული გული ცოფიანი მგელივით უღრღნიდა მკერდს.

ჯევრიეს უნდოდა ქუჩებზე და გამზირებზე აეტეხა აურზაური და მთელი ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა მ ი ს გადასარჩენად.

ქერიმისათვის მ ი ს ი დანაშაული არ უკითხავს... ჯევრიეს ვერ გაეგო — ისეთი რა დააშავა ამ შესანიშნავმა ადამიანმა, რომ სიკვდილი მიუსაჯეს.

მისი მსგავსი, მასავით ზრდილი, სერიოზული და გულთბილი კაცი ჯევრიეს არ უნახავს ამ ქვეყნად.

ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, რა დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდა, რაც არ უნდა რქმეოდა, ჯევრიეს მაინც უნდოდა მ ი ს ი სიცოცხლე.

რამდენჯერმე პოლიციის სამმართველოში მისვლა და მისი ნახვაც კი უნდოდა... მაგრამ ვინ ეკითხა... სახელიც რომ ცოდნოდა, მისი მოკითხვა მაინც საშიში იყო... ვინ იცის, როგორ ეძებს პოლიცია ისეთ კაცს, რომელიც მას იცნობს... მერე კიდევ, თვითონ მას ბოლუში გააგზავნიდნენ. ის მარტოხელა პატიმარია... არავინ მოძებნის, არავინ მოიკითხავს.

ჯევრიე დროდადრო მიდიოდა ხოლმე ქერიმთან.

— დედა ყავს, თუ დადის მის სანახავად? — ჰკითხა ერთხელ ჯევრიემ.

— როგორ მოიკითხავს, ხომ გამოაშკარავდა ვინც არის... ქალმა მთელი მისი სურათები დაწვა. ერთმანეთს თუ შეახვედრეს, ის იტყვის ჩემი შვილი არ არისო.

*

* *

ციხეში ყოფნისას ჯევრიე ეზოში აუზის წყალს დასცქეროდა და ზღვა ახსენდებოდა. ეხლა კი მარმარილოს ზღვას დასცქეროდა და ციხის აუზი აგონდებოდა.

მისთვის უკვე სტამბოლში ყოფნაც აღარ იყო სასიხარულო. ქუჩები ციხის საკნებზე უფრო პირქუში ეჩვენებოდა.

ჯევრიე ცდილობდა როგორმე ბოლუში არ გაეგზავნათ, რომ საშუალება ჰქონოდა დროდადრო მისულიყო ქერიმთან და მისი ამბავი გაეგო ხოლმე. ის ფარულად ცხოვრობდა, რომ პოლიციას არ ჩავარდნოდა ხელში.

ჯევრიეს ესეც აწუხებდა.

ბოლოს და ბოლოს, ფული ხომ უნდა ეშოვნა...

დღისით ხან ბარბას ოთახში, ხან კი სუმბულ-დუდუსთან ეძინა ხოლმე. მთელი ღამე კი გარეთ იყო...

თუმცა, ფულიც რომ ჰქონოდა, ასე იზამდა. გამწარებული სულ ქუჩაში იყო, გიჟივით დაქროდა ზევით-ქვევით ამ ტალახში და გახურებულ სახეს წვიმაში იგრილებდა.

სწორედ ერთ ასეთ ღამეს მივიდა ის გალათაში, სვირანგობის ყველაზე უფრო სახელგანთქმულ ოსტატთან და ორივე მაჯაზე ხელბორკილები დაახატვინა... ჯევრიე საკუთარ თავში ვეღარ ეტეოდა... და მიუხედავად იმისა, რომ იძულებული იყო პოლიციას დამალვოდა, ყოველ ღამეს, როგორც წესი, ჩხუბით ამთავრებდა.

ჯერ ვინმე მამაკაცს გამოიჭერდა, მერე სმას დაიწყებდა მასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმდენს დალევდა, რომ თავს ვეღარ იმორჩილებდა, იწყებდა ბიძგ-ბის მტვრევას, ჩხუბს, დავას და უმიზეზოდ ესროდა ბოთლებს მეზობელ მაგიდებთან მსხდომთ. ხან თავს გაუტეხავდა ვინმეს, ხან თვითონ მობეგვავდნენ. იმართებოდა ცემა-ტყეპა და არ მოისვენებდა მანამ, სანამ სიკვდილის პირზე არ მივიდოდა და უგონოდ არ მიეგდებოდა სადმე.

*

* *

მაჯებზე ხელბორკილი იმიტომ დაახატვინა ჯევრიემ, რომ მის დანახვაზე ბორკილდადებული სატრფო გახსენებოდა და გულს ნაღველი მოსდებოდა.

ჯევრიეს ასე ეგონა, თუ მაჯებზე ხელბორკილი ექნებოდა დახატული, ამით მ ა ს სასჯელს შეუმსუბუქებდა.

ძალიან გაბიცდიდა ჯევრიე, რომ ვერაფერს აკეთებდა მ ი ს გადასარჩენად.

ხელბორკილების დანახვაზე ჯევრიე ხვდებოდა, რომ უძლური და უსუსური იყო მ ი ს გადასარჩენად და თავს აღარ ზოგავდა.

— ჩემო, „შავი დარდით შეპყრობილო!“ — ეძახდა მას სუმბულ-დუდუ.

სელე-შევქის ებრალებოდა ჯევრიე.

— აბლა, ერთხელ შენცა სინჯე ეს მექის წმინდა მიწა, — ეუბნებოდა ის ჯევრიეს და ოპიუმს სთავაზობდა. — ღმერთმანი, კაი რამეა. ამ ქვეყნად ყველაფერს დაგავიწყებს, დარდსაც და ნაღველსაც... ოან ორგანიზმსაც უხდება... — იტყოდა ის და თითებს გადაუსვამდა ხოლმე ოპიუმს, რომელიც ხელში ეჭირა: — ჩემო თმაყვითელო გოგონავ, ორი რამ მაბადია ამ ცხოვრებაში, ერთი ჩემი გიულლუ და ერთი შენ. სხვა მე არავინ გამაჩნია.

ჯევრიეს ძალიან ეშინოდა ოპიუმისა, რამდენჯერმე გაასინჯეს, მაგრამ ვერ მიეჩვია.

— ლომის რძე უკეთესია. ჩვენ მამაპაპურს არ ვღალატობო, — ამბობდა ჯევრიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

იმ დღიდან, რაც მან ქერიმთან იტირა, ჯევრიეს თვალებზე ცრემლი აღარავის უნახავს. თვალები ამოუშრა, ბაგეები გაუშრა.

ალაპარაკდება თუ არ ალაპარაკდება? იტყვის თავის ვინაობას და გამოაშკარავდება, რომ წინათ სიკვდილი ჰქონდა მისჯილი?

ჯევრიე ამ შიშის სიმძიმის ქვეშ და ამ ეჭვით ცხოვრობდა. მას მუდამ ელანდებოდა გარიჟრაჟზე სულთან აჰმედის მოედანზე აღმართული სახრჩობელა და ზედ დაკიდებული კაცი.

ახლა მას ერთთავად თვალწინ ედგა ჩამოხრჩობის სცენა: სიკვდილმისჯილი მწვანე, გაშეშებული თვალებით, თავზე მარყუჟის ჩამოცმის მომენტი. და აი, უეცრად ქრებოდა ეს სახე და მის ადგილს ი ს იკავებდა.

მ ი ს ი სახე... ამ დროს ჯევრიე ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებს. გადის ქუჩაში, სამიკიტნოში ეძებს ცალს, პირველსავე შემხვდურს ნებდება და ცდილობს დაივიწყოს, დაივიწყოს, დაივიწყოს, თვალებიდან ამოიშალოს ეს ხატება. მაგრამ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ჯევრიე უეცრად გასხლტომია მამაკაცს, რომელიც პაპიროსისა და არყისაგან აყროლებული ტუჩებით ეძებდა მის ბაგეებს, ხელი უკრავს და ლანძღვა-გინებით გიჟივით გაქცეულა იქედან.

ჯევრიეს არსებაში შეპარული სიყვარული, რომელიც მორწმუნე ადამიანის გულში ლოცვის შემდეგ დაბუდებული სიმშვიდის ტკბილ გრძნობას ჰგავდა, ეხლა უეცრად ულმობელ, გამანადგურებელ კატასტროფად მოიქცა.

აი, ეხლაც, ჯევრიე სუფრიდან წამოდგა და წამოვიდა.

მას ისევ ევიწროვა ეს პატარა სამიკიტნო, თან სიმღერამ და ზომბი-რეჯების ხვევნა-კოცნამ აუტანელი ნაღველი მოჰგვარა.

ყოველთვის ასე შვრებოდა... და ზომბიც უკან მიჰყვებოდა ხოლმე.

გარეთ ცივი ღამე იდგა. ცაზე ბრდღვიალა მთვარე და სიცივისაგან ათრთოლებული ვარსკვლავები კიაფობდნენ.

ჯევრიე ისუნთქავდა ცივ ჰაერს და წინ მიიწევდა.

— სად მიდიხარ? — მკაცრი ხმით ჰკითხა მას ზომბი-რეჯებმა,

წამოეწია თავის დიდრონი ნაბიჯებით და წელში სწვდა. ჯევრიემ არ იცოდა რას ეუბნებოდა:

— გასწი, — პასუხობდა ჯევრიე, — აუშვი აფრები... თავი დამანებე...

— სუფრა რა, იმისთვის გავშალეთ, რომ აგვირიო? თუ თხუთმეტი წლის გოგოსავით გაიდე თავპატიჟი?

ჯევრიე მთვრალივით განაგრძობდა სიარულს. ის მიდიოდა პირდაპირ, მისი თვალები თითქოს ვერ არჩევდნენ მარჯვენას და მარცხენას.

ჯევრიემ ერთი გულიანად შეიგინა.

— კისერი გიტეხია, მოუსვი, გასწი აქედან!

ზომბიმ მაგრად მოხვია წელზე ხელი და გააჩერა.

— დაბრუნდი-მეთქი, კახპავ, ეგ ნომრები სხვაგან გააკეთე, ჩემთან ფეხი არ ჩაგივა, გესმის?

ჯევრიე არყისაგან ამღვრეული თვალებით შესცქეროდა ამ საშინელი, ნახევრად ცხოველური სახის კაცს, მაგრამ ეს სახე ტრიალებდა, იზრდებოდა, ისევ პატარავდებოდა და რაღაც უცნაურ ფორმებს იღებდა, ჯევრიემ ძლივს ასწია თავი და:

— რა გინდა ჩემგან? — ჰკითხა მან.

ზომბი-რეჯებმა მაგრად შემოჰხვია წელზე ხელი და თავისაკენ მიიზიდა.

— რა გინდა ჩემგან? — გაიმეორა ჯევრიემ.

რეჯების სახე ისე ტრიალებდა მის თვალწინ, რომ დიდხანს ვერ უცქირა და მის მკერდზე ჩაჰკიდა თავი.

სიმთვრალისაგან ენა ებმოდა.

— ვერა ხედავ, რა დღეში ვარ, ვერა ხედავ?

სამიკიტნოს ღია კარებიდან უდზე დამკვრელის ხმა გამოდიოდა:

„ჩემს ჯევრიეს შავ თვალებზე ეტყობა,
„გულში შავი დარდი...

— გულში შავი დარდი მაქვს! — წარმოთქვა ჯევრიემ. — ვერა ხედავ გულში შავი დარდი მაქვს...

და აქვითინდა.

რამდენიც არ უნდა დაელია, სიკვდილის პირამდეც რომ მისულიყო, მაინც არ ავიწყდებოდა, რომ მ ა ს სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, რომ ამ

წუთში მ ი ს ი სიცოცხლე საშიშროებაში იყო, რომ ძალიან იყო ნახვას დანატრებული.

ზომბი-რეჯები გულში იკრავდა მას.

მთვარე ცივ და უსიცოცხლო სხივებს აფრქვევდა... მიწა გაყინული იყო, ჭრიალი გაქონდა... უდზე დამკვრელი სიმღერას განაგრძობდა:

სად ხარ, ფოსფორიანო?
ყოჩაღ, ფოსფორიანო!

ჯევრიეს ყურებში უწიოდა ეს სიმღერა და ეს სიტყვები:

ყოჩაღ, ფოსფორიანო,
აქ ხარ, ფოსფორიანო,

დიახ. სტამბოლის ქუჩების, ქოხ-მახებისა და სამიკიტნოების ფოსფორიანი, ფოსფორიანი ჯევრიე განა ის გოგო იყო, რომელსაც ეხლა გული უსასრულო შიშის მოლოდინითა აქვს სავსე? თამამი ჯევრიე, მთვრალი სუფრების მშვენება... ნუთუ ფოსფორიანი ჯევრიე იყო ის უმწეო ქალი, რომელიც ეხლა ზომბის მკერდზე მიყრდნობილი ქვითინებდა?

ჯევრიემ უეცრად აიღო თავი ზომბის მკერდიდან. მისი თმები ვარსკვლავებად აციმციმდნენ. მან მუშტებით გაიმშრალა თვალები და ხელის ზურგით ცხვირი მოიწმინდა.

— შიგ შემოდი, შიგ! — უთხრა მან ზომბის. — ცეკვა მინდა.

ჯევრიემ მკლავში წაავლო მას ხელი და სამიკიტნოს ღია კარებისაკენ გაიყოლია.

*

* *

ეხლა ის შუა სამიკიტნოში იდგა და მღეროდა:

ნავმისადგომი ხიდის თავშია,
ჩემი მიჯნური მიდის ჯარშია.
განა ცოტა ხნით, ჩემო ჯევრიე,
სამ წელს ვიქნები იმის ჯავრშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენები ერთხმად მღეროდნენ და ტაშს უკრავდნენ:

სად ხარ, ფოსფორიანო?
ყოჩაღ, ფოსფორიანო!

— აბდი, — დაუყვირა ჯევრიემ უდზე დამკვრელს, — ერთი „ჩემი კარავი“ დაუკარი.

უდზე დამკვრელმა ჰანგი შეცვალა. ეხლა ჯევრიე თან მღეროდა და თან ცეკვავდა.

ჯევრიე ცეკვავდა და რომელ მაგიდასაც კი წამოედებოდა, წიხლსა კრავდა და ააყირავებდა. მასზე უკეთ ვერავინ ცეკვავდა.

მთელი ტანის მოძრაობა მუსიკას იყო აწყობილი. მხრებს ათამაშებდა, წელში ცეცხლის ალივით იგრიხებოდა და ისე დასრიალებდა, თითქოს მიწას არ აკარებს ფეხებსო. ზომბი კარებში იდგა და უსიცოცხლო თვალებით შესცქეროდა მას.

დანარჩენები ტაშს უკრავდნენ.

სელე-შევქის თავი გიულლუს მსუქან მკერდზე მიედო, უაზრო თვალებით იცქირებოდა... გიულლუ ტაშს უკრავდა და ყვიროდა:

— ვაშა, ფოსფორიანო!

— აბლა, შენი გულისთვის სულს მისცემს კაცი. — გაიძახოდა თორფილ-შერეფი.

ჯევრიე ცეკვავდა.

— არ შეწყვიტო, აბდი, არ შეწყვიტო, — გაჰყვიროდა ჯევრიე. — იცოდე, დანით აგიხელ მაგ ბრმა თვალებს. ეხლა „შენი თავი მე რომ მომცა“ დაუკარ.

აბდის ხმაზე თანდათან მხიარულდებოდა სამიკიტნო.

თმებს გადაგიგცევ ვერცხლის კონებად,
ოღონდ მხვდე წილად,
ჩემი სიცოცხლე დაგემონება...

ბრმა მუსიკოსი განაგრძობდა სიმღერას:

სატრფო ავად გამიხადა სევდამ,
მივუსწარი, როცა სულსა ლევდა.

— გაჩუმდი! — იყვირა ჯევრიემ გამწარებული ხმით... — გაჩუმდი, აბდი, თორემ გაგიხეთქე თავი.

ათრთოლებული ჯევრიე ერთ ადგილზე იდგა.

ხელში მაღლა აწეული ბოთლი ეჭირა.

„ბოლო წუთში მივუსწარი“... სიკვდილი... უკანასკნელი ამოსუნთქვა... სახრჩობელა... დილის რიჟრაჟი...

ჯევრიეს თავბრუ ესხმოდა... სამიკიტნო ტრიალებდა... ქვეყანა ტრიალებდა... აურზაური იდგა.

თორფილ-შერეფმა რწყილივით ისკუპა და ხელიდან ბოთლი გამოსტაცა.

— აბლა... ცეცხლი ხარ, ცეცხლი, ვაშა, ფოსფორიანო!

ჯევრიე ერთხანს ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა ბოთლი... და შეეჭიდა თორფილ-შერეფს, მაგრამ ის მაინც მამაკაცი იყო და ჯევრიეს კი ფეხზე დგომის თავიც არ ჰქონდა.

თორფილ-შერეფმა გამოსტაცა თუ არა ხელიდან ბოთლი, ჯევრიე ისე უეცრად დაენარცხა იატაკს, თითქოს საყრდენი გამოაცალესო... ის იატაკზე გორავდა.

— რა მთვრალია! — თქვა სელე-შევქიმ.

— მთვრალი კი არა, გამსკდარა და ის არის!

— ასეთ მთვრალზე იტყვიან, გალეშილიაო, — თქვა ბოხი ხმით ზომბიმ და ჯევრიეს მიუახლოვდა, მხრებში ხელი ჩაავლო, წამოაყენა, წელზე ხელი მოხვია, მაგიდასთან მიიყვანა და გვერდით მოისვა.

— რა მოგივიდა, ჯევრიე? — ეუბნებოდა გიულლუ, — რა მოგივიდა?

— გულში შავი დარდი მაქვს... გულში შავი დარდი მაქვს... — ტირილითა და ოხვრით უპასუხა ჯევრიემ.

ეს შავი დარდი, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს სამარემდე მიიყვანდა მას.

ჯევრიეს იმედი არა ჰქონდა, რომ ამ დარდს თავს დააღწევდა.

არც სასმელი, არც მხიარულება, არც გართობა, არაფერი ერთი წუთითაც არ ავიწყებდა ჯევრიეს მ ი ს მდგომარეობას. მთელი მისი ფიქრები თანდათან სულ ერთ წერტილში იყრიდა თავს — ეს იყო ის საშიშროება, რომელიც მ ა ს ელოდა.

ჯევრიეს უკვე აღარ შეეძლო წინანდებურად ცხოვრება, ის სიამოვნებას ვეღარ გრძნობდა ძველებურ ცხოვრებაში. აქაური საქმეებიც არა ჰქონდა ბრწყინვალედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციას თუ ჩაუვარდებოდა ხელთ, აუცილებლად ბოლშევიკებს დაასახლებდნენ... გამოფხიზლებულ ჯევრიეს რცხვენოდა წინა ღამით ატეხილი აურზაურისა და წუხდა ხოლმე. „დასწყევლოს ღმერთმა, — იტყოდა ის თავისთვის, — პოლიციაში რომ წავეყვანეთ!“

დღისით უკანა ქუჩებით დადიოდა, სუმბულ-დუდუს უკაკუნებდა კარზე.

ამ სახლში სუმბულ-დუდუ მუდამ მომღიმარი სახით ხვდებოდა მას.

— აჰ, ჩემო ერთადერთო, — მიესიყვარულებოდა სუმბულ-დუდუ.— ერთ დღეს კარებზე რომ არ მომიკაკუნებ, გული ამოვარდნაზე მაქვს, სად არის ჩემი მარგალიტი-თქო.

სუმბულ-დუდუ ჯევრიეს ყავას მოუხარშავდა, ჭიქას გადააპირქვავებინებდა, უმკითხავებდა და ქვედა სართულის ოთახში გამოაძინებდა საღამომდე. თუ ჯევრიე ლაპარაკობდა, ისიც ელაპარაკებოდა, თუ არა და სუმბულ-დუდუც არ იღებდა ხმას.

თუ მომსვლელთა შორის ვინმე ისეთიც იყო, რომ საჭმელსა და სასმელს შეუკვეთავდა, მაშინ ერთ სინს ჯევრიესაც არგუნებდა.

ყველაზე მეტად ჯევრიეს ყავაზე მარჩიელობა აინტერესებდა.

— მოდი, სუმბულ-დუდუ, ფინჯანი უკვე გაცივდა! — გასძახებდა ხოლმე ჯევრიე სუმბულ-დუდუს.

მოხუცი ქალი ფანჯარაზე დაჯდებოდა, ტანით უკან გადაიწეოდა და ფინჯანზე მკითხაობას შეუდგებოდა.

— ჯევრიე, ჩემო ჯევრიე, — იტყოდა ის, — ეს რაები გემართება. შენი გულის ზედ შუა ნაწილს შავი ფერი ადევს უკუნეთ ღამესავით. საგულეში ჩემი თავისოდენა ქვა გიძევს... ცრემლები გაქვს, ჩემო ჯევრიე... მაგრამ ახალგაზრდა ხარ და ტყუილად ნუ იტანჯავ თავსა... ყველაფერი ღვთის მოცემულია და მასვე მიაქვს. ნუ გგონია, რომ ღმერთი არ გიშველის.

ჯევრიეს ამ დროს იმედის ნაპერწკალი უციმციმებდა თვალში და ისმენდა.

— კიდევ რა არის, სუმბულ-დუდუ?

— კიდევ რა არის და რა არ არის კიდევ... სადღაც ხელზე თავდაყრდნობილი ახალგაზრდა მამაკაცი ზის, ის სულითა და გულით შენთან არის... ფიქრობს, ცოცხალია თუ არა ჩემი ფოსფორიანიო... ოღონდ თქვენ შორის კედელია აღმართული. თუ გადაახტებით და გადალა-

ხავთ... ორი გული რომ შეერთდება, საბზელიც სამოთხედ გადაიქცევა მათთვის.

სუმბულ-დუდუ თვალებში უცქერდა ჯევრიეს, ისმენდა მის ნალაპარაკევს და ხვდებოდა, რომ მათი მთქმელი შეყვარებული იყო, ამ სიტყვებს უწყობდა თავის ნათქვამს და მის დამშვიდებას ცდილობდა.

— ჯევრიე, ჩემო ჯევრიე... მშვიდად იყავ. სადმე გამოჩნდება შენი ვარსკვლავი. ფარშევანგი, რომელსაც ბედი ნისკარტით უჭირავს, ისეა შენ ფერხთ გართხმული, თითქოს ალექსანდრე მეფის შვილი ყოფილიყავ. არაჩვეულებრივი ბედი გაქვს... მაგრამ ვერა ხედავ... როგორ გითხრა... ჩემო მტრედო... ჯოჯოხეთის ანგელოზებმა თითქოს მოჯადოებულ წრეში ჩაგაგდეს... რამდენს არ იქნევ ფრთებს, მაგრამ მაღლა ვერ მიდიხარ. ვერ მიფრინავ, ჩემო ჯევრიე. ადამიანის გული ბულბულია. თუ არ კვნესის, შუაზე გასკდება. სიყვარულს რომ ამბობ, ცეცხლია, ვინც შიგ მოხვდება, მწვადივით იწვის. გულში შავი დარდი გაქვს, ჩემო ჯევრიე... მოიშორე ეგ სევდა... ხელი აიღე მასზე, ცხოვრებაში შესანიშნავი გზა გაქვს გახსნილი, წინ იცქირე, უკან ნუ იყურები... რაც იყო, იყო... თუ მიუხვდი, რას განიშნებს შენი ბედი, ცხოვრების გაუღიმარი და მკაცრი სახე გაგიღიმებს... მაგრამ გულში კი შავი დარდი გაქვს!..

ჯევრიემ ხუმრობაში მოინდომა ამის გატარება:

— რაო, ამბავი ხომ არაფერია ჩემთვის, კიდევ ვნახავ თუ არა ჩემს საყვარელს?

— წამსვლელი რომ ბრუნდებოდეს, მაშინ ყაზაზი ართინი სტამბოლის გუბერნატორი იქნებოდა. შენ გინახავს, რომ წასული მობრუნებულიყოს? რამდენი ნაძირალა გამოიცვალე სიცოცხლეში? ძველზე რომ მოთხოვნა იყოს, მაშინ ძველმანების ბაზარს ნათელი დაადგებოდა. ჩემო ჯევრიე... სიყვარული მიდიასა[1] ჰგავს. ცხელ-ცხელსა აქვს გემო... ცოტა თუ გააცივ, აღარ იჭმევა. პირველი მსოფლიო ომის დროს ერთ გერმანელ მეზღვაურთან მქონდა რომანი. ის ერთი ცნობილი გერმანელი პოეტის ფილოსოფიურ სიტყვებს მეუბნებოდა. ნუ მისტირი ტრამვაით გაქცეულ სატრფოს, იქვე ახალი მოგივაო.

ჯევრიე სუმბულ-დუდუს შესცქეროდა და იმეორებდა:

---

[1] მ ი დ ი ა — საჭმელი ლოკოკინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ არაფერი ამბავია? სრულებით ვეღარ ვნახავ?

— ნახავ, ჩემო ჯევრიე, ნახავ, მაგრამ ერთი თვე გითხრა თუ ერთი წელიწადი... ერთი კვირა და ერთი დღე... არა... საკმაო ხანი გავა... — აწყნარებდა სუმბულ-დუდუ.

— ჩემზე ფიქრობს, არა?

— ვისაც ერთხელ მაინც გაუტარებია დრო ჩემს ფოსფორიანთან, განა დაივიწყებს მას? შვილო, ასე ცუდად რატომ უცქერი შენს თავს. შენზე არც ერთი მუშტრისაგან არასოდეს საჩივარი არ გამიგონია... ყველას ბატკანივით უყვარხარ. ყველა მეკითხება, სად არის ჩემი ჯევრიეო; ერთხელ კიდევ მოგვიყვანეო — კარებს მიმტვრევენ... შენი ძველი ჰაჯი აღა ხომ გახსოვს? ისევ სტამბოლში ჩამოსულა, გეძებს... აუცილებლად უნდა, რომ სახლი დაგიქირავოს, მანტო და ტანსაცმელი გიყიდოს. ჯევრიე, დედად თუ არა, უფროს დად ნამდვილად გამოგადგები... სიყვარული იარაა, თუ მალამო არ მოუნახე, ახალგაზრდობა ვარდის კოკორია, გაიშლება და დაჭკნება. თვალები გაახილე, ბოლოს რომ ინანო, ფასი აღარ ექნება... უკანასკნელი გემი თუ გაუშვი, გულხელდაკრეფილი დარჩები ნავსადგურში... ერთ, თავის დროზე ცნობილ ფილოსოფოსს ასეთი შესანიშნავი სიტყვები უთქვამს:

> სანამ გაქვს იგი, აფასებდე ჭაბუკურ ღონეს,
> თორემ სიბერე მალე მოვა, არ დააყოვნებს.
> იყო დრო, როცა ახალგაზრდა ვიყავი მეცა,
> ახლა შავი თმა, როგორც ხედავ, ჭაღარად მექცა.

ეჰ, არ გესმის, ჯევრიე, ახალგაზრდა ხარ, თორემ სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანს. ძველი ისტორიები რომ წაიკითხო, რაებს არ გაიგებ... ჩვენ თავის დროზე ცხონებული აბდურეზაკ ეფენდის დასში „ერნანის“ და „დაუნდობელ მეცხვარეს“ ვთამაშობდით... სიყვარული იქ უნდა გენახა. რა იყო ის, რამაც ოტელოს ხელები სისხლით შეუღება, ახალგაზრდა დეზდემონა შავ მიწაში ჩააგდო, ოფელია გააგიჟა? სიყვარული არ იყო? სიყვარულისაგან ვის უნახავს ხეირი? ალექსანდრე მეფეც სიყვარულის გამო მოკვდა, მე ისტორია კარგად ვიცი... ახალგაზრდობა ტყუილად არ გამიტარებია. ლეილი და მეჯნუნი არ წამიკითხავს? რა თქვა პოეტმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

Სიყვარულია ჩემი მკვლელი, სხვა არ გეგონოთ,
გამშორდეს ბარემ, რომ არასდროს აღარ ვემონო.

რა დიდებული სიტყვებია... გესმის რა დიდებული სიტყვებია! ყველა დიდი ადამიანი, რომლებთანაც კი მე ურთიერთობა მქონია, ჩემი ყურის ძირში კითხულობდნენ ამ სიტყვებს, მე ცხოვრებაც მინახავს, ჩემო ჯევრიე, და სიყვარულიც შესწავლილი მაქვს... მისგან არც მოსვენებაა და არც საშველი. ერთ დროს ამ გალათაში ცნობილი ბენლი[1]-აიგანუში იყო. ის ამბობდა — ცხოვრებაში ბედნიერება ის კი არ არის, როცა ვინმე გიყვარს, არამედ როცა ვინმეს უყვარხარო, ვინც ოქროს გულისათვის ჩრდილო ამერიკაში წავიდა და მერე გადაწყვიტა, რომ სამხრეთში ეძებნა, არც კი იცოდა, რომ ეს ოქრო თვითონ იყო. ქრისტეფორე კოლუმბმა კვერცხებით სავაჭროდ ზღვები და ოკეანეები გადალახა და ტკბილი სიცოცხლე საშიშროებაში ჩაიგდო. მაგრამ იმან, ვისაც არავინ უყვარს და თვითონ კი საყვარელია, ერთი ისკუპა და მოაჯდა ოქროს.

სუმბულ-დუდუს ლაპარაკში ჯევრიეს ნელ-ნელა ებლიტებოდა თვალები და დაღლილობას შებრძოლებული ძილი ქუთუთოებს ერთმანეთისაკენ ეწეოდა.

*

* *

ასე გავიდა ერთი-ორი თვე.

ჯევრიე დროდადრო შედიოდა ხოლმე ქერიმთან, მაგრამ ნამდვილ ამბავს ვერც მისგან იგებდა.

ისხდნენ საყარაულო ოთახში და საუბრობდნენ.

ქერიმი ჩაის უმზადებდა, ჯევრიე კი იჯდა, ნელ-ნელა სვამდა ჩაის და უდიდესი სიამოვნებით ესაუბრებოდა მ ი ს შესახებ.

— რა დააშავა, რომ სიკვდილი მიუსაჯეს? — ძლივს იკითხა მან ერთ საღამოს აკანკალებული ხმით და სანამ ქერიმი პასუხს გასცემდა, ატირდა.

---

[1] ბ ე ნ ლ ი — ხალიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გატირებს? — ჰკითხა ქერიმმა და მიუახლოვდა.

მან ლოყაზე მოუთათუნა ხელი და გულში ჩაიკრა ჯევრიე.

— ძლიან გიყვარს?

ეს წუთი უბედნიერეს წუთად იქცა ჯევრიეს სიცოცხლეში. მას ბაგეები ეწვოდა ამის სათქმელად, უნდოდა მოედანზე ხმამაღლა ეყვირა და ყველასათვის გაემჟღავნებინა თავისი გრძნობა. იგი ამაყობდა ამ გრძნობით. ჯევრიეს სწამდა, რომ ის აამაღლა ამ სიყვარულმა და ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომლისთვისაც აქამდე არ მიუღწევია.

ჯევრიემ ცრემლიანი თვალები მიაპყრო ქერიმს.

— ძალიან გიყვარს? — ჰკითხა ქერიმმა.

— ვკვდები, ისე მიყვარს, ვკვდები. — უპასუხა ჯევრიემ და ისე ამოიოხრა, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამოიხსნაო.

ქერიმი სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდა ჯევრიეს.

ღუმელში ცეცხლის ალს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა. ცეცხლზე სპილენძის თუნგი და პატარა ჩაიდანი იდგა.

ოთახში ნახევრად ბნელოდა და ჩაის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა.

ქერიმმა მხარზე და ლოყაზე მოუთათუნა ჯევრიეს ხელი:

— საწყალო ბავშვო!..

ჯევრიე თავს ვეღარ იკავებდა და ეუბნებოდა ყველაფერს, რასაც აქამდე ფიქრობდა და გრძნობდა:

— ისე მიყვარს, ისე მიყვარს, რომ ვკვდები, აბი... შენ იქნებ არ დამიჯერო... იტყვი, ეს ვიღაც ქუჩის ქალია და ალბათ ტყუისო. მაგრამ, დედა შემერთოს ცოლად, თუ მართალს არ ვამბობ. პური გამეჩხიროს ყელში. როცა მასთან მოვდიოდი, ისე დავიბნეოდი, როგორც თხუთმეტი წლის გოგო, რომლისთვისაც თავის ცხოვრებაში მამაკაცს ხელი არ დაუკარებია... მასთან ლაპარაკისაც კი მრცხვენოდა. ვერაფერს ვეუბნებოდი. ღმერთი იყოს ჩემი შემწე, ისე მიყვარს, როგორც ალაჰი უყვარს ადამიანებს და სამაგიეროს არაფერს ითხოვს სიყვარულისათვის. მე მისი სიცოცხლე მინდა მხოლოდ... მას რომ რამე დაემართოს... როგორა ვთქვა... ვერ მომიხერხებია... მისი დაპატიმრება რომ გავიგე, მტრად გავუხდი მთლად ადამიანებს. როცა გამახსენდება, რომ უნდა მოკლან, მინდა სახლებს ცეცხლი წავუკიდო, ადამიანებს ვცემო, ფანჯრები დავამსხვრიო და ცოფიანი ძაღლივით ვიყმუვლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმან იცოცხლოს, მე, მე მოვკვდე, თანახმა ვარ... მე მოვკვდე... მოვკვდე, ახალგაზრდა, ახალგაზრდობით დაუტკბობელი... დე, ღმერთმა მიიბაროს ეს ჩემი ტკბილი სული, არაფერს დავეძებ... არაფერს დავეძებ, აბი... მე ვიცი, რაც არის ციხე... მე ვიცნობ ჩაკეტილ კარებს, რკინის ცხაურებს და ხელბორკილებს. ვიცი რა მწარეა, როცა ზედამხედველი ისე გეპყრობა, თითქოს ქვისა იყო. რა მწარეა, როცა სხვას შესცქერი ერთი ჭიქა წყლისათვის, როცა გარეთ ქვეყანაა, ქუჩებია, ადამიანები არიან, როცა გარეთ ჰაერია, მზეა, ცა და ზღვა არის. ჩაკეტილ კარებში და დასაქცევ კედლებში ყოფნა... ვისაც ხელბორკილი არ უტარებია, იმან რა იცის მისი სიმძიმე... ციხეში ყოფნისას, იყო ხოლმე დღეები, როცა ქუჩებზე ვფიქრობდი, ტალახიან ქუჩებზე, ცივ, ჭუჭყიან და ტალახიან ქუჩებზე და ფეხზე ვიცქირებოდი... დავცქეროდი ჩემს უმოძრაოდ მყოფ ფეხებს და მინდოდა, რომ ფეხშიშველს ტალახში მევლო, მევლო და მერბინა. მინდოდა, რომ ღამე წვიმაში მევლო ტალახიან ქუჩებში, ხიდის ქვეშ დავწოლილიყავ, ღრუბლიან ამინდში ზღვისთვის მეცქირა და შიშველი ფეხები შიგ ჩამეკიდა კარგ ამინდში კი გიულჰანეს პარკში ვმჯდარიყავ სკამზე და ზურგი მზისკენ მიმეშვირა. ძალიან მონატრებული ვიყავი ამას... მინდოდა მევლო ისე, რომ წინ კედელი ან კარი არ დამხვედროდა, არავის ეთქვა: „შესდექ, არ გაიარო, აკრძალულია!“ მევლო მანამდე, სანამ თვალი მიმიწვდებოდა. მინდოდა მევლო უხელბორკილოდ, უჟანდარმებოდ, სანამ სული არ შემეხუთებოდა, სანამ სუნთქვას არ შევწყვეტდი და ძირს არ დავეცემოდი. მე არ ვიცი რასაც განიცდის ი ს ეხლა? განა ვერა ვხედავ, რომ ი ს ლომივით ბოლთასა სცემს და თავის ვიწრო გალიაში მზით განათებულ თვალუწვდენელ და უსასრულო გზებზე ფიქრობს. ყველაფერი, რასაც, ი ს განიცდის, გულსა მწვავს... მ ი ს ი ხელბორკილები ისე მიკლავს გულს, თითქოს მე თვითონ ვიყო შებორკილი. მინდა, რომ მიწა იძრას და დაიქცეს ის კარები, რომლის უკანაც ი ს ზის, დაიქცეს ის კედელი, რომლითაც ი ს ჩემს თვალებსაა მოფარებული. სიკვდილი მინდა... როგორ გითხრა... ასე მგონია, რომ სუნთქვის საშუალებას არ მაძლევენ... მინდა ყველგან ვიყვირო, ყოველ ქვას თავი ვახალო, ყოველ კაცს ყელში ვწვდე...

მისი გადარჩენა მინდა. მინდა, გაათავისუფლონ და თავისუფლად იაროს, როგორც ყველამ, უხელბორკილოდ და უჟანდარმოდ. ადამია-

ნებს სასახლეები, ფული, კეთილი ცხოვრება, ფახლავა [illegible] უნდათ, მე კი ერთხელ მაინც მინდა, რომ ის თავისუფალი ვნახო გრძელ გზაზე მიმავალი. მინდა ვნახო მიმავალი, ვნახო როგორ მიაბიჯებენ მისი ფეხები, მე რომ გრძელ გზაზე მიმავალი დამანახვა, ჩემთვის ეს ღვთის მოცემული საუკეთესო ჯილდო იქნება.

ჯევრიე ცოტა ხანს დადუმდა.

— ვუშველოთ რამე, ქერიმ აბი. — წარმოთქვა ისევ ჯევრიემ.

ქერიმი თავდახრილი იდგა. წარბები შეეკრა... ეტყობოდა, რომ რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს უცბად ასწია თავი, თითქოს რაღაც მოიფიქრაო, და ჯევრიეს მიმართა:

— ამ უბედურებისაგან მისი გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ არ უნდა გამომქღავნდეს მისი ვინაობა. შენ შეგიძლია მას დაეხმარო.

— რას ამბობ, ქერიმ აბი? — სიხარულით წამოიძახა თვალცრემლიანმა ჯევრიემ.

— წუხელ ორი კაცი კიდევ დაიჭირეს... ერთი მათგანი მე მიცნობს. მას შეუძლია ვარაუდით თქვას, რომ ის აქ ცხვრობდა. იმან თუ რამე თქვა, ცუდად იქნება საქმე. პოლიციამ მაღლა მისი ზოგიერთი ნივთი თუ იპოვა, მაშინ შეიძლება მიხვდეს, ვინც არის... ეს ისეთი ნივთებია, რომ არ დაიწვის, ლითონისაა. ზღვაში უნდა გადაიყაროს. მომეხმარები, რომ წავიღოთ და ზღვაში გადავყაროთ?

— აუცილებლად...

— მაშინ ამ საღამოს, ბინდი, რომ ჩამოწვება, აქ მოხვალ... ერთ პაკეტს მოგცემ. მძიმეა. მე კი ორს წამოვიღებდი...

ქერიმმა აუხსნა, სად უნდა ჩამსხდარიყვნენ იმ ღამეს ნავში. ეს პაკეტები ყველაზე ღრმა ადგილას ქალწულის კოშკის[1] წინ უნდა გადაეყარათ ზღვაში. ქერიმმა დაარიგა ჯევრიე, შემდეგ ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— როცა ის გათავისუფლდება და გაიგებს რომ დაეხმარე, შენ მისი საამაყო ადამიანი გახდები.

— საამაყო? — მღელვარებით იკითხა ჯევრიემ და თვალზე ცრემ-

---

[1] კოშკი ბოსფორის სრუტისა და „ოქროს რქას“ შორის.

ლი მოადგა. — რომც არ მიყვარდეს, ამას მაინც გავაკეთებ... მთელს ჩემს ცხვრებაში მხოლოდ ის მომექცა როგორც ქალბატონ... ... გამომიყვანა ადამიანებში.

*

* *

თებერვალი იყო, მაგრამ თბილი საღამო იდგა... ნაადრევ სითბოს ნუში შეეცდინა და თეთრად გადაეფურჩქნა.

სახლებში ჯერ კიდევ ციოდა. გარეთ კი გაზაფხულის სითბო ეალერსებოდა ადამიანს.

ჯევრიე დანიშნულ დროზე მისულიყო ქერიმთან და პაკეტი წამოეღო.

გეგმა მზადა ჰქონდათ. ჯევრიე უნდა ჩამჯდარიყო ფინდიქლის სანაპიროზე მიბმულ ნავში და ქერიმს დალოდებოდა. შემდეგ გავიდოდნენ ზღვაში, პაკეტებს გადაყრიდნენ, გამოვიდოდნენ სადმე სხვა სანაპიროზე და სხვადასხვა მხარეს გაემართებოდნენ, ოღონდ, მეორე დღეს, შუადღისას, ორივე უნდა გამოჩენილიყო კარაქიოიზე ხორცის დუქნის წინ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ არაფერი შემთხვევიათ და ისე გაცლოდნენ იქაურობას, თითქოს ერთმანეთს არც კი იცნობდნენ. ჯევრიე მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოვიდოდა და ნახავდა ქერიმს.

„ის შენით იამაყებსო“, მითხრა ქერიმმა“, — ფიქრობდა ჯევრიე და ხელში მძიმე პაკეტით მიაბიჯებდა ბნელ ქუჩაზე. თუ გათავისუფლდა და ისევ შეხვდა ჯევრიეს, ეტყოდა, მე შენით ვამაყობო.

ამიტომ აუცილებელი იყო ნაკისრი საქმის წარმატებით დასრულება, მოვალეობის შესრულება.

ნაცნობ პოლიციელს რომ შეხვედროდა, შავად იყო საქმე. მაშინვე დაიჭერდნენ და პაკეტის ამბავიც გაიხსნებოდა. ის კი გაიგებდა და იფიქრებდა, გამცაო. „ხომ მოვკვდი სირცხვილით“, — ფიქრობდა ჯევრიე. თუნდაც გაეგო, რომ ასე არ მოხდა, ჯევრიეს რა.

პაკეტი რომ პოლიციამ იგდოს ხელთ, ეს ძალიან საშიშია მ ი ს თ ვ ი ს. საშიში რას მიქვია, სიკვდილი იქნება.

ჯევრიემ იცოდა, რომ ეს საშიშროება ძალიან მნიშვნელოვანი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვერც კი მიმხვდარიყო, რა მოიმოქმედეს ისეთი, რის გამოც ისინი ასეთ გაუთავებელ შიშში არიან.

ამიტომ სიფრთხილე იყო საჭირო.

ჯევრიე მიაბიჯებდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, უკან ხომ არავინ მომდევსო.

თუმცა, რაც ბოლუდან დაბრუნდა, ისედაც ფრთხილად იყო ხოლმე.

კაცმა რომ თქვას, მისი ხელობის კაცი განა მუდამ „დამალობანასა“ და „დაჭერობანას“ არ ეთამაშება პოლიციას?

დამალვაში დახელოვნებული და გამოცდილი იყო.

მაგრამ ჯევრიე არასოდეს არ დამალვია პოლიციას ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გამო.

ამას მ ი ს გადასარჩენად აკეთებდა და მ ი ს გამო ეშინოდა ყველაფრისა. მას ეშინოდა ქუჩაში სტვენით მომავალი კაცისა, კაცისა, რომელიც კედლიდან ჩამოჭტა და გაფაციცებით გარბოდა ქუჩის მეორე მხარისაკენ, საკუთარი ჩრდილისა, რომელმაც უეცრად წინ გაუსწრო, როცა ჯევრიემ ქუჩის ფარნის ქვეშ ჩაიარა.

ეხლა ბნელი ქუჩები უკვე გათავდა და საცაა გამზირზე უნდა გასულიყო... ეხლა უფრო მეტი იყო იმის შესაძლებლობა, რომ ნაცნობ პოლიციელს შეხვედროდა, თვითონაც ჩავარდნილიყო და ისიც ჩაეგდო.

ჯევრიეს ძველი ფეხსაცმელების ქუსლებს ერთი ბაკი-ბუკი გაუდიოდათ ქვაფენილზე. არც კი ახსოვს, რომ ოდესმე ევლოს ასეთი ხმამაღალი ნაბიჯებით.

გამზირს რომ მიაღწია, თავისუფლად ამოისუნთქა... ასეთ დროს ქუჩა, რომ ეგონა, არც ისეთი ხალხმრავალი აღმოჩნდა. „შიშმა მთლად შემარყია, — ფიქრობდა ჯევრიე, — ასეთ დროს გამზირზე ვინ უნდა იყოს“.

ერთხანს განათებული ქუჩით იარა, შემდეგ ერთ წყაროსთან ზღვისკენ გაუხვია.. და ვიღაცას შეეჩეხა. ეს უბნის ყარაული იყო. ჯევრიეს გულმა ბაგა-ბუგი აუტეხა... „ეგენი პოლიციელებზე უარესები არიან. ასეთ დროს ვეება პაკეტით ხელში ზღვისკენ მიმავალი ადამიანი რომ ნახონ, ვინც არ უნდა იყოს, ეჭვს მიიტანენ. განსაკუთრებით კი ასეთ ბნელ ადგილას“.

ყარაულმა ფარანი აანთო და სახეში მიანათა ჯევრიეს. ჯევრიეს კინაღამ გული წაუვიდა შიშისაგან. — „მადლობა ღმერთს, აქეთ იშვი-

ათად დავდივარ და არ მიცნობსო,“ — იფიქრა და შეუნელებლად განაგრძო სიარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარაული ადგილიდან არ დაძრულა. ჯევრიეს უკან არ მოუხედია, მაგრამ გრძნობდა, რომ ყარაული ერთ ადგილზე იდგა. უეჭველი იყო, რომ მან ეჭვი აიღო ჯევრიეზე.

ამ სახლთან თუ გაუხვია, მერე მოეფარება მის თვალებს, და ჩაჯდება ნავში, რომელიც ორმოცდაათ-სამოც ნაბიჯზეა აქედან მიბმული ხის ნავმისადგომზე.

„ღონივრად მოვუსვამ ნიჩბებს და მერე მდიოს ყარაულმა“, — ფიქრობდა ჯევრიე.

ქერიმი, მადლობა ღმერთს, მასზე ადრე იყო მისული ნაპირზე და ელოდა...

ჯევრიემ სახლთან გაუხვია თუ არა, მოკურცხლა. მას ნაანგარიშევი ჰქონდა, რომ ყარაული ვერ ხედავდა. მაგრამ ის კი აღარ მოსვლია აზრად, რომ ფეხის ხმას გაიგონებდა... მაგრამ როცა ყარაულმა გაიგონა, რომ ქუჩის ქალი, რომელსაც ხელში ვეება პაკეტი ეჭირა, გარბოდა, მაშინვე მიიჭრა სახლის კუთხესთან და ყვირილი დაიწყო: „ჰეი, შესდექ, შესდექ!“

ჯევრიე მიხვდა, რომ ეს შეძახილები მისკენ იყო მიმართული და უფრო ჩქარა გაიქცა.

„ღმერთო, მიშველე, ვიღუპები, თუ დამიჭირეს... ი მ ა ს ა ც სიცოცხლეს გამოასალმებენ და იფიქრებს, რომ მე გავეცი“.

ყარაული მიხვდა, რომ მისი წონის კაცი გაქცეულს ვერ დაეწეოდა და სტვენა ატეხა. ის დარწმუნებული იყო, ეს ქალი, რომელსაც ხელში პაკეტი ეჭირა და გარბოდა, ქურდი ან კონტრაბანდისტი იქნებოდა.

ჯევრიემ გაიგონა, რომ ყარაულის სასტვენის ხმას ვიღაცა გამოეხმაურა. გაისმა მდევრების ფეხის ხმაც.

მძიმე პაკეტით სირბილი ძნელი იყო. კიდევ ოცი-ოცდაათი ნაბიჯი და ნავში იქნება. რამდენჯერმე კინაღამ წაიქცა, მაგრამ თავი შეიკავა... ბოლოს ნაპირსაც მიაღწია.., „შესდექ, შესდექ!“ — ესმოდა ჯევრიეს, მაგრამ ყური არ უთხოვებია ამ შეძახილებისათვის და პირდაპირ ნავში ჩახტა. ქერიმი ჯერ არ იყო მოსული. ასეთ ხმაურს, პოლიციელებისა და ყარაულების სასტვენის ხმას რომ გაიგონებდა, რასაკვირველია

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაეკარებოდა აქაურობას... ჯევრიეს სხვა გზა აღარა ჰქონდა, ნავი აუშვა და მოშორდა ნაპირს.

ის მთელი ძალით უსვამდა ნიჩბებს. ზღვაზე, როგორც ცარიელ სახლში, სიჩუმე იდგა. ირგვლივ ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა, მხოლოდ ნიჩბების ხმაური წვდებოდა ჯევრიეს ყურს...

ნაპირი უკვე საკმაოდ შორს იყო. ჯევრიეს ბედი ჰქონდა. წყლის დინებაც მას ეხმარებოდა და აჩქარებდა ნავის მოძრაობას.

„ამ ოხერ ნიჩბებს რა ტლაშა-ტლუში გაუდით", — ბურტყუნებდა ჯევრიე. ის ცდილობდა, უხმოდ მოესვა ხოლმე ნიჩბები, მაგრამ რაც უფრო მეტს ღელავდა, უფრო მეტი ხმაურით ეშვებოდა ნიჩბები წყალში. ჯევრიეს ეჩვენებოდა, რომ ნიჩბების ტლაშა-ტლუში დიდ ექოს გამოსცემდა ნაპირზე.

ამ უკუნეთ ღამეში მდევრებს რომც ვერ დაენახათ, ნიჩბების ხმაზე მაინც მიხვდებოდნენ, რომ ის ზღვაში იყო გასული.

ეხლა სასტვენების, ფეხისა და ხმამაღლა მოლაპარაკე მამაკაცების ხმა უკვე ნაპირიდან ისმოდა.

„მადლობა ღმერთს, ნაპირზე სხვა ნავი არ არის", — ფიქრობდა ჯევრიე და უფრო გულმოდგინეთ უსვამდა ნიჩბებს. ეხლავე რომ გადაადგოს პაკეტი, ხმას გაიგონებენ და ძებნას დაუწყებენ. თან კიდევ ქერიმ აბიმ უთხრა, პაკეტი ნაპირიდან შორს უნდა გადავაგდოთო.

შიშით იყო თუ მართლა, ჯევრიეს მოეჩვენა, რომ დინებამ მოქცევა დაიწყო.

ზღვის წყალი თითქოს გასქელდა და ბადაგივით ეკვროდა ნიჩბებს. ჯევრიეს ეჩვენებოდა ჭანჭრობში ვეფლობიო.

ნაპირზე ჯიბის ფარნის სინათლეები აციმციმდნენ. ერთი ფაცი-ფუცი იდგა. „ არასოდეს არ მეგონა, ასე შემეშინდებოდა პოლიციელებისა", — გაიფიქრა ჯევრიემ.

ზამთრის ცივ ღამეებში, როცა ფული არა ჰქონდა ხოლმე, ჯევრიეს უყვარდა კიდეც საპოლიციო უბანი, განსაკუთრებით კი ის, ბეიოღლუში რომ არის.

„პოლიციას სარკე აქვს, სარკე აქვს..."

ამბობდა ჯევრიე და მუდამ გაგიჟებით უყვარდა ამ სარკეში ცქერა და კოხტაობა. ჯევრიესათვის წინათ ყველაფერი თამაშობა იყო, მაგრამ ახლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გოგოს ხელზე დაღი აქვს, დაღი აქვს...“

ამბობდნენ მისი მნახველები. ჯევრიეს მართლაც ჰქონდა ხელზე დაღი — მაჯებზე დახატული ორი ხელბორკილი. მ ი ს ი ტანჯვის შესამსუბუქებლად სვირანგობა გაიკეთა და ამ ტანჯვითა და სიყვარულით ხელებიც დადაღული ჰქონდა და გულიც.

ასეთი დიდი სიყვარული და ტანჯვა მუდამ თვალებზე ეტყობოდა ჯევრიეს. სწორედ ამიტომ ეუბნებოდა ხოლმე სუმბულ-დუდუ:

— შენ რაღაცა გჭირს, „ჩემს ჯევრიეს შავ თვალებზე ეტყობაო.

ჯევრიეს ყოველთვის თვალებზე ეტყობოდა ყოველგვარი განცდა: სიხარული, სიყვარული, ფიქრები და იმედები.

როგორც ოდესღაც ამოიკითხავდით ჯევრიეს თვალებში, რომ ის კახპა იყო, ისე ეხლა თვალებზე ეტყობოდა ის სიყვარული, რომელმაც წმინდანივით უმანკოდ და სპეტაკად აქცია ჯევრიე, თვალებზე ეტყობოდა შიში — ვაითუ არ მოვეწონოო, თვალებზე ეტყობოდა სიყვარულით გამოწვეული იმედი.

ეხლა კი, როცა ი ს დაიჭირეს და ჯევრიე ასე დაჰკანკალებდა მ ი ს სიცოცხლეს, ყველა ამბობდა, რომ ჯევრიეს

„გულში შავი დარდი აქვს, დარდი აქვს-ო“.

ეს დარდი სიყვარულზე უფრო შავ ნაღველსა ჰგავდა.

ჯევრიეს უყვარდა ის კაცი, რომელმაც თავის სახლში წაიყვანა ავადმყოფი, არასოდეს უთხოვია ის, რასაც ყველა მამაკაცები მოითხოვდნენ მისგან. კაცი, რომელმაც მას ადამიანური თავმოყვარეობა დაუბრუნა, პატივსა სცემდა, თქვენობით მიმართავდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ ხედავდა, რომ ჯევრიე კახპა იყო.

როცა გაიგო, რა საშიშროება ელოდა მ ა ს, სიყვარული ტანჯვად ექცა.

ჯევრიე შეშინდა, რადგან ამ ნაღველისა და საკუთარი მოუხერხებლობის გამო შეიძლება საფრთხეში ჩაეგდო ი გ ი.

ჯევრიემ დაკარგა მისთვის ჩვეული გულცივობა და რადგანაც ყარაულმა სახეზე შეხედა, გაქცევა ამჯობინა.

„ცოფიანი ძაღლების ხროვა არ დავიდევნე უკან?“..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჯევრიე გრძნობდა, რომ ნიჩბები, რომლის ბოლოებიდან წყლის განათებული წვეთები ცვიოდა ზღვაში, თანდათან მძიმდებოდა. ოჰ, ეს ნიჩბები... ნიჩბები, ზღვაში ჩაეშვებიან და უკან აღარ უნდათ ამოსვლა.

ჯევრიეს მაჯები ეტკინა. ეს მარმარილოს ზღვის შვილი, რომელმაც ასე კარგად იცოდა ნიჩბების მოსმა, ეხლა ნიჩბების, მოტორისა და ადამიანების ხმა რომ ესმოდა, დაბნეული იყო და ხელი ეშლებოდა.

თითებში და მაჯებში ტეხდა, მაჯებზე გამოხატული ორი ხელბორკილი ისე უჭერდა, თითქოს ნამდვილი ყოფილიყოს.

* * *

პროექტორის სხივმა ზღვა გაცხრილა და ზედ მიადგა ჯერვიეს.

— დავიღუპე! — აღმოხდა მას.

ის უკვე ვერსად წავიდოდა. მოტორების ხმა ახლოვდებოდა. ერთიორი წამი კიდევ უსვამდა ჯევრიე ნიჩბებს და ფარვანასავით ფართხალებდა პროექტორის სხივში მოქცეული. ის გაფაციცებით უსვამდა, ცდილობდა გაქცეოდა პროექტორის სხივს და სიბნელისათვის შეეფარებინა თავი.

ჯევრიეს სიბნელე უნდოდა, სიბნელე. ყიჟინა ზღვას ეფინებოდა. ჯევრიეს ეჩვენებოდა, თითქოს ესმის, როგორ იძახიან „აი ის, აი ისო".

ჯევრიე შეინძრა. ადგილიდან წამოხტა. სანამ დაიჭერდნენ, მძიმე პაკეტი წყალში უნდა ჩაეგდო, შემდეგ კი რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ამ არე-მარეს.

მისი ადგილიდან წამოხტომა და ნავის გადაქანება ერთი იყო. ჯევრიემ, რომელსაც პაკეტი გულზე ჰქონდა მიკრული, წონასწორობა დაკარგა და პაკეტიანად გადავარდა წყალში.

— მაგრამ ეს რა ხდება... მან ხელი უშვა პაკეტს, პაკეტი იძირება და ჯევრიესაც თან ეზიდება...

არა, ეს შეუძლებელია. მან როგორმე თავი უნდა დააღწიოს ამ

ძალას, რომელიც კუპრივით შავი წყლისაკენ ეზიდება მას. ფუნდა ... აღწიოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვერა. პაკეტის თოკი მის მანტოს გამოსდებოდა, რამდენჯერმე შემოხვეოდა ხელზეც და თავის დახსნა შეუძლებელი იყო. ჯევრიე პაკეტთან ერთად მიდიოდა ზღვის ფსკერისაკენ.

*

* *

მდევრები წყლის ტყლაშუნზე და გამქრალ ლანდზე მიხვდნენ, რომ ზღვაში რაღაც ჩავარდა. წყლის ზედაპირზე რამდენიმე პრიალა რგოლი გამოჩნდა და გაქრა...

მოტორიანი პატარა გემი სწრაფად უახლოვდებოდა ცარიელ ნავს. ღუზაზე მდგომი გემის ბაქანზე ერთი ახალგაზრდა მეზღვაური საზს აკვნესებდა და ღიღინებდა:

მე ქვიშა ვარ ზღვისა,
ქერცლი — თევზებისა.
გამიხსენ უბე, ჩემო ჯევრიე,
მეც მონა ვარ ღვთისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

I პოლიციას სარკე აქვს 5
II გოგოს ხელზე დაღი აქვს 40
III ჩემს ჯევრიეს შავ თვალებზე ეტყობა 76
IV გულში შავი დარდი აქვს 226

Суад Дервиш

Фосфорическая Джеврия

Роман

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1967

რედაქტორი ლ. ელიოზიშვილი
მხატვარი ი. ქლიბაძე
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ჯ. რთველიაშვილი
კორექტორი ც. ნიკურაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II-67 წ. ქაღალდის ზომა 60×84 1/16.
ნაბეჭდი თაბახი 15,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 12,22.
ტირაჟი 40 000. შეკვ. № 1083.
ფასი 76 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

ეროვნული
ბიბლიოთეკა